ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის შესახებ

დოკუმენტების კრებული

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1988

65.9(2)—2
ბ 491

კრებულში შეტანილია სსრ კავშირის კანონი „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ", სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამ კანონის ძალაში შესვლის წესის შესახებ, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ მოწონებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებები, რომლებიც ეხება ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის განხორციელებას და ცენტრალური, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის გაფდაქმნას.

0 0902010000—220 / М601(08) — 88 ბრძ. № 12, 1988.

ISBN 5-529-00386-2

© Политиздат, 1987

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1988

კ ა ნ ო ნ ი
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ეს კანონი განსაზღვრავს სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს, განამტკიცებს წარმოების საშუალებათა სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრებას მრეწველობაში, მშენებლობაში, აგროსამრეწველო კომპლექსსა და სხვა დარგებში, აფართოებს ამ საკუთრების ეფექტიან გამოყენებაში, საწარმოთა და გაერთიანებათა მართვაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტაში მშრომელთა კოლექტივების მონაწილეობის შესაძლებლობას. კანონი აღრმავებს ცენტრალიზებულ საწყისებს სახალხო მეურნეობის როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში, ითვალისწინებს მართვის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერებას, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ფართო გამოყენებას, დემოკრატიული საფუძვლების გაფართოებასა და თვითმმართველობის განვითარებას, განსაზღვრავს საწარმოების (გაერთიანებების) და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ურთიერთობას:

1. საწარმო (გაერთიანება) სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლია

მ უ ხ ლ ი 1. სახელმწიფო საწარმო (გაერთიანება) და მისი ამოცანები

1. სახელმწიფო საწარმოები (გაერთიანებანი), კოოპერაციულთან ერთად შეადგენენ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ძირ-

თად რგოლს. საწარმოებს (გაერთიანებებს) ეკუთვნით მთავარი როლი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებაში და სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზნის მიღწევაში — ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების უფრო სრულ დაკმაყოფილებაში.

ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო საწარმოებისა და გაერთიანებების (რომლებიც შემდეგ საწარმოებად იწოდებიან იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საქმე ეხება გაერთიანებათა თავისებურებებს) ორგანიზაციისა და საქმიანობის საფუძვლებს, სამართლებრივ მდგომარეობას.

2. სახელმწიფო საწარმოში შრომითი კოლექტივი, რომელიც თადარიგიანად პატრონობს საერთო-სახალხო საკუთრებას, ქმნის და ამრავლებს სახალხო სიმდიდრეს, უზრუნველყოფს საზოგადოების, კოლექტივისა და თითოეული მუშაკის ინტერესების შეხამებას. საწარმო არის სოციალისტური საქონელმწარმოებელი, აწარმოებს პროდუქციას და ეწევა მის რეალიზაციას, ასრულებს სამუშაოებს და ახორციელებს მომსახურებას გეგმისა და ხელშეკრულებების შესაბამისად სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსების, თვითმართველობის, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისა და საწარმოს დამოუკიდებლობის შეხამების საფუძველზე.

საწარმო ახორციელებს თავის საქმიანობას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, მეცნიერებასა და სამეცნიერო მომსახურებაში, ვაჭრობაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, მომსახურების სფეროსა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. საწარმო, თავისი პროფილის მიუხედავად, ახორციელებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას და უწევს მოსახლეობას ფასიან მომსახურებას. მას შეუძლია ერთდროულად ეწეოდეს რამდენიმე სახეობის საქმიანობას (აგრარულ-სამრეწველო, სავაჭრო-სამრეწველო, სამრეწველო-სამშენებლო, სამეცნიერო-საწარმოო და სხვა საქმიანობას).

საწარმო იურიდიული პირია, იყენებს უფლებებს და ასრულებს თავის საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვალეობებს. აქვს საერთო-სახალხო საკუთრების განცალკევებული ნაწილი და დამოუკიდებელი ბალანსი.

3. საწარმოს მთავარი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობისა და მოქალაქეების საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი მის პროდუქციაზე (სამუშაოებსა და მომსახურება-

ზე), ამასთან უზრუნველყოს კარგი საშრომოსმოქმედებლო თვისებები და მინიმალური დანახარჯებით გააუმჯობესოს ხარისხი, გაზარდოს წელილო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში და მიაღწიოს ამის საფუძველზე თავისი კოლექტივისა და მისი წევრების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ბომხმარებლის მოთხოვნები სავალდებულოა საწარმოსათვის, ხოლო მათი სრული და დროული დაკმაყოფილება ყოველი შრომითი კოლექტივის საქმიანობის დედაარსი და ნორმაა.

თავისი მთავარი ამოცანის განსახორციელებლად საწარმო უზრუნველყოფს:

წარმოების განვითარებასა და ეფექტიანობის გაზრდას, მის ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების მატებას, რესურსების დაზოგვას, ეოგების (შემოსავლის) ზრდას;

კოლექტივის სოციალურ განვითარებას, სოციალური სფეროს თანამედროვე მატერიალური ბაზის ფორმირებას, დიდნაყოფიერი შრომის ხელშემწყობ შესაძლებლობათა შექმნას, შრომის მიხედვით განაწილების, სოციალური სამართლიანობის პრინციპის თანამიმდევრულ განხორციელებას, ადამიანის გარემომცველი ბუნების დაცვასა და გაუმჯობესებას;

შრომითი კოლექტივის თვითმმართველობას, რომელიც წარმოშობს ყოველი მუშაკის ღრმა პირად დაინტერესებას საერთო-სახალხო საკუთრების თადარიგიანი გამოყენებით, მის ორგანულ წილნაყარობას კოლექტივისა და სახელმწიფოს საქმეებში.

მ უ ხ ლ ი 2. საწარმოს საქმიანობის პრინციპები

1. საწარმოს საქმიანობა ემყარება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმას, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. ხელმძღვანელობს რა საკონტროლო ციფრებით, სახელმწიფო შეკვეთებით, გრძელვადიანი მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური ნორმატივებითა და ლიმიტებით, აგრეთვე მომხმარებელთა შეკვეთებით, საწარმო დამოუკიდებლად ამუშავებს და ამტკიცებს თავის გეგმებს, დებს ხელშეკრულებებს.

2. საწარმო მოქმედებს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით. მისი საწარმოო, სოციალური საქმია-

ნობა და შრომის ანაზღაურება ხორციელდება შრომითი კოლექტივის მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე. საწარმო პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან ინაზღაურებს მატერიალურ დანახარჯებს. მოგება ან შემოსავალი საწარმოს სამეურნეო საქმიანობის განმაზოგადებელი მაჩვენებელია. საწარმომ მოგების (შემოსავლის) ნაწილი უნდა გამოიყენოს ბიუჯეტის, ბანკებისა და ზემდგომი ორგანოს წინაშე ვალდებულებათა შესასრულებლად. მეორე ნაწილი გადადის მის სრულ განკარგულებაში და შრომის ანაზღაურების სახსრებთან ერთად ქმნის კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივ შემოსავალს, რომელიც საწარმოს ცხოველმოქმედების წყაროა.

3. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში საწარმოს საქმიანობა ხორციელდება სოციალისტური თვითმმართველობის პრინციპის შესაბამისად. შრომითი კოლექტივი, რომელიც სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია საწარმოში, დამოუკიდებლად წყვეტს საწარმოო და სოციალური განვითარების ყველა საკითხს. საწარმოს მუშაობის მიღწევები და დანაკარგები უშუალოდ ახდენს გავლენას კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის დონეზე, თითოეული მუშაკის კეთილდღეობაზე.

4. საწარმოები მოქმედებენ ერთმანეთთან ეკონომიკური შეჯიბრების პირობებში, რომელიც უმნიშვნელოვანესი ფორმაა სოციალისტური შეჯიბრებისა, რათა უმცირესი დანახარჯებით უფრო სრულად დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნა ეფექტიან მაღალხარისხოვან და კონკურენტუნარიან პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე). საწარმო, რომელიც ნაკლები დანახარჯებით უზრუნველყოფს უკეთესი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებას და რეალიზაციას, იღებს მეტ სამეურნეოანგარიშებრივ შემოსავალს და უპირატესობას თავის საწარმოო და სოციალურ განვითარებასა და მუშაკთა შრომის ანაზღაურებაში.

სახელმწიფო იყენებს დაგეგმვას, მიმართავს საკონკურსო პროექტირებასა და წარმოებას, საფინანსო-საკრედიტო ბერკეტებსა და ფასებს საწარმოთა ეკონომიკური შეჯიბრების ყოველი ღონით განვითარებისათვის, ამასთან ზღუდავს მათი როგორც გარკვეული სახეობის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მწარმოებლების მონოპოლიურ მდგომარეობას.

5. საწარმო მოქმედებს სოციალისტური კანონიერების საფუძველზე. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირო-

ბებში მას ენიჭება ფართო უფლებები, რომელთა დაცვა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. ამ კანონით დადგენილი ამოცანებისა და უფლებამოხილების განხორციელების ინტერესებისათვის საწარმოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით მიიღოს ყველა გადაწყვეტილება, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საწარმოს ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისა და გამრავლებისათვის, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და რენტაბელობის დონის უზრუნველყოფისათვის, რაც აუცილებელია სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობისათვის, განამტკიცებს სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინას.

საწარმოს საქმიანობა არ უნდა არღვევდეს სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის ნორმალურ პირობებს და არ უნდა აუარესებდეს მოქალაქეთა ცხოვრების პირობებს.

6. სახელმწიფო პასუხს არ აგებს საწარმოს ვალდებულებათა გამო. საწარმო პასუხს არ აგებს სახელმწიფოს, აგრეთვე სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ვალდებულებათა გამო.

მ უ ხ ლ ი 3. კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალი, მისი განაწილება და გამოყენება

1. კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალი საწარმოს საწარმოო და სოციალური განვითარების, შრომის ანაზღაურების წყაროა, საწარმოს განკარგულებაშია, დამოუკიდებლად გამოიყენება და ჩამორთმევას არ ექვემდებარება.

ზემდგომი ორგანოს ნებართვით საწარმოს შეუძლია გამოიყენოს სამეურნეო ანგარიშის შემდეგი ფორმები:

მოგების ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებული, მოგებიდან წარმოებს ანგარიშსწორება ბიუჯეტთან და ზემდგომ ორგანოსთან, გაიცემა კრედიტის სარგებელი. ამ ანგარიშსწორების შემდეგ შექმნილი ნარჩენი მოგება გადადის შრომითი კოლექტივის განკარგულებაში. ნარჩენი მოგებიდან ნორმატივების მიხედვით ყალიბდება ფონდები: წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა; სოციალური განვითარებისა; მატერიალური წახალისების ან ანალოგიური დანიშნულების სხვა ფონდები. ნელფასის ფონდი შეიძლება შეიქმნას წმინდა პროდუქციის ნორმატივის ან პროდუქციის სხვა განზომილე-

ბების მიხედვით. ამ შემთხვევაში კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივ შემოსავალს ქმნის ხელფასის ფონდი და ნარჩენი მოგება;

ამონაგებიდან მატერიალური დანახარჯების ანაზღაურების შემდეგ მიღებული შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებული, შემოსავლიდან წარმოების ანგარიშსწორება ბიუჯეტთან და ზემდგომ ორგანოსთან, გაიცემა კრედიტის სარგებელი, რის შემდეგაც იქმნება კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალი. შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი იქმნება როგორც ნაშთი კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლისა, მას შემდეგ. რაც მისგან შეიქმნება ფონდები: წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა; სოციალური განვითარების ან ანალოგიური დანიშნულების სხვა ფონდები, რომლებიც განისაზღვრება სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის ნორმატივების მიხედვით.

საწარმოში შეიძლება შეიქმნას საფინანსო რეზერვი და საავალუტო ანარიცხების ფონდი.

2. ხელფასის ფონდს საწარმო იყენებს მუშაკთა შრომის ანაზღაურებისათვის, მათი შრომითი წვლილის კვალობაზე.

მატერიალური წახალისების ფონდი ხმარდება პრემიების და ჯილდოების გაცემას, შრომის წახალისების სხვა ფორმებს და მატერიალურ დახმარებას.

საწარმოს შეუძლია ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახალისების ფონდის ნაცვლად შექმნას შრომის ანაზღაურების ფონდი, რომელიც შრომის შედეგების მიხედვით მუშაკთათვის ყველა მისაცემლის ერთიანი წყაროა.

3. წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდს საწარმო იყენებს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსებისათვის, თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე ძირითადი ფონდების განახლება-გაფართოებისათვის, საკუთარი საბრუნავი საშუალებების მატების, აგრეთვე წარმოების განვითარების სხვა მიზნებისათვის.

საწარმო დამოუკიდებლად იყენებს საამორტიზაციო ანარიცხებს, რომლებიც დადგენილი ნორმატივის მიხედვით ირიცხება წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში ან ანალოგიური დანიშნულების სხვა ფონდში.

4. სოციალური განვითარების ფონდს შრომითი კოლექტივი ახმარს საბინაო მშენებლობას, სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებას, მისი ობი-

ექტების მოვლა-შენახვას, გამაჯანსაღებელი, კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების მოწყობას და სხვა სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

5. საწარმოს უფლება აქვს შრომითი კოლექტივის თანხმობით მოახმარონ მატერიალური წახალისების ფონდის (შრომის ანაზღაურების ფონდის) სახსრების ნაწილი სოციალური განვითარების ფონდს, და საბინაო მშენებლობის მიზნებს — წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის სახსრების ნაწილი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

6. საწარმო პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულების ხარჯზე ნორმატივის მიხედვით ქმნის სარემონტო ფონდს, რომლის სახსრები ხმარდება ძირითადი ფონდების ყველა სახეობის რემონტის განხორციელებას.

მ უ ხ ლ ი 4. საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სახსრები

1. საწარმოს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და სახსრებს, ანუ მის ქონებას შეადგენს ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა მატერიალური ფასეულობანი და საფინანსო რესურსები. საწარმო ახორციელებს ამ ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს.

საწარმო ვალდებულია ნიადაგ უზრუნველყოფდეს პროგრესულ საფუძველზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კვლავწარმოებას, ეფექტიანად იყენებდეს საწარმოო სიმძლავრეებსა და ძირითად ფონდებს.

2. საწარმოო პოტენციალის სრული უკუგების მიღწევის მიზნით საწარმო ამყარებს მუშაობის ორცვლიან, ხოლო უნიკალურ და ძვირადღირებულ მოწყობილობაზე და იქ, სადაც საჭიროა წარმოების პირობების მიხედვით, მუშაობის სამ- ან ოთხცვლიან რეჟიმს. საწარმომ მუშაობის სხვა რეჟიმი შეიძლება გამოიყენოს ზემდგომი ორგანოს ნებართვით, რომელიც შეთანხმებული იქნება სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან და შესაბამის პროფკავშირულ ორგანოსთან.

3. საწარმოს საბრუნავი საშუალებანი მის სრულ განკარგულებაშია და ჩამორთმევას არ ექვემდებარება. საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნაკლებობა ნაზღაურდება კოლექტივის საძეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის ხარჯზე, მათი შევსება კი ხორციელდება საკუთარი რესურსებიდან. საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს საბრუ-

ნავი საშუალების დაცვა-შენახვა, რაციონალური გამოყენება და გრუნტვადობის დაჩქარება.

4. საწარმოს აქვს უფლება:

გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, გაყიდოს, გაცვალოს, იჯარით გადასცეს, მისცეს დროებით სარგებლობაში უფასოდ ან სესხად შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი, ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე ჩამოწეროს ისინი ბალანსიდან, თუ გაცვეთილი ან მორალურად მოძველებულია;

გადასცეს მატერიალური და ფულადი რესურსები, მათ შორის შრომითი კოლექტივის თანხმობით ეკონომიკური სტიმულირების ფონდების საბსრები, სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ საწარმოსათვის სამუშაოებს ან უწევენ მომსახურებას.

გამოუყენებელი ქონების რეალიზაციით მიღებული ამონაგები და საჯარო ქირა (თუ ქონების იჯარით გადაცემა საწარმოს ძირითადი საქმიანობა არ არის) აღნიშნულ შემთხვევაში იგზავნება წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში, ხოლო სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ქონების გადაცემის, აგრეთვე გაყიდვისა და ჩამოწერის დროს წარმოქმნილ ზარალს საწარმო ფარავს საწარმოს ეკონომიკური სტიმულირების შესაბამისი ფონდების ხარჯზე.

II. საწარმოს (გაერთიანების) მართვა და შრომითი კოლექტივის თვითმმართველობა

მ უ ხ ლ ი 5. გაერთიანების და საწარმოს სტრუქტურა

1. სახალხო მეურნეობის დარგებში სამეურნეო საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების, მართვის სტრუქტურისა და ორგანიზაციის თავისებურებათა შესაბამისად მოქმედებენ სხვადასხვა სახეობის გაერთიანებანი და დამოუკიდებელი საწარმოები. გაერთიანებათა ძირითადი სახეობებია საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები. გაერთიანება სტრუქტურული ერთეულების და მის შემადგენლობაში შემავალი და დამოუკიდებელი საწარმოების ტერიტორიული განლაგების მიუხედავად ფუნქციონირებს როგორც ერთიანი საწარმოო-სამეცნიერო კომპლექსი, უზრუნველყოფს დარგებისა და ტერიტორიების განვითარების ინტერესების ორგანულ შეხამებას. იგი თა-

ვის საქმიანობას ახორციელებს ერთიანი გეგმისა და ბალანსის საფუძველზე.

საწარმო და გაერთიანება აწყობენ თავიანთი პროდუქციის საფირმო მომსახურებას და საფირმო ვაჭრობას, ამისათვის საჭიროების შემთხვევაში ქმნიან შესაბამის ქვეგანაყოფებს.

2. საწარმოო გაერთიანება იქმნება ცალკეულ სახეობათა პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) გამოშვებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის, წარმოების განვითარებული საგნობრივი სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და კომბინირების უფრო ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე. იგი შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან, რომლებიც ეწევიან სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, სავაჭრო და სხვა საქმიანობას. გაერთიანების შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციები და სხვა სტრუქტურული ერთეულები.

3. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება იქმნება უმოკლეს ვადებში იმ მანქანათა დიდეფექტიანი კომპლექსების, მოწყობილობების, ხელსაწყოების, ტექნოლოგიური პროცესებისა და მასალების შემუშავებისა და წარმოებისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს შესაბამისი მიმართულებებით და რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. იგი იქმნება სამეცნიერო-კვლევითი (საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური) ორგანიზაციების ან საწარმოების (საწარმოო გაერთიანებების) საფუძველზე, რომლებსაც განვითარებული საკონსტრუქტორო და საცდელ-საექსპერიმენტო ბაზა აქვთ, და ფუნქციონირებს როგორც ერთიანი სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსი.

4. საწარმო შედგება შინაგანი სამეურნეო ანგარიშის ან კოლექტიური იჯარის საწყისებზე მოქმედი ქვეგანაყოფებისაგან: წარმოებების, საამქროების, განყოფილებების, უბნების, ფერმების, ბრიგადების, რგოლების, ბიუროების, ლაბორატორიებისაგან და ა. შ.

საწარმოს ქვეგანაყოფებს შეიძლება გამოეყოთ საწარმოს მიერ დადგენილი წესით მატერიალური წახალისებისა და სოციალური განვითარების ფონდების ნაწილი, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია ამ ქვეგანაყოფების საქმიანობის შედეგებზე.

5. გაერთიანებაში მისი სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ სამეურნეოანგარიშებრივ საწყისებზე და მათ შესახებ გაერთიანების მიერ დამტკიცებული დებულებების შესაბამისად, შედგებიან ქვეგა-

ნაყოფებისაგან. სტრუქტურულ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს ცალკე ბალანსი და ანგარიში ბანკის დაწესებულებებში.

გაერთიანება სტრუქტურულ ერთეულს მიამაგრებს საჭირო ძირითად ფონდსა და საბრუნავ საშუალებებს, განსაზღვრავს შიდასამეურნეო ურთიერთობის განხორციელებისა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის დავის გადაწყვეტის წესს, აგრეთვე პასუხისმგებლობას მათ მიერ თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

სტრუქტურული ერთეული კანონმდებლობითა და გაერთიანების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში განაგებს მიმაგრებულ ქონებას და გაერთიანების სახელით დებს სამეურნეო ხელშეკრულებებს სხვა ორგანიზაციებთან.

გაერთიანებას შეუძლია სტრუქტურულ ერთეულს მიანიჭოს უფლება დადოს სამეურნეო ხელშეკრულებანი სტრუქტურული ერთეულის სახელით და იყოს პასუხისმგებელი ამ ხელშეკრულებათა მიხედვით მიმაგრებულ ქონებაზე. მისი უკმარისობის შემთხვევაში პასუხისმგებლობას სტრუქტურული ერთეულის ვალდებულებათა გამო გაერთიანება კისრულობს.

სტრუქტურული ერთეული აყალიბებს მატერიალური წახალისებისა და სოციალური განვითარების ფონდებს გაერთიანების მიერ განსაზღვრული წესით და მისი საქმიანობის შედეგების მიხედვით. გაერთიანებას უფლება არა აქვს ამოიღოს ამ ფონდების სახსრები სტრუქტურული ერთეულის შრომითს კოლექტივთან შეუთანხმებლად. გაერთიანებას უფლება აქვს სტრუქტურული ერთეულის განკარგულებაში გამოყოს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის, აგრეთვე სხვა ფონდების ნაწილი.

6. გაერთიანების შემადგენლობას ამტკიცებს ზემდგომი ორგანო, გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების სტრუქტურას — გაერთიანება, საწარმოსა და მისი ქვეგანაყოფების სტრუქტურას — საწარმო.

გაერთიანების მართვას ახორციელებს, როგორც წესი, გაერთიანების მეთაური სტრუქტურული ერთეულის (მეთაური საწარმოს) ხელმძღვანელი და ადმინისტრაცია და იგი ხორციელდება ძირითადად ორრგოლიანი სისტემით სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის, უწყებისადმი უშუალო დაქვემდებარებით.

გაერთიანებაში შეიძლება შედიოდნენ დამოუკიდებელი საწარმოები, რომლებიც სარგებლობენ უფლებებით ამ კანონის შესაბამისად. გაერთიანება ხელმძღვანელობს ასეთ საწარმოებს, ახორციელებს მათ მიმართ ზემდგომი ორგანოს ფუნქციებს, აქვს უფლება მოახდინოს მთლიანად ან ნაწილობრივ მათი ცალკეული საწარმოო-სამეურ-

ნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაცია. ამასთან აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო საწარმოთა სახსრები შეიძლება ცენტრალიზებული იქნეს მათი თანხმობით.

7. წარმოების კონცენტრაციის დონის შემდგომი ამაღლებისათვის საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები შეიძლება შეყვანილ იქნენ მსხვილი ორგანიზაციული სტრუქტურების — სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებების შემადგენლობაში. აღნიშნულ გაერთიანებათა შემადგენლობაში შემავალი საწარმოები, გაერთიანებანი და ორგანიზაციები ინარჩუნებენ თავიანთ სამეურნეო დამოუკიდებლობას და მოქმედებენ ამ კანონის შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 6. საწარმოს მართვა

1. საწარმოს მართვა ხორციელდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისა და შრომითი კოლექტივის სოციალისტური თვითმმართველობის შეხამების საფუძველზე.

სოციალისტური თვითმმართველობა ხორციელდება ფართო საჯაროობის პირობებში უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და მათი შესრულებისადმი კონტროლში მთელი კოლექტივისა და მისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის, ხელმძღვანელთა არჩევითობისა და საწარმოს მართვაში ერთმმართველობის გზით. თვითმმართველობის საფუძველზე უზრუნველყოფილია მშრომელთა ძალისხმევის გაერთიანება და ინიციატივის განვითარება თვალსაჩინო შედეგების მიღწევისათვის, მუშაკთათვის ორგანიზებულობისა და დისციპლინის ჩასანერგად, მათი პოლიტიკური შეგნების ასამაღლებლად.

საწარმოს პარტიული ორგანიზაცია, როგორც კოლექტივის პოლიტიკური ბირთვი, მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში, წარმართავს მთელი კოლექტივის, მისი თვითმმართველობის ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას და კონტროლს უწევს ადმინისტრაციის საქმიანობას.

სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საწარმოო საქმიანობას ეხება, ამუშავებს და იღებს ხელმძღვანელი შრომითი კოლექტივის, მასში მოქმედი პარტიული, აგრეთვე პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით. მათი წესდებებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საწარმოში ხორციელდება ხელმძღვანელთა არჩევითობა (რო-

ვორც წესი, საკონკურსო საფუძველზე), რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას და საქმიანობის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას. არჩევითობის პრინციპი გამოიყენება საწარმოების, გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულების, წარმოებების, საამქროების, განყოფილებების, უბნების, ფერმებისა და რგოლების ხელმძღვანელების, აგრეთვე ოსტატებისა და ბრიგადირების მიმართ.

3. საწარმოს, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გამოხატავს სახელმწიფოს და შრომითი კოლექტივის ინტერესებს. მას ირჩევს შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია) ფარული ან ღია კენჭისყრით (კრების ან კონფერენციის შეხედულებისამებრ) 5 წლის ვადით და ამტკიცებს ზემდგომი ორგანო. თუ შრომითი კოლექტივის მიერ არჩეულ კანდიდატურას არ დაამტკიცებს ზემდგომი ორგანო, ეწყობა ახალი არჩევნები, ამასთან ზემდგომი ორგანო მოვალეა განუმარტოს შრომითს კოლექტივს მიზეზი, თუ რატომ ითქვა უარი არჩევნების შედეგების დამტკიცებაზე.

საწარმოს, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი შეიძლება ვადამდე გაათავისუფლოს თანამდებობიდან ზემდგომმა ორგანომ შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) ან მისი დავალებით შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შრომითი კოლექტივის მიერ არჩეული მეთაური სტრუქტურული ერთეულის (მეთაური საწარმოს) ხელმძღვანელს ამტკიცებს ზემდგომი ორგანო გაერთიანების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც გაერთიანების მართვას ახორციელებს განცალკევებული აპარატი, გაერთიანების ხელმძღვანელის არჩევნები ეწყობა მისი სტრუქტურული ერთეულებისა და საწარმოების შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა კონფერენციაზე. თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება იმავე წესით ხდება.

ქვეგანაყოფების — წარმოებების, საამქროების, განყოფილებების, უბნების, ფერმებისა და რგოლების ხელმძღვანელებს, აგრეთვე ოსტატებსა და ბრიგადირებს შესაბამისი კოლექტივები ირჩევენ ფარული ან ღია კენჭისყრით 5 წლამდე ვადით და ამტკიცებს საწარმოს ხელმძღვანელი. აღნიშნული ხელმძღვანელები შეიძლება თანამდებობიდან ვადამდე გაათავისუფლოს საწარმოს ხელმძღვანელმა შესაბამისი ქვეგანაყოფის კოლექტივის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საწარმოების, გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულების, ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები, აგრეთვე ოსტატები და ბრიგადირები,

რომლებიც უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო არიან გათავისუფლებული, შეიძლება კვლავ ●ქნენ არჩეულნი ან გაიგზავნონ სხვა სამუშაოზე იმ წესით, რომელიც კანონმდებლობით არის დადგენილი არჩევითი თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირთა მიმართ.

საწარმოს ხელმძღვანელის მოადგილეებს, იურიდიული და საბუღალტრო სამსახურებისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მისი ხელმძღვანელი დადგენილი წესით.

4. ერთმმართველობას საწარმოს თვითმმართველობის სისტემაში ახორციელებენ საწარმოს ხელმძღვანელი, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებისა და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები.

საწარმოს ხელმძღვანელი (გენერალური დირექტორი, დირექტორი, უფროსი, მმართველი) ხელმძღვანელობს საწარმოს მთელ საქმიანობას და ორგანიზაციას უწევს მის მუშაობას. მას აკისრია პასუხისმგებლობა საწარმოს მუშაობის შედეგებისათვის სახელმწიფოსა და შრომითი კოლექტივის წინაშე.

საწარმოს ხელმძღვანელი უმინდობილობოდ მოქმედებს საწარმოს სახელით, წარმომადგენლობს მას ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, განაგებს საწარმოს ქონებას, დებს ხელშეკრულებას, გასცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში საწარმოს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს.

საწარმოს კომპეტენციის ფარგლებში მისი ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა საწარმოს ყველა მუშაკისათვის. სტრუქტურული ერთეულებისა და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა, ოსტატთა და ბრიგადირთა გადაწყვეტილებანი სავალდებულოა მათდამი დაქვემდებარებული ყველა მუშაკისათვის.

5. შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებათა განხორციელების ძირითადი ფორმაა საერთო კრება (კონფერენცია).

შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია):

ირჩევს საწარმოს ხელმძღვანელს, შრომითი კოლექტივის საბჭოს, ისმენს ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ;

განიხილავს და ამტკიცებს საწარმოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს, განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერებისა და მოგების (შემოსავლის) გადიდების, წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, საერთო-სახალხო საკუთრების დაცვა-შენახვისა და გამრავლების, წარმოების მატერია-

ლურ-ტექნიკური ბაზის, როგორც კოლექტივის ცხოველქმედების საფუძვლის, განმტკიცების გზებს;

იწონებს კოლექტიურ ხელშეკრულებას და პროფკავშირულ კომიტეტს ანიჭებს უფლებამოსილებას ხელი მოაწეროს მას საწარმოს ადმინისტრაციასთან შრომითი კოლექტივის სახელით; იღებს სოციალისტურ ვალდებულებებს; ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის წარდგინებით ამტკიცებს შრომითს შინაგანაწესს; განიხილავს საწარმოს საქმიანობის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

6. საწარმოს შრომითი კოლექტივის კრებას (კონფერენციას) იწვევს შრომითი კოლექტივის საბჭო საჭიროების კვალობაზე, წელიწადში ორჯერ მაინც. კრების (კონფერენციის) განსახილველად საკითხები გააქვთ შრომითი კოლექტივის საბჭოს, ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო კონტროლის ორგანოების, კოლექტივის ცალკეული წევრების, აგრეთვე ზემდგომი ორგანოს ინიციატივით.

მ უ ხ ლ ი 7. საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭო

1. კრებებს (კონფერენციებს) შუა პერიოდში შრომითი კოლექტივის რწმუნებებს ასრულებს საწარმოს (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) შრომითი კოლექტივის საბჭო. საბჭო მთავარ ყურადღებას მიაპყრობს მშრომელთა ინიციატივის განვითარებას, საერთო საქმეში თითოეული მუშაკის წვლილის გადიდებას, ახორციელებს საწარმოს საქმიანობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისა და კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის მიღების ღონისძიებებს.

შრომითი კოლექტივის საბჭო:

კონტროლს უწევს შრომითი კოლექტივის საერთო კრებების (კონფერენციების) გადაწყვეტილებათა შესრულებას, მუშა-მოსამსახურეთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციას, აცნობს შრომითს კოლექტივს მათს შესრულებას;

ისმენს ადმინისტრაციის ანგარიშს გეგმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ, სახავს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს საწარმოს უფრო ეფექტიან მუშაობას, სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვას;

ამტკიცებს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების არჩევითს ორგანოებთან ერთად სოციალისტური შეჯიბრების პირობებს და აჯამებს მის შედეგებს;

წყვეტს საწარმოს მართვისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის, მუშაკთა პირად წვლილთან მათი შრომის ანაზღაურების შესაბამისობის უზრუნველყოფისა და სოციალური სიკეთის სამართლიანი განაწილების საკითხებს;

იღებს გადაწყვეტილებებს წარმოების განვითარების, მეცნიერებისა და ტექნიკის, მატერიალური წახალისების, სოციალური განვითარების ფონდების გამოყენების შესახებ, საცხოვრებელი სახლების, ბავშვთა დაწესებულებების, სასადილოების აშენებლად, შრომის პირობების და დაცვის, მუშათა, მოსამსახურეთა სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად სახსრების გამოყოფის შესახებ, წყვეტს კოლექტივის სოციალური განვითარების სხვა საკითხებს;

განიხილავს კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, შრომითი შინაგანაწესის, საწარმოში სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის დაცვის საკითხებს, სახავს მისი განმტკიცების ღონისძიებებს;

კონტროლს უწევს ნოვატორების, წარმოების მოწინავეების, ომისა და შრომის ვეტერანებისათვის შეღავათებისა და უპირატესობათა მინიჭებას მატერიალური წახალისებისა და სოციალური განვითარების ფონდების სახსრების ხარჯზე;

ისმენს ქვეგანაყოფების კოლექტივების წარმომადგენელთა ანგარიშს, შეაქვს წინადადებანი შრომითი წარმატებებისათვის მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ, განიხილავს სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენის საკითხებს;

წყვეტს წარმოებების, საამქროების, განყოფილებების, უბნებისა და სხვა ქვეგანაყოფების კოლექტივთა საბჭოების არჩევის საკითხებს და განსაზღვრავს მათს უფლებებს საწარმოს (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) შრომითი კოლექტივის საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში;

წყვეტს საწარმოო და სოციალური განვითარების სხვა საკითხებს, თუ ისინი არ განეკუთვნება შრომითი კოლექტივების კრების (კონფერენციის) კომპეტენციას.

შრომითი კოლექტივის საბჭო მუშაობს ადმინისტრაციასთან, პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით.

2. შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია მისი უფლებამოსილების ფარგლებში და კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულოა ადმინისტრაციისათვის და კოლექტივის წევრებისათვის.

როდესაც საწარმოს ადმინისტრაცია არ ეთანხმება შრომითი კოლექტივის საბჭოს, საკითხს წყვეტს შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია).

3. შრომითი კოლექტივის საბჭოს ფარული ან ღია კენჭისყრით 2-3 წლის ვადით ირჩევს საწარმოს (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია). საბჭოში ირჩევენ მუშებს, ბრიგადირებს, ოსტატებს, სპეციალისტებს, ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. საბჭოს წევრთა რიცხვს განსაზღვრავს შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია). ადმინისტრაციის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომითი კოლექტივის საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის მეოთხედს. მორიგი არჩევნების დროს საბჭოს შემადგენლობა, როგორც წესი, ახლდება სულ ცოტა მესამედით.

შრომითი კოლექტივის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და მდივანს. საბჭოს სხდომები ეწყობა საჭიროებისამებრ, მაგრამ სულ ცოტა კვარტალში ერთხელ. შრომითი კოლექტივის საბჭოს წევრები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე.

შრომითი კოლექტივის საბჭოს წევრი არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს ან დაედოს სხვა დისციპლინური სასჯელი შრომითი კოლექტივის საბჭოს თანხმობის მიუღებლად.

საბჭოს წევრი, რომელიც ვერ გაამართლებს კოლექტივის ნდობას, შეიძლება გამოყვანილ იქნეს მისი შემადგენლობიდან შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებით.

საწარმოს ადმინისტრაცია შრომითი კოლექტივის საბჭოს უქმნის საჭირო პირობებს ეფექტიანი საქმიანობისათვის.

მ უ ხ ლ ი 8. საწარმოს კადრები

1. საწარმოში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობას ეწევიან ადმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია შრომითი კოლექტივის საბჭოს, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით.

საწარმო აყალიბებს სტაბილურ შრომითს კოლექტივს, რომელსაც შეუძლია სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსების პირობებში, თვითმმართველობის საწყისებზე მიაღწიოს საუკეთესო საბოლოო შედეგებს. იგი უზრუნველყოფს კადრების შესაბამისობას თა-

ნამედროვე წარმოების მზარდ მოთხოვნებთან, უვითარებს მუშაკებს საქმიან სულისკვეთებას და პასუხისმგებლობას საწარმოს ამოცანების გადაწყვეტისათვის, ზრდის კადრებს საუკეთესო შრომითი ტრადიციებით, თავისი კოლექტივისათვის სიამაყის სულისკვეთებით და აძლიერებს მათს დაინტერესებას უდიდესი შრომის ნაყოფიერებით; იღვწის იმისათვის, რომ თითოეული მუშაკი უფრთხილდებოდეს თავის სამუშაო ადგილს.

2. საწარმო ნიადაგ ზრუნავს კადრების განუხრელი პროფესიული დაოსტატების, პოლიტიკური, ზოგადი განათლებისა და კულტურული დონის ამაღლების, მუშაკთა გადაადგილებისათვის კვალიფიკაციის და წარმოების ინტერესების შესაბამისად. ამ მიზნით საწარმო ეწევა კადრების მომზადება-გადამზადებას, ორგანულად უხამებს ერთმანეთს პროფესიულ და ეკონომიკურ სწავლებას, უზრუნველყოფს მუშათა კვალიფიკაციის ზრდას უშუალოდ წარმოებაში, სასწავლებლებში, განმტკიცებს სასწავლო-მატერიალურ ბაზას, აწყობს სასწავლო კომბინატებს, კურსებსა და ცენტრებს, შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელ სკოლებს, ავითარებს დამრიგებლობას.

საწარმო საჭირო პირობებს ქმნის მუშაობასთან სწავლის შეთავსებისათვის და აძლევს მუშაკებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს. საწარმოს შეუძლია გაგზავნოს მუშაკები მათი თანხმობით საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე ასპირანტურაში სასწავლებლად და უხადოს სტიპენდია. საწარმო იხდის დადგენილი ოდენობის საფასურს მისთვის უმაღლეს სასწავლებელში სპეციალისტთა მომზადებისა და მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

საწარმო ხელს უწყობს სასწავლებლებს შრომისათვის ახალგაზრდობის მომზადებაში, პროფესიული ინტერესების ჩამოყალიბებაში.

3. საწარმოს ხელმძღვანელ კადრებს უნდა ჰქონდეთ მაღალი საქმიანი, პოლიტიკური და მორალური თვისებები, ახასიათებდეთ სოციალისტური გერგილიანობა და პრინციპულობა, უნარი — შექმნან შეკრული კოლექტივი და უზრუნველყონ შრომითი კოლექტივის ინტერესებისა და საერთო-სახალხო ინტერესების შეხამება. თანამედროვე ხელმძღვანელს მართებს დიდი პროფესიონალიზმი, მართვის მეცნიერების საფუძვლების ცოდნა და ეკონომიკური აზროვნება, რაც შესაძლებლობას აძლევს ჰვრეტდეს პერსპექტივას და ეფექტიანად უძღვებოდეს საქმეს.

საწარმო ქმნის ხელმძღვანელი კადრების რეზერვს და ეწევა მასთან მუდმივ მუშაობას.

4. კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების, მათი საქმიანი კვალიფიკაციის, შუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ზრდის, შრომის შედეგებთან ხელფასის უფრო მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფის მიზნით საწარმო უნდა აწყობდეს ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ატესტაციას.

ატესტაციის შედეგების მიხედვით საწარმოს ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მოუმატოს ან დაუკლოს მუშაკებს საკლასო წოდება და საკვალიფიკაციო კატეგორია, გაუდიდოს ან შეუმციროს თანამდებობრივი სარგო, დაუწესოს, შეუცვალოს ან გაუუქმოს თანამდებობრივი სარგოების დანამატები, დააწინაურო თანამდებობაზე ან გაათავისუფლოს თანამდებობიდან. თუ ატესტაციის შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ კოლექტივების მიერ არჩეული ქვეგანყოფილების ხელმძღვანელები არ შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას, ისინი შეიძლება გათავისუფლდნენ თანამდებობიდან შესაბამისი ქვეგანყოფის კოლექტივის გადაწყვეტილების საფუძველზე

მუხლი 9. საწარმოს ურთიერთობა ზემდგომ ორგანოსთან და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოსთან

საწარმოსა და ზემდგომი ორგანოს (სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის, უწყების ან სხვა ზემდგომი ორგანოს) ურთიერთობა ემყარება საწარმოს გეგმიან მართვას, სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითფინანსებისა და თვითმმართველობის პრინციპების დაცვას.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი საწარმოებისა და მათი შრომითი კოლექტივების სამეურნეო დამოუკიდებლობის, ინიციატივისა და სოციალისტური გერგილიანობის განვითარებას.

საწარმოს ხელმძღვანელობა ხორციელდება უწინარესად ეკონომიკური მეთოდებით. საკონტროლო ციფრების, სახელმწიფო შეკვეთების, გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების საფუძველზე. საწარმოსათვის დაწესებული საკონტროლო ციფრების, ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების ნუსხას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. ზემდგომ ორგანოს არა აქვს უფლება დაუგზავნოს საწარმოებს საკონტროლო ციფრები, ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები დამტკიცებული ნუსხის დამატებით. სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობას ამტკი-

ცებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სამინისტრო (უწყება). რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისადმი საქვეუწყებო საწარმოებისათვის, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონელსა და ფასიან მომსახურებაზე (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სახელმწიფო შეკვეთების გარდა) სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობას ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. საწარმოსათვის დადგენილი დაგეგმვის ამოსავალი მონაცემები აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს.

საწარმო ხელმძღვანელობს იმ ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის მოთხოვნებით, რომელსაც დარგში ახორციელებს სამინისტრო, უწყება, იღებს მისგან დახმარებას კადრების მომზადება-გადამზადებაში, ხელშეწყობას საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განხორციელებაში.

ზემდგომი ორგანო მოვალეა მთელი თავისი საქმიანობით უზრუნველყოფდეს საწარმოს ეფექტიანი მუშაობის პირობებს, მტკიცედ იცავდეს საწარმოს უფლებებს, ხელს უწყობდეს მათს სრულ რეალიზაციას, არ ერეოდეს საწარმოს ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში, აგრეთვე აცნობდეს საწარმოს შრომითს კოლექტივს თავის საქმიანობას.

ზემდგომი ორგანო ეწინააღმდეგება ცალკეულ საწარმოთა მონოპოლიურ ტენდენციებს და ახორციელებს ამ მიზნით ღონისძიებებს, რათა დაძლიოს თვითღირებულებისა და ფასების წამატება, წარმოების ტექნიკური განვითარების უძრაობა, იმ პროდუქციის გამოშვებისა და გასაღების ხელოვნური შეზღუდვა, რომელზეც მომხმარებელთა მოთხოვნაა.

2. საწარმო დადგენილი ნორმატივების გადაურიცხავს ზემდგომ ორგანოს თავისი მოგების (შემოსავლის) ნაწილს ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების შესაქმნელად. ზემდგომ ორგანოს შეუძლია ამ ფონდებისა და რეზერვების ხარჯზე გამოუყოს საწარმოს სახსრები დარგის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

3. ზემდგომი ორგანო მოვალეა ახორციელებდეს კონტროლს საწარმოს საქმიანობის, კანონმდებლობის შესრულების, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისადმი. საწარმოს საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას კომპლექსურად აწყობს ზემ-

დგომი ორგანო სულ დიდი წელიწადში ერთხელ დაინტერესებულ ორგანიზაციათა მონაწილეობით.

სამინისტროს, უწყებას, სხვა ზემდგომ ორგანოს შეუძლიათ საწარმოს მითითებანი მისცენ მხოლოდ თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად, რომელიც კანონმდებლობით არის დადგენილი. თუ სამინისტრო, უწყება, სხვა ზემდგომი ორგანო გამოსცემენ აქტს, რომელიც არ შეესაბამება მის კომპეტენციას ან არღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს, საწარმოს უფლება აქვს მიმართოს სახელმწიფო არბიტრაჟს ეანცხადებით იმის შესახებ, რომ ცნოს ასეთი აქტი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად.

ზარალი, რომელიც საწარმოს მიადგება საწარმოს უფლების დამრღვევი ზემდგომი ორგანოს მითითების შესრულების შედეგად, აგრეთვე საწარმოს მიმართ ზემდგომი ორგანოს მოვალეობების არასათანადოდ განხორციელების შედეგად, უნდა აანაზღაუროს ამ ორგანომ. ზარალის ანაზღაურების საკითხზე წამოჭრილ დავას წყვეტს სახელმწიფო არბიტრაჟი.

4. საწარმო აქტიურად მონაწილეობს მუშაობაში, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სახალხო დეპუტატთა საბჭო, რათა უზრუნველყოს ტერიტორიის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარება, უკეთ დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილებანი, აგრეთვე დადგენილი ნორმატივების მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში.

საწარმო ურთიერთმოქმედებს სახალხო დეპუტატთა საბჭოსთან თავის მუშაობაში განვითარების დაჩქარებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების გამოსავლენად და ასამოქმედებლად. იმ სახსრების ნაწილი, რომლებსაც საწარმოები დაზოგავენ წარმოების ზრდის რეზერვების გამოყენებისა და რესურსების ეკონომიისათვის საბჭოების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, გადაიცემა მოკავშირე (საოლქო დაყოფის არმქონე) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში შესაბამისი ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

საწარმო მოკავშირე (საოლქო დაყოფის არმქონე), ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უთანხმებს ობიექტის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებას, მშენებლობათა სატიტულო სიებს დადგენილი მაჩვენებლების მიხედვით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ხელს უწყობენ მათს ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების ეფექტიან საქმიანობას, ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანდაცვის, კულტურის ორგანიზაციებმა, საქალაქო ტრანსპორტმა შეუქმნან ამ საწარმოთა მუშაკებს მომსახურების ხელშემწყობი რეჟიმი, აგრეთვე მოაგვარონ ბავშვთა დაწესებულებების მუშაობის მოსახერხებელი რეჟიმი.

5. საწარმოს მიერ გეგმით გაუთვალისწინებელი სამუშაოების ან მომსახურების მოცულობის შესრულება ზემდგომი ორგანოს დავალებებითა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების გადაწყვეტილებებით ხორციელდება სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე, და ხარჯებს ანაზღაურებენ ის საწარმო-ორგანიზაციები, რომლებსაც შეუსრულეს აღნიშნული სამუშაოები თუ მომსახურება (სტიქიური უბედურებისა და ავარიების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების გარდა).

III. საწარმოს საწარმოო და სოციალური საქმიანობა

მ უ ხ ლ ი 10. დაგეგმვა

1. საწარმოს საქმიანობის დაგეგმვა ხორციელდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის შესაბამისად მეცნიერულ საფუძველზე გეგმების შემუშავებასა და განხილვაში შრომითი კოლექტივის ფართო მონაწილეობით. იგი ხელმძღვანელობს იმით, რომ უნდა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილება მაღალხარისხოვან პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) მინიმალური დანახარჯებით და უზრუნველყოს კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის, როგორც მისი საწარმოო და სოციალური განვითარების თვითდაფინანსების. შრომის ანაზღაურების მთავარი წყაროს ზრდა.

2. დარგის გრძელვადიანი ამოცანებისა და ტერიტორიის კომპლექსური განვითარების გეგმების შესაბამისად საწარმო შეიმუშავებს თავისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივებს. იგი ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმოების გაფართოებას და ტექნიკური დონის ამაღლებას, პროდუქციის განახლებასა და ხარისხის ზრდას საშინაო და მსოფლიო ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების უფრო სრულ გამოყენებას, აქტიურ მონაწილეობას საერთო-სახელმწიფოებრივ, დარგობრივ, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებსა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ერთობლივ პროგრამებში.

3. საწარმოთა საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის მთავარი ფორმაა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმა (წლების მიხედვით განაწილებული). საწარმო დამოუკიდებლად ამუშავებს და ამტკიცებს ხუთწლიან გეგმას. იგი დაგეგმვის ამოსავალ მონაცემებს იყენებს ხუთწლიანი გეგმის შედგენის საფუძვლად: საკონტროლო ციფრებს, სახელმწიფო შეკვეთებს, გრძელვადიან ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს, აგრეთვე მომხმარებლებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოების პირდაპირ შეკვეთებს პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე).

ამასთან საწარმო იმით ხელმძღვანელობს, რომ:

საკონტროლო ციფრები გამოხატავენ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას საწარმოს პროდუქციაზე, წარმოების ეფექტიანობის მინიმალურ დონეს. ისინი არ ატარებენ დირექტიულ ხასიათს, არ უნდა ბოჭავდნენ შრომითს კოლექტივს გეგმის შემუშავებისას, უნდა უტოვებდნენ მას ფართო ასპარეზს სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების დროს გადაწყვეტილებებისა და პარტნიორების შესარჩევად. საკონტროლო ციფრები მოიცავენ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების მაჩვენებელს ღირებულებითი გამოხატულებით (განგარიშებულს) ხელშეკრულებათა დასადებად, მოგებას (შემოსავალს), საგალუტო ამონაგებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს ზოგად მაჩვენებლებს და სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებლებს. ახალი სამეურნეო მექანიზმის ათვისებისა და სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის დამთავრების პერიოდში საკონტროლო ციფრების შემადგენლობაში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის მასალატევადობის მაჩვენებლები;

სახელმწიფო შეკვეთები გარანტირებულად უზრუნველყოფენ უპირველეს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ეძლევა საწარმოებს სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების ხარჯზე საწარმოო სიმძლავრეებისა და სოციალური სფეროს ობიექტების ასამოქმედებლად, აგრეთვე პროდუქციის ზოგიერთ სახეობათა მისაწოდებლად, რომლებიც საჭიროა უწინარესად საერთო-სახელმწიფოებრივი, სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების შესასრულებლად, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად და ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსაწოდებლად. სახელმწიფო შეკვეთები საწარმოს ეძლევა ზემდგომი ორგანოს მიერ და შეიძლება განლაგდეს საკონკურ-

სო საფუძველზე; ისინი სავალდებულოა გეგმაში შესატანად. სახელმწიფო შეკვეთების მიცემისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარეების — შემსრულებლისა და შემკვეთის ორმხრივი პასუხისმგებლობა;

გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები სტაბილურია მთელი ხუთწლედის განმავლობაში და უზრუნველყოფენ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების მჭიდრო შეხამებას საწარმოს სამეურნეო-ანგარიშებრივ ინტერესებთან და მუშაკთა დაინტერესებასთან. ეკონომიკური ნორმატივები განსაზღვრავენ ბიუჯეტთან ურთიერთდამოკიდებულებას, შრომის ანაზღაურების ფონდის, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ფორმირებას, საწარმოს სამეურნეო საქმიანობის სხვა მხარეებს და დგინდება რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით;

ლიმიტები აწესებენ სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ზღვრულ ოდენობას დარგთშორის წარმოებათა განვითარების, ახალი მშენებლობისა და განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისათვის სახელმწიფო გეგმაში შეტანილი საწარმოებისა და ობიექტების ნუსხის, სამშენებლო-სამონტაჟო და საიჯარო სამუშაოების მოცულობის, ცენტრალიზებულად გადასანაწილებელი მატერიალური რესურსების შესაბამისად წარმოებისა და მშენებლობის მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად.

4. წლიურ გეგმებს დამოუკიდებლად ამუშავებს და ამტკიცებს საწარმო მისი ხუთწლიანი გეგმისა და დადებული სამეურნეო ხელშეკრულებების საფუძველზე. ამასთან საწარმო გეგმავს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) გამოშვებას და ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვა მაჩვენებლებს, აკონკრეტებს ხუთწლიანი გეგმის დავალებებს; შესაბამის ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ერთად წყვეტს რესურსებითა და საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებით მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს. გეგმების შემუშავებისას სამინისტრო, უწყება, სხვა ზემდგომი ორგანო საწარმოსთან ერთად უზრუნველყოფს მათი წინადადებების კომპლექსურ შეხამებას.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მიწოდების ხელშეკრულებანი იდება ნაწარმის თავისუფალი გაყიდვის შედეგად საბითუმო ბაზრობაზე, რომლებიც წარმოადგენენ საქონლის ასორტიმენტის დაგეგმვის, ხარისხისა და იმ მაჩვენებლების გაუმჯობესების ბაზას, საწარმოს საწარმოო და სოციალურ განვითარებას რომ განსაზღვრავენ.

5. ხუთწლიანი გეგმის შემუშავების პროცესში საწარმო ითვალისწინებს საწარმოო სიმძლავრეთა სრულ გამოყენებას, იყენებს შრომის დანახარჯების, მასალა-ნედლეულის, ენერგიისა და სათბობის ხარჯის პროგრესულ, მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებს, ახორციელებს დეფიციტური მასალებისა და ნაწარმის შეცვლას, ფართოდ აქცევს სამეურნეო ბრუნვაში მეორეულ რესურსებს, იღვწის წარმოების ხარჯების შემცირებისა და მოგების ზრდისათვის.

საწარმო ვალდებულია მტკიცედ იცავდეს საგეგმო დისციპლინას და მთლიანად ასრულებდეს გეგმებსა და სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

6. საკავშირო (რესპუბლიკური) დაქვემდებარების საწარმო ვალდებულია შეუთანხმოს თავისი გეგმების პროექტები შესაბამისი მოკავშირე (საოლქო დაყოფის არმქონე), ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სოციალური სფეროს, მოსახლეობის მომსახურების განვითარების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მშენებლობის, მუშაკთა რაოდენობის, შრომითი რესურსების, ადგილობრივ სახეობათა მასალა-ნედლეულის, მეორეული რესურსების გამოყენების, ბუნების დაცვის, მიწათსარგებლობის, წყალსარგებლობისა და ტყეთსარგებლობის საკითხებზე. საწარმოს გეგმების პროექტებში გათვალისწინებულია შესასრულებლად მიღებული ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის ღონისძიებანი.

მ უ ხ ლ ი 11. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ხარისხის გაუმჯობესება

1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში საწარმოს საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს წარმოების ტექნიკური დონისა და ორგანიზაციის მუდმივ ამაღლებას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, უმაღლესი ხარისხის, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას, მის დროულ განახლებას, მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების უფრო სრულ დაკმაყოფილებას. საწარმო ავითარებს სპეციალიზებული ტექნოლოგიური მოწყობილობების წარმოებას. სამეცნიერო-ტექნიკურ ნამუშევრებს საწარმო ახორციელებს საკუთარი ძალებით და მოწვეული სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციების მონაწილეობით.

პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხი თითოეული შრომითი კოლექტივის საქმიანობის შედეგების განმსაზღვრელია საზოგადოებრივ შეფასებაში. თავისი საწარმოს მარკის სახელისათვის

ზრუნვა მუშათა, ინჟინერთა, კონსტრუქტორთა და ხელმძღვანელთა პროფესიული და პატრიოტული სიამაყის საგანი უნდა იყოს.

2. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მასშტაბური, კომპლექსური და დროული გამოყენება, ეფექტიანი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება საწარმოს მოგების (შემოსავლის) ზრდისა და მისი საწარმოო და სოციალური განვითარების თვითდაფინანსების უმნიშვნელოვანესი გზაა. პროდუქციას, რომლის პარამეტრები შეესაბამება ან აღემატება უმაღლეს მსოფლიო მიღწევებს, საწარმო ჰყიდის უფრო მეტ ფასად. მოძველებული ნაწარმისა და მდარეხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის საწარმო იხდის საბითუმო ფასების ჩამოკლებულ თანხას, აკისრია მატერიალური პასუხისმგებლობა და აქვს გარდაუვალი დანაკარგები კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივ შემოსავალში, ხელფასსა და სოციალურ სიკეთეში.

3. საწარმო მოვალეა უზრუნველყოს ტექნოლოგიური დისციპლინის, სტანდარტების, ტექნიკური პირობების მტკიცედ დაცვა, საიმედოობა, შეუფერხებლობა და უსაფრთხოება მათ მიერ გამოშვებული ტექნიკის ექსპლოატაციაში. იგი ახორციელებს კონტროლს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხისადმი, განამტკიცებს ხარისხის კონტროლის საკუთარ სამსახურებს და ხელს უწყობს სახელმწიფო მიღების სამსახურის მუშაობას, ორგანიზაციას უწევს გამოშვებული ტექნიკის საგარანტიო და გარანტიისშემდგომ რემონტს, აგრეთვე საფირმო მომსახურებას.

4. საწარმოო გაერთიანება და საწარმო მეცნიერულ-ტექნიკური ნამუშევრების დაჩქარების, წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის დონის ამაღლების მიზნით:

უზრუნველყოფენ საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საექსპერიმენტო ბაზის უწინარეს განვითარებას, განამტკიცებენ მათ მეცნიერ მუშაკთა და სპეციალისტთა კადრებით;

ამყარებენ სტაბილურ პირდაპირ ურთიერთობას სამეცნიერო-კვლევითს, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებთან;

სდებენ სამეურნეოანგარიშებრივ საფუძველზე გამოკვლევებისა და ნამუშევრების შესრულების ხელშეკრულებებს სამეცნიერო დაწესებულებებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ორგანიზაციებთან, სხვა საწარმოებთან, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

5. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება მოვალეა ლიდერობდეს

დიდეფექტიანი ტექნიკის, ტექნოლოგიური პროცესებისა და ახალ თაობათა მასალების შექმნისა და წარმოებაში ფართოდ გამოყენების მხრივ. გაერთიანებას აკისრია პასუხისმგებლობა იმ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების), მეცნიერულ-ტექნიკური დონისათვის, რომელიც სახალხო მეურნეობაში გამოდის მისი პროფილით.

სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ გამოკვლევებისა და ნამუშევრების მაღალი დონე, მათში პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხისადმი პერსპექტიული მოთხოვნების რეალიზაცია, შეიმუშაონ უმაღლესი მსოფლიო დონის პროდუქცია, პროგრესული საბაზო და პრინციპულად ახალი ტექნოლოგიები, აქტიურად შეუწყონ ხელი მათს ფართო გამოყენებას სახალხო მეურნეობაში. უმაღლესი მსოფლიო დონის ძირითადი მაჩვენებლების შეუსაბამო ნამუშევრების წარმოებაში გადაცემისათვის აღნიშნულ ორგანიზაციებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა, ხოლო მათს ხელმძღვანელებსა და შემმუშავებლებს — დისციპლინური პასუხისმგებლობა, ზარალდებიან ხელფასისა და მატერიალური წახალისების მხრივ.

6. საწარმოებმა, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებმა, სამეცნიერო ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ თავიანთ საქმიანობაში მეცნიერულ-ტექნიკური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმა, შექმნან შემოქმედების ატმოსფერო შრომითს კოლექტივებში. მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემის განსაკუთრებით ეფექტიანი გადაწყვეტის შერჩევის, მეცნიერთა, სპეციალისტთა და მუშათა ინიციატივის განვითარების მიზნით ეწყობა კონკურსები, პარალელური საკონსტრუქტორო და საპროექტო ნამუშევრები, იქმნება დროებითი სამეცნიერო კოლექტივები. უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პროდუქციის შემუშავება ხორციელდება, როგორც წესი, საკონკურსო საფუძველზე. საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები, რომლებიც წარმატებას მიაღწევენ სამეცნიერო-ტექნიკური შეჯიბრების შედეგად, გაიმარჯვებენ კონკურსში, იძენენ პრიორიტეტს მატერიალური და მორალური სტიმულირების მხრივ, ზრდიან ზოგებას (შემოსავალს).

დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები აერთიანებენ საწარმოთა ძალისხმევას და კოორდინაციის უწევენ გამოკვლევებს, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარი მიმართულებებით, აგრეთვე

საშუშაოებს საცდელი ნიმუშების დასამზადებლად და სერიულ წარმოებამდე მისაყვანად.

7. საწარმო მოვალეა იღვაწოს შრომითი კოლექტივის ყველა წევრის ჩასაბმელად იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომ დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, ამაღლდეს წარმოების ორგანიზაციისა და კულტურის დონე; იგი ყოველნაირად ახალისებს მშრომელთა სამეცნიერო-ტექნიკურ შემოქმედებას. საწარმო ორგანიზაციას უწევს მუშაობას საწარმოში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის, გამოცდილების გაზიარებას, აწყობს დათვალიერებებს; ქმნის ხარისხის ჯგუფებს, იყენებს ხარისხის გაუმჯობესებაში მშრომელთა შემოქმედებითი მონაწილეობის სხვა ფორმებს; უზრუნველყოფს ტექნოლოგიური, საპატენტო და სალიცენზიო ინფორმაციის დაცვა-შენახვას.

მ უ ხ ლ ი 12. ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია

1. საწარმო მოვალეა ეფექტიანად იყენებდეს საწარმოო პოტენციალს, ზრდიდეს მოწყობილობის მუშაობის მთლიანობას, ახორციელებდეს მის მუდმივ განახლებას მოწინავე ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საფუძველზე, იღვწოდეს შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი ზრდისათვის. იგი ადგენს თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უწყვეტი მოდერნიზაციის პროგრამას, ახმარს ძალისხმევას და რესურსებს წარმოების ტექნიკურ განახლებას და რეკონსტრუქციას პროგრესული პროექტების საფუძველზე;

2. ტექნიკურ განახლებას, რეკონსტრუქციას და გაფართოებას საწარმო ახორციელებს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის, სხვა ანალოგიური ფონდების ხარჯზე, აგრეთვე ბანკის კრედიტებით, და უზრუნველყოფს უწინარესად საჭირო რესურსებითა და საჯარო სამუშაოებით.

მოქმედი წარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების დიდი მასშტაბის ღონისძიებათა განსახორციელებლად, აგრეთვე სოციალური დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად განსაკუთრებულ შემთხვევაში საწარმოს გამოეყოფა ცენტრალიზებული საფინანსო სახსრები. შესაბამისი საწარმოებისა და ობიექტების ნუსხა მტკიცდება სახელმწიფო გეგმით.

3. საწარმოს უფლება აქვს:

შეიმუშაოს საკუთარი ძალებით და სახელშეკრულებო საწყისებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ტექნიკური განახლების, მოქმედი წარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუ-

შაოთა განსახორციელებლად, აგრეთვე არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად;

დაამტკიცოს იმ საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სატიტულო სიები, რომელთა მშენებლობა ხორციელდება საწარმოს კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე;

დაამტკიცოს მოიჯარეებთან შეთანხმებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების გრაფიკები;

არ მიიღოს საპროექტო დოკუმენტაციის შემმუშავებელთაგან მოძველებული პროექტები.

4. მოქმედი წარმოების ტექნიკური განახლების, რეკონსტრუქციისა და გაფართოების განხორციელებისას საწარმო რაციონალურად უხამგბს ერთმანეთს მშენებლობის სამეურნეო და საიჯარო წესებს, უზრუნველყოფს მშენებლობის ნორმატიული ვადების, საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების ნორმების დაცვას და დაბანდების ანაზღაურებას.

საიჯარო წესით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისათვის საწარმო იჯარის ხელშეკრულებას დებს მშენებლობის მთელი პერიოდისათვის.

მოიჯარე საწარმო შემკვეთთან და ქვემოიჯარე ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოფს მშენებლობის ობიექტების დადგენილ ვადაში ამოქმედებას და პასუხს აგებს მათი ხარისხისათვის.

მ უ ხ ლ ი 13. შრომითი კოლექტივის სოციალური განვითარება

1. საწარმოს საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა იყოს აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება, რომელიც წარმოების ეფექტიანობის ზრდის, მუშაკთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის აღმავლობის, მათთვის კოლექტივიზმის გამომუშავების, სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრების მძლავრი საშუალებაა. საწარმო მოვალეა ზრუნავდეს თავის მუშაკთა, მათი ოჯახის წევრთა, ომისა და შრომის ვეტერანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

საწარმოს შრომითი კოლექტივი, მისი თითოეული მუშაკი დიდნაყოფიერი შრომით გამოიმუშავებს სოციალური განვითარების სახსრებს. სოციალურ სიკეთეზე კოლექტივის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობებს განსაზღვრავს საწარმოს მუშაობის საბო-

ლოო შედეგი, კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალი. სოციალური განვითარების საკითხებს წყვეტს შრომითი კოლექტივი.

საწარმო თავის სოციალურ საქმიანობას ეწევა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოსთან მჭიდრო თანამოქმედებით.

2. საწარმო მოვალეა უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდეს ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, მისი შემოქმედებითი შინაარსის გაძლიერებას, შრომის თანდათან გადაქცევას უპირველეს საარსებო მოთხოვნილებად. ამ მიზნით საწარმო:

იღვწის იმისათვის, რომ მკვეთრად შეამციროს, ხოლო პერსპექტივაში აღმოფხვრას მძიმე ფიზიკური მონოტონური და ნაკლებკვალიფიციური შრომა;

იყენებს მომუშავეებისა და მოსახლეობისათვის უსაფრთხო წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც შეესაბამება სანიტარიული ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნებს. უზრუნველყოფს ავარიების, უბედური შემთხვევების თავიდან აცილებას და საწარმოო ტრავმატიზმის აღმოფხვრას;

ფართოდ ნერგავს ავტომატიზაციასა და მექანიზაციას, აუმჯობესებს სამუშაო ადგილების მოწყობას, სრულყოფს შრომის ორგანიზაციას;

განსაკუთრებით ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქალთა შრომას;

ყოველნაირად უწყობს ხელს ახალგაზრდობას პროფესიული მომზადების, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ასამაღლებლად.

3. იმ მიზნით, რომ უშუალოდ წარმოებაში მუშაკებს ხელშემწყობი სოციალური პირობები შეუქმნას, საწარმო:

ორგანიზაციას უწევს საზოგადოებრივ კვებას, უზრუნველყოფს ყველა მუშაკს ცხელი სადილით, საჭიროებისამებრ იყენებს სოციალური განვითარების ფონდის სახსრებს თავის სასადილოებსა და ბუფეტებში კვების გასაიაფებლად, აქტიურად ავითარებს საკუთარ დამხმარე სოფლის მეურნეობას;

აუმჯობესებს მუშაკთა სამედიცინო მომსახურებას, იღვწის დაავადების შემცირებისათვის, რისთვისაც უზრუნველყოფს კომპლექსურ მიდგომას პროფილაქტიკური და სამკურნალო საქმიანობისადმი, უფასოდ უთმობს შენობებს ჯანდაცვის დაწესებულებებს, აფართოებს და განამტკიცებს სამკურნალო-პროფილაქტიკურ ბაზას;

აქტიურად ავითარებს მრავალფეროვან ფასიან მომსახურებას, იღვწის მუშაკთა მოთხოვნების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისათვის, ხელს უწყობს მათი თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებას.

4. სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის დაჩქარებული გან-

ვითარების და მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა ჯანსაღი ყოფის, დასვენების პირობების შექმნის მიზნით საწარმო:

სოციალური განვითარების ფონდის სახსრების ძირითად ნაწილს ახმარს საცხოვრებელი სახლების, ბავშვთა დაწესებულებებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობას;

იღებს, რათა რაც შეიძლება მალე უზრუნველყოს თითოეული მუშაკის ოჯახი ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით და ახორციელებს მისთვის კუთვნილ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, ექსპლოატაციასა და ტროულ რემონტს თავისი სოციალური განვითარების ფონდისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე, აწყობს კოოპერაციულ მშენებლობას და ყოველნაირად ეხმარება მუშაკებს ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში, აძლევს სესხს ამ მიზნით;

ავითარებს საბავშვო ბაღ-ბაღების, პიონერთა ბანაკებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ქსელს;

აშენებს, არემონტებს და ექსპლოატაციას უწევს სანატორიუმ-პროფილაქტორიუმებს, პანსიონატებს, კულტურის სახლებს, ტურისტულ და სპორტულ ბაზებს და სხვა დასასვენებელ ობიექტებს;

ყოველნაირად ავითარებს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა თვითშემოქმედებას;

ხელს უწყობს კოლექტიური მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებას;

ახორციელებს საცხოვრებელი ბინების, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების, საბაღე-საბოსტნე ნაკვეთებისა და სხვა სოციალური სიკეთისა და შეღავათების განაწილებას;

საწარმოს ადმინისტრაციას და პროფკავშირულ კომიტეტს შეუძლიათ შრომითი კოლექტივის საბჭოს თანხმობით რიგგარეშე გამოუყონ საცხოვრებელი ბინა ცალკეულ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებსა და სხვა მუშაკებს მათი შრომითი წვლილის შესაბამისად. საწარმოს შეუძლია მატერიალურად წაახალისოს მედიცინის, საბავშვო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებისა და იმ ორგანიზაციების მუშაკები, რომლებიც ემსახურებიან შრომითს კოლექტივს და არ შედიან მის შემადგენლობაში.

5. საწარმოს შრომითი კოლექტივი ხელს უწყობს ოჯახის განმტკიცებას, უქმნის სასიკეთო პირობებს ქალებს და ეხმარება წარმატებით შეუხამონ დედობა შრომითს და საზოგადო საქმიანობაში მონაწილეობას. ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების საკითხები უნდა წყდებოდეს ქალთა საბჭოს აქტიური მონაწილეობით.

6. შრომითი კოლექტივები დღენიადაგ ზრუნავენ ომისა და შრომის ვეტერანების, პენსიონერების, ინვალიდებისა და ბავშვებისათვის, არ აკლებენ მათ ყურადღებას, უწევენ საჭირო დახმარებას, ქმნიან პირობებს შრომისუნარიან პენსიონერთა და ინვალიდთა შეძლებისდაგვარ მუშაობაში ჩასაბმელად, აბამენ მათ კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასარგებლებენ საწარმოს შესაძლებლობებით სამედიცინო და სხვაგვარი მომსახურების, დასვენებისა და მოცალეობისათვის. საწარმო მონაწილეობს ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების მშენებლობაში, შეფობას უწევს ამ სახლებს, აგრეთვე ბავშვთა სახლებს, ინტერნატებს, უპატრონო ბავშვთა სახლებს და უწევს მათ მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას.

7. საწარმო აქტიურად უწყობს ხელს სკოლების, სასწავლებლებისა და სამკურნალო დაწესებულებების ეფექტიან მუშაობას და შეუძლია საკუთარი სახსრების ხარჯზე დააფინანსოს შესაბამისი ღონისძიებანი.

საწარმო, რომელიც საბაზოდ არის მიმაგრებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაზე ან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელზე, აწყობს მათი მოსწავლეების შრომითს მომზადებას და ქმნის საამისოდ საჭირო პირობებს.

მ უ ხ ლ ი 14. შრომა და ხელფასი

1. სსრ კავშირის მოქალაქენი საწარმოში ახორციელებენ თავიანთი შრომის, მისი შედეგების, ოდენობისა და ხარისხის შესაბამისად ანაზღაურების კონსტიტუციურ უფლებას.

ყოველი მუშაკის ვალია პატიოსნად და კეთილსინდისიერად იშრომოს, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, გაუფრთხილდეს სახალხო დოვლათს და ამრავლოს იგი, დაიცვას შრომის დისციპლინა.

საწარმო ვალდებულია ეფექტიანად გამოიყენოს მუშაკთა შრომა და ამ საფუძველზე გაუმჯობესოს კოლექტივის კეთილდღეობა, წარმატებით გადაწყვიტოს მისი საწარმოო და სოციალური განვითარების ამოცანები. მან მატერიალურ სტიმულირებასთან ერთად ფართოდ უნდა გამოიყენოს შრომაში საუკეთესო მიღწევებისათვის მუშაკთა მორალური წახალისების სხვადასხვა ფორმა.

თითოეული მუშაკის ხელფასი განისაზღვრება მუშაობის საბოლოო შედეგებით, მუშაკის პირადი შრომითი წვლილით და არ იზღუდება მაქსიმალური ოდენობით.

2. შრომითი პოტენციალის უფრო სრული გამოყენებისა და ყო-

ველი მუშაკის დიდნაყოფიერი საქმიანობის პირობების შექმნისათვის საწარმო:

ადგენს შრომის ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს და შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ტექნიკური ღონისძიებების გატარების კვალობაზე გადასინჯავს მათ.

იღებს პერსონალის შედარებით ნაკლები რიცხვით მზარდი მოცულობის სამუშაოთა შესრულებისათვის;

აწყობს სამუშაო ადგილების ატესტაციასა და რაციონალიზაციას, განსაზღვრავს მათ საჭირო რაოდენობას და აუქმებს ზედმეტ სამუშაო ადგილებს:

ადგენს მუშაკთა შრომის ორგანიზაციის ფორმებს, აწყობს ტარიფიკაციას, ანიჭებს თანრიგებს — მუშებს და კატეგორიებს — სპეციალისტებს, ნერგავს შრომის მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს;

ადგენს სამუშაო დროის და დასვენების დროის რეჟიმს, ამასთან უთანხმებს მას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს, აწესებს მოქნილ გრაფიკებს, იძლევა არასრული სამუშაო დღით და არასრული სამუშაო კვირით მუშაობის უფლებას, აკვარებს შინ შრომას, აგრეთვე კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს დამატებითი შვებულებების ხანგრძლივობას.

საწარმო საჯაროობის საფუძველზე უზრუნველყოფს სამეურნეო საქმიანობის შედეგებში მუშაკის პირადი შრომითი წვლილის ობიექტურ შეფასებას, ახალისებს კეთილსინდისიერ შრომას, ქმნის დისციპლინის დაშრღვევებისა და წესისმკეთებლებისადმი შეუწყნარებლობის ვითარებას, ახორციელებს მათ მიმართ მატერიალური, დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების მკაცრ ღონისძიებებს.

3. შრომის ეფექტიანობის ზრდის, მუშაობის შედეგებისათვის კოლექტიური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების, წარმოების საშუალებათა გამოყენებისადმი მუშაკთა ყაირათიანი დამოკიდებულების გამომუშავების მიზნით საწარმო:

იყენებს ბრიგადულ სამეურნეო ანგარიშსა და იჯარას შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ძირითად კოლექტიურ ფორმებად. თუ საჭიროა, ბრიგადაში შეჰყავს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და სხვა სპეციალისტები;

საიჯარო ფორმაზე გადაჰყავს უბნები, საამქროები და სხვა ქვეგანაყოფები. ასეთი ქვეგანაყოფების მუშაობა გვარდება კოლექტივისა და ადმინისტრაციის ხელშეკრულებით, ამასთან საჭირო ქონება ეძლევა შესაბამის ქვეგანაყოფს და შრომა ნაზღაურდება გრძელვადიანი ნორმატივებით;

საჭიროების შემთხვევაში იყენებს ოჯახურ იჯარას.

4. საწარმო დადგენილი ნორმატივით აყალიბებს ხელფასის ფონდს (შრომის ანაზღაურების ფონდს) მუშაობის საბოლოო შედეგების მიხედვით. იგი ვალდებულია უზრუნველყოს დადგენილი ნორმატივების შესაბამისად შრომის ნაყოფიერების უპირატესი მატება საშუალო ხელფასის მატებასთან შედარებით.

ნორმატივით განსაზღვრული ხელფასის ფონდის ფარგლებში საწარმო დამოუკიდებლად, წარმოების სპეციფიკისა და მის წინაშე მდგომი ამოცანების შესაბამისად უდგენს ხელფასის ფონდს ცალკეული კატეგორიების მუშაკებს — კონსტრუქტორებს, ტექნოლოგებს, მეცნიერ მუშაკებს, ტექნიკური კონტროლის მუშაკებს. საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს სამმართველო პერსონალის რიცხვისა და მის შესანახად გამოყოფილი სახსრების წილის შედარებითი შემცირება.

საწარმო განსაზღვრავს მუშაკთა საერთო რიცხვს, მათ პროფესიულ და კვალიფიციურ შემადგენლობას, ამტკიცებს შტატებს.

5. საწარმო ვალდებულია შრომის ანაზღაურება გამოიყენოს როგორც მისი ნაყოფიერების ზრდის სტიმულირების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის გაზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება. იგი უზრუნველყოფს შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღებას.

საწარმოს აქვს უფლება:

განსაზღვროს მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფორმები და სისტემები, ამასთან არ დაუშვას გათანაბრება;

განსაზღვროს სამუშაო ადგილები, სადაც ანაზღაურება ხდება გაზრდილი სატარიფო განაკვეთებით, აგრეთვე შრომის კონკრეტული პირობების შესაბამისად დამატებითი შეღავათები მისცეს მუშა-მოსამსახურეებს.

შემოიღოს სართები პროფესიების (თანამდებობების) შეთავსებისათვის, მომსახურების ზონების გაფართოებისა ან შესრულებული სამუშაოების მოცულობის გადიდებისათვის, მათ შორის თანამდებობებისა და პროფესიების მიხედვით, რომლებიც მუშაკთა სხვადასხვა კატეგორიას მიეკუთვნებიან, ამ სართების ოდენობის შეუზღუდავად, გამოთავისუფლებული მუშაკების სატარიფო განაკვეთების (თანამდებობრივი სარგოების) მიხედვით წარმოქმნილი ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე და მის ფარგლებში.

დაუწესოს ყოველი კატეგორიის მუშაკთა მიხედვით ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე დანამატები: მუშებს — პროფესიული ოსტატობისათვის, ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს — შრომაში დიდი მიღწევებისათვის და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის მისი ჩატარების ვადაში.

დაუწესოს ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს თანამდებობრივი სარგოები საშტატო განრიგის მიხედვით საშუალო სარგოების დაუცველად და მათი რიცხვი თანაფარდობის გაუთვალისწინებლად;

განსაზღვროს მატერიალური წახალისების ფონდის გამოყენების კონკრეტული მიმართულებანი;

შეიმუშაოს და დაამტკიცოს სტრუქტურული ერთეულებისა და ქვეგანაყოფების მუშების, ხელმძღვანელი მუშაკების, კონსტრუქტორების, ტექნოლოგებისა და მოსამსახურეთა პრემირების წესი;

უზრუნველყოს უპირატესობა უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დამუშავებასა და წარმოებაში დანერგვასთან უშუალოდ დაკავშირებული კონსტრუქტორების, ტექნოლოგებისა და სპეციალისტების შრომის სტიმულირებაში.

6. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სრულყოფა, შრომითი კოლექტივის სოციალური განვითარების ღონისძიებანი და სოციალურ სიკეთეთა განაწილება, შრომის ანაზღაურების დადგენილი სისტემების გამოყენებისა და მშრომელებთან ანგარიშსწორების სისწორის კონტროლი საწარმოში ხორციელდება პროფკავშირული კომიტეტის მონაწილეობით, ან მასთან შეთანხმებით.

მ უ ხ ლ ი 15. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა წარმოებს იმ საჭიროების გათვალისწინებით, რომ იმუშაოს ეფექტიანად და რიტმულად, მომჭირნედ გამოიყენოს მატერიალური რესურსები მათი მარაგის მინიმალური საჭირო დონის პირობებში.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესაბამისად საწარმო განსაზღვრავს რესურსების საჭიროებას და იძენს მათ ხაბითუმო ვაჭრობის ან ცენტრალიზებული წესით.

საბითუმო ვაჭრობის წესით საწარმო ულიმიტებოდ (უფონდებოდ) იძენს მატერიალურ რესურსებს თავისი შეკვეთების შესაბამისად იმ ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებსაც მატერიალურ-ტექნიკუ-

რი მომარაგების საწარმოებს და სხვა ორგანოებს ან პროდუქციის დამამზადებლებს უდებს.

ცენტრალიზებული წესით საწარმოს გამოეყოფა ცალკეული მატერიალური რესურსები ლიმიტების (ფონდების) მიხედვით. საწარმო დამოუკიდებლად, მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრავს ამ რესურსების ასორტიმენტსა და მიწოდების ვადებს.

პირდაპირი კავშირით მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას საწარმო ახორციელებს დამოუკიდებლად პირდაპირი ულიმიტო შეკვეთებით რეალიზებადი პროდუქციის, აგრეთვე ცენტრალიზებულად განაწილებადი პროდუქციის მიხედვით.

საბითუმო ვაჭრობა უნდა გაფართოვდეს და საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ფორმა გახდეს.

2. საწარმოს ეკისრება ეკონომიკური პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო მიწოდებათა მიხედვით თავისი ვალდებულებების შესრულებისათვის. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოები მოვალენი არიან დროულად დააკმაყოფილონ მატერიალურ რესურსებზე საწარმოთა დასაბუთებული მოთხოვნილება. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ ორგანოებს ეკუთვნით ძირითადი როლი მატერიალური რესურსების საწარმოს საიმედო უზრუნველყოფისა და მიწოდების ქმედითი კონტროლის ორგანიზაციაში. მათ ეკისრებათ ეკონომიკური პასუხისმგებლობა პროდუქციის მიწოდებისათვის იმ შემთხვევაში, როცა მიმწოდებლის როლში გამოდიან. სამეურნეო წესით ბიმდინარე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოები ახორციელებენ დაფინანსების წყაროების მიუხედავად საწარმოთა შეკვეთებით.

საწარმოს უფლება აქვს ხელშეკრულებები დაუდოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოებს კომპლექსური მომარაგების ორგანიზაციის, მისაწოდებელი მასალების საწარმოო მოხმარებისათვის წინასწარი მომზადების, ტექნიკური საშუალებების გაქირავების, საინფორმაციო უზრუნველყოფის, სხვა მომსახურების შესრულების შესახებ.

3. მომხმარებელ საწარმოს უპირატესი უფლება აქვს შეინარჩუნოს და გააფართოოს დამამზადებლებთან დამყარებული პირდაპირი ხანგრძლივი სამეურნეო ურთიერთობა და იგი ირჩევს მიწოდების ფორმას: უშუალოდ დამამზადებლის მიერ ან მომმარაგებელ-გამსაღებელი საწარმოს მეშვეობით.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოებს ეკრძალებათ

თვითნებურად გადასინჯონ საწარმოთა შორის დამყარებული პირდა-პირი ხანგრძლივი ურთიერთობა.

4. თუ საწარმოს სისტემატურად აწვდიან პროდუქციას, რომლის ხარისხი არ შეესაბამება მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს ან დადებულ ხელშეკრულებებს, აგრეთვე, თუ საწარმოს გადასცემენ უხარისხო საპროექტო და ტექნიკურ დოკუმენტაციას, მას აქვს უფლება ცალმხრივი წესით მოშალოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან ან დამმუშავებელთან და მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება.

საწარმოს თხოვნით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანო ან ზემდგომი ორგანო მას სხვა მიმწოდებელს მიამაგრებს.

5. გამგზავნ საწარმოს ეკისრება პასუხისმგებლობა ტვირთის წარდგენის, გადასაზიდი საშუალებების მოცდენისა და უქმარდატვირთვისათვის, სატრანსპორტო საწარმოს კი — პროდუქციის მიწოდებისა და გადმოტვირთვისათვის გეგმით ან ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების მიწოდების ჩაშლისათვის, ტვირთის დროული მიწოდებისა და მისი დაცვა-შენახვისათვის კანონით დადგენილი წესით. წყალ-, ელექტრო-, თბო-, და გაზმომარაგების საწარმოებსა და ენერგომომარაგების ორგანიზაციებს მომხმარებელ საწარმოთა წინაშე ეკისრებათ ეკონომიკური პასუხისმგებლობა უზრუნველყოფის დაწესებული ლიმიტებისა და გრაფიკების დაცვისათვის.

მ უ ხ ლ ი 16. პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაცია

1. საწარმო ასაღებს თავის პროდუქციას, ასრულებს სამუშაოებს და მომსახურებას სწევს მომხმარებლებთან, ვაჭრობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოებთან სამეურნეო ხელშეკრულებათა შესაბამისად ან პროდუქციის გასაყიდი, სამუშაოთა შესასრულებელი და მომსახურების გასაწევი საკუთარი ქსელის მეოხებით. მან მთლიანად უნდა შეასრულოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებანი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რაოდენობის, ნომენკლატურის (ასორტიმენტის), ვადების, ხარისხის და სხვა პირობების მიხედვით. შეკვეთებისა და ხელშეკრულებების შესრულება საწარმოს საქმიანობისა და შრომითი კოლექტივების მატერიალური სტიმულირების უმთავრესი კრიტერიუმია. საწარმო ვალდებულია შეისწავლოს მოთხოვნა და განახორციელოს სარეკლამო ღონისძიებანი. საწარმოს საწარმოო-გასაღებითი საქმიანობის დამამთავრებელი ეტაპი, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების

განხორციელების აუცილებელი პირობაა მომხმარებლის მიერ იმ პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) ანაზღაურება, რომელიც მიწოდებულია ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. საწარმოს უფლება აქვს საკუთარი საჭიროებებისათვის გამოიყენოს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს და მოსახლეობას მიჰყიდოს ან სხვა საწარმოებს გაუცვალოს პროდუქცია, თუ შესრულებული ექნება სახელშეკრულებო ვალდებულებანი, აგრეთვე პროდუქცია, რომელზეც უარი თქვეს მიწოდების ხელშეკრულების დამდებმა მომხმარებელმა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოებმა (კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეულ სახეობათა პროდუქციის გარდა).

3. თუ საწარმო არ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, მას ეკისრება ეკონომიკური პასუხისმგებლობა და დადგენილი წესით აანაზღაურებს მომხმარებლისათვის მიყენებულ ზარალს. ხელშეკრულებათა პირობების დარღვევისათვის ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს გადახდა, აგრეთვე მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ თავისუფლებს საწარმოს პროდუქციის მიწოდების, სამუშაოების წარმოებისა თუ მომსახურების გაწევის ვალდებულებათა შესრულებისაგან.

4. მყიდველი საწარმო ვალდებულია დროულად აანაზღაუროს მისთვის ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება) საკუთარი სახსრების ხარჯზე, ცალკეულ შემთხვევებში კი ბანკის კრედიტის ხარჯზე. მას ეკისრება პასუხისმგებლობა დადგენილ ვადებში ანაზღაურებისათვის, დაგვიანებული ანგარიშსწორებისათვის კი ჯარიმას იხდის.

თუ საწარმოს არა აქვს პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) შესყიდვისათვის საკუთარი სახსრები და კრედიტის მიღების უფლება, ზემდგომი ორგანო დაბრუნების პირობით გამოუყოფს მას სახსრებს შესაბამისი ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ხარჯზე.

მ უ ხ ლ ი 17. ფინანსები და ფასები

1. საწარმოს საფინანსო საქმიანობა უნდა ხმარდებოდეს საწარმოს საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის ფინანსური რესურსების შექმნას, პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულების შემცირების, მისი ხარისხის გაუმჯობესების, საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესების გზით მოგების (შემოსავლის) ზრდის უზრუნველყოფას.

2. საწარმო ფინანსურ საქმიანობას ეწევა ხუთწლიანი და წლიური საფინანსო გეგმების შესაბამისად. მას ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დროულად შეასრულოს ვალდებულებანი ბიუჯეტის,

ბანკებისა და ზემდგომი ორგანოს, მიმწოდებლების, მოიჯარეებისა და სხვა ორგანიზაციების წინაშე. საწარმო მოვალეა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოიყენოს მის განკარგულებაში დარჩენილი ფინანსური სახსრები.

3. საწარმო ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირებაში, რომლის სახსრები ხმარდება დიდ ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებათა განხორციელებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და სახელმწიფოს სხვა საჭიროებებს.

საწარმოს ფინანსური ურთიერთობა სახელმწიფო ბიუჯეტთან ემყარება გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველს. საწარმოს ბიუჯეტში შეაქვს მის განკარგულებაში არსებული რესურსების საფასური, მოგების (შემოსავლის) ნაწილი, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელები და ანარიცხები, მათ შორის ადგილობრივ ბიუჯეტში, დადგენილი ნორმატივების მიხედვით.

საწარმოსა და ბიუჯეტს შორის მოგების (შემოსავლის) განაწილების ნორმატივები უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფოს თანაბარდაძაბულ მოთხოვნებს საწარმოების მიერ საწარმოო ფონდების, შრომითი და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადმი.

საწარმოო ფონდების საფასურის შეტანა, ჩვეულებრივ, ყველა საწარმოსათვის ერთიანი ნორმით ხდება. შრომითი რესურსების საფასური ანაზღაურებს მუშახელის მომზადებისათვის, მუშაკთა და მათი ოჯახების წევრთა სოციალურ-კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის გაწეულ სახელმწიფოს დანახარჯებს. ბუნებრივი რესურსების (მიწის, წყლის, სასარგებლო წიაღისეულის) საფასურის მეშვეობით ამოიღება დიფერენციული რენტა, რომელიც წარმოიშობა ამ რესურსების ბუნებრივი პროდუქტიულობის განსხვავების გამო.

რესურსებისათვის ბიუჯეტში გადასახდელებთან ერთად გამოიყენება საწარმოთა იმ მოგების (შემოსავლის) დაბეგვრა, რომელიც რჩება რესურსებისათვის გადასახდელებისა და კრედიტისათვის პროცენტების გადახდის შემდეგ.

საწარმოს მოგების (შემოსავლის) და სხვა ფინანსური რესურსების ჩამორთმევა და განაწილება დადგენილი ნორმატივების, ნორმებისა და განაკვეთების გადამეტებით, აგრეთვე კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, აკრძალულია.

4. საწარმო ვალდებულია იმუშაოს უზარალოდ. დროებითი დაგეგმილი ზარალიანობის დროს საწარმოს აფინანსებს ზემდგომი ორ-

ცანო ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ხარჯზე დოტაციის ლიმიტის ფარგლებში, რომელიც დადგენილია ხუთწლიანი გეგმით და პროგრესულად მცირდება. იგი ვალდებულია შეიმუშაოს ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების, დადგენილ ვადაში პროდუქციის (სამუშაოთა, მოხსახურების) წარმოების, ზარალიანობის ლიკვიდაციისა და მომგებიანი მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

5. სხვა ორგანიზაციებისა და სახელმწიფოსათვის საწარმოს მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ჯარიმის, პირგასამტეხლოს და კანონმდებლობით დადგენილი სხვა სანქციების გადახდა ხდება კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის ხარჯზე. საწარმოს მიერ მიღებული ზარალის ანაზღაურებისა და სანქციების თანხა ხმარდება კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის გაზრდას.

6. ფასწარმოქმნის დარგში საწარმო უფლებებსა და ვალდებულებებს ახორციელებს სახელმწიფო მართვისა და ფასების რეგულირების ძირითადი პრინციპების შესაბამისად. ფასები უნდა ასახავდეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯებს, მის სამომხმარებლო თვისებებს, ხარისხსა და გადახდისუნარიან მოთხოვნას. ისინი გამოიყენება წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე, პროდუქციის (სამუშაოთა მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებაზე ზემოქმედების აქტიურ საშუალებად. საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ფასების, მათი პროექტებისა თუ გაანგარიშების ეკონომიკური დასაბუთება, სახალხო-სამეურნეო ეფექტის უპირატესი ზრდა დანახარჯებთან შედარებით, მოხმარების. პროდუქციის შედარებითი გაიაფება.

7. საწარმო თავისი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციას ახდენს ცენტრალიზებულად დაწესებული ფასებით (ტარიფებით), აგრეთვე მომხმარებელთან მორიგებით .ან დამოუკიდებლად.

8. საწარმო პასუხს აგებს ფასების დისციპლინის მკაცრი დაცვისათვის და ვალდებულია არ დაუშვას მათი მომატება. ფასების სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაუცველობის შედეგად საწარმოს მიერ დაუსაბუთებლად მიღებული. მოგება გადაირიცხება ბიუჯეტში (კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის ხარჯზე) და გამოირიცხება გეგმის შესრულების შესახებ საანგარიშო მონაცემებიდან.

საწარმო, რომელიც ფასებს მოუმატებს და დაუსაბუთებელ მოგებას მიიღებს, დამატებით იხდის ბიუჯეტში ჯარიმას უკანონოდ მიღებული მოგების ოდენობით კოლექტივის სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის ხარჯზე. მწარმოებლის მიერ პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) ფასის მომატებისას მომხმარებელს უფლება აქვს მოშალონ მისი მიწოდებისათვის დადებული ხელშეკრულება.

9. საწარმოები ვალდებული არიან ხელმძღვანელობდნენ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ცენტრალიზებულად დადგენილი ფასებით, ტარიფებით, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების მიერ დამტკიცებული ფასებით (ტარიფებით).

საწარმოს უფლება აქვს შემკვეთთან შეთანხმებით განსაზღვროს ცენტრალიზებულად დადგენილი საბითუმო ფასების სართი (შეღავათი) პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებისა და კომპლექტაციის შეცვლის დამატებითი მოთხოვნების შესრულებისათვის.

10. სამეურნეო საქმიანობაში დამოუკიდებლობის გაფართოების, მომხმარებელთა ინდივიდუალური საჭიროებების უფრო სრული გათვალისწინების, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების სტიმულირების მიზნით საწარმოს უფლება აქვს მომხმარებელთან მორიგებით გამოიყენოს ფასები (სახელშეკრულებო ფასები) საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა, რომელიც მზადდება ერთჯერადი და ინდივიდუალური შეკვეთებით, ახალი ან პირველად ათვისებული პროდუქციის და სახალხო მოხმარების ახალი არასასურსათო საქონლისა, აგრეთვე ცალკეულ სახეობათა სასურსათო საქონლისა, რომლის რეალიზაცია ხდება სავაჭრო ორგანიზაციებთან შეთანხმებით, 2 წლამდე ვადით დადგენილი ნუსხის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საბოლოო პროდუქციისა, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა, რომელსაც საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ყიდულობენ მოსახლეობისაგან, პროდუქციისა, რომელსაც ყიდულობენ და ყიდიან კოოპერაციული ორგანიზაციები, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახეობების პროდუქციისა (სამუშაოების, მომსახურებისა).

სახელმწიფო ფასწარმოქმნის ორგანოები განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ფასების წესს და აკონტროლებენ მათს გამოყენებას.

11. საწარმო დამოუკიდებლად ამტკიცებს საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, სახალხო მოხმარების საქონლისა და მომსახურების ფასებს (ტარიფებს), რომლებზეც არ გამოიყენება ცენტრალიზებულად დამტკიცებული ფასები, აგრეთვე საკუთარი

მოხმარებისა თუ თავის სავაჭრო ქსელში სარეალიზაციო პროდუქციის (მომსახურების) ფასებს.

საბჭოთა მეურნეობას, სხვა სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო საწარმოს უფლება აქვს დამოუკიდებლად დააწესოს სოფლის მეურნეობის საკუთარი პროდუქციის ნაწილისა და მთელი ზეგეგმითი პროდუქციის ფასები, რომელსაც ყიდის საკუთარი სავაჭრო ქსელის მეშვეობით და საკოლმეურნეო ბაზარში.

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, საბითუმო ვაჭრობისა და პირდაპირი სამეურნეო ურთიერთობის განვითარების კვალობაზე სახელშეკრულებო და დამოუკიდებლად დამტკიცებული ფასების გამოყენება გაფართოვდება.

მ უ ხ ლ ი 18. კრედიტი და ანგარიშსწორება

1. საწარმო სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სარგებლობს ბანკის კრედიტით საწარმოო და სოციალური მიზნებისათვის და იმ პირობით, თუ მკაცრად დაიცავს დაკრედიტების პრინციპებს, როგორიც არის: უზრუნველყოფილობა, მიზნობრივი ხასიათი, ვადიანობა, კრედიტების დასაბრუნებლობა და გადამხდელობა.

მოკლევადიან კრედიტს ბანკი საწარმოს აძლევს დაკრედიტების გამსხვილებულ ობიექტებში მიმდინარე საქმიანობისათვის. გრძელვადიანი კრედიტი გაიცემა საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის, ამასთან კრედიტი იფარება წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდისა და სოციალური განვითარების (ანალოგიური დანიშნულების სხვა ფონდების) სახსრების ხარჯზე.

დაკრედიტებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს საწარმო წყვეტს საკრედიტო დაწესებულებებში ანგარიშსწორების ანგარიშის ან კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების ანგარიშის გახსნის ადგილას.

საწარმო პასუხისმგებელია კრედიტების ეფექტიანი გამოყენებისათვის. საწარმოთა მიმართ, რომლებიც არღვევენ დაკრედიტების პირობებს, გამოიყენება სანქციები. სესხის დაფარვის ვადების სისტემატური დარღვევისას საწარმო კარგავს ახალი კრედიტის უფლებას; ცალკეულ შემთხვევებში მას შეუძლია კრედიტით ისარგებლოს ზემდგომი ორგანოს გარანტიით.

2. საწარმო ვალდებულია დროულად გაასწოროს ანგარიში თავისი ვალდებულებების მიხედვით. დავალიანებული ანგარიშსწორებისათვის საწარმო იხდის ჯარიმასა და პირგასამტეხლოს. საწარმო ყველა ანგარიშსწორებას, მათ შორის ბიუჯეტში გადარიცხვას და

ხელფასის გაცემას, საანგარიშსწორებო დოკუმენტების შემოსაელის (გადასახდელების ვადის დადგომია) კალენდარული რიგითობით ახორციელებს.

ბანკები საწარმოს უხდიან პროცენტებს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, მისი ფონდის, აგრეთვე სოციალური განვითარების ფონდის დროებით თავისუფალი სახსრებით სარგებლობისათვის.

3. საწარმო, რომელიც სისტემატურად არღვევს საგადამხდელო დისციპლინას, ბანკებმა შეიძლება გამოაცხადონ გადახდის უნარსმოკლებულად, ამასთან აცნობონ ეს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ძირითად მიმწოდებლებსა და ზემდგომ ორგანოს. ასეთი საწარმოს ვალდებულებებით გადასახდელთა რიგითობას განსაზღვრავს ბანკი. კრედიტორ საწარმოებს შეუძლიათ შეუწყვიტონ პროდუქციის მიწოდება, სამუშაოთა შესრულება და მომსახურების გაწევა გადახდის უნარსმოკლებულად გამოცხადებულ საწარმოს. საწარმო და მისი ზემდგომი ორგანო ვალდებული არიან განახორციელონ უყაირათობის აღმოფხვრისა და საანგარიშსწორებო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებანი.

ჯარიმას, პირგასამტეხლოსა და სხვა სანქციებს, რომლებიც საწარმოს უდავო წესით ეკისრება, ბანკი მისი საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ჩამოწერს. უკანონოდ ჩამოწერილ თანხას ბრალეული მხარე საწარმოს გაზრდილი ოდენობით უნაზღაურებს. დავა ასეთი დაბრუნების შესახებ განიხილება არბიტრაჟის ორგანოებსა და სასამართლოში.

მ უ ხ ლ ი 19. საგარეო ეკონომიკური საქმიანობა

1. საწარმოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა მისი მთელი მუშაობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი ხორციელდება, როგორც წესი, სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე, მისი შედეგი საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების ორგანული ნაწილია და უშუალო გავლენას ახდენს ეკონომიკური სტიმულირებისა და სავალუტო ანარიცხების ფონდების ფორმირებაზე.

საწარმო საექსპორტო პროდუქციის მიწოდებას პირველ რიგში უზრუნველყოფს.

2. საწარმოს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების საწარმოებთან თანამშრომლობას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაფართოება-გაღრმავებასა და ეფექტიანი კოოპერაციის განვითარებას.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან საწარმო:

ამყარებს პირდაპირ ურთიერთობას, წყვეტს საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური კოოპერაციის საკითხებს, განსაზღვრავს თანამშრომლობის ეკონომიკურ პირობებს, მათ შორის სახელშეკრულებო ფასებს, დებს სამეურნეო ხელშეკრულებებს და კონტრაქტებს;

ათანხმებს კოოპერაციის ხაზით პროდუქციის საექსპორტო-საიმპორტო მიწოდებისა და მომსახურების გაწევის ნომენკლატურასა და მოცულობას, გადასცემს მატერიალურ რესურსებსა და შესაბამის ტექნიკურ დოკუმენტაციას;

ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითს, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საექსპერიმენტო სამუშაოებს, ქმნის ამ მიზნით მეცნიერთა და სპეციალისტთა ერთობლივ კოლექტივებს, შეთანხმებული პირობებით უცვლის მეცნიერულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას და ეხმარება კადრების სწავლებაში;

მონაწილეობს ერთობლივი საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში, რომლებიც იქმნება სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

3. კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების ფირმებთან ეკონომიკურ ურთიერთობას საწარმო ახორციელებს ურთიერთსარგებლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების საფუძველზე. ასეთი ურთიერთობის განვითარების ძირითადი ფორმებია საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაცია გრძელვადიან და შეწონასწორებულ საფუძველზე, აგრეთვე ერთობლივი საწარმოების და წარმოებების შექმნა. სსრ კავშირის ტერიტორიაზე ერთობლივი საწარმოებისა და წარმოებების შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საწარმოს, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მნიშვნელოვან საექსპორტო მიწოდებას, შეიძლება მიეცეს უფლება უშუალოდ განახორციელოს საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები (მათ შორის კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე) და ამ მიზნით შექმნას სამეურნეოანგარიშიანი საგარეო-სავაჭრო ფირმა.

საწარმოები, რომლებსაც არა აქვთ საგარეო ბაზარზე დამოუკიდებლად გასვლის უფლება, მონაწილეობენ თავიანთი ან სხვა სამინისტროებისა და უწყებების საგარეო-სავაჭრო გაერთიანების მეშვეო-

ბით თავიანთი პროდუქციინ (სამუშაოების, მომსახურების) ექსპორტის საუკეთესო პირობების განსაზღვრაში.

5. სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, ეკონომიკური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაზრდის, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციათა განხორციელებაში დამოუკიდებლობის გაფართოების მიზნით საწარმო:

თანამშრომლობს საზღვარგარეთელ პარტნიორებთან სამეურნეო ხელშეკრულებების საფუძველზე.

ქმნის სავალუტო ანარიცხების ფონდს, რომელიც ყალიბდება სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივებით მზა საექსპორტო პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციით მიღებული სახსრებით, აგრეთვე კოოპერირებული მიწოდების ოპერაციებისა და ლიცენზიების გაყიდვით მიღებული მთელი სავალუტო ამონაგებით;

შეუძლია ბანკში კრედიტი მიიღოს უცხოური ვალუტით საექსპორტო წარმოებების შექმნისა და განვითარებისათვის იმ პირობით, თუ კრედიტს დაფარავს პროდუქციის ექსპორტის შედეგად მიღებული სავალუტო ამონაგების ხარჯზე;

ეკონომიკურად აგებს პასუხს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ეფექტიანობისათვის და წარმოების განვითარებისა და მისი ტექნიკური დონის ამაღლების მიზნით სავალუტო სახსრების რაციონალური გამოყენებისათვის;

მის განკარგულებაში არსებული სავალუტო სახსრების ხარჯზე ანაზღაურებს საქონლის ექსპორტის დავალებებისა თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალს;

ვალუტით უხდის უცხოელ მყიდველს ყველა ჯარიმასა და სხვა სანქციებს სავალუტო ანარიცხების ფონდიდან, თუ ვალდებულებების დარღვევა მისი ბრალია.

6. წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და სხვა სამუშაოთა შესრულების მიზნით საწარმო ახორციელებს პროდუქციის იმპორტს სავალუტო ანარიცხების ფონდის ან ნასესხები სახსრების ხარჯზე და მის ფარგლებში. მას უფლება აქვს აგრეთვე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში თავისი შრომითი კოლექტივების საჭიროებისათვის შეიძინოს ის სამედიცინო ტექნიკა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სპორტული და სხვა საქონელი, რომელიც შეტანილი არ არის სახელმწიფო განაწილების გეგმებში.

საწარმოს სავალუტო ანარიცხების ფონდის სახსრები ჩამორთმევას

არ ექვემდებარება და შეიძლება მათი დაგროვება მომდევნო წლებში გამოყენებისათვის.

7. საწარმოს შეუძლია სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკურ ბანკში კრედიტის პირობებით შეიძინოს გადასაყვანი მანეთები და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეროვნული ვალუტები სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოთა შესრულებისა და კოოპერაციასთან დაკავშირებულ ეფექტიან წარმოებათა განვითარებისათვის.

მ უ ხ ლ ი 20. ბუნებათსარგებლობა და გარემოს დაცვა.

1. საწარმო ვალდებულია საბჭოთა ადამიანების ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ უზრუნველყოფდეს ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და აღდგენას, მომჭირნედ იყენებდეს მათ იმ მიზნების შესაბამისად, რისთვისაც მიცემული აქვს, იცავდეს გარემოს გაჭუჭყიანებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან, ახორციელებდეს წარმოების ორგანიზაციას უნარჩენო ტექნოლოგიების ბაზაზე, როგორც გარემოს მოვლა-დაცვის მთავარ მიმართულებას.

საწარმო უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულისა და სხვა ბუნებრივი რესურსების კომპლექსურ გამოყენებას; იგი მოვალეა რაციონალურად იყენებდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ეწეოდეს მიწების რეკულტივაციას და ახორციელებდეს გარემოს დაცვის სხვა ღონისძიებებს.

საწარმოს მიერ განხორციელებულმა ბუნების დაცვის ღონისძიებებმა მთლიანად უნდა აანაზღაუროს გარემოზე წარმოების უარყოფითი ზემოქმედება.

წარმოების გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების პროექტში საწარმო ითვალისწინებს ბუნების დაცვის ნაგებობებსა და დანადგარებს, აშენებს მათ და აგვარებს ეფექტიან და შეუფერხებელ ექსპლოატაციას.

2. ბუნებრივი რესურსებით, როგორც ეროვნული სიმდიდრის ნაწილით, სარგებლობისათვის საწარმოს შეაქვს დადგენილი გადასახადები და ახორციელებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს საკუთარი სახსრებისა და კრედიტების ხარჯზე. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ასეთი ღონისძიებების დაფინანსება ცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე.

3. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადვის მუშაობაში საწარმო ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოსა და სხვა იმ ორგანოების კონტროლს, რომლებიც

ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების დარგში.

საწარმო ანაზღაურებს ზარალს, რომელსაც მიაყენებს გარემოს გაჭუჭყიანებით და ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებით და მატერიალურად აგებს პასუხს ბუნების დაცვის კანონმდებლობის შეუსრულებლობისათვის. საწარმოს საქმიანობა, რომელიც უხეშად არღვევს ბუნებათსარგებლობის დადგენილ რეჟიმს, შეიძლება შეჩერდეს დაშვებულ დარღვევათა აღმოფხვრამდე.

მ უ ხ ლ ი 21. საწარმოს ერთობლივი საწარმოო და სოციალური საქმიანობა

1. საწარმოო პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების, საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაფართოების, სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის, ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით საწარმო საკუთარი ინიციატივით ან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ანდა სხვა ორგანიზაციების წინადადებით ავითარებს კოოპერაციას უწინარეს ყოვლისა მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან. მათ შეუძლიათ გააერთიანონ თავიანთი ძალები დარგთშორისი, დარგობრივი და რეგიონალური ამოცანების გადაწყვეტისათვის. ამ მიზნით საწარმოებს უფლება აქვთ:

ერთობლივად შეასრულონ წარმოების რეკონსტრუქციასთან და ტექნიკურ განახლებასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებასთან და მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სამუშაოები;

დადგენილი წესით შექმნან დარგთშორისი წარმოებები, კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრები, სამეცნიერო, საპროექტო, საკონსტრუქტორო, სარემონტო, სამშენებლო, სავაჭრო და სხვა ერთობლივი საწარმოები და გაერთიანებები;

ააშენონ და ექსპლუატაცია გაუწიონ საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტებს, დამხმარე სოფლის მეურნეობებს, ბუნების დაცვის ნაგებობებს, საცხოვრებელ სახლებსა და საწარმოო, სოციალურ-კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტებს;

დადგენილი წესით გაერთიანდნენ სხვა საწარმოებთან, და მთლიანად შეერწყან კიდეც, თუკი ეს ნაკარნახევია კოოპერაციული და ტექ-

ნოლოგიური ურთიერთობისა და საბოლოო პროდუქციის ეფექტიანი მიღების ინტერესებით;

მოაწყონ სპეციალისტთა მომზადება, შექმნან (სასწავლებლებთან ერთად) სასწავლო-სამრეწველო საწარმოები.

აღნიშნული და სხვა ერთობლივი საქმიანობის განხორციელებისათვის საწარმოები დებენ ხელშეკრულებებს, რომლებშიც გათვალისწინებულია წილობრივ საწყისებზე ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების გაერთიანება, აგრეთვე ერთობლივ საწარმოთა და გაერთიანებათა ორგანიზაციასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

ზემდგომი ორგანოები და ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ახორციელებენ ღონისძიებებს საწარმოთა ერთობლივი საქმიანობის გასავითარებლად, ხელს უწყობენ ამ დარგში მათთვის მინიჭებული უფლებების ყველაზე სრულ რეალიზაციას.

2. საწარმოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იმ დარგთშორისი და საპეურნეოებათშორისო ტერიტორიულ-საწარმოო გაერთიანებების საქმიანობაში, რომლებსაც ქმნიან მოკავშირე (საოლქო დაყოფის არმქონე) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

3. საწარმოსთან დადგენილი წესით შეიქმნება შეიქმნას კოოპერატივები. საწარმო ხელს უწყობს ასეთ კოოპერატივებს, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებიც საწარმოსთან დადებული ხელშეკრულებებით ეწევიან ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას.

მ უ ხ ლ ი 22. აღრიცხვა, ანგარიშგება და კონტროლი

1. მთელ სამეურნეო საქმიანობაზე აქტიური ზემოქმედებისათვის, წარმოების განვითარების გზების, ფორმებისა და მეთოდების ანალიზისათვის და ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის, საგეგმო დავალებათა შესრულებაში ცალკეულ დისპროპორციათა შესაძლო წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით საწარმო ახორციელებს მუშაობის შედეგების აღრიცხვას, კონტროლს წარმოების მიმდინარეობისაღმი, ეწევა ოპერატიულ, საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას.

საწარმო მოვალეა:

გამოიყენოს ინფორმაციის აღრიცხვისა და დამუშავების მოწინავე ფორმები და მეთოდები თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკით ფართო სარგებლობის ბაზაზე;

შეადგინოს ანგარიშგება და წარუდგინოს იგი შესაბამის ორგანო-

ებს დადგენილ ვადებში, უზრუნველყოს ანგარიშებისა და ბალანსების უტყუარობა;

მკაცრი კონტროლი გაუწიოს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალურ და ეკონომიურ გამოყენებას, შეუწყვეტლად ებრძოლოს უყაირათობას და მფლანგველობას, განახორციელოს ასეთ მოვლენათა თავიდან აცილების ღონისძიებანი, აცნობოს დატაცების და კანონმდებლობის უხეში დარღვევები პროკურატურის ან შინაგან საქმეთა ორგანოებს;

გაზარდოს იურიდიული, საბუღალტრო და სხვა ფუნქციური სამსახურების როლი და პასუხისმგებლობა კანონიერების, სახელმწიფოებრივ, საფინანსო დისციპლინის და პროდუქციის ხარისხის დაცვისათვის.

საწარმოების, სტრუქტურული ერთეულებისა და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა წამატებების, თვალის ახვევის ფაქტებისა და სახელმწიფო ანგარიშგების სხვა დამახინჯებებისათვის და მიეცემიან დისციპლინურ, მატერიალურ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. წამატებისა და თვალის ახვევის ყველა შემთხვევას განიხილავს შრომითი კოლექტივი.

საწარმოს ანგარიშგების ფორმები, მათი წარდგენის მისამართები და ვადები განისაზღვრება დადგენილი წესით. ყოველგვარი სხვა ანგარიშგების მოთხოვნა და წარდგენა აკრძალულია.

2. საწარმოს საქმიანობის რევიზია და შემოწმება ზემდგომ ორგანოებთან ერთად შეუძლიათ აგრეთვე მოაწყონ საფინანსო-საბანკო და მართვის სხვა ორგანოებმა საწარმოს საქმიანობისადმი კონტროლის შესახებ კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად. რევიზია ან შემოწმება შეიძლება მოეწყოს სამართალდაცვითი ორგანოებისა და სახალხო კონტროლის კომიტეტების მოთხოვნით.

ყველა სახეობის რევიზია და შემოწმება ხელს უნდა უწყობდეს მეურნეობრიობის ეფექტიანობის ზრდას, არ უნდა არღვევდეს საწარმოს მუშაობის ნორმალურ რიტმს. რევიზიებისა და შემოწმებების შედეგები ეცნობება შრომითს კოლექტივს.

3. საწარმოში ირჩევენ სახალხო კონტროლის კომიტეტს (ჯგუფს, საგუშაგოს), რომელსაც საწარმოს ადმინისტრაციამ უნდა გაუწიოს ყოველგვარი დახმარება მუშაობაში, განიხილოს მისი წინადადებები და რეკომენდაციები და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მ უ ხ ლ ი 23. საწარმოს შექმნა და საქმიანობის შეწყვეტა

1. საწარმოები იქმნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

საწარმოთა რეორგანიზაცია (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხდება დადგენილი წესით იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელიც უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი საწარმოები.

საწარმოს საქმიანობა შეიძლება შეწყდეს:

თუ საჭირო აღარ არის მისი შემდგომი მუშაობა და რეორგანიზაცია შეუძლებელია, ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საფუძველზე;

თუ საწარმო ხანგრძლივად ზარალიანი და გადახდისუუნაროა, არ არის მოთხოვნა მის პროდუქციაზე და იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოსა და ზემდგომი ორგანოს მიერ მუშაობის რენტაბელობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებანი შედეგებს არ იძლევა.

2. საწარმოს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის დროს ზემდგომი ორგანო დათხოვნილი მუშაკებისათვის უზრუნველყოფს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილ უფლებებს. საწარმოს რეორგანიზაციამდე ან ლიკვიდაციამდე სულ ცოტა ორი თვით ადრე მუშაკები პერსონალურად უნდა გააფრთხილონ დათხოვნის ვადის შესახებ. შრომითი მოწყობის პერიოდისათვის მათ უნარჩუნდებათ, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა, საშუალო ხელფასი და უწყვეტი შრომის სტაჟი.

ორგანო, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას საწარმოს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო ყოველნაირ დახმარებას უწევენ შრომით მოწყობაში გამოთავისუფლებულ მუშაკებს. მოქალაქეთა პრეტენზიები და სარჩელები ლიკვიდირებულ საწარმოსადმი შეიძლება წარედგინოს ზემდგომ ორგანოს.

მუშაკებს, რომელთა შრომითი მოწყობა შეუძლებელია მათი პროფესიის, სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, ახალ სამუშაო ადგილას იღებენ იმ პირობით, თუ გაივლიან გადამზადებას შრომითი ხელშეკრულების დადების დროს დათქმული ვადის განმავლობაში.

3. საწარმოს აქვს ზემდგომი ორგანოს მიერ დამტკიცებული მისი საქმიანობის მიზნების განმსაზღვრელი წესდება. წესდების დამტკიცების დღიდან საწარმო ხდება იურიდიული პირი, სარგებლობს უფლებებით და ასრულებს თავის საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვალეობებს.

საწარმოს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით და სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით (საწარმოს დაქვემდებარების მიხედვით).

მ უ ხ ლ ი 24. საწარმოთა (გაერთიანებათა) უფლებების დაცვის გარანტიის შესახებ

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა დაცვისათვის ამ კანონის პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტების მიღებისას და თავიანთ ურთიერთობას საწარმოებთან და გაერთიანებებთან წარმართავენ აღნიშნული კანონის ზუსტი შესაბამისობით.

მ უ ხ ლ ი 25. ამ კანონის გამოყენების თავისებურებანი

საბალნო მეურნეობის ცალკეულ დარგებში და ცალკეულ სახეობათა საწარმოების მიმართ ამ კანონის გამოყენების თავისებურებებს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ა. გრომიკო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი

მოსკოვი, კრემლი.
1987 წლის 30 ივნისი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ"
სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე**

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ" სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ" სსრ კავშირის კანონი 1988 წლის 1 იანვრიდან.

დაწესდეს, რომ „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის დებულებანი ვრცელდება სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოებზე, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებზე.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსაზღვროს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაუსვლელი საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე არასაწარმოო სფეროს ორგანიზაციების მიმართ „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონის გამოყენების წესი და ვადები.

2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები სსრ კავშირის კანონს „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ:

1988 წლის 1 იანვრამდე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი მოიყვანოს „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ კანონის შესაბამისობაში.

უზრუნველყოს, რომ სსრ კავშირის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა დროულად გადასინჯონ და გააუქმონ თავიანთი ნორმატიული აქტები, მათ შორის ინსტრუქციები, რომლებიც ამ კანონს ეწინააღმდეგება.

4. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს შეუსაბამონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი

მოსკოვი, კრემლი.
1987 წლის 30 ივნისი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

დადგენილება № 810

1987 წლის 17 ივლისი

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში დაგეგმვის გარდაქმნისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის, როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის გეგმიანი მართვა სოციალიზმის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი და უპირატესობაა, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია. მასთან განუყოფელად არის დაკავშირებული საბჭოთა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში მოპოვებული ყველა მიღწევა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის განვითარების ღრმა ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის პროგრამა. პლენუმმა განსაზღვრა, რომ მისი განხორციელების უმნიშვნელოვანესი ორგანული ნაწილია დაგეგმვის მთელი სისტემის ძირეული გარდაქმნა.

დაგეგმვის დამკვიდრებული სისტემა არ შეესაბამება ახალ მოთხოვნებს და დაუპირისპირდა თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანებსა და პირობებს. იგი გახდა მუხრუჭი მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის, დაჩქარების მექანიზმის შექმნის გზაზე, რომელიც სახალხო მეურნეობის განვითარებას უპირატესად ხარისხობრივი ფაქტორების ხარჯზე უზრუნველყოფს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საგეგმო მუშაობასა და საქმიანობაში თავი იჩინა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა, ფართოდ განვითარდა გეგმიან მეურნეობასთან შეუთავსებელი მოვლენები. შესუსტდა გეგმის შემუშავების მეცნიერული საფუძვლები, გაძლიერდა სუბიექტივისტური მიდგომა დიდი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრისადმი. ძირი ეთხრებოდა დაგეგმვის ფუძემდებელ პრინციპს — განვითარების დაბალანსებასა და პროპორციულობას. წარმოიქმნა დიდი დისპროპორციები სახელმწიფოს შემოსავალსა და

გასავალში და ფულის მიმოქცევაში. დაქვეითდა საგეგმო დისციპლინა, მასობრივი ხასიათი მიიღო გეგმების კორექტირებამ. ფართოდ გავრცელდა მრავალრიცხოვან დადგენილებათა მიღების პრაქტიკა, როცა ცალკეული დარგობრივი და რეგიონალური საკითხები ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად წყდებოდა. ყოველივე ეს ასუსტებდა გეგმის მამობილიზებელ როლს და მის ზემოქმედებას ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, აძლიერებდა ნეგატიურ ტენდენციებს სახალხო მეურნეობაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დაადგა დაგეგმვაში მეტისმეტი ცენტრალიზაციის, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საქმიანობის მონაცვლეობის გზას, თავის თავზე იღებდა კერძო, ოპერატიული საკითხების გადაწყვეტას, დისპეტჩერულ ფუნქციებს. მისი ძალისხმევა უმთავრესად ხმარდებოდა წლიური დაგეგმვის საკითხებს ხუთწლიანი გეგმების უფრო ღრმა დამუშავებისა და სტრატეგიული ამოცანების გადაჭრის საზიანოდ. ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები სუსტად ემყარებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დიდ მიღწევებს, ვერ უზრუნველყოფდა მეცნიერებატევად წარმოებათა უპირატეს ზრდას, სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დაჩქარებას. საკმარისი დაბეჯითებით არ ხორციელდებოდა რესურსდაზოგვის ხაზი.

საგეგმო მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა სოციალური სფეროს განვითარების აშკარა შეუფასებლობა. ამ მიზნისათვის რესურსებს ითვალისწინებდნენ, როგორც წესი, ეგრეთ წოდებული ნარჩენობითი მეთოდის მიხედვით, საწარმოო და სოციალური განვითარების პროცესები გეგმებში ერთმანეთთან არ იყო დაკავშირებული. სერიოზული ნაკლოვანებები დაგროვდა საწარმოო ძალთა განლაგებაში, ირღვეოდა ცალკეული რეგიონების კომპლექსური განვითარების პრინციპი, რაც უფრო მეტად ტერიტორიული დაგეგმვის დაბალი დონის შედეგი იყო.

სერიოზული ხარვეზები იქნა დაშვებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვაში. მრავალი წლის მანძილზე პრაქტიკულად არ შეცვლილა და გაუარესდა კიდევაც ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა.

არსებითად შესუსტდა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მაორგანიზებელი როლი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საქმეში. დაგეგმვისადმი მის მიდგომაში ჭარბობდა ისეთი მეთოდები, რომლებიც ზღუდავდნენ შრომითი კოლექტივების ინიციატივას, ამ-

ცირებდნენ მათს პასუხისმგებლობას მაღალი შედეგების მიღწევისათვის და საბოლოო ანგარიშით ექსტენსიური გზით წარმართავდნენ ეკონომიკის განვითარებას. დაგეგმვაში ჯეროვანი გამოყენება ვეო პოვეს თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკურმა მეთოდებმა და გამოთვლითმა ტექნიკამ. შემცირდა მომთხოვნელობა საგეგმო ორგანოთა კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი, მათი პროფესიული დონისადმი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ სკკპ XXVII ყრილობის მიერ მოწონებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის განხორციელება მოითხოვს დაგეგმვის ძირეულ გარდაქმნას, ნაკლოვანებათა გადაჭრით აღმოფხვრას, საგეგმო ორგანოების, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას. მართვის მძლიანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემის შექმნის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის პრინციპული მითითებებიდან გამომდინარე, საჭიროა ნამდვილი დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე რადიკალურად შეიცვალოს გეგმიანი ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, შევუსაბამოთ ისინი სსრ კავშირის კანონს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ.

საჭიროა ამაღლდეს გეგმის ხარისხი და მაორგანიზებელი როლი, გაიზარდოს მისი ავტორიტეტი, არსებითად გაუმჯობესდეს საგეგმო ორგანოების მუშაობის შინაარსი და სტილი, ნამდვილად განხორციელდეს ლენინური მითითება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ქვეყნის სამეცნიერო-ეკონომიკურ შტაბად გადაიქცეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. ყველა საგეგმო ორგანოს, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის მთავარ ამოცანად ჩაითვალოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის მიერ შემუშავებული სტრატეგიის განუხრელი განხორციელება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ყოველმხრივი გამოყენების, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, აქტიური სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის გატარების საფუძველზე, რაც მიზნად ისახავს მიღწეულ იქნეს ეკონო-

მიკური ზრდისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ახალი დონე.

მთელი საგეგმო მუშაობის ორგანიზაციაში განახორციელონ გადამწყვეტი გადასვლა უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე. უზრუნველყონ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა საქმიანობის საჭირო პირობები, გეგმების შემუშავების მსვლელობაში გააძლიერონ საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა დაინტერესება, რომ პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის ამაღლების, წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის რაც შეიძლება სრულად გამოიყენონ თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი.

1. დაგეგმვის სისტემის სრულყოფა და მისი დემოკრატიული საფუძვლების გაფართოება

2. სახალხო მეურნეობის განვითარებაზე გეგმიანი ზემოქმედების გასაძლიერებლად საჭიროა ძირეულად შეიცვალოს სახელმწიფო გეგმების ფორმირების სისტემა, ამაღლდეს ცენტრალიზებული დაგეგმვის ქმედითობა, გადაჭრით გაფართოვდეს საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობის ფარგლები სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, მართვის ფართო დემოკრატიზაციის პრინციპებით მათი მუშაობის ახალი პირობების შესაბამისად, რათა შრომითი კოლექტივები ნამდვილად გახდნენ იმ გეგმების აქტიური შემოქმედნი, რომლებშიც ორგანულადაა შეხამებული სახელმწიფოს, საწარმოთა, როგორც სოციალისტურ საქონელმწარმოებელთა ინტერესები და თითოეული მუშაკის პირადი ინტერესები.

უზრუნველყოფილ იქნეს დაგეგმვის მეცნიერული დონის არსებითი ამაღლება სახალხო მეურნეობაში მიმდინარე პროცესების ღრმა ანალიზის, სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კანონებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო მითითებათა მოთხოვნების გათვალისწინებით. გაფართოვდეს დაგეგმვის ჰორიზონტი, მიღწეულ იქნეს მართვის ყველა დონეზე გეგმების შემუშავებაში მჭიდრო ურთიერთკავშირი, საგეგმო მაჩვენებელთა ზუსტი ორიენტაცია საზოგადოებრივი წარმოების მაღალი საბოლოო შედეგებისა მისაღწევად, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის.

პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის ოპტიმალური შეხამების, მისი უწყვეტობისა და თანამიმდევრობის მიზნით განხორციელდეს გადასვლა გეგმების სისტემის შემუშავებაზე, რომელიც შეიცავს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიან ძირითად მიმართულებებს და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიან გეგმას წლების მიხედვით დავალებათა განაწილებით.

3. გეგმებში პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის თანამიმდევრული განსახიერების, მისი განხორციელების პრინციპული გზებისა და საშუალებების განსაზღვრის მიზნით სახალხო მეურნეობის პერსპექტივების საწყისი სამეურნეო-პოლიტიკური პლატფორმის სახით შემუშავდეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი პერიოდის კონცეფცია.

კონცეფცია უნდა შეიცავდეს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტთა და მიზანთა ნაკრებს, განსაზღვრავდეს სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებებს, სოციალური განვითარების მიჯნებს, საგანმანათლებლო და კულტურული პოტენციალის ამაღლების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნების ამოცანებს.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის პროექტი უნდა ემყარებოდეს სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამას, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამას, დარგთაშორისი ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრამებს, ხანგრძლივ სახალხო-სამეურნეო პროგრამებს, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საკავშირო პროფსაბჭოს სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, რეგიონალურ ნამუშევრებს, აგრეთვე მეცნიერულ გამოკვლევებსა და დემოგრაფიულ პროგნოზებს

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის პროექტს შეიმუშავებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, თვალსაჩინო მეცნიერებისა და სპეციალისტების მიზიდვით. კონცეფციის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდ-

მივი ორგანოები სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისადმი ხელმძღვანელობის დარგში.

კონცეფციის პროექტი შეიტანება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად სულ ცოტა ორი წლით ადრე მორიგი ხუთწლეულის დაწყებამდე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებული კონცეფცია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტის მომზადებისათვის მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას წარმოადგენს. ყოველი ხუთი წლის შემდეგ, სახალხო მეურნეობაში მიმდინარე პროცესებისა და ქვეყნის წინაშე წამოჭრილი ახალი ამოცანების გათვალისწინებით, კონცეფცია დაზუსტდება, დამატებით დამუშავდება და გაგრძელდება მორიგი ხუთწლეულისათვის.

4. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებები მოწოდებულია კონკრეტული ციფრებითა და დავალებებით ხორცი შეასხას პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიას. განსაზღვროს 15-წლიანი პერიოდისათვის საზოგადოებრივი წარმოების ტემპი, პროპორციები, სტრუქტურა. მისი ინტენსიფიკაციის გზები, სახალხო-სამეურნეო კომპლექსების, დარგებისა და რეგიონების განვითარება, პრიორიტეტული მეცნიერულ-ტექნიკური მიმართულებანი და სოციალური ამოცანების გადაწყვეტა.

ძირითადი მიმართულებანი შემუშავდეს ხუთწლეულებზე განაწილებით და პირველი ხუთწლედისათვის გათვალისწინებულ იქნეს სახალხო-სამეურნეო კომპლექსების, დარგებისა და მოკავშირე რესპუბლიკების განვითარების მიმართებითი, წლების მიხედვით გაშლილი მაჩვენებლები.

ძირითად მიმართულებათა პროექტს შეიმუშავებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით და წარუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მორიგ ხუთწლედამდე წელიწად-ნახევრით ადრე. პროექტის მომზადების მსვლელობაში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მჭიდროდ ურთიერთმოქმედებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისადმი ხელმძღვანელობის მუდმივ ორგანოებთან და ამ მუშაობაში იზიდავს წამყვან გაერთიანებებს, საწარმოებს, საპროექტო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს.

დადგენილი წესით მოწონებული ძირითად მიმართულებათა პრო-

ექტი გამოტანილ უნდა იქნეს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის და წარმოადგენს საწყის ბაზას მორიგი ხუთწლიანი გეგმის შესამუშავებლად.

5. დაწესდეს, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს ძირითად მიმართულებებში გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის და სამინისტროთა, უწყებათა, მოკავშირე რესპუბლიკათა, ადგილობრივ ორგანოთა, საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა მთელი სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის მთავარ ფორმას. იგი განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს, პროპორციებს, ეფექტიანობას.

ძირეულად გარდაიქმნას ხუთწლიანი გეგმების შემუშავების ორგანიზაციის პრინციპები და მათში დასამტკიცებელი მაჩვენებლების შემადგენლობა, ამასთან გაძლიერდეს მათი ხარჯვასაწინააღმდეგო ხასიათი. ამაღლდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისადმი ხელმძღვანელობის მუდმივი ორგანოების, სსრ კავშირის ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების, სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ადგილობრივი ორგანოების, საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ხუთწლიანი გეგმების შემუშავების ხარისხისათვის, მათი დაბალანსებისა და წლების მიხედვით მაჩვენებლების დასაბუთებული განაწილებისათვის.

6. იმ მიზნით, რომ შეიქმნას შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისათვის საჭირო პირობები და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მათი შესაძლებლობანი და რეზერვები წარმოების გადიდებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის, უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის ფორმირების დემოკრატიული საფუძვლების გაფართოება. ამ მიზნით არსებითად ამაღლდეს დაგეგმვის მთელ სიტემაში ძირითადი რგოლის როლი, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის იმ დებულების ზუსტი შესაბამისობით, რომ თავიანთ ხუთწლიან გეგმებს საწარმოები (გაერთიანებები) დამოუკიდებლად შეიმუშავებენ და ამტკიცებენ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა მოწონებული პროექტის შესაბამისად შეიმუშაოს და მორიგი ხუთწლედის დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი წლისა დაუგზავნოს

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბ-ლიკების მინისტრთა საბჭოებს დაგეგმვის საწყისი მონაცემები, რო-გორც ხუთწლიანი გეგმის ფორმირების საფუძველი: საკონტროლო ციფრები, სახელმწიფო შეკვეთები, სტაბილური ეკონომიკური ნორმა-ტივები და ლიმიტები. სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, გამომდინარეობენ რა ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმა-ყოფილების, წარმოების შინაგარგებრივი და რეგიონალური დაბა-ლანსების უზრუნველყოფისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების ამო-ცანებიდან, საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა სპეციფი-კის გათვალისწინებით ერთი თვის ვადაში დაუგზავნიან მათ დაგეგმ-ვის საწყის მონაცემებს, როგორც ხუთწლიანი გეგმების ფორმირების საფუძველს: საკონტროლო ციფრებს, სახელმწიფო შეკვეთებს, ხანგ-რძლივ ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს.

ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ:

ა) საკონტროლო ციფრები ასახავენ საზოგადოებრივ მოთხოვნი-ლებებს საწარმოს მიერ წარმოებულ პროდუქციაზე, წარმოების ეფექ-ტიანობის მინიმალურ დონეს. ისინი არ ატარებენ სადირექტივო ხა-სიათს, არ უნდა ბოჭავდნენ შრომითს კოლექტივს გეგმის შემუშავე-ბისას, უნდა უტოვებდნენ მას ფართო გასაქანს სამეურნეო ხელშეკ-რულებების დადებისას გადაწყვეტილებათა და პარტნიორთა შესარ-ჩევად. საკონტროლო ციფრები შეიცავენ პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) წარმოების მაჩვენებელს ღირებულებითი გამოხატუ-ლებით (გაანგარიშებით) ხელშეკრულებათა დასადებად, ბოგებას (შე-მოსავალს), სავალუტო ამონაგებს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვან ზოგად მაჩვენებლებსა და სოციალური სფე-როს განვითარების მაჩვენებლებს. ახალი სამეურნეო მექანიზმის ათ-ვისებისა და სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის დამთავრების პერიოდში საკონტრო-ლო ციფრებში შეიძლება შეტანილ იქნეს აგრეთვე შრომის ნაყოფი-ერებისა და პროდუქციის მასალატევადობის მაჩვენებლები. შეკვე-თებისა და ხელშეკრულებების შესრულება საწარმოთა (გაერთიანე-ბათა) და ორგანიზაციათა საქმიანობის შეფასებისა და შრომითი კო-ლექტივების მატერიალური სტიმულირების უმთავრესი კრიტერიუმია;

ბ) სახელმწიფო შეკვეთები უზრუნველყოფენ უპირველეს საზო-გადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მიეცემათ საწარმო-ებს სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბინდებათა ხარჯზე საწარმოო სიმძლავრეთა და სოციალური სფეროს ობიექტე-

ბის ასამოქმედებლად, აგრეთვე ზოგიერთი სახეობის ისეთი პროდუქციის მისაწოდებლად, რომლებიც საჭიროა უწინარეს ყოვლისა, საერთო-სახელმწიფოებრივი, სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების შესრულებისათვის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებისათვის. სახელმწიფო შეკვეთები მიეცემა საწარმოს ზემდგომი ორგანოს მიერ და შეიძლება განაწილდეს საკონკურსო საფუძველზე; ისინი სავალდებულოა გეგმაში შესატანად. სახელმწიფო შეკვეთების მიცემისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მხარეების — შემსრულებლისა და შემკვეთის ურთიერთპასუხისმგებლობა.

სახელმწიფო შეკვეთები სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის საწარმოებლად დაწესდება, როგორ წესი, განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობის მქონე ამ საქონლის ცალკეული სახეობებისათვის (ჯგუფებისათვის).

ბაზრის გაჯერებისა და ახალი სამეურნეო მექანიზმის ქმედითობის ამაღლების კვალობაზე შემცირდეს სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობა და მოცულობა და განხორციელდეს გადასვლა საწარმოთა მიერ პროდუქციის სულ უფრო დიდი ნაწილის წარმოების დამოუკიდებლად დაგეგმვაზე მომხმარებლებთან პირდაპირი სამეურნეო კავშირურთიერთობისა და სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო ბაზრობათა შედეგების საფუძველზე:

ბ) ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივები სტაბილურია მთელი ხუთწლედის განმავლობაში და უზრუნველყოფენ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების მჟიდრო შეხამებას საწარმოთა სამეურნეო-ანგარიშიან ინტერესებთან. ეკონომიკური ნორმატივები განსაზღვრავენ ბიუჯეტთან ურთიერთობას, ხელფასის ფონდის, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ფორმირებას და საწარმოს სამეურნეო საქმიანობის სხვა მხარეებს და დგინდება რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

ეკონომიკურმა ნორმატივებმა უნდა შექმნას საწარმოთა საქმიანობის ისეთი ეკონომიკური პირობები, როდესაც მათთვის ხელსაყრელია ეძიონ მოთხოვნის რაც შეიძლება ეფექტიანი დაკმაყოფილების, პროდუქციის წარმოების ზრდისა და ხარისხის ამაღლების გზები, შეასრულონ სახელმწიფო შეკვეთები, გავიდნენ საკონტროლო ციფრებზე, აქტიურად დანერგონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

ახალ სამეურნეო მექანიზმთან შეუთავსებლად ჩაითვალოს საწყისი პაზის მიხედვით მათი დაწესების ცდები, დანაწევრება წლებისა და ხარჯების მუხლების მიხედვით, შეცვლა მოცულობის დავალებებით.

საწარმოებსა (გაერთიანებებსა) და ორგანიზაციებს ეკონომიკურ ნორმატივებს უმტკიცებენ ზემდგომი ორგანოები დროულად, ხუთწლიანი გეგმის შემუშავების დაწყებამდე;

დ) სახელმწიფო გეგმაში შეტანილი საწარმოებისა და ობიექტების ნუსხის შესაბამისად ლიმიტები აწესებენ დარგთაშორის წარმოებათა განვითარების, ახალი მშენებლობისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისათვის სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა, საშენებლო-სამონტაჟო და საიჯარო სამუშაოთა მოცულობის, წარმოებისა და მშენებლობის მოთხოვნილების უზრუნველყოფისათვის ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალური რესურსების ზღვრულ ოდენობას. საბითუმო ვაჭრობის განვითარების კვალობაზე მატერიალური რესურსების ცენტრალიზებული განაწილების სფერო ვიწროვდება.

საწარმოსათვის დაწესებული საკონტროლო ციფრების, ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების ნუსხას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. ზემდგომ ორგანოს უფლება არა აქვს დამტკიცებული ნუსხის გადამეტებით დაუგზავნოს საწარმოებს საკონტროლო ციფრები, ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები.

სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობას აწესებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, ხოლო სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობას — ისინი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად. რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებული საწარმოების, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლისა და ფასიანი მომსახურების ხაზით (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა სახელმწიფო შეკვეთების გარდა) სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობას ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

გეგმების ფორმირებისათვის საწყისი მონაცემები მჭიდროდ უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული. მათ შესაბამისად, აგრეთვე მომხმარებელთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოთა პირდაპირი შეკვეთების მიხედვით საწარმოები (გაერთიანებები) დებენ სამეურნეო ხელშეკრულებებს, ადგენენ და ამტკიცებენ ხუთწლი-

ან გეგმებს და წარუდგენენ მათ ზემდგომ ორგანოებს დარგობრივი და ტერიტორიული ხუთწლიანი გეგმების ფორმირებისათვის.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები შესაბამისი დარგებისა და ტერიტორიების გეგმათა პროექტების ფორმირების პროცესში სისტემატურად მუშაობენ საწარმოებთან (გაერთიანებებთან) და ორგანიზაციებთან, რომლის მიზანია საკონტროლო ციფრებითა და სახელმწიფო შეკვეთებით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიღწევა. ისინი ახორციელებენ საქვეუწყებო საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა პროექტების შეთანხმებას, შინადარგობრივ კოოპერირებულ მიწოდებასა და კავშირურთიერთობას, უზრუნველყოფენ დარგობრივი და ტერიტორიული გეგმების პროექტების დაბალანსებას და წარუდგენენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით ამზადებს ყველა განაყოფისა და მაჩვენებლის მიხედვით დაბალანსებულ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის პროექტს (წლებზე განაწილებით), მთელ ამ მუშაობაში ურთიერთმოქმედებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისადმი ხელმძღვანელობის მუდმივ კომისიებთან და წარუდგენს მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მორიგი ხუთწლედის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 თვისა.

7. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ხუთწლიანი გეგმის შემუშავებაში საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების პირობებში, აგრეთვე მისი შესრულების მსვლელობაში შრომითი კოლექტივების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა წლიური დაგეგმვის პრაქტიკა შეესაბამებოდეს მეურნეობის გაძღოლის ახალ მექანიზმსა და ხუთწლიანი გეგმის სტაბილურობის პრინციპს.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს, მეცამეტე ხუთწლედით დაწყებული უარყოფილ იქნეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო წლიური გეგმების, როგორც დაგეგმვის დამოუკიდებელი ფორმის, ყოველწლიური შემუშავებისა და დამტკიცების დამკვიდრებული პრაქტიკა, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ წლიური გეგმები ყოველთვის

ახლად კი არ შემუშავდება, არამედ მთლიანად ემყარება ხუთწლედის შესაბამისი წლის მაჩვენებლებს.

საწარმოები (გაერთიანებები) და ორგანიზაციები, თავიანთი ხუთწლიანი გეგმის გათვალისწინებით, დაწესებულ ვადებში დაძოუკიდებლად გეგმავენ მომავალი წლისათვის პროდუქციის გამოშვებას, სამუშაოთა და მომსახურების შესრულებას, აგრეთვე ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვა მაჩვენებლებს, წყვეტენ რესურსებითა და საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებით მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს შესაბამის ორგანიზაციებთან და საწარმოებთან.

საჭიროების კვალობაზე საწარმოები (გაერთიანებები) და ორგანიზაციები წყვეტენ ამ საკითხებს სამინისტროებთან, უწყებებთან და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოებთან, აზუსტებენ ან დებენ სამეურნეო ხელშეკრულებებს მომხმარებლებთან და მიმწოდებლებთან, ხოლო სახალხო მოხმარების საქონლის მიხედვით ითვალისწინებენ საბითუმო ბაზრობათა შედეგებს.

სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები განიხილავენ საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა წინადადებებს მომავალი წლისათვის წარმოების შემდგომი გაფართოებისა და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ, იღებენ გადაწყვეტილებებს სამეურნეო საქმიანობის შესახებ წამოჭრილ საკითხებზე, სსრ კავშირის სახმომარაგებასთან ერთად შეიმუშავებენ საჭირო ღონისძიებებს შესაბამისი დარგების პროდუქციაზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი:

ახორციელებს სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ წარდგენილი მომავალი წლის წინადადებათა და ხუთწლედის დაზუსტებათა ყოველმხრივ ეკონომიკურ ანალიზს, განსაზღვრავს, თუ რამდენად შეესაბამება ეს წინადადებები სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიან გეგმას, უწინარეს ყოვლისა, საერთო-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, სახელმწიფო შეკვეთებს და წარმოების ეფექტიანობის ზრდას;

სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო-სამეურნეო

კომპლექსებისადმი ხელმძღვანელობის მუდმივ სამეურნეო ორგანოებთან ერთად უზრუნველყოფს სისტემურ მუშაობას წარდგენილ წინადადებათა განსახილველად, მათ ურთიერთდასაკავშირებლად და ახალი ამოცანებისა და შეცვლილი სამეურნეო პირობების გათვალისწინებით შეაქვს საჭირო დაზუსტებანი ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებლებში ეკონომიკის დაბალანსებული განვითარების მიზნით;

შეიმუშავებს და ამტკიცებს ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბალანსებს, აყალიბებს შესაბამისი წლის საიჯარო სამუშაოთა გეგმებს.

ამის საფუძველზე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი იღებს საჭირო გადაწყვეტილებებს და მორიგი წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 თვისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგენს მოხსენებას განვლილ პერიოდში სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის დავალებათა რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ და წინადადებებს მომავალ წელს მისი შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

აღნიშნული მოხსენება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში გახილვის შემდეგ შეიტანება სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში სსრ კავშირის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად.

დაწესდეს, რომ სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა დონეზე ხუთწლიანი გეგმის შესრულება ფასდება ხუთწლედის დამდეგიდან მზარდი შედეგით.

8. გაფართოვდეს საჯაროობა დაგეგმვის ორგანიზაციის ძთელ სისტემაში, დამკვიდრდეს პრაქტიკაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების ფართოდ განხილვა, რომლებიც ქვეყნის, რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, რაიონის ინტერესებს ეხება. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოტანილ იქნეს მსხვილმასშტაბური მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა გადაჭრა მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო რესურსების გამოყენებას მოითხოვს.

ძირეულად გაუმჯობესდეს მოსახლეობის ინფორმირება გეგმების შემუშავებისა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ, უზრუნველყოფილ იქნეს გეგმების ფართოდ განხილვა შრომითს კოლექტივებში, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში საზო-

გადოებრივი აზრის უფრო სრულად გათვალისწინების მიზნით, იმ უცილობელი ფაქტის გათვალისწინებით, რომ გეგმების წარმატებით განხორციელება რეალურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი კონკრეტულ სამოქმედო პროგრამად აღიქვა ყველა მშრომელმა.

II. ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების მეცნიერული დასაბუთებისა და ხარისხის ამაღლება

9. დაწესდეს, რომ თანამედროვე პირობებში გეგმების ხარისხს, მათს ზემოქმედებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე ადამწყვეტწილად განსაზღვრავს გეგმიან ეკონომიკასთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა შეერთების ამოცანების პრაქტიკული განხორციელება, სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარება, დარგობრივ და რეგიონალურ პრობლემათა კომპლექსური გადაჭრა, ეკონომიკური ზრდის ყოველმხრივი დაბალანსების უზრუნველყოფა საწარმოო პოტენციალისა და მთელი რესურსების გამოყენების მაღალი ეფექტიანობისა და, აგრეთვე, ეკონომიკის განვითარების ახალი პირობების შესაბამისად სამეურნეო მექანიზმის მუდმივი სრულყოფის საფუძველზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვის სრულყოფა

10. ყველა საგეგმო ორგანოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დახმარებისათვის საჭირო პირობების შექმნა დაგეგმვის სრულყოფის, ეკონომიკური მეთოდების, ბერკეტებისა და სტიმულების გამოყენების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების შერწყმას მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებთან, მათს უსწრაფესად და მასშტაბურად გამოყენებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ნამდვილად გადაქცევას გეგმების მზიდ კონსტრუქციად.

11. ძირეულად გადაისინჯოს მართვის ყველა დონეზე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმების შინაარსი და შემადგენლობა, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი:

სახალხო-სამეურნეო დაგეგმვა ძირითადად წარიმართოს საზოგადოებრივი წარმოების გამარევოლუციურებელ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარ მიმართულებათა, დარგთაშორისი ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრამათა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიე-

რულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის სარეალიზაციოდ, აგრეთვე დარგთაშორისი მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსების განსავითარებლად;

დარგობრივი დაგეგმვა წარიმართოს პერსპექტიული ტექნიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, პრინციპულად ახალ სახეობათა პროდუქციის გამოსაშვებად და თითოეულ დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და პროგრესულ ტექნოლოგიათა ფართო მასშტაბით გამოყენების უზრუნველსაყოფად;

საწარმოებსა და გაერთიანებებში დაგეგმვა დაექვემდებაროს წარმოების ტექნიკური დონის სისტემური ამაღლების, პროდუქციის განახლების, ხარისხის გაუმჯობესებისა და მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ამოცანას.

12. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის შემუშავების პროცესში განახორციელონ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ყველაზე პერსპექტიულ და პრიორიტეტულ მიმართულებათა შერჩევა და დასაბუთება, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ძრავალგზის ამაღლება, რესურსდაზოგვის თვისებრივად ახალი დონე. ამის საფუძველზე განსაზღვრონ დარგთაშორისი ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების ნუსხა და შემადგენლობა.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი პერიოდის ძირითად მიმართულებებში გათვალისწინებულ იქნეს უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის გზები, განისაზღვროს სამუშაოთა შესრულების ეტაპები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების სფერო და მასშტაბები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებათა შესაბამისად გაითვალისწინონ ხუთწლიან გეგმებში ტექნიკურ სიახლეთა, გამოგონებათა, ლიცენზიათა, საბაზო ტექნოლოგიათა რეალიზაციისათვის საჭირო ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი.

უარყოფილ იქნეს სახელმწიფო გეგმებში იმ დაკსაქსულ დავალებათა დაწესების პრაქტიკა, რომლებიც განსაზღვრავენ კერძო საკითხების გადაწყვეტას, და დამკვიდრდეს დამტკიცება განმაზოგადებელი მაჩვენებლებისა, რომლებიც ახასიათებენ სახალხო-სამეურნეო დონეზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგიანობას — საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუგების ზრდა, წარმოების მასალატევადობისა და ენერგიატევადობის შემცირება, მისი ტექნიკური დონისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

13. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მხედველობაში მიიღოს წამყვანი როლი დარგთაშორისი მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსებისა, როგორც მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ყველაზე ეფექტიანი ფორმისა, რაც უზრუნველყოფს სწრაფ წინსვლას ტექნიკისა და ტექნოლოგიის უახლეს დარგებში, გაითვალისწინოს სახელმწიფო გეგმების შესაბამის განაყოფებში ამ კომპლექსების, როგორც დამოუკიდებელი ობიექტების, განვითარების მიზნობრივი დავალებები, სრულყოს მათი საქმიანობის დაგეგმვის პრაქტიკა იმ საჭიროების გათვალისწინებით, რომ კომპლექსში შემავალ ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შედეგები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მთლიანად კომპლექსის საქმიანობის საბოლოო შედეგს, აგრეთვე ფართოდ იქნეს ტირაჟირებული მისი ნამუშევრები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოსაყენებლად.

14. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შესრულებისა და ამ პროგრამის დავალებათა და ღონისძიებათა შესაბამისად შემუშავებული და ათვისებული ახალი ტექნოლოგიითა და ტექნიკით სსრ კავშირისა და თანამეგობრობის დაინტერესებული ქვეყნების სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების ფორმირებისას უზრუნველყონ ამ პროგრამის დავალებათა რეალიზაცია, გაითვალისწინონ საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსები.

15. სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა მაღალეფექ-

ტიანი საქმიანობის უზრუნველყოფა. გადაიყვანონ ამ ორგანიზაციათა დაგეგმვისა და მართვის მთელი სისტემა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე საკონკურსო საწყისების, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, შემკვეთთა მიერ მეცნიერული ნამუშევრების გამოყენების ეფექტის შესაბამისად მათი ანაზღაურების პრინციპების გამოყენებით.

საწარმოებმა (გაერთიანებებმა) ფართოდ გამოიყენონ მეცნიერების საქარხნო სექტორის შესაძლებლობანი, აქტიურად მიიზიდონ სამეურნეოანგარიშიან სახელშეკრულებო საწყისებზე დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა შემოქმედებითი კოლექტივები გამოსაშვები პროდუქციის წარმოების განვითარებისა და ხარისხის ამაღლების ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

საწარმოთა (გაერთიანებათა) მიერ გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლებაზე ცენტრალიზებული გეგმიანი ზემოქმედების გასაძლიერებლად საჭიროდ ჩაითვალოს სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობაში უმნიშვნელოვანეს სახეობათა ახალი პროდუქციის ათვისების დავალებათა დამტკიცება.

ინვესტიციების დაგეგმვის გარდაქმნა

16. მართვის ეკონომიკური მეთოდების ფართოდ გამოყენების და სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე გადასვლის პირობებში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა (გაერთიანებებმა) და ორგანიზაციებმა ძირეულად გადასინჯონ ინვესტიციების დაგეგმვის პრაქტიკა, ორგანულად დაუკავშირონ იგი ახალ სამეურნეო მექანიზმს და უზრუნველყონ კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების რადიკალური გაუმჯობესება, მათი ეფექტიანობის ამაღლება, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობა.

17. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ პერსპექტივისათვის საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრის მეცნიერული დასაბუთებულობა. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტის ფორმირებისას მოხ-

მარებისა და დაგროვებისათვის ეროვნული შემოსავლის გამოყენების პროპორციების, საამორტიზაციო ფონდისა და კვლავწარმოების სხვა წყაროების ღრმა დამუშავების საფუძველზე განსაზღვრონ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა და დაასაბუთონ მისი განაწილება საწარმოო და არასაწარმოო სფეროებსა და სახალხო-სამეურნეო კომპლექსებს შორის.

კომპლექსების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა საგეგმო მოცულობის პერსპექტივისათვის განსაზღვრას საფუძვლად დაუდონ საზოგადოებრივი წარმოების პროგრესული სტრუქტურის მიღწევის, ხალხის კეთილდღეობის ზრდისა და ეკონომიკის განვითარების დასაბული ტემპის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით უარყონ სახალხო მეურნეობის საერთო მოცულობაში ცალკეული კომპლექსების მიხედვით კაპიტალდაბანდებათა წინასწარ ფიქსირებული და უცვლელი წილის დაწესების დამკვიდრებული პრაქტიკა.

18. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ხუთწლიანი გეგმების ფორმირებისას უზრუნველყონ საინვესტიციო პოლიტიკის თვისებრივად ახალი მოთხოვნების რეალიზაცია. სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და საწარმოების (გაერთიანებების) სამეურნეოანგარიშიანი ფონდებისა და მათ მიერ გამოყენებული კრედიტების ხარჯზე განსახორციელებელ არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ოპტიმალური შეხამების საფუძველზე შეიმუშაონ საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდების შექმნის მეცნიერულად დასაბუთებული დარგობრივი ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივები, იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოებმა (გაერთიანებებმა) და ორგანიზაციებმა გამომუშავებული ფონდების ხარჯზე უნდა უზრუნველყონ მოქმედი წარმოების ტექნიკური გადაიარაღება, რეკონსტრუქცია და გაფართოება და საცხოვრებელსა და სხვა სოციალურ სიკეთეებზე შრომითი კოლექტივების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობისა და სტრუქტურის დაგეგმვისას დაემყაროს იმას, რომ მათ უნდა უზრუნველყონ დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო, სოციალური, დარგთაშორისი და რეგიონალური პრობლემების გადაჭრა, აგრეთვე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება.

19. დაწესდეს, რომ სამეურნეოანგარიშიანი ფონდების სახსრების

ეფექტიანი გამოყენების მიზნით საწარმოები (გაერთიანებები) და ორგანიზაციები დამოუკიდებლად შეიმუშავებენ მოქმედი წარმოების ტექნიკური გადაიარაღებისა და რეკონსტრუქციის, აგრეთვე სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარების გეგმებს. გაძლიერდეს პასუხისმგებლობა დასაგეგმ საწარმოო-ტექნიკურ და სოციალურ ღონისძიებათა ეკონომიკური დასაბუთებისათვის, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ისინი მთელი სახალხო მეურნეობის დაბალანსებული განვითარების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შექმნან საწარმოთა სახსრებით განსახორციელებელი საწარმოო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მატერიალური რესურსებით და საჭირო შემთხვევებში საიჯარო სამუშაოებით შეუფერხებელი და ეფექტიანი უზრუნველყოფის პირობები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სამეურნეო წესით მშენებლობის განვითარებას და სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიულ ორგანოთა მეშვეობით უზრუნველყონ მისი მოთხოვნილებანი მატერიალურ რესურსებზე.

20. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საწარმოებმა (გაერთიანებებმა) და ორგანიზაციებმა, მომავლის ეკონომიკის ფორმირებაში საინვესტიციო პოლიტიკის განმსაზღვრელი როლის გათვალისწინებით, იხელმძღვანელონ იმ უცილობელი მოთხოვნით, რომ გეგმაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მშენებლობის ობიექტები, რომელთა საპროექტო და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები შეესაბამება უმაღლეს თანამედროვე და საპროგნოზო მეცნიერულ-ტექნიკურ და ეკონომიკურ მიღწევებს.

სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გაზარდონ მომთხოვნელობა საპროექტო ორგანიზაციებისადმი, უფრო ფართოდ დაამკვიდრონ პრაქტიკაში საკონკურსო დაპროექტება. საჭიროდ ჩაითვალოს ამაღლდეს სსრ კავშირის სახმშენის სისტემის ექსპერტიზის როლი და მნიშვნელობა, დაეკისროს მას დიდმნიშვნელოვანი და ტექნიკურად რთული პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის განხორციელება.

21. სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, მოკავ-

შირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად მეცამეტე ხუთწლედის დაწყებამდე გადასინჯონ საწარმოებისა და ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ასამოქმედებელ სიმძლავრეთა ათვისების ვადების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტები იმ მიზნით, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანების შესაბამისად უზრუნველყონ საინვესტიციო ციკლის ხანგრძლივობის მკვეთრი შემცირება და ახალ საწარმოთა საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა.

22. ძირეულად გარდაიქმნას საიჯარო და სამეურნეო წესით შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოთა დაგეგმვის პრაქტიკა. მიესადაგოს მისი მეთოდები კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების ფორმირების, სამშენებლო წარმოების მართვის ახალ პირობებს, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციათა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ხუთწლიანი გეგმების ფორმირებისათვის საჭირო დაგეგმვის საწყისი მონაცემების შემადგენლობაში დაუგზავნის სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რომელთა საიჯარო ორგანიზაციები ახორციელებენ მშენებლობას, საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობებს, როგორც სამშენებლო ორგანიზაციების მიერ საიჯარო ხელშეკრულებათა დადების საფუძველს.

საწყისი მონაცემების შესაბამისად სამშენებლო ორგანიზაციებს თავიანთ გეგმებში სავალდებულო წესით შეაქვთ ის ობიექტები და მშენებლობანი, რომლებზეც იქმნება სახელმწიფო შეკვეთებით გათვალისწინებული სიმძლავრეები.

რუსეთის სფსრ ტერიტორიაზე მომუშავე რესპუბლიკური სამშენებლო სამინისტროებისა და საერთო-საკავშირო სამშენებლო სამინისტროების მიხედვით საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან: სსრ კავშირის საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოო დანიშნულების კონკრეტული ობიექტებისაგან, რომელთა ფორმირებას ახდენს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოო დანიშნულების ობიექტებისაგან, რომელთაც განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, და სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტებისაგან, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად.

23. სამშენებლო ბაზის გეგმაზომიერი განვითარების, წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის განვითარების გეგმების ორგანული დაკავშირების და საჭირო მარაგნამეტის შექმნის მიზნით დაწესდეს, რომ მშენებლობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პერსპექტიულ გეგმებს საფუძვლად უნდა ედოს საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემები.

საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციათა განსავითარებლად სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის განსაზღვრისა და მათი სამეურნეოანგარიშიანი ფონდების შექმნის ნორმატივების დაწესებისას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს, რომ აუცილებელია სამშენებლო ბაზის წინმსწრები განვითარება. ამასთან დაკავშირებით გააუქმოს შემკვეთ სამინისტროთა წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე ამ სამუშაოთა დაფინანსების პრაქტიკა.

24. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმშენმა გაითვალისწინონ გეგმებში, რომ მშენებლობის საიჯარო ფორმასთან ერთად, რომელიც ძირითადია, სათანადოდ უნდა განვითარდეს მშენებლობის სამეურნეო წესი მოქმედ საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღების, რეკონსტრუქციისა და გაფართოების, აგრეთვე მათი სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარების სამუშაოთა შესასრულებლად.

გეგმების სოციალური მიმართულობის გაძლიერება

25. პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმაღლესი მიზნის შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, გაერთიანებებმა (საწარმოებმა) და ორგანიზაციებმა პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარება, უზრუნველყონ გეგმებში ისეთი საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან, მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებასთან.

გაძლიერდეს გეგმის ზემოქმედება მოხმარების სტრუქტურის რაციონალიზაციაზე. უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის — წარმოებაში დასაქმებული პირების, ბავშვების, ახალგაზრდობის, უფროსი ასაკის ადამიანების მოთხოვნილე-

ბათა სპეციფიკური თავისებურებანი, აგრეთვე რეგიონალური და კლიმატური პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოხმარებული დოვლათის ხასიათზე, შემადგენლობასა და სტრუქტურაზე.

26. სოციალური განვითარების დაგეგმვაში „ნარჩენობითი მიდგომის" დასაძლევად, აქტიური და სამართლიანი სოციალური პოლიტიკის განსახორციელებლად, ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიხედვით სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის უფრო დასაბუთებული განლაგების უზრუნველსაყოფად პერსპექტიული გეგმების ფორმირებას საფუძვლად დაედოს მოსახლეობის საცხოვრებლით, საავადმყოფოებით, სკოლებით, საბავშვო ბაღებით, კლუბებითა და არასაწარმოო სფეროს სხვა ობიექტებით უზრუნველყოფის მეცნიერულად დასაბუთებული სოციალური ნორმატივები და გათვალისწინებულ იქნეს მათი თანამიმდევრული და ეტაპობრივი მიღწევის ღონისძიებანი.

სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული სოციალური ნორმატივების გამოყენება ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის, ახალ საწარმოთა და წარმოებათა დაპროექტების, მშენებლობის და უკვე მოქმედის რეკონსტრუქციის, შრომის ორგანიზაციისა და პირობების გაუმჯობესების, აგრეთვე გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელების დროს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქინისტროებმა და უწყებებმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით ორგანიზაცია გაუწიონ ზემოაღნიშნულ ნორმატივთა ხარისხიანად დამუშავებას და გამოიყენონ ისინი მომავალი 15-წლეულის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტის მაჩვენებელთა განსაზღვრისას.

27. დაწესდეს, რომ მართვის ყველა დონეზე გეგმების შემუშავებისას საჭიროა მკაცრად იქნეს გათვალისწინებული საწარმოო და სოციალური სფეროებისა და მთელი ინფრასტრუქტურის შეთანხმებული განვითარების პრინციპი. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე სახელმწიფო გეგმაში შესატანი საწარმოებისა და ობიექტების ნუსხის ფორმირების დროს გაითვალისწინონ მიზნობრივი დანიშნულებით სახსრების გამოყოფა დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით სოციალური სფეროს განსავითარებლად.

სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა მიერ გამომუშავებული სახსრების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით ამაღლდეს მათი სოციალური განვითარების გეგმების და გამოყენების ძირითად მიმართულებათა მიხედვით სახსრების განაწილების დასაბუთების დონე, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ პირველ რიგში დაკმაყოფილდეს შრომითი კოლექტივების საარსებო მოთხოვნილება საცხოვრებლით, საბავშვო დაწესებულებებით, სამკურნალო-პროფილაქტიკური ბაზებით, სხვა სოციალური ობიექტებითა და მომსახურებით.

გათვალისწინებულ იქნეს კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაჩქარებული განვითარება, მოსახლეობის სახსრების აქტიური გამოყენება მისი გაფართოებისათვის, განსაკუთრებით სოფლად.

28. დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს ამოცანად და გეგმის ხარისხის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ჩაითვალოს შესაბამისი საქონლისა და მომსახურების მოცულობასთან მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სრული დაბალანსება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ხანგრძლივი და ხუთწლიანი გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინოს საჭმხმარებლო საქონლის წარმოებასთან და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული დარგების დაჩქარებული განვითარება, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბაზრის გაჯერება ამ საქონლით (მომსახურებით), მათი ხარისხის არსებითი ამაღლება და ასორტიმენტის გაფართოება. თანამიმდევრულად გაატაროს გეგმებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაწევაში სახალხო მეურნეობის დარგების ყველა საწარმოს ყოველმხრივი მიზიდვის ხაზი, მათი პროფილისა და სპეციალიზაციის მიუხედავად. შექმნას საჭირო პირობები კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ყოველმხრივი გაშლისათვის.

გაითვალისწინოს გეგმებში ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უცილობლივ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების განვითარების 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამა.

29. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის ბანკებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გააძლიერონ მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდის გეგმიანი რეგულირება საქონლის წარმო-

ებისა და მომსახურების გაწევის მოცულობათა დინამიკასთან კავშირში. დაემყარონ იმას, რომ გეგმით გათვალისწინებული სოციალური ღონისძიებანი მთლიანად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით.

ტერიტორიული დაგეგმვის სრულყოფა

30. დაგეგმვის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ჩაითვალოს მისი ზემოქმედების გაძლიერება მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქვეყნის ეკონომიკური რაიონების, განსაკუთრებით ისეთი დიდი რაიონების კომპლექსურ განვითარებაზე, როგორიცაა ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი, რესპუბლიკებისა და რეგიონების მეურნეობათა რაციონალურ სპეციალიზაციაზე, შრომის საერთო-საკავშირო განაწილების გაღრმავებაზე.

დარგებისა და რესპუბლიკათა, მხარეთა და ოლქთა ტერიტორიების მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებას საფუძვლად დაედოს საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემები, არსებითად ამაღლდეს ამ გეგმების შედგენის ხარისხი და მათში მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთება.

15-წლიანი პერიოდისათვის სსრ კავშირის საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების გენერალურ სქემას შეიმუშავებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი ორგანოების მიზიდვით და ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. დარგობრივ და ტერიტორიულ სქემებს ამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით.

31. დაიწყოს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება, რომლებიც უნდა ითვალისწინებდნენ შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა (გაერთიანებისა) და ორგანიზაციის განვითარებას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. ამასთან საერთო-საკავშირო სამინისტროები და უწყებები საქვეუწყებო საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და ორგანიზაციების მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წარუდგენენ შესაბამის მაჩვენებლებს ამ გეგმებში შესატანად.

მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებმა

უნდა უზრუნველყონ ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებისათვის მინიჭებული ფართო უფლებების შესაბამისად.

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომები გეგმების შემუშავების პროცესში კოორდინაციას უწევენ საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა საქმიანობას მათს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და მათ ტერიტორიაზე არსებულ ყველა საწარმოს ეფექტიანი მუშაობის საჭირო პირობებს უქმნიან.

ქალაქ მოსკოვის, მოსკოვის ოლქის, ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური დაგეგმვა ხორციელდება მოქმედი წესის შესაბამისად.

32. დაწესდეს, რომ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისა და ფასიანი მომსახურების სფეროს გაფართოების, ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების, მეორეული რესურსების გამოყენების, გარემოს დაცვის, აგრეთვე შრომითი რესურსების გამოყენების ღონისძიებანი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური ანვითარების კომპლექსური გეგმების საფუძველზე.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ახორციელებენ ხელმძღვანელობას მთელი სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი, კოორდინაციას უწევენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა საქმიანობას ამ დარგში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები მთლიანად პასუხისმგებელი არიან საქონლის გამოშვებისა და ფასიანი მომსახურების გაწევის მოცულობასთან მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის საერთო დაბალანსებისათვის, ადგილობრივ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებით კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების მიზნით საწარმოთა საქმიანობის კოორდინაციისათვის. ისინი კოორდინაციას უწევენ აგრეთვე სოციალური სფეროს განვითარებას დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე და მთლი-

ანად რესპუბლიკასა და რეგიონში ამ სფეროს ობიექტების აშენებლობის გეგმების შესრულებას.

33. გაძლიერდეს გეგმებში დამოკიდებულება მოკავშირე რესპუბლიკებისა და ცალკეული რეგიონების სოციალური განვითარებისათვის განკუთვნილ ფინანსურ რესურსებსა და შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს შორის.

მეცამეტე ხუთწლედიდან დაწყებული, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების შეფასებისას გამოყენებულ იქნეს წარმოებული ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების მონაწილეობით შეიმუშაონ სისტემა ეკონომიკური ნორმატივებისა, რომლებიც აწესებენ დამოკიდებულებას მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტებში საწარმოთა და სოციალური ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და სრულყოფისათვის გათვალისწინებულ ფინანსურ რესურსებსა და წარმოებულ ეროვნულ შემოსავალს შორის. აგრეთვე განსაზღვრონ ამ სახსრების ხარჯზე გადასაწყვეტი რეგიონალური ამოცანების ნუსხა.

34. რესპუბლიკებისა და რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისადმი ხელმძღვანელობაში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ადგილობრივი ორგანოების უფლებათა შემდგომი გაფართოებისა და ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცებაში შეტანილ წვლილთან მათ მიერ გამოყენებული რესურსების უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის მიზნით დაწესდეს, რომ 1988 წლიდან სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალური რესურსები, სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები რესპუბლიკური მეურნეობის განსავითარებლად გათვალისწინებულ იქნება მთლიანად რესპუბლიკისათვის, დარგებისა და მიმართულებათა მიხედვით მათი განაწილების გარეშე, რესპუბლიკების აგროსამრეწველო კომპლექსის, სამშენებლო სამინისტროების ან სახმშენების გარდა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ ზემოაღნიშნული რესურსების

ეფექტიანი გამოყენება შესაბამისი რესპუბლიკებისა და რეგიონების საზოგადოებრივი წარმოებისა და სოციალური სფეროს პროპორციული განვითარების მისაღწევად.

35. უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული დაგეგმვაში დემოგრაფიული პროცესები, გათვალისწინებულ იქნეს გეგმებში ცალკეულ რეგიონებში წარმოების განვითარებასა და მოსახლეობის ზრდას შორის უფრო მჭიდრო დამოკიდებულება, მიგრაციის პროცესთა მართვის შოქნილი ფორმების გამოყენება, მუშახელის ორგანიზებული შეგროვებისა და ერთი რეგიონიდან მეორეში გადაადგილების სისტემის განვითარება მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით.

ყველა რესპუბლიკა და ოლქი გადავიდეს შრომითი რესურსების ეამოყენების გაშლილი ბალანსების შემუშავებაზე.

36. ტერიტორიული დაგეგმვის ხარისხის ამაღლებისათვის აქტიურად იქნეს გამოყენებული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების მთავარ საწარმოო-ეკონომიკურ სამმართველოთა საგეგმო ორგანოების პოტენციალი. ამაღლდეს მათი როლი და პასუხისმგებლობა რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობისა და სოციალური სფეროს განვითარების გეგმების შემუშავებისათვის. შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა საწარმოსა (გაერთიანებისა) და ორგანიზაციის (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) გეგმების კოორდინაციისათვის, აგრეთვე რესპუბლიკის, რეგიონის სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის.

განმტკიცდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების მთავარ საწარმოო-ეკონომიკურ სამმართველოთა საგეგმო ორგანოების აპარატი და გაძლიერდეს მოთხოვნები მათი მუშაკების პროფესიული შემადგენლობისადმი.

გეგმის დაბალანსება სოციალისტური დაგეგმვის უარყოფი პრინციპია

37. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის სტრატეგიის თანამიმდევრული რეალიზაცია და მისი მიზნების გეგმაზომიერი უზრუნველყოფა გადაუდებელ

ამოცანად აყენებენ გეგმების სრული დაბალანსების განხორციელებას სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის ყველა დონეზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საწარმოებმა (გაერთიანებებმა) და ორგანიზაციებმა გეგმების შემუშავებისას საწარმოო და სოციალური სფეროს განვითარების პროგრამა მჭიდროდ დაუკავშირონ ყოველგვარი სახის რესურსებს — მატერიალურს, შრომითსა და ფინანსურს, უზრუნველყონ ურთიერთდაკავშირებულ სახეობათა წარმოებების სიმძლავრეთა საჭირო ურთერთდაკავშირება.

აეკრძალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად შემოიტანოს დაუბალანსებელი გეგმების პროექტები.

38. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა პრინციპულად ახალ დონეზე აიყვანოს საბალანსო მუშაობა. აამაღლოს ეკონომიკის განვითარების ტემპისა და უმნიშვნელოვანესი პროპორციების ამსახველი სახალხო-სამეურნეო ბალანსების: საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ბალანსების, სახელმწიფო საფინანსო და საგადასახდელო ბალანსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსების, შრომითი რესურსების ბალანსების როლი. ძირეულად გააუმჯობესოს მათი შემუშავების მეთოდოლოგია და პრაქტიკა.

39. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სრულყონ მატერიალური ბალანსების შედგენა, როგორც დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ახალ პირობებში ეკონომიკის განვითარების ნატურალურ-ნივთობრივი პროპორციების დაბალანსების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტებისა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახმომარაგებასთან ერთად განსაზღვროს პროდუქციის სახეობანი, რომელთა ბალანსებსა და განაწილების გეგმებს შეიმუშავებენ და ამტკიცებენ შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახმომარაგება, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები. ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს უნდა დარჩეს მხოლოდ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ბალანსებისა და განაწილების გეგმების შედგენა.

დაწესდეს, რომ მატერიალურ რესურსებთან გეგმების დაბალანსებისათვის პასუხისმგებელი არიან ორგანოები, რომელთაც ეკისრებათ მოცემული სახეობის პროდუქციის ბალანსებისა და განაწილების გეგმების დამტკიცება.

წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლასთან და პირდაპირი სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით დაევალოთ სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაონ სახალხო მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მართვისა და კონტროლის სისტემა.

40. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ მეცამეტე ხუთწლედის დამდეგისათვის უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმებისა და ნორმატივების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე და მეორეული ნედლეულის, გამოსადეგი ნარჩენებისა და წარმოების თანაპროდუქტების მაქსიმალური გამოყენების გათვალისწინებით, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ეკონომიკის ინტენსიური განვითარების პირობებში მატერიალურ რესურსებზე დამატებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მთავარი წყარო უნდა გახდეს ეკონომია მათი ეფექტიანი გამოყენების ხარჯზე.

41. არსებითად გაუმჯობესდეს მუშაობა საწარმოებსა (გაერთიანებებსა) და ორგანიზაციებში ყოველგვარი მატერიალური რესურსების ნორმირებისათვის, დაუკავშირდეს იგი რესურსდაზოგვისათვის შრომითი კოლექტივების დაინტერესების გაძლიერებას სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების დანერგვის საფუძველზე. გამოირიცხოს ტექნიკური პროექტების შემუშავებისა და ახალი სახეობის ნაკეთობათა წარმოების შემთხვევები, როცა არ არსებობს ნედლეულისა და მასალების ხარჯვის პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკებს მინისტრთა საბჭოებმა საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის მარეგულირებელი ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების, აგრეთვე

უმნიშვნელოვანეს სახეობათა ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტების შემუშავებისას მაქსიმალურად გაითვალისწინონ მათი დაზოგვის შესაძლებლობანი ამ რესურსების ხარჯვის ნორმირების სრულყოფის საფუძველზე.

42. ეკონომიკის დაბალანსების დონის ამაღლების, ხუთწლიანი გეგმების სტაბილურობის უზრუნველყოფისა და მათი შესრულების პროცესში წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით ხუთწლიანი გეგმების შემუშავებისას შეიქმნას მატერიალური, სასურსათო და საფინანსო რეზერვები. აგრეთვე სადაზღვევო ფონდები. არამართლზომიერად ჩაითვალოს დამკვიდრებული წარმოდგენა რეზერვებზე, როგორც საზოგადოებრივი წარმოების გამონაქვითზე, რომელიც აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, და მიჩნეულ იქნეს ისინი სახალხო მეურნეობის ეფექტიანი განვითარებისა და მოსახლეობის მყარი მომარაგების უცილობელ პირობად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახ. მომარაგებისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით შეიმუშაოს და წარმოუდგინოს 1988 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მატერიალური და საფინანსო რესურსების ოდენობის, შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ, რათა გათვალისწინებულ იქნეს ისინი მეცამეტე ხუთწლედის გეგმის პროექტში.

43. ხუთწლიანი გეგმების შესრულების მსვლელობაში მათი დაბალანსებისა და სტაბილურობის დარღვევის დაუშვებლობის მიზნით დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ საჭირო შემთხვევებში შემოიტანონ დადგენილებათა პროექტები ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარების შესახებ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა და ხუთწლანი გეგმების შემუშავების პროცესში მხოლოდ იმ პირობით, თუ წარმოდგენილი წინადადებანი დაკავშირებულია მატერიალურ, ფინანსურ რესურსებთან და რეზერვებთან.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვის გაუმჯობესება

44. განხორციელდეს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვის კარდინალური გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემუშავებისას უფრო სრულად იქ-

ნეს გამოყენებული შრომის საერთაშორისო განაწილების უპირატესობანი, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარება. მიღწეულ იქნეს ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურის ძირეული გაუმჯობესება და საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის ეფექტიანობის ამაღლება, მთლიანად უზრუნველყოფილ იქნეს გეგმებში რესურსების პირველ რიგში გამოყოფა საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისათვის, აგრეთვე მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის ხელსაყრელ ცვლილებათა გამოყენება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გარდაქმნას საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დაგეგმვა სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე სამინისტროთა და საწარმოთა საქმიანობის ორგანიზაციის ახალი პრინციპების შესაბამისად.

45. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა აამაღლონ მთელი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციაში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების კოორდინაციის გეგმების როლი და ეფექტიანობა, ხანგრძლივი ხასიათი მისცენ ამ გეგმებს, წარმოების ღრმა სპეციალიზაციისა და კოოპერირების საფუძველზე გაითვალისწინონ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის გადიდება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკისა და მათი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის გათვალისწინებით. ამასთან ყოველმხრივ გამოიყენონ ეკონომიკური თანამშრომლობის ისეთი ახალი ფორმები, როგორიცაა უცხოეთის საწარმოებთან და ფირმებთან ფართო კოოპერაცია, ერთობლივ საწარმოთა, საერთაშორისო გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შექმნა, აგრეთვე ერთობლივი მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

46. თანამიმდევრულად განხორციელდეს კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებთან ხანგრძლივი ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებისა და გაფართოების ხაზი.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში გათვალისწინებულ იქნეს სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე საექსპორტო რესურსები საგარეო ვაჭრობის ვალდებულებათა შესასრულებლად.

სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე სახალხო მეურნეობის დარგების გადაყვანის პირობებში ფართოდ განვითარდეს სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და გაერთიანებათა სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა საზღვარგარეთის ფირმებთან დაბალანსებულ საფუძველზე.

გაძლიერდეს სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა საგარეო ვაჭრობის ოპერაციების ეფექტიანობისა და სავალუტო ამონაგების გეგმის შესრულებისათვის, ქვეყნის საექსპორტო ბაზის განვითარების, გადამმუშავებელი დარგების მაღალეფექტიანი პროდუქციის მიწოდების გაზრდის, იმპორტული მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების დონის ამაღლებისათვის.

47. უზრუნველყოფილ იქნეს საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის, როგორც სამინისტროთა, საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის განუყოფელი ნაწილის დაგეგმვის შემდგომი სრულყოფა, ამასთან აქტიურად იქნეს გამოყენებული სავალუტო ანარიცხების ფონდის შექმნის ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივები. გაძლიერდეს დამოკიდებულება საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების შედეგებსა და საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა მუშაობის საერთო ეფექტიანობასა და მათი ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ოდენობას შორის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმომარაგებამ გაითვალისწინონ გეგმებსა და მატერიალურ ბალანსებში სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა წინადადებანი პროდუქციის ექსპორტის შესახებ, უწინარეს ყოვლისა, იმათი, რომელთაც მინიჭებული აქვთ საგარეო ბაზარზე გასვლის უფლება.

III. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ

48. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხაზგასმით აღნიშნავენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განსაკუთრებულ როლსა და პასუხისმგებლობას სახალხო მეურნეობისადმი, როგორც ერთი მთლიანისადმი, გეგმიანი ხელმძღვანელობის ეფექტიანობის ამაღლებაში წარმოებითი ურთიერთობის მთელი სისტემის ყოველმხრივი დემოკრატიზაციისა და სრული ხა-

მეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა გადაყვანის პირობებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, როგორც ეკონომიკური მართვის ცენტრალურ ორგანოს, ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა გეგმებში ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ეფექტიანი და დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფისათვის, ზოგად-ეკონომიკური, დარგთაშორისი და რეგიონალური პროპორციების მეცნიერულად დასაბუთებული ფორმირებისათვის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ამოცანების პრიორიტეტული გადაწყვეტისათვის იმ მიზნით, რომ თანამიმდევრულად განხორციელდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პარტიის კურსი.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოვალეა გადაიტანოს სიმძიმის ცენტრი პერსპექტიული გეგმების შემუშავებაზე, გადაჭრით უარი თქვას სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საგეგმო საქმიანობის დეტალური რეგლამენტაციისა და მიმდინარე რეგულირების მისთვის უჩვეულო ფუნქციებზე; აამაღლოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-საწარმოო ბაზის, მისი სტრუქტურისა და საწარმოო ძალთა განლაგების თვისებრივი ცვლილებების განმსაზღვრელ დიდ ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის გზების მეცნიერული ანალიზისა და დამუშავების დონე; მკვეთრად შემოაბრუნოს თავისი საქმიანობა სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტისაკენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის თვისებრივად ახალი დონის მიღწევის მიმართულებათა, გზებისა და ეტაპების ღრმა დამუშავების საფუძველზე.

49. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ჩაითვალოს მუშაობა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნისა და განუწყვეტელი სრულყოფის, დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების ურთიერთდაკავშირების უზრუნველსაყოფად იმ მიზნით, რომ ეფექტიანად მოქმედებდეს სამეურნეო მართვის მთელი სისტემა.

თანამიმდევრულად დაეუფლოს ეკონომიკურ მეთოდებს, სრულყოს დაგეგმვის ორგანიზაცია და მაჩვენებელთა სისტემა, აქტიური ხარჯვასაწინააღმდეგო ხასიათი მისცეს მათ. საჭირო წანამძღვრებით უზრუნველყოს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა მუშაობა, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად მათი შრომითი კოლექტივების ინიციატივის გან-

ვითარება, შექმნას მართვის ყველა დონეზე დაგეგმვის პროცესის ყოველმხრივი დემოკრატიზაციის პირობები.

50. ეკონომიკის პროპორციული განვითარებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებლობის ამაღლების პირობებში დაიწყოს გეგმების ფორმირება სახალხო-სამეურნეო კომპლექსების — მანქანათაშენებელი, სათბობ-ენერგეტიკული, მეტალურგიული, ქიმიურ-სატყეო, აგროსამრეწველო, სამშენებლო და სხვა კომპლექსების მიხედვით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სახელმწიფო გეგმების პროექტების მომზადების ყველა სტადიაზე უზრუნველყოს მჭიდრო ურთიერთმოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისადმი ხელმძღვანელობის მუდმივ ორგანოებთან კომპლექსებში შემავალ დარგთა შეთანხმებული განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების და ამის საფუძველზე კომპლექსების საბოლოო პროდუქციაზე მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ცალკეული კომპლექსების განვითარების მიჯნაზე წამოჭრილი პრინციპული საკითხების გადაწყვეტას.

51. ამაღლდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლი დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ფასწარმოქმნის, ფინანსების, შრომის ანაზღაურების, ფულის მიმოქცევის, კრედიტის დარგში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის და გაძლიერდეს მისი როლი ქვეყნის ყველა ცენტრალური ეკონომიკური ორგანოს საქმიანობის კოორდინაციისათვის.

ამ ფუნქციის განსახორციელებლად შეიქმნას ეკონომიკური საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მეთაურობით და დაეკისროს ამ საბჭოს დიდი სახალხო-სამეურნეო პრობლემების განხილვა, ეკონომიკის, მისი ცალკეული სფეროებისა და რეგიონების განვითარების პერსპექტივათა კომპლექსური პროგნოზების შედგენა, შეთანხმებული პოზიციების შემუშავება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტების ფორმირებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებისას.

ზემოაღნიშნული საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავში-

რის ფინანსთა მინისტრი, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახბანკის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

52. საგეგმო ეკონომიკურ დაწესებულებათა შემუშავების მეცნიერული დონის ასამაღლებლად საჭიროდ ჩაითვალოს გაძლიერდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის ურთიერთკავშირი სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სამეცნიერო დაწესებულებებთან მათი ნამუშევრების საგეგმო პრაქტიკაში უფრო სრულად გამოყენების მიზნით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გააუმჯობესონ დაგეგმვის დარგში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ორგანიზაცია, უზრუნველყონ გამოკვლევათა მეცნიერულ-თეორიული დონისა და მათი პრაქტიკული მნიშვნელობის ამაღლება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ დარგში მეცნიერულ მიმართულებათა შერჩევასა და შეფასებას. უზრუნველყონ მეცნიერული ძალების კონცენტრაცია ეკონომიკის განვითარების დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, განაწილების პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების, სოციალური პროგრესის, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მართვის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის აქტუალურ პრობლემათა კომპლექსურ გამოკვლევაზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღონ ზომები საინფორმაციო ბაზის მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის, უზრუნველყონ მისი სარწმუნოობისა და ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის მისაწვდომობის ამაღლება.

უზრუნველყონ დაგეგმვის პრაქტიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზირების მეთოდების, საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემის ფართოდ გამოყენებისა და განვითარების პირობებში დარგთაშორისი დაბალანსების მეთოდების დანერგვა.

53. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა არსებითად აამაღლოს ეკონომიკური და ანალიზური მუშაობის დონე. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად ყოველწლიურად წარმოუდგინოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბ-

ჭოს მოხსენება ქვეყნის ეკონომიკური ვითარების შესახებ სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობის, მასში მიმდინარე მოვლენების, სტრუქტურული ცვლილებების დახასიათებითა და სათანადო ღონისძიებებითურთ, რომელთა განხორციელება საჭიროა პოზიტიური ძვრების განსამტკიცებლად და წარმოშობილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, აგრეთვე მიმოხილვები დიდმნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე.

54. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გააძლიეროს მეთოდიკური ხელმძღვანელობა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების, ტერიტორიული საგეგმო ორგანოების, აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა საგეგმო სამსახურების საგეგმო მუშაობისადმი. გადასინჯოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ გამოცემული ყველა მეთოდიკური მითითება და საგეგმო დოკუმენტაციის ფორმა, იმ მიზნით, რომ შეუსაბამოს ისინი ახალი სამეურნეო მექანიზმისა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებს, გააუქმოს ადგილობრივი საგეგმო ორგანოების, სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების უფლებათა დაუსაბუთებელი შეზღუდვები.

55. ახალი ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად გადაისინჯოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს კრებსით და ფუნქციონალურ ეკონომიკურ განყოფილებათა როლის არსებითი ამაღლების აუცილებლობა, დაძლეულ იქნეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატის სტრუქტურის ვიწროდარგობრივი მიმართულება და ორგანიზებულ იქნეს მუშაობა სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მიხედვით სახალხო მეურნეობის დაგეგმვისათვის.

56. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიამ იხელმძღვანელოს სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით და ძირეულად გარდაქმნას მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, მიიჩნიოს იგი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის გაძლიერების ერთ-ერთ გადამწყვეტ საშუალებად. მიიღოს ქმედითი ზომები მუშაკთა პროფესიული დონის ასამაღლებლად, განსაკუთრებით ეკონომიკის დარგში, იმ ახალი ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც დგას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე.

გააუმჯობესოს მუშაობა დასაწინაურებელი კადრების რეზერვის მოსამზადებლად. დააკომპლექტოს სსრ კავშირის სახელმწიფო სა-

გეგმო კომიტეტი პოლიტიკურად მოწიფული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომელთაც უნარი შესწევთ ღრმად გააანალიზონ, კრიტიკულად და პასუხისმგებლობით შეაფასონ სახალხო მეურნეობაში არსებული მდგომარეობა, დაინახონ მისი განვითარების პერსპექტივები და ეფექტიანი გზები, უზრუნველყონ სათანადო საერთო-სახელმწიფოებრივი მიდგომა საგეგმო საკითხებში, თანამიმდევრულად და დაუცხრომლად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი.

დროულად გადაწყვიტოს კადრების განახლების საკითხები, მიაღწიოს იმას, რომ უფროს თაობათა მაღალკვალიფიციური კადრების გვერდით შრომობდნენ და გამოცდილებას იძენდნენ ახალგაზრდა პერსპექტიული მუშაკები.

აამაღლოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების ქმედითობა და როლი მათი ინიციატივისა და აქტიურობის განვითარების, დაკისრებულ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების, კადრებისადმი მომთხოვნელობის ამაღლების საქმეში.

57. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან მისი უმაღლესი ეკონომიკური კურსების ბაზაზე შეიქმნას საგეგმო-ეკონომიკური აკადემია ქვეყნის ცენტრალური და რესპუბლიკური ეკონომიკური ორგანოების, სამინისტროთა და უწყებათა საგეგმო სამსახურების ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა მოსამზადებლად და გადასამზადებლად.

განუწყვეტლივ დაიხვეწოს საგეგმო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მათ მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, დაგეგმვისა და მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანი მეთოდების შესწავლას.

58. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პარტიულმა კომიტეტმა დაუცხრომლად იბრძოლოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სრულყოს პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები. კომუნისტებისა და ყველა მუშაკის ძალისხმევა მოახმაროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის სტრატეგიული კურსის განხორციელებას.

აამაღლოს პარტიული ორგანიზაციის როლი და აქტიურობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, ამ საქმეში საჯა-

ოობის გაძლიერებისათვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

გააუმჯობესოს კოლექტივში იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, წარმართოს იგი მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის, იდეური სიმწიფის, დისციპლინის განუხრელი დაცვის, სოციალისტური მორალის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახრებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით მუშაკთა აღზრდისათვის.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ რა დასახული ამოცანების დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობასა და მასშტაბურობას დაგეგმვისა და მთლიანად სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის დარგში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მათს წარმატებით რეალიზაციას. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს თანამიმდევრულად და ეტაპობრივად საჭირო ეკონომიკური და ორგანიზაციული წანამძღვრების შექმნის გათვალისწინებით. ამოცანა ის არის, რომ მეცამეტე ხუთწლიანი გეგმა შემუშავდეს ახალი დაგეგმვის პრინციპებისა და სამეურნეო მართვის მეთოდების სრული შესაბამისობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ავალებენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებსა (გაერთიანებებს) და ორგანიზაციებს, ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებს, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები დაგეგმვის სისტემის წარმატებით გარდაქმნისათვის, პრაქტიკაში მეურნეობის გაძღოლის ახალი ფორმებისა და მეთოდების აქტიური დანერგვისათვის პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 817

1987 წლის 17 ივლისი

ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის მართვაში სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ პარტიის XXVII ყრილობაზე მოწონებული სტრატეგიული კურსის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკურ მიჯნებზე ქვეყნის გასვლის უზრუნველყოფას, ხალხის კეთილდღეობის აღმავლობას, მოითხოვს განხორციელდეს ფართო მასშტაბის ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი, ძირეულად გარდაიქმნას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მართვის სისტემა.

ქვეყანაში შექმნილია ძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გადავწყვიტოთ ბევრი რთული სახალხო-სამეურნეო ამოცანა. ამასთანავე მისი გამოყენების ეფექტიანობა ჯერ კიდევ აშკარად არ არის საკმარისი. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ჩვენს ქვეყანაში დამუხრუჭდა. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით დაშვებულია ჩამორჩენა, არ არის უზრუნველყოფილი მეცნიერებისა და ტექნიკის უპირატესი განვითარება მსოფლიოში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გათვალისწინებით. კვლავ ადგილი აქვს ფაქტებს, როდესაც ყველაზე პროგრესული ტექნიკური იდეებიც კი ვერ პოულობს პრაქტიკულ რეალიზაციას. არცთუ იშვიათად გაუმართლებლად ვესესხებით საზღვარგარეთის ტექნიკურ გადაწყვეტებს, მაშინ როდესაც გვაქვს საკუთარი ნამუშევრები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალ ტექნიკურ დონეს, საბჭოთა ტექნიკისა და ტექნოლოგიის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი არ ეროწყმის ორგანულად ყველა ეკონომიკურ პროცესს.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი

არ ახორციელებს მიზანდასახულ, შეუპოვარ მუშაობას, რათა სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებთან ერთად ჩამოაყალიბოს ქმედითი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, საუნივერსიტეტო და დარგობრივი მეცნიერების აქტივიზაციას, მეცნიერებისა და წარმოების თანამოქმედების გაძლიერებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის განუხრელ დაჩქარებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სხვა ცენტრალური ეკონომიკური უწყებები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში არ ატარებენ კურსს მეცნიერებათტევადი პროდუქციის წარმოების გასაადიდებლად. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო პროგნოზები საკმაოდ ღრმად არ ასაბუთებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენას სახალხო მეურნეობის განვითარებაზე.

ამის შედეგად ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები სრულად არ ეყრდნობა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფართო გამოყენებას და არ ახდენს ჯეროვან გავლენას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალ მიმართულებათა განვითარებაზე.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება დღემდე არ გამხდარა სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების მთავარი ამოცანა. სახალხო მეურნეობის, ბევრი გაერთიანების საწარმოს სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციის განვითარება სუსტად არის დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტრატეგიულ მიზნებთან. ბევრი მეთაური ინსტიტუტი, რომლებმაც დარგში მონოპოლიური მდგომარეობა დაიკავეს, აბრკოლებს აკადემიების დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა დარგობრივ ინსტიტუტებში შესრულებული ნამუშევრების დანერგვას, ხშირად ამუხრუჭებს გამომგონებელთა წინადადებების გამოყენებას.

უაღრესად ნელა წყდება მეცნიერების მატერიალური და საცდელ-საექსპერიმენტო ბაზის განმტკიცების, სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის, მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის მომსახურების მთელი სისტემის განვითარების საკითხები. არ არის მოგვარებული სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისა და განვითარების ტენდენციების ამსახველი ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის, განზოგადებისა და გამოყენების მწყობრი სისტემა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვაში ჯეროვნად არ გამოიყენება მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობა. საგამომგონებ-

ლო და რაციონალიზატორული საქმიანობა არ არის შეთანხმებული წარმოების ტექნიკური დონისა და ეფექტიანობის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან. ბევრი დიდმნიშვნელოვანი გამოგონება ვერ პოვებს დროულ ასახვას ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში და ვერ ხორციელდება.

ცუდად გამოიყენება საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესაძლებლობანი. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების 2000 წლამდე პერიოდის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციისათვის მუშაობაში არ იგრძნობა შემოქმედებითი, ნოვატორული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფდა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სოციალისტური ქვეყნების საწარმოო-ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დინამიკურ განვითარებას.

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა დიდად არის დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიან მართვაზე. ამავე დროს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი ნელა გარდაქმნის თავის საქმიანობას ახალი მოთხოვნების შესაბამისად. მის მუშაობაში სჭარბობს მიმდინარე, ხშირად ვიწროდარგობრივი ხასიათის საკითხთა გადაწყვეტა, რომლებიც ვერ განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების საერთო-სახელმწიფოებრივ სტრატეგიას. გაუმართლებლად დიდი ყურადღება ეთმობა მეტისმეტად მომრავლებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ოპერატიულ რეგულირებას, რის გამოც კომიტეტი ვერ უთმობს მთელ თავის ყურადღებას ერთიანი სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებისა და პრაქტიკული განხორციელების საკვანძო საკითხებს, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ანალიზურ შეფასებას, დიდი დარგთშორისი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრას, დარგების საქმიანობის კოორდინაციას ტექნიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში.

სერიოზული ნაკლოვანებანია სამეცნიერო კადრების მომზადებაში, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საკადრო უზრუნველყოფაში.

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის როლი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ:

1. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტე-

ტის საქმიანობაში უმთავრესად ჩაითვალოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პარტიის სტრატეგიის განუხრელი განხორციელება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შესაძლებლობათა ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე.

უპირველესი ყურადღება დაეთმოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრას, დიდი მეცნიერულ-ტექნიკური დაგრთშორისი პრობლემების გადაჭრას, პრინციპულად ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების შემუშავების ორგანიზაციას, სახალხო მეურნეობის დარგების მეცნიერულ-ტექნიკური დონისადმი კონტროლის განხორციელებას, წარმოების შესაბამისობას საუკეთესო მსოფლიო მიღწევებთან, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების ქსელის ჩამოყალიბებას.

წარმართოს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობა ცენტრალურ ეკონომიკურ უწყებებთან, სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებთან ერთად ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შემუშავებისა და მუდმივი სრულყოფისთვის, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი წარმოების ტექნიკური დონის განუხრელი ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განმტკიცება და ეფექტიანი გამოყენება გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებლობის გაფართოების, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით მუშაობის პირობებში და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებისათვის დიდი სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მართვის ორგანოებისა და სამინისტროების პასუხისმგებლობის ამაღლება.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სისტემატურად უნდა განახორციელოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზირება, უზრუნველყოს აკადემიური, საუნივერსიტეტო და დარგობრივი მეცნიერების რესურსების კონცენტრაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებებით, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო სისტემის ხელმძღვანელობა, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარება.

2. მიჩნეულ იქნეს სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 20 წლის კომპლექსური პროგრამა უმნიშვნელოვანეს წინასაგეგმო დოკუმენტად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის სრულ შესაბამისად გრძელვადიანი და ხუთწლიანი დაგეგმვის საფუძვლად.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და სსრ კავშირის სახმშენმა განახორციელონ სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 20 წლის კომპლექსური პროგრამების შემუშავების ძირეული სრულყოფის ღონისძიებანი, აამაღლონ ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებათა, პროგრამაში მოცემული სამამულო და მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს მიღწევათა ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასებების, სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების შესახებ გამოტანილი დასკვნებისა და წინადადებების მეცნიერული დასაბუთება, ამასთან გაითვალისწინონ დასახული ამოცანების გადაწყვეტის რამდენიმე ვარიანტი, გზა და საშუალება. კომპლექსური პროგრამის შემუშავებისას უზრუნველყონ უახლოესი ხუთწლიანი პერიოდისათვის რეკომენდაციების უფრო ზუსტი კონკრეტიზაცია.

სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 20 წლის კომპლექსური პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიონ წამყვანი სამეცნიერო ორგანიზაციები, თვალსაჩინო სწავლულები და სპეციალისტები. კომპლექსურ პროგრამაზე მუშაობა უნდა წარმოებდეს მუდმივად, იგი უნდა ზუსტდებოდეს და ახლდებოდეს ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. კომპლექსური პროგრამა წარედგინება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებს არა უგვიანეს 3 წლისა მორიგი ხუთწლედის დაწყებამდე.

3. იმ მიზნით, რომ ამაღლდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების მეცნიერული დასაბუთება და ამ გეგმებში უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები წარმოების სტრუქტურასა და ტექნიკურ დონეში ძირეული ძვრების უზრუნველსაყოფად, გაძლიერდეს მისი ეფექტიანობა, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი სსრ

კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 20 წლის კომპლექსური პროგრამის საფუძველზე წარუდგენს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს კონკრეტულ წინადადებებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15 წლის ძირითადი მიმართულებებისა და კონცეფციის გამო, აქტიურად მონაწილეობს მათს შემუშავებაში.

4. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოების, სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით უზრუნველყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებათა შერჩევა და დასაბუთება.

დაეკისროს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს პასუხისმგებლობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებებით სამუშაოთა დროული და ეფექტიანი განვითარების, ამ მიმართულებებით მსოფლიო დონესთან შედარებით სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის უპირატესი განვითარებისათვის.

ძირეულად გარდაიქმნას მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების შერჩევის, ფორმირებისა და რეალიზაციისათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ შეიმუშაონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოების, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით და წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დარგთშორისი ხასიათის სახელმწიფო მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ პრინციპულად ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების შექმნას და ეკონომიკის განვითარებისათვის გამარევოლუციურებელი მნიშვნელობის მქონე დიდი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტას, სამამულო წარმოების გასვლას უმაღლეს მსოფლიო დონეზე. სახელმწიფო მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების ნუსხა განისაზღვრება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის პროგრამის შემუშავებისას. ეს პროგრამები გამოიყენება რიდესაც დგება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების, ხუთწლიანი გეგმების პროექტები და რო-

დესაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, უწყება-სამინისტროები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ადგენენ საკონტროლო ციფრებსა და სახელმწიფო შეკვეთებს.

5*.

6. დაეკისროს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსებისადმი ხელმძღვანელობა.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსებისათვის დაკისრებული სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებების პრიორიტეტული განვითარება, გაუწიოს კონტროლი, თუ რამდენად შეესაბამება მათი გამოკვლევებისა და ნამუშევრების დონე უმაღლეს მსოფლიო მიღწევებს და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პერსპექტიულ ტენდენციებს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სსრ კავშირის შესაბამის უწყება-სამინისტროებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად უზრუნველყოს მათი საქმიანობის ძირეული გაუმჯობესება, აქტიურად მონაწილეობდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესაბამის განყოფილებებში ამ კომპლექსების როგორც დამოუკიდებელი ობიექტების განვითარების, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში მათი ნამუშევრების შედეგების ფართოდ გამოყენების მიზნობრივ დავალებათა ჩამოყალიბებაში.

7. მიჩნეულ იქნეს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მუშაობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების 2000 წლამდე პერიოდის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციისათვის და მისი განვითარების ღონისძიებათა შემუშავება.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს აკისრია პასუხისმგებლობა იმ მუშაობის ორგანიზაციისათვის, რომ მთლიანად ქვეყანაში შესრულდეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამა, ორგანიზაციას და კოორდინაციას უწევს მეცნიერულ კვლევებსა და სამუშაოებს, რომლებსაც სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები ეწევიან ამ პროგრამის

* არ არის მოყვანილი, ვინაიდან ერთჯერად დავალებას შეიცავს.

პრობლემებისა და დავალებების მიხედვით ეკონომიკური ურთიერთ-დახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად; იღებს გადაწყვეტილებებს საბჭოთა მხარის ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად; სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად აყალიბებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების სპეციალურ განყოფილებებს პროგრამით გათვალისწინებულ დავალებათა რეალიზაციისათვის.

8. იმ მიზნით, რომ წარმოებამ დროულად აითვისოს პრინციპულად ახალ სახეობათა ტექნიკა, ტექნოლოგია და მასალები, რომლებიც შექმნილია სახელმწიფო მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების 2000 წლამდე პერიოდის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის შესაბამისად, აგრეთვე განხორციელდეს სახალხო მეურნეობაში დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების აკადემიური და საუნივერსიტეტო მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ნამუშევრები, საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე დიდი გამოგონებანი, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის უწყება-სამინისტროების მონაწილეობით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სახელმწიფო შეკვეთების ჩამოყალიბება, წარუდგინოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებები მათი განლაგებისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში შეტანის შესახებ.

დაევალოს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასკვნები სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტების გამო იმის თაობაზე, თუ რამდენად არის გათვალისწინებული მათში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და მათი განვითარების პერსპექტიული ტენდენციები.

9. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა ჩამოაყალიბონ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემადგენლობაში დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების, აგრეთვე იმ ორგანიზაციებისა და საწარმო-

ების საცდელ-საექსპერიმენტო ბაზების განვითარების სახელმწიფო შეკვეთები, რომლებიც სახელმწიფო მიზნობრივ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრამებს ასრულებენ.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელოს მდგომარეობის სისტემატური ანალიზი და ქმედითი კონტროლი გაუწიოს საცდელ-საექსპერიმენტო ბაზისა და სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის განვითარებას ქვეყანაში.

10. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიმართულებათა განვითარების გათვალისწინებით მეცნიერებათა კანდიდატებისა და დოქტორების მომზადების ორგანიზაციისათვის სსრ კავშირის უწყება-სამინისტროთა მუშაობის ხელმძღვანელობა; შეიმუშაოს დადგენილი წესით სამეცნიერო კადრების მომზადებისა და განაწილების პერსპექტიული და წლიური გეგმები.

დაეკისროს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს კონტროლი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის საქმიანობისადმი.

ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განვითარების და ეფექტიანი გამოყენების მართვის გაუმჯობესება

11. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა პერიოდულად განახორციელოს სახალხო მეურნეობის დარგების მეცნიერულ-ტექნიკური დონის კომპლექსური ანალიზი და კონტროლი გაუწიოს წარმოების შესაბამისობას საუკეთესო მსოფლიო მიღწევებისათვის, დარგობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გამოყენებას, აკადემიურ და საუნივერსიტეტო მეცნიერებასთან მისი ურთიერთობის ეფექტიანობას.

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი აწყობს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციისა და საბაზო ტექნოლოგიების, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს საწარმოთა მშენებლობის, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების პროექტების ტექნოლოგიური ნაწილის შერჩევითს საექსპერტო შეფასებას.

სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შეფასებებისა და ანალიზის სა-

ფუძველზე ორგანიზაცია გაუწიონ იმ ღონისძიებათა შემუშავება-რეალიზაციას, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმოების და პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებას და ამ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

12. სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ის, რომ უზრუნველყონ საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების, აგრეთვე მეცნიერების საქარხნო სექტორის მაღალეფექტიანი საქმიანობა.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა პერიოდულად მოაწყოს აღნიშნულ ორგანიზაციათა სახელმწიფო შემოწმებანი, მისცეს პრინციპული შეფასება მათი საქმიანობის ეფექტიანობას, ორიენტაციას იმ მიზნით, რომ განავითარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებანი, შექმნან პრინციპულად ახალი ტექნოლოგიები და ახალ თაობათა ტექნიკა, რათა დროულად შეცვალონ მოქმედი საბაზო ტექნოლოგიები და განაახლონ გამოსაშვები პროდუქცია, აღჭურვონ ეს ორგანიზაციები სამეცნიერო ხელსაწყოებითა და ავტომატიზაციის საშუალებებით, გააუმჯობესონ მათი საცდელი და საექსპერიმენტო ბაზა. გაუგზავნონ შემოწმებათა მასალები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებს, სსრ კავშირის შესაბამის უწყება-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს. საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ წინადადებანი მეცნიერების და სამეცნიერო მომსახურების დაწესებულებათა მუშაობის პროფილის შეცვლის, იმ ორგანიზაციათა ლიკვიდაციის შესახებ, რომელთა საქმიანობა ნაკლებეფექტიანია ან არა აქვს აქტუალური მნიშვნელობა.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი განიხილავს სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებებს ახალი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების შექმნის შესახებ, ამოწმებს ამ წინადადებების მეცნიერულ და ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას. ასეთ ორგანიზაციათა შექმნა, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ იმ ამოცანების მაღალეფექტიანი გადაწყვეტისათვის, რომლებიც სახალხო მეურნეობის წინაშე დგას.

13. ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, სახალხო მეურნეობის დარგების ტექნი-

კური დონის ძირეული ალმავლობის და მეცნიერულ-ტექნიკური პროგ-
რესის მოწინავე მიჯნებზე გასვლის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს სსრ
კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის დებულება-
თა გათვალისწინებით გარდაიქმნას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრეს-
სის მართვის მთელი სისტემა, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული
გადასვლა ეკონომიკურ მეთოდებზე, რომლებიც ასტიმულირებენ გა-
ერთიანებების, საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-სა-
კონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების დაინტერესე-
ბას წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებით, პროდუქციის ხარის-
ხის გაუმჯობესებით, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების
შექმნისა და წარმოების ათვისების ვადების შემცირებით.

იხელმძღვანელონ იმით, რომ გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი ამოცა-
ნაა შეიქმნას პირობები, რომლებშიც ყოველი კოლექტივი მაქსიმალურად
აღიქვამს სიახლეებს, სისხლხორცეულად იქნება დაინტერესებული
მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენებით. ფართოდ გა-
მოიყენონ საკონკურსო, სახელშეკრულებო საწყისები მეცნიერულ-
ტექნიკურ სფეროში, მათ შორის ფუნდამენტური გამოკვლევები, რა-
თა თავიდან იქნეს აცილებული ცალკეული მეთაური ორგანიზაციის
მონოპოლია მათთვის დაკისრებულ მუშაობის მიმართულებებში.

დაეკისროს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწი-
ფო კომიტეტს შეიმუშაოს სსრ კავშირის სახელმწიფო-
საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებთან
ერთად და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობის ფართო მონა-
წილეობით მართვის სამეურნეო მექანიზმისა და აკადემიური, საუნი-
ვერსიტეტო და დარგობრივი მეცნიერების და წარმოების ინტეგრა-
ციის ფორმების სრულყოფის ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შე-
უწყობენ მეცნიერების დაწესებულებათა მუშაობისა და სამეცნიერო
მომსახურების ეფექტიანობის ამაღლებას და მეცნიერულ-ტექნიკური
მიღწევების პრაქტიკული დანერგვის დაჩქარებას, აგრეთვე ამ მექა-
ნიზმის პრაქტიკული ქმედითობის სისტემატური ანალიზი.

აწარმოოს ეს მუშაობა შემდეგი მიმართულებებით:

ა) ყოველნაირად განავითაროს სამეურნეო ანგარიშის პრინციპები
სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგი-
ური ორგანიზაციებისა და საწარმოების ურთიერთობაში სახელშეკ-
რულებო ფასების გამოყენებით და გააძლიეროს ამ ორგანიზაციებისა
და საწარმოების ორმხრივი ეკონომიკური პასუხისმგებლობა გამოკ-
ვლევებისა და ნამუშევრების შედეგების მეცნიერულ-ტექნიკური დო-
ნის, ეფექტიანობისა და ხარისხისათვის, ახალი ტექნიკის, ტექნოლო-

ბიისა და მასალების დროული შექმნისა და წარმოების ათვისებისათვის.

გაითვალისწინოს გაერთიანებების, საწარმოებისა და სამეცნიერო ორგანიზაციებისათვის ეკონომიკური შეღავათების დაწესება და მათი პასუხისმგებლობის ამაღლება პრინციპულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა-ათვისების ფართო მასშტაბის კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების, დიდი ზოგად-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების დავალებათა შესრულების დროს;

ბ) თანამიმდევრულად გადაიყვანოს სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მოგების (შემოსავლის) განაწილების ნორმატიული მეთოდის გამოყენებით;

გ) განავითაროს დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების, საინჟინრო ცენტრების, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების, დროებითი სამეცნიერო კოლექტივებისა და აკადემიური, საუნივერსიტეტო, დარგობრივი მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის სხვა პროგრესული ფორმები და აამაღლოს მათი საქმიანობის ეფექტიანობა;

დ) სრულყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვა ყველა დონეზე, ამასთან გაითვალისწინოს შემდეგი პრინციპები:

აკადემიური მეცნიერება მოვალეა საუნივერსიტეტო მეცნიერების მონაწილეობით უზრუნველყოს ფუნდამენტური კვლევის ყოველმხრივი განვითარება საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, რაც პროგრესის გზით ქვეყნის განუხრელი წინსვლის საფუძველია;

საუნივერსიტეტო მეცნიერება სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და აკადემიურ მეცნიერებასთან ერთად ფუნდამენტური კვლევის მოწყობასთან ერთად უნდა ავითარებდეს დარგობრივი და საქარხნო მეცნიერების მონაწილეობით საძიებო და გამოყენებით გამოკვლევებს და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს დარგობრივი და დარგთშორისი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადასაჭრელად (მათ შორის გაერთიანებებისა და საწარმოების შეკვეთებით);

დარგობრივი და საქარხნო მეცნიერება პასუხს უნდა აგებდეს წარმოებისა და პროდუქციის მაღალი ტექნიკური დონის, გაერთიანებებისა და საწარმოების მუდმივი სრულყოფის, განახლებისა და პროგ-

რესული საბაზო ტექნოლოგიებით აღჭურვისათვის, აგრეთვე აკადემიურ და საუნივერსიტეტო მეცნიერებასთან ერთად უზრუნველყოფდეს დროულ კომპლექსურ მომზადებას წარმოების საშუალებათა ძირეული გარდაქმნებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობენ შრომის ნაყოფიერების კარდინალურ ზრდას;

ხახალბო-სამეურნეო დაგეგმვა წარმართოს მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების რეალიზაციისათვის, მათ შორის, მიზნობრივი საშეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დავალებების, დარგთშორისი საშეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების ერთიანი გეგმების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის შესრულებისათვის, აგრეთვე ცალკეული ზოგადახალხეშეწიფოებრივი პრობლემების გადაჭრისათვის, რომლებსაც გამარეგოლუციურებელი მნიშვნელობა ენიჭებათ საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისათვის.

14. სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გაერთიანებების, საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების გადაყვანის პირობებში საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ არსებითად გადაისინჯოს საშეცნიერო-საკვლევი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების წესი. ამის საფუძველი უნდა გახდეს ორგანიზაციათა შენახვის დაფინანსებიდან გადასვლა კონკრეტული სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიზნობრივ დაფინანსებაზე ამ სამუშაოებით დაინტერესებულ შემკვეთებთან დადებული ხელშეკრულებებით. ასეთ სამუშაოთა დაფინანსების წყაროა გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრები, უწყება-სამინისტროების რეზერვებისა და ცენტრალიზებული ფონდების სახსრები, აგრეთვე საბიუჯეტო ასიგნებანი და ბანკის კრედიტები.

საბიუჯეტო სახსრებით ფინანსდება: საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგის უმნიშვნელოვანესი პერსპექტიული თეორიული გამოკვლევების სამუშაოები; ზოგადახალხეშეწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე დარგთშორისი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის სამუშაოები; საზოგადოებრივი წარმოების გამარეგოლუციურებელი პრინციპულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის სამუშაოები.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს

წინადადებანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისა და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიმართულებათა მიხედვით მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების ასიგნებათა განაწილების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით.

დაევალოს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს განახორციელოს მკაცრი კონტროლი მეცნიერების განვითარებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენებისადმი. დადგინდეს, რომ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად პასუხს აგებს ამ სახსრების ეფექტიანი გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს 6 თვის ვადაში სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსების წესი, ამ დადგენილების მიხედვით.

მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის და საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის ქმედითობის ამაღლება

15. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო სისტემის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, მისი ქმედითობის ასამაღლებლად, ამასთან გაითვალისწინოს უზრუნველყოს, რომ:

ფართოდ განავითაროს ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების, მონაცემების ბანკების შექმნისა და გამოყენების, მმართველობის ორგანოების, სამეცნიერო ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და საწარმოების უტყუარი მიზნობრივი სამამულო და საზღვარგარეთული ინფორმაციით ოპერატიული უზრუნველყოფის სამუშაოები. ანალიზური ინფორმაცია მმართველობის სხვადასხვა რგოლისათვის თავისი შინაარსით წარდგენილ უნდა იქნეს ისეთი სახით, რომ მის საფუძველზე შეიძლებოდეს საჭირო გადაწყვეტილებათა მიღება;

კომპლექსურად გადაწყვიტოს მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმა-

ციის სახელმწიფო სისტემის განვითარების ამოცანები ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიის ფართოდ გამოყენების საფუძველზე.

დაჩქარებით განავითაროს ყველა სახეობის სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურისა და დოკუმენტაციის დამუშავების ცენტრალიზებული და ტერიტორიული სისტემები, სწრაფად გააცნოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები დაინტერესებულ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

სრულყოს საინფორმაციო საქმიანობის დაგეგმვა, გააფართოოს მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სამსახურების მუშაკთა შრომის სტიმულირების ეკონომიკური მეთოდები და აამაღლოს საინფორმაციო პროდუქციის ხარისხი სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საფუძველზე.

დაეკისროს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს ზოგადი მეთოდიკური ხელმძღვანელობა და კონტროლი მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების მუშაობისადმი, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებანი მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ავტომატიზებული სისტემების ქსელის ერთობლივი გამოყენებისა და საინფორმაციო რესურსების დარგთშორისი განაწილების საკითხებზე სავალდებულოა ყველა სამინისტროსა და უწყების, აგრეთვე ინფორმაციის საკავშირო, ცენტრალური, დარგობრივი, რესპუბლიკური და დარგთშორისი ტერიტორიული ორგანოებისათვის.

16*.

17. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა გააუმჯობესოს მუშაობის ორგანიზაცია საზღვარგარეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტენდენციებისა და განვითარების დონის სისტემატური ანალიზისათვის. ნიადაგ აამაღლოს საერთაშორისო ურთიერთობის ეფექტიანობა იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მალე გადაიჭრას ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების 2000 წლამდე პერიოდის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, განახორციელოს ეს

---

* არ არის მოყვანილი, ვინაიდან ერთჯერად დავალებას შეიცავს.

საქმიანობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგარეო-ეკონომიკურ კომისიასთან მჭიდრო კონტაქტით.

აამაღლოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლისათვის მიმდინარე მუშაობის, მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების შესწავლის და სახალხო მეურნეობაში გამოყენების ეფექტიანობა.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებას სოციალისტურ ქვეყნებთან, რათა ერთად გადაწყვიტოთ უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები, ორგანიზაცია გაუწიოს ასეთ თანამშრომლობას გრძელვადიანი ორმხრივხელსაყრელი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ბაზაზე, საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კოოპერაციის, საწარმოებისა და ორგანიზაციების უშუალო ურთიერთობის განვითარებას, ერთობლივი საწარმოების, სამეცნიერო კოლექტივების, საერთაშორისო გაერთიანებების შექმნას.

18. დადგინდეს, რომ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი ხელმძღვანელობს მუშაობას საზღვარგარეთ საბჭოთა ლიცენზიების გასაყიდად, აგრეთვე უცხოეთის ლიცენზიებისა და ახალი ტექნიკის ნიმუშების შესასყიდად ამ მიზნით გამოყოფილ ცენტრალიზებულ სავალუტო ასიგნებათა ხარჯზე, ახორციელებს კონტროლს სახალხო მეურნეობაში უცხოეთის ლიცენზიებისა და ახალი ტექნიკის ნიმუშების ეფექტიანი გამოყენებისადმი, ყოველწლიურად მოახსენებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ მუშაობის მიმდინარეობას.

19.*

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობის სრულყოფა

20. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელოს მჭიდრო თანამოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებთან, ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან მეც-

---

* არ არის მოყვანილი, ვინაიდან ერთჯერად დავალებას შეიცავს.

ნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე. მიიღოს აქტიური მონაწილეობა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის გატარების, მეცნიერებისა და ტექნიკის მთავარი მიმართულებებით რესპუბლიკური ორგანიზაციების რესურსების კონცენტრაციის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხოციელებაში.

21. დაეკისროს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს ქვეყანაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობა. მიჩნეულ იქნეს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მიმდინარე მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბნად. არსებითად გაძლიერდეს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის როლი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში, ძირეულად გარდაიქმნას ამ დარგის მუშაობა.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს მშრომელთა მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედების ყოველმხრივ განვითარებას, გამოგონებების ფართო პრაქტიკული გამოყენებისათვის სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობის ამაღლებას, კონტროლის უზრუნველყოფას უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე გამოგონებების წარმოებაში დანერგვისა და ფართო მასშტაბით გამოყენებისადმი.

საჭიროდ იქნეს მიჩნეული ფართო მასშტაბის მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემებისა და მათი გადაჭრის პროექტების გამოტანა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ გარდაიქმნას სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებულ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტად.

22. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებსა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოებას იზიდავს და აბამს ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავებაში, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწეულთა გამოყენებისადმი კონტროლში, სამეცნიერო საბჭოების, კომისიე-

ბისა და ექსპერტთა ჯგუფების მუშაობაში, მეცნიერულ-ტექნიკური ინ-ფორმაციის გავრცელებასა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე საწარმოო ტექნიკური გამოცდილების პროპაგანდაში.

23. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი იქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილეები და კომიტეტის წევრები, მათ შორის, წამყვან მეცნიერთა და მრეწველობის ხელმძღვანელთა მონაწილეობით. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, სსრ კავშირის სტანდარტთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ყოველი მუდმივი ორგანოს თავმჯდომარეთა მოადგილეები და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს ჰყავს კოლეგია, კომიტეტსა და კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

24. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ ჩაებას ანალიზურ მუშაობაში წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები, მიიღოს ზომები, რათა გააქტიუროს სამეცნიერო საბჭოების საქმიანობა, აამაღლოს მათი პასუხისმგებლობა შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების დასაბუთებისათვის, სრულყოს სამეცნიერო საბჭოების ქსელი და შემადგენლობა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პერსპექტივებისა და ამ დადგენილებით კომიტეტზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

კვლავაც იხელმძღვანელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით საკადრო პოლიტიკის საკითხებზე და გააძლიეროს ყურადღება კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმისადმი, დაკისრებული საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებისადმი. კომიტეტში მომუშავე სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ მაღალი კვალიფიკაცია, შეეძლოთ ღრმად გააანალიზონ, კრიტიკულად და პასუხისმგებლურად შეაფასონ საქმის მდგომარეობა და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პერსპექ-

ტივები, ფლობდნენ მართვის თანამედროვე მეთოდებს, განახორციელონ პარტიის ეკონომიკური სტრატეგია.

25. ახალი ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად გადაისინჯოს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა. ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ საჭიროა არსებითად ამაღლდეს კრებსითი და ფუნქციური ქვეგანაყოფების როლი კომიტეტის მუშაობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, აღმოიფხვრას სტრუქტურის ვიწროდარგობრივი მიზანმიმართულობა, რათა კომიტეტის საქმიანობა წარიმართოს ახალი კალაპოტით — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც ქვეყნის წინაშეა დასახული.

26. სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პარტიულმა კომიტეტმა განუხრელად იბრძოლოს იმისათვის, რომ განახორციელოს პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სრულყოს პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები, მოახმაროს კომუნისტთა და ყველა მუშაკთა ძალისხმევა პარტიის სტრატეგიული კურსის რეალიზაციას — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე.

გაძლიერდეს პარტიული ორგანიზაციის ავანგარდული როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის გარდაქმნაში, კადრებთან მუშაობაში, გამოუმუშავდეთ მათ პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი მიდგომა საქმისადმი, უნარი — იმუშაოს გაღრმავებული დემოკრატიის, ფართო საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ადამიანთა საზოგადოებრივი და შრომითი აქტიურობის აღმავლობის პირობებში.

სრულყოს იდეურ-პოლიტიკური მუშაობა კოლექტივში, წარმართოს იგი, რათა აღზარდოს მუშაკები დაკისრებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის, იდეური სიმტკიცის, დისციპლინის განუხრელი დაცვის, სოციალისტური მორალის ნორმების ყოველგვარი გადახრის შეუწყნარებლობის სულისკვეთებით.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის როლისა და პასუხისმგებლობის ასა-

მაღლებლად დასახულ ღონისძიებათა რეალიზაცია ხელს შეუწყობს მუშაობის გარდაქმნას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, შესაძლებლობას მოგვცემს მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

დადგენილება № 818

1987 წლის 17 ივლისი

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და სსრ კავშირის სახმომარაგების ხაქმიანობის გარდაქმნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის შესახებ პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია მოითხოვს ძირეულად გარდაიქმნას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, რომელიც სახალხო მეურნეობის მართვის ერთიანი სისტემის ორგანული ნაწილი უნდა გახდეს და უზრუნველყოს მთელი ეკონომიკის, თითოეული გაერთიანებისა და საწარმოს ეფექტიანი და სტაბილური განვითარება, მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება.

მომარაგება-გასაღების მოქმედი სისტემა არ შეესაბამება სახალხო მეურნეობის განვითარების გაზრდილ მოთხოვნებს, მოუხერხებელია და კონსერვატიულია, ეწინააღმდეგება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანებს.

მატერიალური რესურსების დაგეგმვა და განაწილება უაღრესად ცენტრალიზებული, გართულებულია და ვერ უზრუნველყოფს წარმოებისა და მოხმარების სათანადო შეწონასწორებას. ასეთ პირობებში ბრკოლდება დამამზადებლებსა და მომხმარებლებს შორის ნამდვილად სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობის, მომარაგების მოქნი-

ლი ფორმების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტა.

ფართო გამოყენება ვერ პოვა საწარმოთა უშუალო ხანგრძლივმა სამეურნეო ურთიერთობამ, რომელიც ზევიდან წესდება, ხშირად ირღვევა და მეტწილად ფორმალურ ხასიათს ატარებს. დაქვეითებულია ხელშეკრულებათა როლი სამეურნეო ურთიერთობის დამყარებასა და გაღრმავებაში. იგი არ გამხდარა მომხმარებელთა კონკრეტული შეკვეთების, წარმოებისა და მოხმარების შეწონასწორების უზრუნველყოფის მიზნით გეგმების ფორმირების ქმედითი ინსტრუმენტი.

ვერ პოვა განვითარება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ისეთმა პროგრესულმა ფორმამ, როგორიც არის საბითუმო ვაჭრობა. ამის შედეგად წარმოება არ არის სათანადოდ ორიენტირებული კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მნიშვნელოვანი მოცულობის მატერიალური რესურსები ხმარდება ისეთი პროდუქციის გამოშვებას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მყიდველებს.

მომარაგების დამკვიდრებული სისტემა არ ისახავს მიზნად რესურსების დაზოგვას და მეორეული ნედლეულის უფრო სრულ გამოყენებას. არ არის უზრუნველყოფილი მატერიალური მარაგის ეფექტიანი მართვა, რომლებშიც საწარმოებს დაუსაბუთებლად გადააქვთ სამეურნეო ბრუნვიდან დიდძალი რესურსები. ამავე დროს სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოებს არ მოეპოვებათ საკმარისად მატერიალური რეზერვები სახალხო მეურნეობის სტაბილური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის სახმომარაგება არ უთმობდა ჯეროვან ყურადღებას სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას, ეყრდნობოდა უპირატესად მართვის ადმინისტრაციულ მეთოდებს, არასაკმარისად იყენებდა სამეურნეოანგარიშებრივ პრინციპებს თავისი საქმიანობის ორგანიზაციაში.

სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოები არ გვევლინებიან მატერიალური რესურსებით მომხმარებელთა უზრუნველყოფის სისტემის უმნიშვნელოვანეს რგოლად. ისინი სუსტად იცავენ მომხმარებელთა ინტერესებს მწარმოებლის დიქტატისაგან.

მოქმედებს ბევრი არაეფექტიანი საუწყებო მომარაგება-გასაღების კანტორა და ბაზა, რომლებიც სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოების მუშაობის დუბლირებას ეწევიან და დიდძალ მუშახელს აცდენენ.

სსრ კავშირის სახმომარაგების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები არ ეწევიან საჭირო სამუშაოებს სახალხო მეურნეობის მატერი-

ალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის უახლესი ფორმებისა და მეთოდების დარგში, მუშაობენ მცირე ეფექტიანობით.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ძირეული გარდაქმნა, არსებულ ნაკლოვანებათა გადამჭრელი აღკვეთა და ახალი მოთხოვნილებისათვის მისი შესატყვისობა სახალხო მეურნეობის მთელი ხელმძღვანელობის ქმედითობის ამაღლების აუცილებელი პირობაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ ვ ე ნ ე ნ:

1. მიჩნეულ იქნეს უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად, რომ შეიქმნას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ეფექტიანი და მობილური სისტემა, რათა თანამიმდევრულად განხორციელდეს პარტიის კურსი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად, ამასთან, გატარდეს 4—5 წლის განმავლობაში გადამჭრელი გადასვლა მატერიალური რესურსების ცენტრალიზებული ფონდირებიდან და მიმწოდებლებზე მომხმარებელთა მომაგრებიდან წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობაზე. დაწესდეს, რომ განსაკუთრებით დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ... წარმოების საშუალებათა რეალიზაცია ხორციელდებოდეს ლიმიტების მიხედვით.

რადიკალურად შეიცვალოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები, შეიქმნას პირობები სამეურნეო ანგარიშისა და თვითფინანსების პრინციპებით საწარმოთა ეფექტიანი საქმიანობისათვის და ზუსტად შეესაბამოს ისინი სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის დებულებებს.

მატერიალური რესურსებით მომარაგების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მომხმარებლის პრიორიტეტს სამეურნეო ურთიერთობაში, ქმნიდეს პირობებს მატერიალური რესურსების შეწონასწორების ასამაღლებლად და გავლენას ახდენდეს წარმოებასა და მოხმარებაზე იმ მიზნით, რომ შემცირდეს დანახარჯები და გაუმჯობესდეს პროდუქციის სამომხმარებლო თვისებები.

2. საფუძვლად დაედოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარდაქმნას გადამწყვეტი გადასვლა მატერიალური რესურსების ცენტრალიზებული ფონდირებიდან და მიმწოდებლებზე მომხმარებელთა მიმაგრებიდან წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობაზე, ცენტრალიზებული საწყისების რაციონალურ შეხამებას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპების ფართო განვითარებასთან ერთად. გაძლიერდეს სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის დაინტერესება და პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი წარმოების მოთხოვნილების სრული და დროული დაკმაყოფილებისათვის. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს:

წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობას;

მატერიალური რესურსების ცენტრალიზებულ განაწილებას.

წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობა, როგორც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პერსპექტიული და პროგრესული ფორმა, ხორციელდება მომხმარებელთა შეკვეთებით, ულიმიტებოდ და უფონდებოდ. იგი ყველაზე სრულად შეესაბამება საწარმოთა საქმიანობას სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით და ამიტომ ყოველნაირად უნდა განვავითაროთ. იმის გამო, რომ საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა ეტაპობრივად ხორციელდება და იგი საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ფორმა უნდა გახდეს, საჭიროა ხელი შეეუწყოთ შრომითი კოლექტივების ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას, დამამზადებლებსა და მომხმარებლებს შორის უშუალო ურთიერთობის გაძლიერებას და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციით ბაზრის უკეთ მომარაგებას.

ცენტრალიზებული წესით ნაწილდება პროდუქცია, რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი წარმოების ტემპისა და პროპორციების ფორმირების, ეკონომიკის განვითარებისა და სახალხო კეთილდღეობის გაუმჯობესების საკვანძო ამოცანების გადაწყვეტისათვის. ამ პროდუქციის განაწილება ხდება ლიმიტების (ფონდების) მიხედვით. უარი უნდა ვთქვათ ცენტრალიზებული განაწილების წესით მისაწოდებელი პროდუქციის ნომენკლატურის მეტისმეტ დეტალიზაციაზე ზევიდან. საწარმოებს მეტი დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოთ სახელშეკრულებო საწყისებზე პროდუქციის ასორტიმენ-

ტის, სამომხმარებლო თვისებებისა და მიწოდების ვადების დაკონკრეტებაში, აგრეთვე მიმწოდებლის არჩევაში.

მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ მეურნეობრიობის ახალი შეთოდების განვითარებისა და გაღრმავების კვალობაზე უნდა შემცირდეს ცენტრალიზებულად გასანაწილებელი მატერიალური რესურსების სფერო.

განისაზღვროს, რომ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა უშუალო ურთიერთობით ხორციელდება მათ მიერ დამოუკიდებლად პროდუქციაზე, რომელიც რეალიზდება უშუალოდ ულიმიტო შეკვეთებით, აგრეთვე ცენტრალიზებულად გასანაწილებელი პროდუქციის მიხედვით.

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება, მისი ფორმების რაციონალური შეხამება მოითხოვს საგეგმო ორგანოების, სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოების, სსრ კავშირის უწყებათა-სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მჭიდრო თანამოქმედებას და მუშაობის კოორდინაციას. ამ საფუძველზე უნდა ამაღლდეს წარმოებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმების შეწონასწორება, მიღწეულ იქნეს საწარმოთა სტაბილური და შეუფერხებელი მომარაგება, რესურსების ეკონომია და საწარმოო მარაგის შემცირება სახალხო მეურნეობაში.

3. უზრუნველყოფილ იქნეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმის ორგანული კავშირი. ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ:

სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე უმთავრეს სახეობათა-პროდუქციის ნომენკლატურას განსაზღვრავს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და გზავნის სახელმწიფო შეკვეთების ფორმით;

ნაწარმის ნომენკლატურა, რომელიც აკონკრეტებს სახელმწიფო შეკვეთის შემადგენლობას, განისაზღვრება სამეურნეო ხელშეკრულებებში, რომლებსაც დამამზადებელი საწარმოები უდებენ მომხმარებელ საწარმოებს ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოებს;

პროდუქცია, რომელსაც საწარმოები დამოუკიდებლად უშვებენ მომხმარებლებთან უშუალო ურთიერთობით, რეალიზდება მათ შორის დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობებით.

4. დაწესდეს, რომ ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში არსებითად იზრდება სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მო-

კავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სახ-
მომარაგებისა და მისი ადგილობრივი ორგანოების როლი რესურსე-
ბით საწარმოთა საწარმოო პროგრამის უზრუნველყოფისა და სახალ-
ხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ამასთან
დაკავშირებით სსრ კავშირის სახმომარაგება და მისი ორგანოები მო-
ვალენი არიან სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უზრუნველ-
ყონ:

პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებზე
არსებული მოთხოვნილების გამოვლენა და ღრმა შესწავლა, უწინა-
რესად, სახელმწიფო შეკვეთების შესაბამისად;

გამოვლენილი მოთხოვნილებების შესაბამისად ამ პროდუქციის
დამზადების შეკვეთების განლაგება საწარმოებში;

პროდუქციის განაწილების გეგმების შემუშავების დასაბუთების
გაუმჯობესება;

ხანგრძლივი სტაბილური და ეფექტიანი სამეურნეო ურთიერთო-
ბის დამყარება პროდუქციის მომხმარებლებსა და მწარმოებლებს
შორის, აგრეთვე საწარმოებსა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნ-
ველყოფის ორგანოებს შორის.

საწარმოები თავიანთი სპეციალიზაციისა და პროფილის, მთელი
იმ პროდუქციის ღირებულების შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულე-
ბათა დადების საფუძვლად არის გათვალისწინებული, მოვალენი არი-
ან უზრუნველყონ პროდუქციის წარმოება, რომელიც საჭიროა სა-
ხელმწიფო შეკვეთების შესრულებისა და საბითუმო ვაჭრობის გზის
რეალიზაციისათვის, მათ შორის აგრეთვე პროდუქციისა ნომენკლა-
ტურის მიხედვით, რომელიც დამოუკიდებლად ეგეგმება მომხმარე-
ბელთა პირდაპირი შეკვეთების შესაბამისად.

5. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, გარდაიქმნას მატერიალური რე-
სურსებით საწარმოთა მომარაგების წესი და შეესაბამოს იგი მეურ-
ნეობრიობის ახალ პირობებს.

იმ პროდუქციის, სამუშაოების წარმოებისა და მომსახურების გა-
წევის უზრუნველსაყოფად, რომლებიც საწარმოთა გეგმებით არის
გათვალისწინებული, სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები, მო-
კავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სსრ კავშირის სახ-
მომარაგების ტერიტორიული ორგანოები უგზავნიან მათ ლიმიტებს
(ფონდებს) იმ სახეობათა მატერიალურ რესურსებზე, რომლებიც ცენ-
ტრალიზებული წესით ნაწილდება. აღნიშნულ ლიმიტებს (ფონდებს)
სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკე-

ბის მინისტრთა საბჭოებს უგზავნიან სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმომარაგება.

საბითუმო ვაჭრობისათვის მატერიალურ რესურსებს საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა შეკვეთებით განსაზღვრავენ სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოები. ამ მიზნით ტერიტორიული ორგანოები აყალიბებენ მოთხოვნილებას შესაბამის რესურსებზე, რომლებსაც უზრუნველყოფენ მატერიალური რესურსების ბალანსების შემმუშავებელი ორგანოები და რომელთა გამოყოფა ხდება სსრ კავშირის სახმომარაგების მეშვეობით.

საბალანსო მუშაობის როლის ამაღლება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციაში

6. გადაიქცეს მატერიალური ბალანსები და პროდუქციის განაწილების გეგმები მეურნეობრიობის ახალ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის მთავარ ინსტრუმენტად, თვისებრივად ამაღლდეს სახალხო მეურნეობაში მთელი საბალანსო მუშაობის დონე.

ცალკეულ სახეობათა პროდუქციის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახმომარაგებასთან ერთად დაადგინოს პროდუქციის განაწილების გეგმებისა და მატერიალური ბალანსების ნუსხები, რომელსაც შეიმუშავებენ ისინი, აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, და უზრუნველყოს მჭიდრო თანამოქმედება ამ ბალანსებისა და გეგმების მომზადების პროცესში.

განხორციელდეს მათი შემუშავებისას მთლიანად სახალხო მეურნეობის, მისი ცალკეული დარგებისა და წარმოებების მოთხოვნილებათა ღრმა შესწავლა. გათვალისწინებულ იქნეს მატერიალურ ბალანსებსა და განაწილების გეგმებში პროგრესული მასალების, ისეთი მანქანა-მოწყობილობისა და ნაწარმის გამოყენება, რომლებიც შეესაბამება მსოფლიო დონეს, გაითვალისწინონ აგრეთვე წარმოებაში რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების დანერგვა, სამეურნეო ბრუნვაში მეორეული ნედლეულისა და ენერგორესურსების მასშტაბური მოქცევა, აგრეთვე საწარმოო მარაგის შემცირება მისი ბრუნვადობის დაჩქარების გზით. გათვალისწინებულ იქნეს ბალანსებში რეზერვები, რომლებიც აუცილებელია სახალხო მეურნეობის დარგების სტაბილური მუშაობისათვის.

7. ამ მიზნით, რომ გაძლიერდეს მომხმარებელთა როლი გეგმების ფორმირებაში, ფართოდ განვითარდეს პირდაპირი სამეურნეო ურთიერთობა საწარმოებს შორის, კარდინალურად შეიცვალოს მატერიალური ბალანსებისა და განაწილების გეგმების შემუშავების სისტემა.

განხორციელდეს გადასვლა მატერიალური ბალანსებისა და განაწილების გეგმების შედგენაზე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, სსრ კავშირის სახმომარაგებაში, სამინისტროებსა და უწყებებში გამსხვილებული ნომენკლატურის მიხედვით, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ეს ბალანსები და გეგმები უნდა ემსახურებოდეს არსებულ რესურსებთან სახალხო მეურნეობისა და მისი უმნიშვნელოვანესი კომპლექსების და დარგების მოთხოვნილებათა საერთო შეწონასწორების უზრუნველყოფას.

მატერიალურ ბალანსებსა და განაწილების გეგმებში გათვალისწინებული პროდუქციის გამსხვილებული ნომენკლატურის დეტალიზაციას დამოუკიდებლად ახორციელებენ საწარმოები. ამ საფუძველზე საწარმოები აჩაღებენ მუშაობას პროდუქციის მიმწოდებლებთან, ორმხრივ ათანხმებენ პროდუქციის ასორტიმენტს, ტექნიკურ და სამომხმარებლო თვისებებს და დებენ მისი მიწოდების ხელშეკრულებას.

სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები აქტიურად მონაწილეობენ ამ მუშაობაში, განიხილავენ ყველა წამოჭრილ საკითხს, იღებენ ზომებს, რათა თავიდან აიცილონ დისპროპორციები წარმოებასა და მოხმარებას შორის, სრულად აგებენ პასუხს იმისათვის, რომ უცილობლად დააკმაყოფილონ მომხმარებლის მოთხოვნები მისთვის საჭირო პროდუქციის მიწოდების შესახებ.

8. უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო მატერიალურ ბალანსებს და პროდუქციის განაწილების გეგმებს სახელმწიფო შეკვეთების ბაზაზე ამუშავებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმომარაგება.

მატერიალური ბალანსებისა და განაწილების გეგმების მომზადებისას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა იხელმძღვანელონ საბითუმო ვაჭრობის ყოველმხრივი განვითარებით და გაითვალისწინონ ამ მიზნისათვის საჭირო რესურსები.

9. სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მასალა-ნედლეულით, ნახევარფაბ-

რიკატებითა და მაკომპლექტებელი ნაწარმით საქვეუწყებო საწარმოების უზრუნველსაყოფად ამუშავებენ ბალანსებს დარგობრივი და ტერიტორიული ჭრილის მიხედვით, აგრეთვე მონაწილეობენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ პროდუქციის კოოპერირებული მიწოდების ბალანსების ფორმირებაში.

წარმოების დაგეგმვასა და მომხმარებლებთან უშუალო ურთიერთობით მიწოდების განვითარებაში საწარმოთა როლის ამაღლების პირობებში სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გადასცენ ბალანსებისა და პროდუქციის განაწილების გეგმების შემუშავება საწარმოებს, რომლებიც მისი ძირითადი დამამზადებლები არიან.

10. გაძლიერდეს სსრ კავშირის სახმომარაგების თანამოქმედება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შემუშავების პროცესში, რაც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ეფექტიანი ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ამ მიზნით დადგინდეს, რომ:

სსრ კავშირის სახმომარაგება აქტიურად მონაწილეობს მუშაობაში, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ეწევა საკონტროლო ციფრების, სახელმწიფო შეკვეთებისა და ლიმიტების მომზადების, უმნიშვნელოვანესი მატერიალური რესურსების ეკონომიის განმაზოგადებელი მაჩვენებლებისა და სახელმწიფო შეკვეთების ნომენკლატურული შემადგენლობის ფორმირებისათვის;

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმომარაგება ხუთწლიანი გეგმის პროექტის მომზადებისას შეიმუშავებენ მატერიალური რესურსების საანგარიშსწორებო ბალანსებს საკონტროლო ციფრებისა და სახელმწიფო შეკვეთების ბაზაზე, რათა უზრუნველყონ წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის მოთხოვნილებანი;

საწარმოები (გაერთიანებანი), ორგანიზაციები ხუთწლიანი გეგმების დამოუკიდებელი შემუშავების პროცესში თანამოქმედებენ პროდუქციის მომხმარებლებთან და დამამზადებლებთან, აგრეთვე მომარაგების ტერიტორიულ და სხვა ორგანოებთან პერსპექტიული მოთხოვნილების განსასაზღვრავად და უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის სახმომარაგება შესაბამისი დარგებისა და ტერიტორიების შესაბამისი ხუთწლიანი გეგმების პროექტების ფორმირების პროცესში მონაწილეობს; სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუშაობაში სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საწარმოო სიმძლავრეთა განვითარების დაგეგმვისათვის;

სახელმწიფო შეკვეთების, ხუთწლიანი გეგმის დავალებების საფუძველზე შესაბამისი წლისათვის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმებისა და საანგარიშსწორებო ბალანსების მომზადებისას სსრ კავშირის სახმომარაგება სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად განიხილავს საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა წინადადებებს მომავალი წლისათვის პროდუქციის გამოშვების შესახებ და ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს რესურსებზე მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე ამუშავებს და ამტკიცებს შესაბამის ბალანსებს და პროდუქციის განაწილების გეგმებს.

საბითუმო ვაჭრობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა პროგრესული ფორმების განვითარება

11. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, რესურსების ეკონომიკური გამოყენებისათვის მათი დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგება და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში გადავიდნენ საბითუმო ვაჭრობაზე, როგორც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითად ფორმაზე.

12. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია არის სახალხო მეურნეობაში ზედმეტი მარაგის შემცირებისა და მატერიალური რესურსების დეფიციტის აღმოფხვრის დიდმნიშვნელოვანი ბერკეტი, საშუალება, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გავაძლიეროთ მომხმარებლის ზემოქმედება მწარმოებელზე, მივაღწიოთ მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისობას, უზრუნველყოთ ყოველი საწარმოსათვის რეალური შესაძლებლობა, თავისი ფინანსური სახსრების ფარგლებში შეიძინოს მისი მოთხოვნილებები-

სა და განვითარების გეგმების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

საბითუმო ვაჭრობა წარმოადგენს მატერიალური რესურსებით მომხმარებელთა ულიმიტებოდ (უფონდებოდ) უზრუნველყოფის ფორმას და მას ახორციელებენ უშუალოდ დამამზადებელი საწარმოები ან მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოები პირდაპირი შეკვეთების საფუძველზე, რომლებსაც მომხმარებელი საწარმოები წარუდგენენ ამ ორგანოებს. სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიულ ორგანოებს და დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობის განმახორციელებელ სხვა ორგანოებს აკისრიათ სრული სამეურნეოანგარიშებრივი პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაცვისათვის, უწინარეს ყოვლისა, პროდუქციის მოცულობის, ასორტიმენტის, ხარისხისა და მიღების ვადების მიხედვით. თავის მხრივ, მომხმარებლებს აკისრიათ სამეურნეოანგარიშებრივი პასუხისმგებლობა რესურსებზე არსებული მოთხოვნილების დაუსაბუთებელი წამატებისა და მათი არაეკონომიური გამოყენებისათვის.

საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს საწარმოების მოთხოვნილებათა მჭიდრო დაკავშირება წარმოების გეგმებთან, კონკრეტულ სახეობათა რესურსების არჩევის შესაძლებლობის გაფართოება, მარაგის საერთო შემცირებისა და ბრუნვადობის დაჩქარების დროს მათს გამოყენებაში მობილურობის ამაღლება.

13. იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს საბითუმო ვაჭრობა, განისაზღვროს სსრ კავშირის სახმომარაგების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის ამ ფორმაზე გადასვლის თანამიმდევრულობა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად უახლოეს წლებში განახორციელონ გადასვლა ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით წარმოების საშუალებებით ვაჭრობაზე, უწინარესად, მოხმარების საქონლის გამოსაშვებად, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და მანქანათმშენებლობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე კოოპერაციის, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გასავითარებლად.

სახალხო მეურნეობაში საბითუმო ვაჭრობის განვითარებისათვის მთელი მუშაობის ორგანიზაცია დაეკისროს სსრ კავშირის სახმომარაგებას და მის ორგანოებს, რომლებმაც ამ მუშაობაში მჭიდრო თანა-

მოქმედება უნდა დაამყარონ სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან.

14. სსრ კავშირის სახაგრომრეწვს მიენიჭოს უფლება, მისთვის ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი მატერიალური რესურსებიs ფარგლებში მოაწყოს საბითუმო ვაჭრობა საქვეუწყებო საწარმოებისათვის იმ მიზნით, რომ უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ეს რესურსები სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით საწარმოთა საქმიანობის პირობებში.

მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ასეთი ფორმის ფართო გამოყენება სსრ კავშირის სხვა უწყება-სამინისტროებში, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებში.

15. სამეურნეო ურთიერთობის მზარდი დემოკრატიზაციის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარების პირობებში საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ ყოველნაირად განმტკიცდეს უშუალო ხანგრძლივი სამეურნეო ურთიერთობა პროდუქციის დამამზადებელ და მომხმარებელ საწარმოებს შორის. უშუალო სამეურნეო ურთიერთობას საწარმოები ამყარებენ დამოუკიდებლად, აგრეთვე მომარაგების ორგანოების მონაწილეობით იმ პროდუქციაზე, რომელიც ცენტრალიზებული წესით ნაწილდება. უზრუნველყოფილ იქნეს სამეურნეო ხელშეკრულებათა როლის გაძლიერების საფუძველზე პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებისა და ხარისხის გაუმჯობესების, მისი მიწოდების რიტმულობის, საწარმოთა გეგმების ფორმირებისადმი მოთხოვნების ამაღლება.

მომხმარებელ საწარმოს აქვს უპირატესი უფლება, შეინარჩუნოს დამამზადებლებთან დამკვიდრებული ხანგრძლივი სამეურნეო ურთიერთობა, გააფართოოს იგი, და ირჩევს მიწოდების ფორმას: უშუალოდ დამამზადებლის მიერ ან მომარაგება-გასაღების საწარმოს მეშვეობით.

16. შრომითი კოლექტივების ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის პირობების შექმნის, პროდუქციის დამზადებისას მომხმარებელთა სპეციფიკური მოთხოვნების უფრო სრული გათვალისწინებისა და ახალ პროგრესულ სახეობათა ნაწარმის უსწრაფესი ათვისების მიზნით საწარმოებს, რომლებსაც დიდი ხნის უშუალო სამეურნეო ურთიერთობა აქვთ, მიენიჭოთ უფლება ცენტრალიზებული წესით დადგენილი საბითუმო ფასებისათვის დააწესონ დანამატი (შეღავათი) დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე მატერიალური და საფინანსო რესურსების ორმხრივი გადაცემის პროდუქციის სამომხმარებლო თვი-

სებებისა და კომპლექტაციის ცვლილებათა გამო შემკვეთის დამატებითი მოთხოვნების შესასრულებლად.

17. მატერიალური რესურსებით საწარმოთა უზრუნველყოფის სტაბილურობის ამაღლების მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგებამ უზრუნველყოს კომპლექსური მომარაგების განვითარება, რომელიც ხელშეკრულებებით ხორციელდება. ამასთან, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოებს აკისრიათ ეკონომიკური პასუხისმგებლობა პროდუქციით მომხმარებლების შეუფერხებელი უზრუნველყოფისათვის, მისი მიწოდების ფორმების მიუხედავად.

18. საბითუმო ვაჭრობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა პროგრესული ფორმების განვითარება მართვის ეკონომიკური მეთოდების და სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების ფართო გამოყენების პირობებში მიზნად უნდა ისახავდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოებისა და საწარმოების ორმხრივი პასუხისმგებლობის და დაინტერესების ამაღლებას მათი საქმიანობის შედეგების გამო. მეურნეობრიობის ასეთ პირობებში არსებითად უნდა ამაღლდეს ხელშეკრულების როლი, რომელიც წარმოებასა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემას შორის თანამოქმედების ორგანიზაციის ძირითად ინსტრუმენტად გვევლინება.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოებსა და საწარმოებს აკისრიათ ქონებრივი პასუხისმგებლობა თავიანთ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაუცველობისათვის და დადგენილი წესით ანაზღაურებენ მიყენებულ ზარალს.

იმ შემთხვევებში, როდესაც დამამზადებელი საწარმო უარს ამბობს პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებათა დადებაზე, მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხს წყვეტენ დამამზადებელი სამინისტრო ან სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოები.

სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება საწარმოთა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფისათვის

19. მეურნეობრიობის ახალ პირობებში არსებითად ამაღლდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა მატერიალური რესურსებით მომხმარებელთა საიმედო და ხარისხოვანი მომარაგებისათვის და პროდუქციის მიწოდებისადმი ქმედითი კონტროლის უზრუნველყოფისათვის. ნამდვილად

გადაიქცნენ ტერიტორიული ორგანოები სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ძირითად. რგოლად, ძირფესვიანად შეიცვალოს მათი მუშაობის ფორმები და მეთოდები სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის მოთხოვნების შესაბამისად. მომარაგება-გასაღების ორგანიზაციები მოწოდებული არიან, გახდნენ დამოუკიდებელი სამეურნეოანგარიშიანი საწარმოები, რომლებიც მოემსახურებიან მწარმოებლებსა და მომხმარებლებს, შეინახავენ და დამატებით დაამუშავებენ პროდუქციას, გამოიყენებენ მეორეულ რესურსებს, გაუწევენ ფასიან მომსახურებას, გაუსაღებენ პროდუქციას საკომისიო საწყისებით, განსაზღვრავენ მომარაგების შესაძლო წყაროებს და შეასრულებენ სხვა საშუამავლო ფუნქციებს.

20. სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების მთავარ ამოცანად ჩაითვალოს ის, რომ საწარმოებთან ერთად ჩამოაყალიბონ რეგიონში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საიმედო და ეფექტიანი სისტემა, დაამყარონ სტაბილური, რაციონალური სამეურნეო კავშირი მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის, განახორციელონ კონტროლი პროდუქციის მიწოდების შესრულებისადმი და გაუწიონ ქმედითი დახმარება საწარმოებს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფაში.

ტერიტორიული ორგანოები აქტიურ ზემოქმედებას უნდა ახდენდნენ წარმოებასა და მოხმარებაზე მატერიალური დანახარჯებისა და მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შემცირების მიზნით. ისინი მაქსიმალურად უნდა გადაიქცნენ საწარმოთა (გაერთიანებათა) თანასწორუფლებიან პარტნიორებად დადებული ხელშეკრულებებისა და ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით მომხმარებელთა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში.

ტერიტორიულმა ორგანოებმა მოახმარონ თავიანთი საქმიანობა საწარმოთა მომარაგებისა და მომსახურების პროგრესული ფორმების, უწინარეს ყოვლისა, ისეთი ფორმების განვითარებას, როგორიც არის:

საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის საბითუმო ვაჭრობა;

მომხმარებელთა კომპლექსური უზრუნველყოფა პროდუქციით მისი მიწოდების ფორმების მიუხედავად;

იმ მომხმარებელთა სასაწყობო მომარაგება, რომლებიც მატერიალურ რესურსებს იღებენ სავაგონო და საკონტეინერო ნორმებზე ნაკლები რაოდენობით;

საწარმოო, კომერციული, საინფორმაციო ხასიათის მომსახურეობის გაწევა მომხმარებელთა შეკვეთებით.

დადგინდეს, რომ იმ პროდუქციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, რომლითაც მომარაგებას კისრულობენ სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოები, ეს უკანასკნელნი უდებენ მომხმარებლებსა და დამამზადებლებს ხელშეკრულებებს, რომლებშიც განისაზღვრება ორმხრივი პასუხისმგებლობა კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებულებათა შესრულებისათვის.

21. სსრ კავშირის სახმომარაგებამ სსრ კავშირის სამინისტროებთან, უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად უზრუნველყოს ტერიტორიული ორგანოების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და დაჩქარებული განვითარება პროგრესული ტექნოლოგიური პროცესებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების ფართო გამოყენებით.

ამ მიზნით სსრ კავშირის სახმომარაგებამ:

შექმნას ტერიტორიული ორგანოების საწარმოებში ისეთი რაოდენობისა და ასორტიმენტის მატერიალური რესურსების კომპლექტური მარაგი, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა საიმედო და რიტმულ მომარაგებას;

გააფართოოს ქვესახარისხებელ საწარმოთა ქსელი და თავი მოუყაროს ამ საწარმოებში მთელი საჭირო ასორტიმენტის მასალებსა და ნაკეთობებს;

განავითაროს საქვეუწყებო საწარმოებში ლითონის, ქიმიური, ხეტყისა და ქაღალდის პროდუქციის, საკაბელე ნაწარმისა და საშენი მასალების სიმძლავრენი საწარმოო მოხმარებისათვის მოსამზადებლად; უზრუნველყოს ამ მომსახურების მოცულობის გადიდება;

მოაწყოს ტერიტორიულ ორგანოებში საწარმოთა საინფორმაციო მომსახურება ახალი მასალებისა და ნაკეთობების გამოყენების, მათი შეძენის პირობებისა და რაციონალური მოხმარების მიმართულებების გასაცნობად;

გაშალოს საკომისიო მაღაზიების ქსელი გამოუყენებელი პროდუქციის გასასაღებლად მომხმარებლებზე მომსახურების გაწევისათვის;

მნიშვნელოვნად გაზარდოს ხელსაწყოების, აპარატურის მოწყობილობის, მექანიზმების, მათ შორის გზების სამშენებლო მანქანებისა და სამშენებლო სამუშაოთა შესასრულებელი სხვა ტექნიკის გაქირავება, უწინარეს ყოვლისა, საშეურნეო წესით განსახორციელებელი სამუშაოებისათვის;

22. მმართველობის ეკონომიკურ მეთოდებზე სსრ კავშირის სახ-მომარაგების ტერიტორიული ორგანოების გადასვლის, საიმედო და სტაბილური მომარაგებით შრომითი კოლექტივების დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით გადაყვანილ იქნეს 1988 წელს აღნიშნული ორგანოები სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვით-დაფინანსებაზე. ტერიტორიული ორგანოების მუშაობის გარდაქმნი-სას იხელმძღვანელონ შემდეგით:

გამორიცხონ დაგეგმვის პრაქტიკიდან მაჩვენებლები, რომლებიც ორიენტირებულია ტერიტორიული ორგანოების მუშაობის ორგანი-ზაციისადმი „მთლიან" მიდგომაზე, შეაფასონ მათი საქმიანობა უწი-ნარეს ყოვლისა პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდე-ბულებათა შესრულების კვალობაზე;

ტერიტორიული ორგანოების სამეურნეო საქმიანობას საფუძვლად დაუდონ სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალი, როგორც მათი მუ-შაობის უმნიშვნელოვანესი განმაზოგადებელი მაჩვენებელი და სა-წარმოო და სოციალური განვითარების მთავარი წყარო;

მიანიჭონ მომარაგების ტერიტორიულ ორგანოებს ფართო უფ-ლებები სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის გამოყენებაში, და უწინარეს ყოვლისა, საწარმოთა მატერიალური რესურსებით მომარა-გების მხრივ მომსახურებისა და სამუშაოთა მოცულობის გასაფართო-ებლად;

შექმნან საჭირო პირობები მომარაგების პროგრესული ფორმების უწინარეს ყოვლისა, საბითუმო ვაჭრობის განვითარების დაჩქარებ-სათვის;

23. მომხმარებელთა ეფექტიანი მომსახურების ამაღლებით, სამე-ურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების უფრო სრუ-ლი გამოყენებით, სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოების ეკონო-მიკური დაინტერესების გასაძლიერებლად სსრ კავშირის სახმომარა-გებამ და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა გადასინ-ჯონ მომარაგება-გასაღების ფასნამატებისა და ფასჩამოკლების, აგ-რეთვე მომარაგების ამ ორგანოების მიერ გაწეული მომსახურების ტა-რიფების დადგენისა და გამოყენების წესი.

რესურსდაზოგვისათვის მუშაობის გაძლიერება

24. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის გარდაქმნა მიზნად უნდა ისახავდეს მატერიალური რესურ-

სების ყოველმხრივ ეკონომიას და საწარმოო მარაგის შემცირებას, მეორეული ნედლეულის მაქსიმალურ მოქცევას სამეურნეო ბრუნვაში, ეკონომიურ და რესურსდამზოგველ სახეობათა პროდუქციის წარმოების უპირატეს განვითარებას.

სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა მიაღწიონ მატერიალური რესურსების ყოველმხრივ ეკონომიას თანამედროვე მაღალეფექტიანი მანქანა-მოწყობილობის, კონსტრუქციებისა და მასალების შემუშავებისა და წარმოების ორგანიზაციის, ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების ნარჩენების გადამმუშავებელ სიმძლავრეთა შექმნის, აგრეთვე უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიმუშაონ პროდუქციის განაწილების გეგმები და მატერიალური ბალანსები, ამასთან იხელმძღვანელონ სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების ყველაზე სრული ეკონომიის უზრუნველყოფის აუცილებლობით.

სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა უზრუნველყონ წარმოების გეგმების შემუშავებისას მატერიალური რესურსების ხარჯის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების მოხმარება, აგრეთვე ახალი სამეურნეო მექანიზმის ყველა ელემენტის გამოყენება რესურსების მომჭირნე და ყველაზე რაციონალური ხარჯვით შრომითი კოლექტივების მატერიალური დაინტერესების ასამაღლებლად, შენახვისა და ტრანსპორტირების დროს მათი დანაკარგების შესამცირებლად.

საწარმოებმა სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისას შეასრულონ უპირატესი წესით მომხმარებელთა მოთხოვნები იმ პროდუქციის დამზადება-მიწოდებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს რესურსდაზოგვასა და ნარჩენების შემცირებას.

25. სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით რესურსდაზოგვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის დროს სსრ კავშირის სახმომარაგებამ:

გააძლიეროს მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების კომისიების საქმიანობის ეკონომიკური მიზანმიმართულება;

უზრუნველყოს მატერიალური რესურსების ეკონომიის დარგობრივი და რეგიონალური პროგრამების შემუშავებისა და ორგანიზაციის საერთო ხელმძღვანელობა;

ღრმად გააანალიზოს ახალი სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედება რესურსდაზოგვაზე და შეიმუშაოს მისი შემდგომი სრულყოფის წინადადებანი;

ჩამოაყალიბოს მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების საუწყებათშორისო კომისიასთან რესურსდაზოგვის პრობლემათა სამეცნიერო საბჭო. შეიყვანოს საბჭოს შემადგენლობაში სახალხო მეურნეობის დარგების თვალსაჩინო სპეციალისტები და მეცნიერები.

26. დადგინდეს, რომ სსრ კავშირის სახმომარაგება არის ცენტრალური ორგანო, რომელიც ახორციელებს სახალხო მეურნეობაში მეორეული რესურსების გამოყენებისათვის მუშაობის ორგანიზაციას, აღნიშნული საქმიანობის დაგეგმვას და კოორდინაციას.

სსრ კავშირის სახმომარაგება მეორეული რესურსების სამეურნეო ბრუნვაში აქტიური მოქცევის მიზნით სპეციალიზებულ სიმძლავრეთა შექმნასთან ერთად ქმნის და ავითარებს მეორეული ნედლეულის დამზადება-გადამუშავების კოოპერატივებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, აგრეთვე ხელს უწყობს ამ საქმეში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ფართო გამოყენებას.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიულმა ორგანოებმა გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობას შორის, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი აღნიშნული კოოპერატივების ჩამოყალიბებას და მათი წარმატებული მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნას.

27. სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გასწიონ მუშაობა საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შემცირებისათვის, ამასთან მიაღწიონ, რომ წარმოების ზრდა სტაბილურად უსწრებდეს მატერიალური მარაგის გადიდებას. განახორციელონ სახალხო მეურნეობაში მარაგის რაციონალური განაწილება, ამასთან გაითვალისწინონ ამ მარაგის მეტი კონცენტრაცია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საერთო-სახელმწიფო სისტემაში და ამის საფუძველზე რესურსების მობილურობის ამაღლება.

28. დადგინდეს, რომ სსრ კავშირის სახმომარაგებას, როგორც ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოს, აკისრია მთელი პასუხისმგებლობა ქვეყანაში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის, საბითუმო ვაჭრობის რეგულირებისათვის და მისდამი კონტროლი მეურნეობრიობის ახალი პირობების შესაბამისად, მმართველობაში დემოკრატიული საფუძვლების გაფართოებისა და საწარმოთა დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის გადიდებისათვის;

29. სსრ კავშირის სახმომარაგება მოვალეა:

ყოველნაირად განავითაროს მმართველობის ეკონომიკური მეთოდები, საბითუმო ვაჭრობა, უშუალო სამეურნეო ურთიერთობა საწარმოებს შორის და მომარაგების სხვა პროგრესული ფორმები, ორგანიზაცია გაუწიოს თავისი ორგანოების საქმიანობას სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით;

კარდინალურად გააუმჯობესოს სამინისტროებთან, უწყებებთან და საწარმოებთან მუშაობა მატერიალურ რესურსებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, დაიცვას პროდუქციის მომხმარებელთა ინტერესები;

განუხრელად გაატაროს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მატერიალური რესურსების ყოველმხრივი ეკონომიის, მეორეული ნედლეულის უფრო სრული გამოყენების, რესურსების მოუბვადობის დაჩქარების გეზი და კოორდინაცია გაუწიოს ამ მუშაობას სახალხო მეურნეობაში;

განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი პროდუქციის მიწოდების, დისციპლინის განმტკიცების, საწარმოებისა და მომარაგება-გასაღების ორგანიზაციების სახელშეკრულებო ვალდებულებათა მტკიცედ დაცვისათვის;

გაატაროს ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური და საინვესტიციო პოლიტიკა სასაწყობო მეურნეობის განვითარებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პროდუქციის არარაციონალური გადაზიდვის აღმოფხვრას, პროგრესულ სახეობათა ტარის, პაკეტურ-კონტეინერული გადაზიდვის დანერგვას, ამასთან უზრუნველყოს ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს პროდუქციის დანაკარგების მკვეთრი შემცირება.

გააძლიეროს სახალხო მეურნეობის დარგებში პროდუქციის მომარაგება-გასაღების ორგანოების მეთოდიკური ხელმძღვანელობა. შეუსაბამოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგის მთელი

ნორმატიული დოკუმენტები მეურნეობრიობის ახალ პირობებს და სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის მოთხოვნებს.

30. იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობა, ზუსტად იქნეს ორგანიზებული მისი მუშაობა, გამარტივდეს სტრუქტურა და შეესატყვისოს ქვეყანაში მიმდინარე სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნას, სსრ კავშირია სახმომარაგებამ სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაოს და 1989 წელს წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მართვის გენერალური სქემა; ამასთან, იხელმძღვანელოს მმართველობაში რგოლების შემცირების, სსრ კავშირის სახმომარაგების ტერიტორიული ორგანოების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების საჭიროებით, რომლებიც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითად რგოლს შეადგენენ.

საჭიროდ იქნეს მიჩნეული განხორციელდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საერთო-სახელმწიფო სისტემის ოპტიმალური შეხამება დარგობრივ სისტემებთან; გაუქმდეს მომარაგება-გასაღების საუწყებო კანტორები და ბაზები, რომლებიც ეწევიან დარგთშორისი გამოყენების პროდუქციის რეალიზაციას და სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოების საქმიანობის დუბლირებას; რაციონალურად განლაგდეს საწარმო-ორგანიზაციები ქვეყნის რეგიონებში და ოპტიმიზებულ იქნეს სატრანსპორტო კავშირი; მიღწეულ იქნეს ამ საფუძველზე მიმოქცევის ხარჯების შემცირება.

31. გაუმჯობესდეს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. მიღებულ იქნეს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახმომარაგების წინადადება იმის შესახებ, რომ გარდაიქმნას რუსეთის სფსრ სახმომარაგება ორმაგი დაქვემდებარების — სსრ კავშირის სახმომარაგებისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოებისადმი დაქვემდებარების — საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ.

სსრ კავშირის სახმომარაგებამ და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ დააზუსტონ რუსეთის ფედერაციაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული ორგანოების საწარმოთა და ორგანიზაციათა პროფილი და სპეციალიზაცია.

32. სსრ კავშირის სახმომარაგება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციის ყველა ეტაპზე ახორციელებს მჭიდრო თანამოქმედებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებთან იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილოს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება კომპ-

ლეკსებში შემავალი დარგების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე და, უწინარეს ყოვლისა, უმაღლესი მსოფლიო დონის შესაფერის პროდუქციაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებთან თანამოქმედების პროცესში მიღწეული უნდა იქნეს აგრეთვე მატერიალური რესურსების გამოყენების, ახალი რესურსდამზოგველი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და ფართოდ დანერგვის, დარგთშორისი გამოყენების პროდუქციის წარმოების სპეციალიზაციისა და განვითარების საკითხთა გადაწყვეტისა და სამინისტროთაშორისი კოოპერირებული მიწოდების ორგანიზაციის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების ეფექტიანობის ამაღლება.

33. იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ხელმძღვანელობის ხარისხი და ოპერატიულობა, გაუმჯობესდეს მატერიალური რესურსების მართვა და პროდუქციის მიწოდებისადმი კონტროლი, სსრ კავშირის სახმომარაგებამ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შექმნას საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემა, ამასთან ფართოდ გამოიყენოს გამოთვლითი ტექნიკა მონაცემების ავტომატიზებული გადაცემისა და დამუშავებისათვის.

ამ მიზნით უზრუნველყოს სსრ კავშირის სახმომარაგების მართვის ავტომატიზებული სისტემის შემდგომი განვითარება, მისი თანამოქმედება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და საწარმოების ავტომატიზებულ სისტემებთან.

34. ამაღლდეს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში მიმდინარე მეცნიერული კვლევის დონე და ეფექტიანობა. მიმართული იქნეს სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის სამეცნიერო ორგანიზაციათა საქმიანობა სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სრულყოფის პრობლემათა აქტუალური მეცნიერული კვლევის, საცდელ-საკონსტრუქტორო მუშაობის განვითარების, სასაწყობო სამუშაოთა მოწინავე ტექნოლოგიისა და პროდუქციის პაკეტურ-კონტეინერული ტრანსპორტირების ხერხების შესაქმნელად.

შეიქმნას სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარესთან თვალსაჩინო მეცნიერთა და სპეციალისტთაგან ეკონომიკურ მრჩეველთა ჯგუფი.

35. ამაღლდეს სსრ კავშირის სახმომარაგების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობა.

ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის სახმომარაგება და მისი ორგანოები მოვალენი არიან:

უზრუნველყონ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან უშუალო ურთიერთობის პრიორიტეტული განვითარება, აგრეთვე შექმნან მეორეული ნედლეულის გადამუშავების, ტარის დამზადება-შეკეთების, სასაწყობო მექანიზაციის საშუალებათა წარმოების ერთობლივი საწარმოები;

მოაწყონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების ღრმა შესწავლის საფუძველზე პროდუქციის ყველაზე რაციონალური საექსპორტო-საიმპორტო მიწოდება, რესურსების უპირველესი გამოყოფა საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის, სავალუტო სახსრების დიდი ეფექტიანობა და რაციონალური ხარჯვა;

განახორციელონ ოპერატიული კონტროლი და უზრუნველყონ საექსპორტო პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულება;

აწარმოონ ნაცვალგების საფუძველზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან გეგმების შესრულების პროცესში გამოთავისუფლებული პროდუქციის გაცვლა.

36. ახალი ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად გადაისინჯოს სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანიზაციული სტრუქტურა. ამასთან, მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ საჭიროა არსებითად გამარტივდეს მმართველობის სტრუქტურა და შემცირდეს მისი რგოლები, გაუქმდეს დუბლორგანიზაციები, ამაღლდეს კრებსითი და ფუნქციური ეკონომიკური ქვეგანაყოფების როლი როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, გაფართოვდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ყველა ორგანოს უფლებები და ამაღლდეს მათი პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობის მომარაგების დაგეგმვისა და ორგანიზაციის საკითხთა გადაწყვეტაში.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს დარგთშორისი და ფუნქციური მიზანმიმართულება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საერთო-სახელმწიფო სისტემის საქმიანობაში და შეიქმნას პირობები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებთან, ცენტრალურ ეკონომიკურ უწყებებთან, მმართველობის დარგობრივ და ტერიტორიულ ორგანოებთან მისი ყველაზე ეფექტიანი ურთიერთმოქმედებისათვის, საფუძვლად დაედო სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანიზაციულ სტრუქტურას მსხვილი დარგთშორისი კომპლექსები.

37. სსრ კავშირის სახმომარაგების კოლეგიამ კვლავაც იხელმძღვანელოს სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით და ძირეულად გაუმჯობესოს მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, მიიჩნიოს იგი სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის ეფექტიანი საქმიანობის გადამწყვეტ საშუალებად. მიიღოს ქმედითი ზომები მუშაკთა პროფესიული დონის ასამაღლებლად, განსაკუთრებით ეკონომიკის დარგში, ამასთან, გაითვალისწინოს სსრ კავშირის სახმომარაგების წინაშე მდგომი ახალი ამოცანები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კადრების დასაწინაურებელი რეზერვის მომზადებისათვის მუშაობის გაუმჯობესებას, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული სსრ კავშირის სახმომარაგების აპარატის, მისი ცენტრალური და ტერიტორიული ორგანოების დაკომპლექტება პოლიტიკურად მოწიფული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებსაც უნარი შესწევთ ღრმად გააანალიზონ, კრიტიკულად და პასუხისმგებლობის გრძნობით შეაფასონ სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მდგომარეობა, ხედავდნენ პერსპექტივებს და ეფექტიან გზებს გამოვლენილი პრობლემების საერთო-სახელმწიფო ინტერესებისათვის გადასაწყვეტად, თანამიმდევრულად და მტკიცედ გაატარონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი.

დროულად განაახლონ ხელმძღვანელი კადრები, ამასთან გაითვალისწინონ, რომ კადრების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მათი დამოკიდებულება გარდაქმნისადმი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანებისადმი და რეალური საქმიანობა მათი განხორციელებისადმი.

ამაღლდეს სსრ კავშირის სახმომარაგების სპეციალისტთა ატესტაციის ქმედითობა მუშაკთა ინიციატივისა და აქტიურობის განვითარებაში, დაკისრებულ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულებისათვის მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებაში.

ნიადაგ სრულყონ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათ მიერ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, დაგეგმვისა და მეურნეობრიობის ეფექტიანი მეთოდების შესწავლას, მმართველობის ეკონომიკური მეთოდების დაუფლებას.

38. სსრ კავშირის სახმომარაგების პარტიულმა კომიტეტმა განუხრელად იბრძოლოს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა გან-

ხორციელებისათვის, სრულყოს პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები. წარმართოს სსრ კავშირის სახმომარაგების კომუნისტთა, ყველა მუშაკთა ძალისხმევა პარტიის სტრატეგიული კურსის — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის რეალიზაციისათვის.

ამაღლდეს პარტიული ორგანიზაციის როლი და აქტიურობა სსრ კავშირის სახმომარაგების მუშაობის გარდაქმნაში, კადრების შერჩევა-განაწილებასა და აღზრდაში, საჯაროობის გაძლიერებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებაში.

ამაღლდეს მომთხოვნელობა ცენტრალური აპარატის ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისადმი. უზრუნველყოფილ იქნეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გარდაქმნის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განუხრელი შესრულება. დაიხვეწოს მუშაობის სტილი და მეთოდები, აღმოიფხვრას ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი.

გაძლიერდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ყველა ორგანოს პარტიული ორგანიზაციების აქტიურობა კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებაში, მუშაობის საჯაროობის გაფართოებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებაში.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მინისტრთა საბჭოები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, საწარმოები (გაერთიანებები), სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის სახმომარაგება კვლავაც იხელმძღვანელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით და განახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა გარდაქმნან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაცია, მიიჩნიონ იგი პარტიის სტრატეგიული კურსის — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის — წარმატებული რეალიზაციის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პირობად.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 810

1987 წლის 17 ივლისი

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საფინანსო მექანიზმის გარდაქმნისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს როლის ამაღლების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის შესახებ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება მოითხოვს, განხორციელდეს პრინციპულად ახალი საფინანსო პოლიტიკა, გატარდეს საფინანსო მექანიზმის რადიკალური რეფორმა, გაძლიერდეს მისი ზემოქმედება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდასა და სახელმწიფოს ფინანსთა განმტკიცებაზე, საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოებასა და პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

საფინანსო სისტემის, მართვის ეკონომიკური მეთოდების, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შეუფასებლობამ, სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციაში სამეურნეოანგარიშიანი საწყისების შესუსტებამ დაღი დაასვეს სახალხო მეურნეობის საფინანსო შედეგებს, გამოიწვიეს დარგების, გაერთიანებებისა და საწარმოების ფინანსთა მერყეობა. პრაქტიკულად ბევრი სამინისტროს, უწყების, მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამეურნეო ხელმძღვანელის მხედველობის ფარგლებს გარეთ დარჩა მათი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი უბანი — საფინანსო-ეკონომიკური მუშაობა. ისინი უპირატესად წარმოების მიმდინარე საკითხებს წყვეტდნენ და ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ეკონომიკისა და ფინანსების განმტკიცებას, წარმოების ხარჯების შემცირებას. მეურნეობის მართვის ყველა დონეზე შემცირდა პასუხისმგებლობა მეურნეობის ყაირათიანი გაძღოლისათვის, საფინანსო გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. სახალხო მეურნეობაში გაუარესდა საფინანსო დისციპლინა, გადიდდა იმ საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც ვერ ასრულებდნენ მოგების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს

შეუწყნარებლად გაიზარდა ზარალიანობა და დოტაციების ოდენობა. ბევრ ხელმძღვანელს ისინი სრულიად ნორმალურ და არცთუ უჩვეულო მოვლენად ეჩანდა.

არსებითად შესუსტდა საფინანსო მექანიზმის ზემოქმედება საწარმოთა ინტერესებზე რესურსების ეკონომიისა და მომჭირნედ გამოყენების, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების საქმეში.

ვერ იყო უზრუნველყოფილი დარგობრივი და ტერიტორიული საფინანსო დაგეგმვის ურთიერთშეხამება. საფინანსო მექანიზმი არ იწვევდა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ადგილობრივი ორგანოების დაინტერესებას მათს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მოკავშირე რესპუბლიკებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ხარჯების ფორმირება ხორციელდება რეგიონების მეურნეობათა განვითარებისა და ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებაში მათი წვლილის შიუხედავად.

შესუსტდა ბიუჯეტის, როგორც სახელმწიფოს ძირითადი საფინანსო გეგმის როლი. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო ობიექტურ შეფასებას არ აძლევდა ფინანსურ მდგომარეობას, ნაკლებ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფოს ხანგრძლივ საფინანსო პოლიტიკასთან, საფინანსო დაგეგმვის სრულყოფასთან და საფინანსო მექანიზმის ქმედითობის ამაღლებასთან დაკავშირებულ წინადადებათა შემუშავებას. მისი მუშაობის ფორმები და მეთოდები არსებითად არ იცვლებოდა და არ უწყობდა ხელს ზემოქმედებას წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე. გაუმართლებლად გაიზარდა საფინანსო რეგლამენტაციის მასშტაბი, რომელიც ხშირად წვრილმან ხასიათს ატარებდა და ბორკავდა საწარმოთა, ორგანიზაციათა, ადგილობრივ ორგანოთა და სამინისტროთა ინიციატივას. საფინანსო დაწესებულებათა მუშაობა შემოსავლის უზრუნველსაყოფად ხორციელდებოდა ძირითადად ადმინისტრაციული მეთოდებით. ბევრი ნაკლი დაგროვდა გადასახადებით დაბეგვრის ორგანიზაციაში, სახელმწიფო დაზღვევის საქმეში.

ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის დარგის მთავარი ნაკლია საფინანსო და საკრედიტო რესურსების, ფულადი სახსრების ბრუნვის მოწყვეტა მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობისაგან, სახალხო მეურნეობის მეტისმეტი გაჯერება საგადამხდელო საშუალებებით, ახლანდელი მანეთი მთლიანად ვერ ასრულებს ეკონომიკის მდგომარეობისადმი ფინანსური კონტროლის აქტიური ინსტრუმენტის როლს.

სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აქტიური საფინანსო პოლიტიკის განხორციელებისა და საფინანსო მექანიზმის პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ქმედით ინსტრუმენტად გადაქცევის მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიჩნეულ იქნეს საფინანსო სისტემის გარდაქმნის მთავარ ამოცანად მისი ზემოქმედების გაძლიერება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, ეროვნული შემოსავლის, მოგებისა და სახელმწიფოს სხვა ფინანსური რესურსების განუხრელი ზრდის უზრუნველყოფა, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება საზოგადოებრივი წარმოების ყველა რგოლში, საფუძვლად დაედოს გარდაქმნას სახალხო მეურნეობაში საფინანსო ურთიერთობის ორგანიზაციისადმი პრინციპულად ახალი მიდგომა, რომელიც ემყარება სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საწარმოთა და გაერთიანებათა სამეურნეო ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას, მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას, სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. მოხმარდეს საფინანსო მექანიზმი წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირების სტიმულირებას, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, დანაკარგების ლიკვიდაციას.

ამაღლდეს ფინანსთა სახელმწიფო მართვის ქმედითობა ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების ფართოდ დანერგვასთან, საწარმოო და სოციალურ განვითარებაში საწარმოების (გაერთიანებების), სახალხო დეპუტატთა საბჭოების დამოუკიდებლობის გაფართოებასთან შეხამებით ცენტრალიზებული საწყისების გაძლიერების საფუძველზე. სახელმწიფო ბიუჯეტთან და მართვის ზემდგომ ორგანოებთან საწარმოთა (გაერთიანებათა) საფინანსო ურთიერთობას საფუძვლად დაედოს ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები და საფინანსო ნორმები, აღიკვეთოს საკონლის საბოლოო რეალიზაციის გარეშე შემოსავლის მიღების ყველა შესაძლებლობა.

განმტკიცდეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო ბაზა. განხორციელდეს გადასვლა რეგიონების ფინანსების მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე, ამასთან საფუძვლად დაედოთ მათ გრძელვადიანი ნორმატივები, რომლებიც აწესებენ ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტების დამოკიდებულებას მათს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების (გაერთიანებების) საქმიანობის შედეგებზე.

თანამიმდევრულად განმტკიცდეს საერთო-სახელმწიფო ფინანსები, ამაღლდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის სტაბილურობა, მისი როლი საზოგადოებრივი წარმოების განვითარების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებაში, ეფექტიანობის გადიდებაში. გადაიქცეს მოხმარებული რესურსებისათვის საწარმოებისაგან მიღებული გადასახადები ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროდ. უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოს ფულადი რესურსების განსაკუთრებით რაციონალური და მომჭირნე გამოყენება. გაძლიერდეს საფინანსო მექანიზმის ზემოქმედება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების ღირებულებრივი შეწონასწორების უზრუნველყოფაზე.

საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის გარდაქმნა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში

2. უზრუნველყოფილ იქნეს საფინანსო გეგმების სისტემის კომპლექსური გარდაქმნა, არსებითად ამაღლდეს მათი როლი სახალხო მეურნეობის მართვის ყველა დონეზე როგორც ეკონომიკის გეგმიანი ხელმძღვანელობის და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი ხუთწლიანი და მიმდინარე გეგმების რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტისა.

გაძლიერდეს პერსპექტიული საფინანსო დაგეგმვის როლი, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15 წლის პერიოდის კონცეფციისა და ძირითად მიმართულებათა შემადგენლობაში გათვალისწინებულ იქნეს საფინანსო პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი გზები.

საჭიროდ ჩაითვალოს გადასვლა ხუთწლიანი საფინანსო გეგმების როგორც სახალხო მეურნეობის დარგების, კომპლექსებისა და რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების ორგანული შემადგენელი ნაწილის შემუშავებაზე.

გარდაიქმნას საფინანსო და საბიუჯეტო დაგეგმვა სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების სისტემის ბაზაზე, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ერთიანი საფინანსო პოლიტიკის განხორციელებას, საწარმოების (გაერთიანებების) და სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებათა გაფართოებას ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და გამოყენებაში. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ საფინანსო ურთიერთობის მარეგულირებელმა ეკონომიკურმა ნორმატივებმა უნდა უზრუნველყონ:

სახელმწიფოს თანაბარდაძაბული მოთხოვნები საწარმოო, შრომითი და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადმი საწარმოთა მიერ.

წარმოების სტრუქტურის ფორმირების, მისი ინტენსიფიკაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ხელშემწყობი ფინანსური პირობების შექმნა;

ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების დავალებათა რეალიზაციისათვის ფინანსურ რესურსებზე სახელმწიფოს, რეგიონების, მართვის ზემდგომი ორგანოებისა და საწარმოების (გაერთიანებების) მოთხოვნილებათა შეწონასწორება;

საწარმოთა (გაერთიანებათა) და რეგიონთა საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ოდენობის ურთიერთკავშირი მეურნეობრიობის ეფექტიანობასთან და საქმიანობის საბოლოო შედეგებთან;

საერთო-სახელმწიფო, კოლექტიური და პირადი ინტერესების ოპტიმალური შეხამება განაწილებითს ურთიერთობაში;

ფულადი დაგროვების გადიდების სტიმულირება მისი ზრდის ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე:

წარმოების განვითარების, სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და შრომითი კოლექტივების მატერიალური წახალისების ხარჯების დაფინანსება მათ მიერ გამომუშავებული სახსრების გამოყენებით.

აკრძალულია საწარმოს მოგებისა და სხვა ფინანსური რესურსების ჩამორთმევა და გადანაწილება დაწესებული ნორმატივების, ნორმებისა და განაკვეთების გადამეტებით, აგრეთვე კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში.

ახალ სამეურნეო მექანიზმთან შეუთავსებლად ჩაითვალოს საწყისი ბაზის მიხედვით ეკონომიკური ნორმატივების დაწესების ცდები, წლებისა და ხარჯთა ჭრილების მიხედვით დანაწევრება, მოცულობის დავალებებით შეცვლა.

დამთავრდეს მეთორმეტე ხუთწლედში მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური ნორმატივების შემუშავება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს მეცამეტე ხუთწლედის გეგმის პროექტების შედგენის უზრუნველყოფა ამ ნორმატივების საფუძველზე.

დაწესდეს, რომ წლების მიხედვით დანაწილებული საფინანსო ხუთწლიანი გეგმები შეიცავდეს მართვისა და მეურნეობრიობის შესაბამის დონეებზე სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გამსხვილებულ

მაჩვენებლებს, შედგენილს საკონტროლო ციფრების, სახელმწიფო შეკვეთების, ლიმიტებისა და ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე და ემსახურებოდეს ფინანსური რესურსების საერთო მოცულობის შეხამებას მათს წყაროებთან და ხარჯვის მიმართულებებთან.

3. საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციაში საფინანსო დაგეგმვის როლის ასამაღლებლად და მართვის ყველა დონეზე საფინანსო გეგმების სისტემათა ერთიანობის უზრუნველსაყოფად დაწესდეს, რომ:

საწარმოები (გაერთიანებები) დამოუკიდებლად შეიმუშავებენ და ამტკიცებენ საფინანსო გეგმებს, რომლებშიც განისაზღვრება მოგებისა და შემოსავლის განაწილების საგეგმო პროპორციები, აგრეთვე ხარჯების მოცულობა, მათ შორის, საბიუჯეტო და ზემდგომი ორგანიზაციისათვის განკუთვნილი გადასახდელები, ამასთან ისინი ხელმძღვანელობენ დადგენილი წესით განსაზღვრული საფინანსო ნორმებით. მოგებისა და საბიუჯეტო გადასახდელების ოდენობა ეცნობება საფინანსო ორგანოებს კონტროლისათვის;

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უწყება-სამინისტროები საწარმოთა (გაერთიანებათა) საფინანსო გეგმების საფუძველზე ადგენენ დარგის საფინანსო გეგმებს სამინისტროს, უწყების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლებთან ყოველგვარი საფინანსო და საკრედიტო რესურსების შესაწონასწორებლად. აღნიშნულ გეგმებში განისაზღვრება ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ოდენობა და გამოყენების მიმართულებანი საერთო-დარგობრივი ამოცანების გათვალისწინებით;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები საქვეუწყებო სამინისტროთა და უწყებათა საფინანსო გეგმების საფუძველზე შეიმუშავებენ რესპუბლიკების საფინანსო გეგმებს, რომლებშიც რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესაბამისად განისაზღვრება შემოსავლის ძირითადი სახეობანი და გამოყენების მიმართულებანი, ამასთან საერთო-სახელმწიფო შემოსავლიდან მოკავშირე რესპუბლიკის განკარგულებაში მიღებული სახსრების თანხა განისაზღვრება მოცემული მოკავშირე რესპუბლიკებისათვის დაწესებული სტაბილური ნორმატივის მიხედვით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროების და უწყებების საფინან-

სო გეგმების საფუძველზე შეადგენს სახელმწიფოს კრებსით საფინანსო ბალანსს ხუთწლედისათვის, რომელიც წლების მიხედვით იქნება დაყოფილი.

4. ამაღლდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც ფულადი რესურსების ცენტრალიზებული ფონდის, მნიშვნელობა და როლი სახალხო მეურნეობის საფინანსო გეგმების სიტემაში, გაძლიერდეს მისი სოციალური მიზანმიმართულება. ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ფორმირება განხორციელდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებითა და საფინანსო გეგმებით გათვალისწინებული მაჩვენებლებისა და გრძელვადიანი ნორმატივების საფუძველზე. განისაზღვროს სახელმწიფოს ცენტრალიზებული შემოსავლისა და გასავლის საანგარიშო-გამსხვილებული მაჩვენებლები ხუთწლეულისათვის.

დაწესდეს, რომ საწარმოები (გაერთიანებები) თვითდაფინანსების პრინციპის განხორციელებისას სავალდებულო წესით მონაწილეობენ სტაბილური ნორმატივების საფუძველზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირებაში საერთო-სახელმწიფო ღონისძიებათა დროული და შეუფერხებელი დაფინანსების, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გადიდების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და სახელმწიფოს სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

იმ მიზნით, რომ ეკონომიკური ნორმატივები გადაიქცეს სახელმწიფო ბიუჯეტთან საწარმოთა (გაერთიანებათა) ურთიერთობის ძირითად რეგულატორად და ამაღლდეს მათი როლი სახელმწიფოს ცენტრალიზებული ფინანსური რესურსების ფორმირებაში, გარდაიქმნას დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით მოგების (შემოსავლის) განაწილებისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების სისტემა საწარმოო ფონდების, შრომითი და ბუნებრივი რესურსებისათვის განკუთვნილი ნორმატიული გადასახდელების საყოველთაო დანერგვის, აგრეთვე საწარმოთა იმ შემოსავლის გადასახადით დაბეგვრის მექანიზმის გამოყენების საფუძველზე, რომელიც რჩება რესურსებისათვის განკუთვნილ უპირველეს გადასახდელთა შეტანისა და კრედიტის სარგებლის გადახდის შემდეგ.

გაუმჯობესდეს ყველა ზემოაღნიშნული გადასახდელის შეტანის წესი, ამასთან მიჩნეულ იქნეს ისინი ფონდუკუგების ამაღლებაზე, რესურსდაზოგვაზე, საწარმოო პოტენციალის აქტიური ნაწილის განახლებაზე, საერთო-სახალხო საკუთრების ეფექტიან გამოყენებაზე ზემოქმედების დიდმნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ თანამიმდევრულად დაინერგოს საწარმოო ფონდების გადასახდელის ერთიანი ნორმა დარგის ყველა საწარმოსათვის, ხოლო შემდგომში — ყველა დარგისათვის. დაშვებულ იქნეს ზარალიანი და ნაკლებრენტაბელური საწარმოებისათვის მისი დროებით გაუქმების ან შემცირების შესაძლებლობა.

შრომითი რესურსების ბალანსის დაძაბულობის კვალობაზე ქვეყნის რეგიონების მიხედვით დიფერენცირებული შრომითი რესურსების გადასახდელის მეშვეობით ანაზღაურდეს სახელმწიფო ხარჯები მუშახელის მომზადების, მუშაკთა სოციალურ-კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

ბუნებრივი რესურსების (მიწის, წყლის, წიაღისეულის) გადასახდელის მეშვეობით გადახდევინებულ იქნეს ამ რესურსების ბუნებრივი პროდუქტიულობის განსხვავების გამო წარმოშობილი დიფერენციული რენტა.

რესურსების საბიუჯეტო გადასახდელებთან ერთად გამოყენებულ იქნეს საწარმოთა იმ შემოსავლის დაბეგვრა, რომელიც რჩება რესურსებისათვის განკუთვნილ გადასახდელთა შეტანისა და კრედიტის სარგებლობის გადახდის შემდეგ.

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ძირითადად უნდა მოხმარდეს უწინარესად ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას, კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებას, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ზრდას, სოციალური განვითარების დაჩქარებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის შესაბამისი წლის მაჩვენებლების, მოკავშირე რესპუბლიკების საფინანსო გეგმების, სახელმწიფოს კრებსითი საფინანსო ბალანსის კვალობაზე და მორიგი წლის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 თვისა წარმოუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის იმ მოხსენების პროექტთან ერთად, რომელიც ეხება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობას და ხუთწლედის მორიგი წლის საგეგმო დავალებების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

უწყება-სამინისტროებმა ფინანსების მართვის ეკონომიკური მეთოდების საფუძველზე უზრუნველყონ საწარმოებისათვის (გაერთია-

ნებებისათვის) დასამტკიცებელი ეკონომიკური ნორმატივების ღრმა დამუშავება და დასაბუთება, სტაბილურობა და დროული დაგზავნა.

5. მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლის ფინანსური ვითარების გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით:

სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 3 თვის ვადაში მოამზადონ სახალხო მეურნეობის დარგების ფინანსთა გაჯანსაღების წინადადებანი;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახბანკთან ერთად შეიმუშაონ 1987 წელს მთლიანად სახალხო მეურნეობის ფინანსური გაჯანსაღების სპეციალური პროგრამა.

6. უწყება-სამინისტროებმა აამაღლონ პასუხისმგებლობა ფინანსთა მდგომარეობისა და დარგის მუშაობის შედეგებისათვის, გაუწიონ დახმარება საწარმოებს (გაერთიანებებს) საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის დაყენების გაუმჯობესებაში, მიიღონ ზომები მათი ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებისა და ზარალიანობის ლიკვიდაციისათვის, მთლიანად დარგის მიხედვით მოგების გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელთა ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

სამინისტროებსა და უწყებებს აეკრძალოთ ჩარევა საწარმოთა (გაერთიანებათა) ოპერატიულ საფინანსო საქმიანობაში, რომელთაც აკისრიათ მთელი პასუხისმგებლობა მეურნეობრიობის შედეგების რენტაბელური, უზარალო მუშაობის უზრუნველყოფის, რესურსების ეფექტიანი გამოყენების, საკუთარი საბრუნავი საშუალებების ფორმირებისა და დაცვა-შენახვისათვის.

7. ამაღლდეს საწარმოთა (გაერთიანებათა) ეკონომიკური პასუხისმგებლობა სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის დაცვისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი ანგარიშების უტყუარობისათვის. შემოსავლის განზრახ დამალვის ან წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებზე მათთან დაუკავშირებელი ხარჯების მიკუთვნების შედეგად შემოსავლის შემცირების შემთხვევაში საწარმოები უხდიან ბიუჯეტს განზრახ შემცირებული მოგების მთელ თანხას.

8. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეცვალოს საბიუჯეტო დაწესებულებათა საქმიანობის დაფინანსების სისტემა, ამასთან მხედველობაში იქონიოს მათი შენახვის ხარჯების დაგეგმვის მეცნიერული დასაბუთების ამაღლება, საქმიანობის საბოლოო შედეგებზე ორიენტირებული საფინანსო ნორმებიდან და სტაბილური გრძელვადიანი ეკო-

ნომიკური ნორმატივებიდან გამომდინარე, ფართოდ გამოიყენოს ამ დაწესებულებათა მუშაობის ხარისხის ეკონომიკური სტიმულირებისა და მათთვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებათა რაციონალური გამოყენების მეთოდები. უფლება მისცეს საბიუჯეტო დაწესებულებებს გამოიყენონ სოციალური და საწარმოო საჭიროებისათვის დაწესებულ ნორმებთან შედარებით ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დაზოგილი ასიგნებანი იმ პირობით, თუ შეასრულებენ საქმიანობის მაჩვენებლებს. შეწყვიტოს ამ ორგანიზაციებისათვის დაზოგილი სახსრების ჩამორთმევის და მომდევნო საგეგმო პერიოდში მათი ასიგნებების ამ თანხით შემცირების პრაქტიკა. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ განსაზღვროს დაწესებულებების სახეობათა მიხედვით ზემოაღნიშნული სახსრების კონკრეტული ოდენობა, შექმნისა და გამოყენების წესი, ამასთან არ დაუშვას მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების ხარისხის გაუარესება.

თანამიმდევრულად დანერგოს სოციალურ-კულტურული სფეროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დაფინანსების სამეურნეოანგარიშებრივი ფორმები მათი მუშაობის საბოლოო შედეგებთან მჭიდრო კავშირით.

ტერიტორიული საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის სრულყოფა

9. იმ მიზნით, რომ რეგიონების კომპლექსური საწარმოო და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად ფინანსური რესურსების ფორმირებასა და გამოყენებაში გაფართოვდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებები და ამაღლდეს მათი პასუხისმგებლობა, განხორციელდეს ტერიტორიული საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის გარდაქმნა, ამასთან გაძლიერდეს ადგილობრივი ბიუჯეტების დამოკიდებულება შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო საქმიანობის საფინანსო შედეგებზე.

დაწესდეს, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების საფინანსო ბაზა ყალიბდებოდეს სტაბილური ნორმატივების მიხედვით საწარმოთა (გაერთიანებათა) მოგების (შემოსავლის) — ყველა ბიუჯეტის ძირითადი წყაროს, ანარიცხების, მათზე გაპიროვნებული სხვა შემოსავლის და საერთო-სახელმწიფო გადასახადებისა და ხუთწლედისათვის დამტკიცებული სტაბილური ნორმატივების მიხედვით გადასაცემი შემოსავლის ნაწილის ხარჯზე.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ყველა სამინისტროსა და უწყების საწარმოები (გაერთიანებები) მონაწილეობდნენ ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიათა კეთილმოწყობის დასაფინანსებლად განკუთვნილი ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირებაში.

გაფართოვდეს ხანგრძლივმოქმედი გამსხვილებული ეკონომიკური ნორმატივების გამოყენება შემოსავალ-გასავლის დაგეგმვაში იმ სახსრების ოდენობის განსასაზღვრავად, რომლებიც ხმარდება შესაბამისი ტერიტორიების საწარმოო და სოციალურ განვითარებას, მათ შორის საავტომობილო გზების მშენებლობასა და მოვლას, კომუნალური მეურნეობის განვითარებას, ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოებასა და სხვა საჭიროებებს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით განსაზღვრონ ზემოაღნიშნული ხარჯების ნუსხა და ამ მიზნებისათვის განკუთვნილი რესურსების ფორმირების წესი. გაითვალისწინონ, რომ საწარმოთა (გაერთიანებათა) მოგების ხარჯზე ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების ნორმატივები განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით.

განხორციელდეს ცალკეული რეგიონების საფინანსო რესურსების ფორმირების თანდათანობით გადაყვანა გრძელვადიანი ნორმატივების საფუძველზე. ასეთი წესი მეცამეტე ხუთწლედიდან გავრცელდეს ყველგან.

10. იმ საკონტროლო ციფრებიდან, ეკონომიკური ნორმატივებიდან და საფინანსო ნორმებიდან გამომდინარე, რომლებსაც მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ამტკიცებენ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საგეგმო წლის შესაბამისი ბიუჯეტების შემოსავალ-გასავალს. არ დაუშვან სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ ბიუჯეტების შესრულებისას დამატებით გამოვლენილი და დაზოგილი, კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი სახსრების ჩამორთმევა და გადანაწილება ბიუჯეტებს შორის. ბიუჯეტებში შემოსავლის მიღების გეგმის შეუსრულებლობისას სახალხო დეპუტატთა საბჭოები უზრუნველყოფენ საგეგმო ხარჯების დაფინანსებას მიღებული შემოსავლისა და მათს განკარგულებაში არსებული ფინანსური რეზერვების ფარგლებში.

11. ამაღლდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების დაინტერესება და პასუხისმგებლობა სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. განხორციელდეს ძირეული

ლონისძიებანი ბრუნვის გადასახადის აკრეფის პრაქტიკის სრულყოფისათვის.

დაწესდეს ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის გადიდების უშუალო დამოკიდებულება მოცემულ ტერიტორიაზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისაგან შემოსულ ბრუნვის გადასახადზე და სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე. ამასთან ბრუნვის გადასახადის გადამხდელები არიან, როგორც წესი, უშუალოდ პროდუქციის დამამზადებელი საწარმოები. განხორციელდეს ადგილობრივ ბიუჯეტებში ბრუნვის გადასახადის გადარიცხვა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობის მიმართ ფიქსირებული განაკვეთებით (პროცენტებით).

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სავალუტო-საფინანსო დაგეგმვის სრულყოფა

12. უზრუნველყოფილ იქნეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ეფექტიანობის გადიდება სახელმწიფოს საფინანსო და სავალუტო რესურსების ფორმირებაში, მისი როლის ამაღლება. გაძლიერდეს საფინანსო სისტემის ზემოქმედება საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებასა და გაფართოებაზე, სახალხო მეურნეობაში სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების ფართოდ დანერგვისათვის საჭირო პირობების შექმნაზე. ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან სავალუტო-საფინანსო ურთიერთობის პრიორიტეტული განვითარება ორმხრივ ხელსაყრელ საფუძველზე.

ამ მიზნით ამაღლდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს როლი და პასუხისმგებლობა სავალუტო-საფინანსო დაგეგმვის ორგანიზაციაში და დაეკისროს მას:

შეიმუშაოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახბანკთან ერთად კრებსითი სავალუტო გეგმის (საგადამხდელო ბალანსის), სამინისტროთა და უწყებათა სავალუტო გეგმების, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სსრ კავშირის ანგარიშსწორების მიხედვით შემოსავლისა და გადასახდელთა გეგმების პროექტები, აგრეთვე განახორციელოს მეთოდიკური ხელმძღვანელობა სავალუტო დაგეგმვის დარგში;

განახორციელოს არასავაჭრო ოპერაციების მიხედვით სავალუტო

შემოსავლისა და გადასახდელთა დაგეგმვა და კონტროლი ამ გეგმების შესრულებისადმი;

მონაწილეობა მიიღოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სავალუტო ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებაში, საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის პროგნოზირებაში, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა პროექტების ფინანსურ დასაბუთებაში.

შეიმუშაოს წინადადებანი ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების, დამატებითი სავალუტო შემოსავლის გამოვლენისა და მობილიზაციის, უცხოური ვალუტის რაციონალური გამოყენებისა და ეკონომიის, საჭირო სავალუტო და სასაქონლო რეზერვების შექმნის თაობაზე.

13. უცხოეთის სახელმწიფოებთან, პირველ რიგში სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან სავალუტო-საფინანსო ურთიერთობის სრულყოფისათვის სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის დიდმნიშვნელოვან მიმართულებებად იქნეს მიჩნეული, რომ:

მოამზადოს წინადადებანი ექსპორტის გადიდებით, საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალი პროგრესული ფორმების განვითარებით, მათ შორის ერთობლივ საწარმოთა, საერთაშორისო გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შექმნით საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმის გაუმჯობესების თაობაზე;

მონაწილეობა მიიღოს სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების ღონისძიებათა რეალიზაციაში, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო და მეცნიერული კოოპერაციის ხაზით, განავითაროს ერთობლივ საწარმოთა უშუალო საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა და საქმიანობა სრული სამეურნეო ანგარიშის, სავალუტო თვითნაზღაურობისა და თვითდაფინანსების საფუძველზე.

შეიმუშაოს წინადადებანი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის საანგარიშსწორებო-საკრედიტო და სავალუტო-საფინანსო მექანიზმის სრულყოფის თაობაზე, რათა გააძლიეროს მისი მონაწილეების დაინტერესება შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა აქტიური გამოყენებით;

უზრუნველყოს ქმედითი კონტროლი სსრ კავშირში და საზღვარგარეთ მოქმედი უცხოეთის ორგანიზაციებთან კომერციული ოპერაციების განმახორციელებელი საბჭოთა ორგანიზაციების სავალუტო-საფინანსო საქმიანობისადმი და კოორდინაცია გაუწიოს სამინისტროებისა და უწყებების მხრივ საუწყებო კონტროლს ამ ორგანიზაციათა საქმიანობისადმი.

14. განხორციელდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის გარდაქმნის ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი ძალისხმევის კონცენტრაციას სახალხო მეურნეობაში ფინანსებისა და საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის სრულყოფის სტრატეგიულ მიმართულებებზე.

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო, როგორც ქვეყნის ცენტრალური საფინანსო-ეკონომიკური ორგანო, ორგანიზაციას უწევს ფინანსებისადმი ზოგად ხელმძღვანელობას, ახორციელებს სახელმწიფოს ერთიან საფინანსო პოლიტიკას, უზრუნველყოფს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებასა და შესრულებას, გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების ფართოდ გამოყენებას საფინანსო დაგეგმვის პრაქტიკაში.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გააძლიეროს თანამოქმედება ცენტრალურ ეკონომიკურ უწყებებთან, დარგობრივ სამინისტროებთან წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ფულადი დაგროვების გადიდების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების გაღრმავების, ახალი სამეურნეო მექანიზმის სხვა ელემენტებთან საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების კურსის თანამიმდევრული განხორციელებისათვის, უზრუნველყოს მანეთისმიერი ნამდვილი კონტროლი მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანობისადმი.

15. იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს როლი საფინანსო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში, სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ზრდის უზრუნველყოფაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებებზე მათს კონცენტრაციაში, ეკონომიკის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფაში, სოციალური სფეროს განვითარებაში, სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირების გაუმჯობესებაში:

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ეკისრება პასუხისმგებლობა კრებსითი საგეგმო-საფინასო მუშაობის მდგომარეობის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების ღირებულებრივი შეწონასწორების უზრუნველყოფისათვის;

გათვალისწინებულ იქნეს, რომ ხახელმწიფოს კრებსით საფინანსო ბალანსს, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსს, კრებსით სავალუტო გეგმას შეიმუშავებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს აქტიური მონაწილეობით. უზრუნველყონ აღნიშნული კრებსითი ბალანსების საგულდაგულო და ღრმა დამუშავება, დროულად მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფოსა და მოსახლეობის დასახული შემოსავალ-გასავლის, აგრეთვე მათი შეწონასწორების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გააძლიეროს თანამოქმედება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან მოგების, როგორც სახელმწიფოს ცენტრალიზებული ხარჯების დაფინანსების, საწარმოთა (გაერთიანებათა) საწარმოო და სოციალური განვითარების ძირითადი წყაროს ფორმირების საკითხებში. დაწესდეს, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და საქმიანობის სახეობათა მიხედვით მოგების დაგეგმვას ახორციელებდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით.

16. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გარდაქმნის მოთხოვნების შესაბამისად განახორციელოს:

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახბანკთან ერთად ფულის მიმოქცევის განმტკიცების, ფულადი რესურსების მთელ ერთობლიობით ფულის ბრუნვის გეგმიანი რეგულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვასთან მისი შესაბამისობის, წარმოებაზე საფინანსო-საკრედიტო მეთოდების ზემოქმედების გაძლიერების ღონისძიებანი მოთხოვნისა და მიწოდების შეწონასწორების მიღწევის, მანეთის მყიდველობითი უნარის გადიდების მიზნით;

სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის, სახელმწიფოს შემოსავლის ფორმირებაში მათი წვლილის გადიდებისათვის კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოსახლეობაში ასაკრები გადასახადების სისტემის სრულყოფის მიზნით, სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვით;

მეურნეობრიობის ახალი მეთოდების პირობებში დაბეგვრის პრაქტიკის სრულყოფა საწარმოთა (გაერთიანებათა) საქმიანობის სტიმუ-

ლირების გასაძლიერებლად და სახელმწიფო ფინანსების განსამტკიცებლად;

მეთოდიკური ხელმძღვანელობა სახალხო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის, როგორც ყველა სახეობის რესურსების ეფექტიანი და რაციონალური ხარჯვის, საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობის, დოკუმენტბრუნვის შემცირებისადმი კონტროლის უმნიშვნელოვანესი საშუალების დაყენების საქმისადმი.

17. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო დაზღვევის ძირეული სრულყოფა მოსახლეობის სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ინტერესებისათვის. სსრ კავშირის სახდაზღვევის ორგანოების საქმიანობა განხორციელდეს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების საყოველთაო გამოყენების საფუძველზე.

გაუმჯობესოს დაზღვევის დაწესებულებათა მიერ მომსახურების ხარისხი, აამაღლოს მომსახურების კულტურა, აქტიურად დანერგოს დაზღვევის. ახალი პერსპექტიული სახეობანი და განავითაროს სადაზღვევო საქმე უშუალოდ შრომითს კოლექტივებში.

უმოკლეს ვადებში დაძლიოს სხვაობა დიდ და პატარა ქალაქებში, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დაზღვევის ორგანოთა მიერ მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფის მხრივ.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაოს და წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყანაში სახელმწიფო დაზღვევის არსებითს გაუმჯობესებასა და განვითარებას.

18. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა გაძლიერონ მომეურნეობის რეჟიმისა და სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი ფინანსური კონტროლის ქმედითობა, სრულყონ ეკონომიკური და საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა. არ დაუშვან საწარმოთა (გაერთიანებათა) წვრილმანი ფინანსური რეგლამენტაცია და ზედმეტი მეურვეობა, განუხრელად დაიცვან მათთვის სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონით დაწესებული უფლებანი. მუდმივი კონტროლი გაუწიონ სამინისტროებისა და უწყებების მიერ საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებას. აღმოუჩინონ მეთოდიკური და პრაქტიკული დახმარება საწარმოებს (გაერთიანებებს) საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის ორგანიზაციაში.

19. გაძლიერდეს მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯების დაგეგმვაში საწარმოთა (გაერთიანებათა) სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების პირობებში ეკონომიკური და ანალიზური მუშაობა მმართველობის აპარატის ორგანიზაციის სრულყოფისათვის. შემუშავდეს ამ საფუძველზე წინადადებანი მმართველობის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებისა და მისი შენახვის გაიაფების შესახებ, გამოყენებულ იქნეს ისინი ხელფასის ფონდის ნორმატივების შემუშავებისას.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად ყოველწლიურად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება მმართველობის აპარატის განვითარების მდგომარეობისა და ტენდენციების, მისი შენახვის ხარჯებისა და აპარატის გაიაფების ღონისძიებათა შესახებ.

20. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს უფლებათა გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ სამინისტრომ:

კონტროლი გაუწიოს ბიუჯეტში, სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალიზებულ ფონდებსა და რეზერვებში მოგების (შემოსავლის) ანარიცხებისა და გადასახდელთა იმ ნორმატივების ეკონომიკურ დასაბუთებას და სტაბილურობას, რომლებიც უწესდებათ საწარმოებს (გაერთიანებებს);

შეიტანოს სსრ კავშირის სახბანკთან ერთად სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ განსახილველად წინადადებანი იმ საწარმოთა (გაერთიანებათა) დადგენილი წესით ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე ვერ უზრუნველყოფენ რენტაბელურ მუშაობას და ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ბიუჯეტის, ბანკების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე.

21. ამაღლდეს ფინანსების, კრედიტის, ფულის მიმოქცევის, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის მთელი ერთობლიობის დარგში მეცნიერული კვლევის თეორიული დონე, ხარისხი და პრაქტიკული მნიშვნელობა. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ განამტკიცოს ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან კავშირი კონკრეტულ წინადადებათა შესამუშავებლად, რომელთა მიზანია უზრუნველყონ ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების მთელი კომპლექსის უფრო ეფექტიანი გამოყენება სახალხო მეურნეობის მართვის პრაქტიკაში.

22. გადაისინჯოს ახალი ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა. ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ საჭიროა არსებითად ამაღლდეს კრებსით საქმართველოთა და განყოფილებათა როლი, დაძლეულ იქნეს აპარატის სტრუქტურის ვიწროდარგობრივი მიმართულება.

გაძლიერდეს მეთოდიკური ხელმძღვანელობა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საფინანსო სამმართველოების (განყოფილებების), აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა საფინანსო სამსახურების საფინანსო მუშაობისადმი. გადაისინჯოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული მეთოდიკური მითითებანი; ამასთან ხელმძღვანელობაში იქნეს მიღებული მათი შესაბამისობა ახალი სამეურნეო მექანიზმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის მოთხოვნებთან, გაუქმდეს სამინისტროების, უწყებების, საწარმოების (გაერთიანებების) და ადგილობრივი ორგანოების უფლებათა დაუსაბუთებელი შეზღუდვები.

23. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ ძირეულად გარდაქმნას მეურნეობრიობის ახალ პირობებში ცენტრალური აპარატისა და საფინანსო ორგანოების მუშაობის სტილი, მეთოდები და ფორმები. განახორციელოს საფინანსო სისტემაში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებანი. აამაღლოს სპეციალისტთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. სრულყოს საფინანსო ორგანოების მუშაკთა სტიმულირების ეკონომიკური მეთოდები, გააძლიეროს მათი დაინტერესება საწარმოთა (გაერთიანებათა) მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებით, მოგების (შემოსავლის) და წარმოების რენტაბელობის ზრდით, რესურსების რაციონალური ვამოყენებით.

უზრუნველყოს ფინანსების, კრედიტის, ფულის მიმოქცევის, საბუღალტრო აღრიცხვისა და საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის დარგის მუშაკთა პროფესიული დონის ამაღლება, სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესება უმაღლეს სასწავლებლებსა და საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმებში.

24. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს პარტიულმა კომიტეტმა მტკიცედ იბრძოლოს პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებისათვის, თანამიმდევრულად დაამკვიდროს პარტიულ მუშაობაში ლენინური პრინციპები და ნორმები, გარდაქმნას პარტიული ხელმძღვანელობის სტილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის

იანვრისა და ივნისის პლენუმების მოთხოვნების სულისკვეთებით. გააძლიეროს პარტიული ორგანიზაციების ავანგარდული როლი ფინანსების გარდაქმნაში, კადრებთან მუშაობაში, ჩაუნერგოს მათ პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი მიდგომა საქმისადმი, გამოუმუშაოს უნარი — იმუშაონ გაღრმავებული დემოკრატიის, ფართო საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ადამიანთა საზოგადოებრივი და შრომითი აქტიურობის აღმავლობის პირობებში.

25. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა კვლავაც იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით და ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის განმტკიცებას სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, საფინანსო ორგანოების როლის ამაღლებას ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების რეალიზაციაში და მათს გადაქცევას პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის აქტიურ გამტარებლებად.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 820

1987 წლის 17 ივლისი

ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში ფასწარმოქმნის სისტემის გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა შესახებ

ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის თაობაზე პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საჭიროა განხორციელდეს ფასწარმოქმნის რადიკალური რეფორმა და ფასები გადაიქცეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზო-

გადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მართვის ეკონომიკური მეთოდების ფართოდ გამოყენების, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების ქმედით იარაღად.

ფასწარმოქმნის მოქმედი სისტემა ჩამოყალიბდა ეკონომიკის ექსტენსიური განვითარების პირობებში. აქ დიდი ნაკლოვანებანი და დისპროპორციები დაგროვდა, რომელთაც გამოიწვიეს ფასების, როგორც სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი აქტიური ეკონომიკური ბერკეტის, როლის დაკნინება. ფასები პრაქტიკულად ძირითადად სააღრიცხვო-საანგარიშო ფუნქციებს ასრულებდა, არ ქმნიდა სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და რესურსდაზოგვის პირობებს.

მრავალი სახეობის პროდუქციის ფასები არ ასახავენ მათი წარმოებისა და რეალიზაციისათვის საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯებს, მთლიანად არ ითვალისწინებენ ნაკეთობათა სამომხმარებლო თვისებებსა და ხარისხს, არ ახდენენ მარეგულირებელ ზემოქმედებას მოთხოვნისა და მიწოდების შეწონასწორებაზე. ისინი ძალზე სუსტად ზემოქმედებენ პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და საწარმოო ფონდების განახლებაზე, არასაკმარისად ეფექტიანია მათი გამოყენება საწარმოთა და გაერთიანებათა მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის სტიმულირებისათვის.

ფასწარმოქმნისადმი დამკვიდრებული მიდგომა მნიშვნელოვანწილად ემყარება საწარმოთა ინდივიდუალური დანახარჯების ანაზღაურების პრინციპს და საშუალებას აძლევს მათ მიიღონ მოგება, რაც დამოკიდებული არ არის მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანობაზე. ეს ქმნის ფასების მომატების შესაძლებლობასა და პირდაპირ დაინტერესებას ამით, წარმოშობს ღირებულებითი მოცულობის ზადიდებისა და შეფასებითი მაჩვენებლების გაუმჯობესების პირობებს პროდუქციისა და წარმოების ეფექტიანობის რეალური ზრდის გარეშე, აფერხებს ეკონომიის რეჟიმის განხორციელების კურსის რეალიზაციას.

დაირღვა ფასების სისტემის, როგორც ერთი მთლიანის, მართვის პრინციპი, დაშვებული იყო მრავალი სახეობის პროდუქციის საბითუმო, შესასყიდი და საცალო ფასების, მომსახურების ტარიფების დონის სერიოზული შეუსაბამობანი, რაც იწვევდა დაუსაბუთებელ წინააღმდეგობებს გაერთიანებათა და საწარმოთა საერთო-სახელმწიფოებრივ და სამეურნეოანგარიშიან ინტერესებს შორის.

ფასწარმოქმნისადმი ეკონომიკურად გაუმართლებელმა მიდგომამ გამოიწვია სულ სხვადასხვაგვარი პროდუქტებისა და მომსახურების

წარმოებისა და რეალიზაციისათვის დოტაციების წარმოშობა და სწრაფი ზრდა.

მნიშვნელოვანი გადახრები მოხდა სამრეწველო და სასურსათო საქონლის საცალო ფასების დონეში. ეს იყო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მოთხოვნებსა და მიწოდებას შორის დისპროპორციის, სახალხო მეურნეობაში ზარალიანობის წარმოქმნის, ერთი საქონლის ხელოვნური დეფიციტის, მეორეზე მოთხოვნის შეზღუდვის და უზომოდ მაღალ ფასებში მთელი რიგი საქონლის რეალიზაციის ერთ-ერთი არსებითი მიზეზი, წარმოიშვა ნეგატიური მოვლენები მიმოქცევის სფეროში და შეამცირა მანეთის მყიდველობითი უნარი.

ფასების სისტემა მნიშვნელოვანწილად ყალიბდებოდა მსოფლიო ფასების დონისაგან მოწყვეტით, არ ითვალისწინებდა ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს შრომის საერთაშორისო განაწილებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის უპირატესობათა ეფექტიანი გამოყენების მიზნით, რაც აძნელებდა საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის ეფექტიანობის სწორ შეფასებას და ამახინჯებდა მის ნამდვილ შედეგებს.

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგანოები არ ახორციელებდნენ ეკონომიკის მართვასა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში ფასებისა და ტარიფების როლის გაძლიერების გეზს და თავიანთ საქმიანობას წარმართავდნენ მეორეხარისხოვანი ამოცანების გადაწყვეტისაკენ.

ფასწარმოქმნის პრაქტიკაში დამკვიდრდა დაუსაბუთებელი ცენტრალიზაცია უმეტეს სახეობათა პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების ფასებისა და ტარიფების დაწესებაში. ასეთმა მიდგომამ ფაქტიურად ჩამოაშორა ბომხმარებლები ფასწარმოქმნის პროცესს, შეასუსტა მოთხოვნები პროდუქციის მწარმოებლისადმი, წარმოშვა ბიუროკრატიზმი და ზოზინი ფასების დაწესებაში, ბევრი სამინისტროსა და უწყების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მათი შემუშავებისადმი, აგრეთვე ფასების დაუსაბუთებელი დონის დამტკიცებისა და მათი გამოყენების სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის მრავალი ფაქტი.

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საჭიროა გადაჭრით მოეღოს ბოლო სახალხო მეურნეობის მართვაში ფასწარმოქმნის როლის შეუფასებლობას.

იმ მიზნით, რომ ფასების სისტემა შეესაბამებოდეს სახალხო მეურნეობის თანამედროვე მოთხოვნებს და ფასწარმოქმნა გადაიქცეს

პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის ქმედით ბერკეტად, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. განხორციელდეს ფასწარმოქმნის სისტემის რადიკალური რეფორმა, საბითუმო, შესასყიდი, საცალო ფასებისა და ტარიფების, როგორც ერთი მთლიანის, ურთიერთდაკავშირებული გარდაქმნა. გარდაქმნის მთავარ ამოცანად ჩაითვალოს ფასების თვისებრივად ახალი სისტემის შექმნა, რომელიც მიზნად დაისახავს საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციას, მართვის ეკონომიკური მეთოდების ფართოდ გამოყენებას, სამეურნეო მექანიზმისა და თვითდაფინანსების განმტკიცებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის.

ფასების სისტემა უნდა გახდეს შრომის დანახარჯებისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგების ობიექტური საზომი, სახალხო მეურნეობის განვითარებაში პროგრესული პროპორციების, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტრუქტურის ფორმირებისა და მისი რეალური შემოსავლის ზრდის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

ფასების რეფორმამ უნდა გააჯანსაღოს ვითარება სახალხო მეურნეობაში, შექმნას წარმოების ეფექტიანობის, რესურსდაზოგვის, პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის საუკეთესო პირობები.

2. ფასწარმოქმნის გარდაქმნა ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განხორციელდეს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით:

თანამიმდევრულად აისახოს ფასებში პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯები, მისი სამომხმარებლო თვისებები, ხარისხი და გადახდისუნარიანი მოთხოვნა, უფრო სრულად აღირიცხოს გადასახდელი შრომითი და ბუნებრივი რესურსებისათვის, გარემოს დაცვის ხარჯები;

მიეცეს ფასებს ხარჯვასაწინააღმდეგო ხასიათი, ამაღლდეს მათი მასტიმულირებელი როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების, ახალი ტექნიკის შექმნის, რესურსდაზოგვის, პროდუქციის მასალატევადობისა და ენერგოტევადობის შემცირების, მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენების საქმეში;

განხორციელდეს გადასვლა ფასებისა და ტარიფების, როგორც ხუთწლიანი გეგმების შემადგენელი ნაწილის, დაგეგმვაზე იმ მიზნით, რომ ფასებში უფრო სრულად აისახოს საგეგმო პერიოდში სახალხო

მეურნეობის განვითარების ამოცანები და პირობები და მიღწეულ იქნეს ეკონომიკური ნორმატივების სტაბილურობა;

უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკური წანამძღვრები სახალხო მეურნეობაში ნატურალურ-ნივთობრივი და ღირებულებითი პროპორციების შეწონასწორებისათვის, დოტაციათა ზედმეტად გადანაწილების პროცესებისა და გაუმართლებელი მასშტაბების შემცირებისათვის.

შეიქმნას ეკონომიკურად დასაბუთებული პირობები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ქმედითობის ამაღლების, საწარმოო ფონდების, შრომითი, ბუნებრივი და სხვა რესურსების ფასიანობის პრინციპის ფართოდ გამოყენებისათვის.

დაძლეულ იქნეს ფასების ზრდის ტენდენცია ეკონომიკური შეჯიბრების განვითარების, საწარმოთა გაჯიბრების, დეფიციტისა და ყოველგვარი სახის მონოპოლიზმის ლიკვიდაციის, მომხმარებლის მხრივ წარმოებაზე ზეგავლენის აღმოფხვრის საფუძველზე;

უზრუნველყოფილ იქნეს პროდუქციისა და მომსახურების ფასების დაწესებაში დემოკრატიზაცია, სტაბილურობისა და მოქნილობის ოპტიმალური შეხამება ეკონომიკური მეთოდების ფართოდ გამოყენების და ამავე დროს ფასწარმოქმნის მთელი პროცესის მართვაში ცენტრალიზებული საწყისების გაძლიერების საფუძველზე;

არსებითად ამაღლდეს მომხმარებლის როლი ფასების განსაზღვრაში, ქმედითი კონტროლის ორგანიზაციაში სამეურნეო მართვის ყველა დონეზე ფასების სწორად და დასაბუთებულად დაწესებისა და გამოყენებისადმი;

უზრუნველყოფილ იქნეს საცალო ფასების პოლიტიკის შესაბამისობა მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდების, სოციალური სამართლიანობის პრინციპების უფრო სრულად განხორციელების ამოცანებთან.

3. იმ მიზნით, რომ ფასების სისტემა შეესაბამოს ახალი სამეურნეო მექანიზმის მოთხოვნებს, გაძლიერდეს ფასებისა და ტარიფების ზემოქმედება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე, უმოკლეს ვადებში განხორციელდეს ფასებისა და ტარიფების მთელი სისტემის გადასინჯვა, რომელიც შექმნის შესაძლებლობას, რომ მათ საფუძველზე შემუშავდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეცამეტე ხუთწლედის ვეგმა და უზრუნველყოფილ იქნეს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების კომპლექსური გამოყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

შემუშავდეს და ამოქმედებულ იქნეს სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასები, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მომსახურების ტარიფები 1990 წლის 1 იანვრიდან, ხოლო სახარჯთალრიცხვო ფასები და ფასდებანი მშენებლობაში, შესასყიდი ფასები სოფლის მეურნეობაში 1991 წლის 1 იანვრიდან.

4. **მრეწველობაში საბითუმო ფასების** გადასინჯვისას გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი:

აისახოს ახალ ფასებში საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯები, გათვალისწინებულ იქნეს მათში ცოცხალი შრომის, ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე გარემოს დაცვის, სოციალური დაზღვევის, კადრების პროფესიული მომზადების ხარჯების უფრო სრული შეფასება. ფასების ფორმირება მოხდეს მეცამეტე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესაბამისად და წარმოების დანახარჯების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების გათვალისწინებით. აღმოიფხვრას პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ეკონომიკურად დაუსაბუთებელი ზარალიანობა და ნაირრენტაბელობა, მაქსიმალურად შემცირდეს სახელმწიფო დოტაციები;

გაუმჯობესდეს მომპოვებელი და გადამმუშავებელი დარგების პროდუქციის, ურთიერთშემცვლელ სახეობათა სათბობის (ქვანახშირი, გაზი, მაზუთი, ბენზინი და დიზელის სათბობი); შავი და ფერადი ლითონების, პლასტმასების, ნატურალური და სინთეზური მასალების, ხე-ტყის პროდუქციის, საშენი მასალებისა და სხვა ურთიერთშენაცვლებად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასების თანაფარდობა. სრულად აისახოს ახალ საბითუმო ფასებში მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გამოყენების, ბუნებრივი რესურსების დაზოგვის და მეორეულ სახეობათა ნედლეულის, სათბობისა და ენერგიის უტილიზაციის სახალხო-სამეურნეო ეფექტიანობა. აღმოიფხვრას ქვანახშირის მრეწველობის ზარალიანობა მთლიანად დარგში. დაწესდეს სათბობ-ნედლეულის რესურსების ფასები რესურსდაზოგვის გააქტიურებისა და მათი სიმყარის უზრუნველყოფის გათვალისწინებით 2000 წლამდე. უზრუნველყოფილ იქნეს ფასების სათანადო დიფერენციაცია მოპოვების რაიონების მიხედვით სხვადასხვა სამთო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით;

დაწესდეს მანქანათმშენებლობის პროდუქციის საბითუმო ფასები მისი ნომენკლატურის განახლების სტიმულირების, საუკეთესო მსოფლიო ნიმუშების შესაბამისი პრინციპულად ახალ თაობათა ტექნიკის, მანქანა-მექანიზმის სისტემების, კერძოდ, ავტომატური და როტორული ხაზების, რობოტიზებული კომპლექსების, რთული ენერგეტიკუ-

ლი და სხვა მოწყობილობის შექმნისა და ათვისების აუცილებლობის გათვალისწინებით. ჩამოყალიბდეს ეკონომიკურად დასაბუთებული ღირებულებითი თანაფარდობანი ანალოგიურ და ფუნქციურად ერთგვაროვან სამრეწველო პროდუქციაზე. გაძლიერდეს მანქანათმშენებელ საწარმოთა და გაერთიანებათა ეკონომიკური დაინტერესება წარმოებული პროდუქციის კომპლექტურობის ამაღლებით. არ იქნეს დაშვებული ფასების გაუმართლებელი ზრდა ახალი პროდუქციის ეფექტიანობისა და ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების შესაბამისი გაუმჯობესების გარეშე. შემცირდეს ძირითად სახეობათა ელექტრონული ტექნიკის, აგრეთვე ცალკეულ სახეობათა ხელსაწყოთმშენებლობის და იმ სხვა მეცნიერებატევად წარმოებათა პროდუქციის საბითუმო ფასები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის დარგების ფართო ავტომატიზაციასა და ელექტრონიზაციას;

მანქანათმშენებლობის ახალი პროდუქციის საბითუმო ფასების განსაზღვრისას გაძლიერდეს საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა და შემკვეთთა პასუხისმგებლობა და დაინტერესება ეფექტიან ტექნიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და ათვისებისათვის. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ თვითდაფინანსების პირობებში მუშაობაზე სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა გადასვლის კვალობაზე დაწესდეს მათი საქმიანობის საბოლოო პროდუქტის — სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა შედეგების, დანერგვის მეცნიერულ-ტექნიკური მომსახურების და ანალოგიური დანიშნულების სხვა სახეობის სამუშაოთა სახელშეკრულებო ფასები. ამ ფასების დონეს განსაზღვრავენ შემკვეთი და შემსრულებელი მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის ეფექტიანობის, ხარისხისა და სამუშაოთა შესრულების ვადების შესაბამისად;

სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის საბითუმო ფასებში გათვალისწინებულ იქნეს დამამზადებელ საწარმოთა დაინტერესების მნიშვნელოვანი გაძლიერება, უფრო ფართო და მრავალფეროვანი ასორტიმენტის მაღალი ხარისხის ნაკეთობათა გამოშვებით და გაუმართლებელი გადანაწილებითი პროცესებისა და სახელმწიფო დოტაციის მასშტაბების შემცირება;

უზრუნველყოფილ იქნეს პროდუქციის ჯგუფებისა და სახეობების მიხედვით ფასების დანაფარდობის ეკონომიკურად დასაბუთებული მიახლოება მსოფლიო ფასებთან, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს მისი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები და ხარისხი, შეიქმ-

ნას ურთიერთხელსაყრელი საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის ფართოდ განვითარების პირობები საგარეო ვაჭრობის, წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერაციის სტრუქტურაში პროგრესული ძვრების საფუძველზე.

არსებითად ამაღლდეს ახალ მაღალეფექტიანი სახეობების ნაკეთობათა ფასების მეცნიერული და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დონე. აღმოიფხვრას დროებითი მოქმედების რეჟიმისა და განსაკუთრებული განაწილების წესის საბითუმო ფასებზე წამახალისებელი დანამატების დაწესების დამკვიდრებული პრაქტიკა და გათვალისწინებულ იქნეს ახალი საბითუმო ფასების დონეებში პროდუქციის წარმოებისა და გამოყენების ეფექტიანობა. ამასთან შენარჩუნებულ იქნეს ხარისხის პირველი კატეგორიით ატესტებული პროდუქციის საბითუმო ფასების დაკლების გამოყენება.

საბითუმო ფასების გადასინჯვისას ჩამოყალიბდეს მათი დონე პირველ რიგში პროდუქციის ეფექტიანობის, ხარისხის, ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლებისა და სამომხმარებლო თვისებების გათვალისწინებით, აღარ იქნეს გამოყენებული საბაზო ფაქტიური დანახარჯები, როგორც ფასების განსაზღვრის შთავარი საფუძველი.

დაუშვებლად ჩაითვალოს ფასწარმოქმნის მექანიზმის გამოყენება ფასების დაუსაბუთებლად გადიდებისათვის იმ მიზნით, რომ გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მიიღონ მოგება (შემოსავალი), რაც დაკავშირებული არაა მათი სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებში შრომითი კოლექტივების რეალურ წვლილთან. ფასებსა და ტარიფებში გათვალისწინებული არ იქნეს ტექნიკური ჩამორჩენილობით, აგრეთვე წარმოების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებითა და უყაირათობით გამოწვეული გადიდებული დანახარჯები.

5. განხორციელდეს **ტვირთზიდვის ტარიფების გადასინჯვა**, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახალხო მეურნეობაში სატრანსპორტო სისტემის ყველა რგოლის ეფექტიანი გამოყენება, ტვირთზიდვის რაციონალიზაცია და ამის საფუძველზე სატრანსპორტო ხარჯების შემცირება. შეიქმნას ტრანსპორტის ცალკეულ სახეობებს შორის ტვირთის ოპტიმალური განაწილების ეკონომიკური პირობები და ტვირთის სახეობათა მიხედვით სხვადასხვა მანძილზე გადაზიდვის თანაბარი სარგებლიანობა მომხმარებელთა უკეთ მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, აღმოიფხვრას ცალკეულ სახეობათა ტვირთის გადაზიდვის ზარალიანობა.

გაძლიერდეს ქვეყნის სატრანსპორტო სისტემაში ახალი მაღალ-

ეფექტიანი გადაზიდვის საშუალებების, ტვირთის მაღალ დონეზე შენახვით მიტანის პროგრესული ხერხების, სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთამწეობისა და ტევადობის რაც შეიძლება სრულად გამოყენების დანერგვის ტარიფებით სტიმულირება.

გათვალისწინებულ იქნეს, რომ ტარიფებით შეიქმნას სახალხო მეურნეობაში არსებული სიტუაციის შესაბამისად ტვირთნაკადების პერეორიენტაციის ეკონომიკური დაინტერესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად ტვირთის ტრანსპორტირებაში ახალ ტექნიკურ გადაწყვეტილებათა გამოვლენის შესაძლებლობა.

6. გადაისინჯოს კაპიტალურ მშენებლობაში სახარჯთაღრიცხვო ფასები და ფასდებანი იმ მიმართულებით, რომ ამაღლდეს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა და გაძლიერდეს მათი როლი საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესებაში. გარდა- იქმნას მშენებლობაში ფასების ფორმირების მექანიზმი, ამასთან გამოირიცხოს მასალატევადობის გაუმართლებელი გავლენა მზა სამშენებლო პროდუქციის ფასების დონეზე.

შეიქმნას მზა ობიექტებისა და სხვა საბოლოო სამშენებლო პროდუქციისათვის სახელშეკრულებო სახარჯთაღრიცხვო ფასების ფართოდ გამოყენების პირობები. დიფერენცირებულ იქნეს სახელშეკრულებო ფასები სამშენებლო პროდუქციის ხარისხის შესაბამისად.

7. გადაისინჯოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ‘ᲛᲔᲡᲐᲡᲧᲘᲓᲘ ფასები შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

შესასყიდი ფასების დონის განსაზღვრისას დავემყაროთ პროდუქციის წარმოებისათვის საზოგადოებრივად საჭირო საშუალო დანახარჯების და სპეციალიზებული სასაქონლო წარმოების ყველაზე ხელსაყრელ რეგიონებში მისი ძირითადი სახეობების უპირატეს სტიმულირებას, აგრეთვე შრომის პროგრესული ორგანიზაციისა და ინტენსიური ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე წარმოების თვითღირებულების შემცირების პერსპექტივებს. ამასთან არ უნდა იქნეს გათვალისწინებული მეურნეობის გაძღოლის დაბალ დონესთან დაკავშირებული მაღალი ხარჯები;

უზრუნველყოფილ იქნეს შესასყიდი ფასების ზონალური დიფერენციაციის შემდგომი სრულყოფა სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაც შეიძლება რაციონალური განლაგების გათვალისწინებით ზონების გამსხვილების გზით;

შემოღებულ იქნეს რენტის გადასახდელები შედარებით უფრო ხელსაყრელ პირობებში არსებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, გათვალისწინებულ იქნეს სსრ კავშირის სახ-

აგრომრეწვის სპეციალური ფონდების შექმნა ამ გადასახდელთა ხარჯზე. აღნიშნული ფონდის სახსრები მოხმარდეს უარეს პირობებში მომუშავე მეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას და გაუქმდეს ამჟამად მოქმედი სისტემა, როცა ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე წესდება დაბალრენტაბელურ და ზარალიან მეურნეობათა პროდუქციის ფასების დანამატები;

გათვალისწინებულ იქნეს შესასყიდი ფასების უფრო სრული დიფერენციაცია ხარისხის შესაბამისად. სტიმული მიეცეს ფასებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვას უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

გაუმჯობესდეს ხილის, ბოსტნეულისა და მემცენარეობის სხვა პროდუქციის შესასყიდი ფასების მოქნილობა, გაფართოვდეს მათი სეზონური დიფერენციაცია შრომის დანახარჯების უფრო სრულად აღრიცხვისა და წლის განმავლობაში ამ პროდუქციაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის:

დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობას ტექნიკა, მინერალური სასუქები და სხვა სამრეწველო პროდუქცია მიეყიდოს საბითუმო ფასებში, ამასთან გაუქმდეს მათი რეალიზაციის შეღავათიანი წესი, რათა მოხდეს ეკონომიკური ზემოქმედება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მინერალური სასუქებისა და სხვა სამრეწველო პროდუქციის გამოყენების გაუმჯობესებაზე;

შემოღებულ იქნეს წყლის საფასური და გათვალისწინებულ იქნეს იგი შესასყიდ ფასებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ წყლის უფრო ეკონომიკურად და რაციონალურად გამოყენების სტიმულირებისათვის, სახელმწიფოს მიერ მელიორაციაში დაბანდებული სახსრების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ პერსპექტივაში ძირეულად გადაისინჯოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების ფორმირების სისტემა. ამ მიზნით სსრ კავშირის სახაგრომრეწვის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ურთიერთობაში განხორციელდეს თანდათანობით გადასვლა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელშეკრულებო და საანგარიშსწორებო ფასების გამოყენებაზე, რომელთა განსაზღვრა ხდება აგროსამრეწველო კომპლექსის შესაბამის საბოლოო პროდუქციაზე მოქმედი საბითუმო და საცალო ფასების მიხედვით. ამასთან სახელშეკრულებო და საანგარიშსწორებო ფასები უნდა განისაზღვროს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარ-

მოებაში, გადამუშავებასა და რეალიზაციაში საწარმოთა რეალური წვლილისა და მონაწილეობის მოცულობის გათვალისწინებით.

8. საჭიროდ ჩაითვალოს მომზადდეს და განხორციელდეს საცალო ფასებისა და ტარიფების გარდაქმნა, შეუსაბამდეს ისინი წარმოების საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯებს, პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებს, ხარისხსა და ბაზრის მოთხოვნებს. ვითვალისწინებთ რა საცალო ფასების განსაკუთრებით დიდ სოციალურ მნიშვნელობას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მათმა შეცვლამ არათუ არ უნდა გამოიწვიოს მშრომელთა ცხოვრების დონის გაუარესება, არამედ, პირიქით, — ამ დონის ამაღლება გარკვეული კატეგორიების მშრომელთათვის, სოციალური სამართლიანობის უფრო სრულად განხორციელება.

ფასების დახმარებით სტიმული მიეცეს საქონლის ასორტიმენტის გაფართოებას და მის განახლებას. მიღებულ იქნეს ზომები ცალკეული ჯგუფების სამრეწველო საქონლის ფასების დონეთა დაუსაბუთებელი სხვაობის აღმოსაფხვრელად, უზრუნველყოფილ იქნეს ფასების დაწესებისადმი დიფერენცირებული მიდგომა მოსახლეობის ცალკეული სოციალური და ასაკობრივი ჯგუფების შემოსავლისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

გაფართოვდეს იმ არასასურსათო საქონელზე სახელშეკრულებო ფასების დაწესების პრაქტიკა, რომელზეც მოთხოვნა მთლიანად კმაყოფილდება, აგრეთვე პრესტიჟულ, განსაკუთრებით მოდურ და გადიდებული მოთხოვნის სხვა საქონელზე, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი და სახელმწიფოს ინტერესები.

სასურსათო და სამრეწველო საქონლით ბაზრის უზრუნველყოფის, დეფიციტის ლიკვიდაციის, საკმარისი სასაქონლო და საფინანსო რესურსების დაგროვების კვალობაზე შემცირდეს საცალო ფასები ბაზრის კონიუნქტურისა და მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით.

ფასიანი მომსახურების დაჩქარებული განვითარებისა და მისი ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიზნით განხორციელდეს მოსახლეობისათვის გასაწევ მომსახურებაზე ფასწარმოქმნის სრულყოფის ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა. გაძლიერდეს მომსახურების ფასებისა და ტარიფების დიფერენციაცია მისი ხარისხისა და სოციალური მნიშვნელობის შესაბამისად, ამასთან აღებულ იქნეს ორიენტაცია მოსახლეობის ყველა ფენისათვის მისაწვდომ მასობრივ საპაოაა ფასიან მომსახურებაზე.

დაწესდეს, რომ საცალო ფასებისა და ტარიფების ყველა დიდი

ცვლილება, რომლებიც მოსახლეობის ცხოვრების დონეზე მოქმედებს, უნდა გახდეს ქვეყანაში ფართო მსჯელობის საგანი.

9. სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახაგრომრეწვმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ საკავშირო პროფსაბჭოსა და დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით, იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით და წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სახალხო მეურნეობაში ფასების გადასინჯვის შესახებ.

10. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ფასების ფორმირებისადმი ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი მოთხოვნების დაცვის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნეს ფასწარმოქმნის პროცესის დემოკრატიზაცია, მათ დაწესებაში ცენტრალიზებული საწყისების უფრო მოქნილი შეხამება ფასებისა და ტარიფების განსაზღვრაში სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების უფლებათა გაფართოებასთან.

მართვის ეკონომიკური მეთოდების განვითარებასთან დაკავშირებით და ახალი სამეურნეო მექანიზმის შესაბამისად საჭიროდ ჩაითვალოს გამოყენებულ იქნეს შემდეგი ფასები და ტარიფები:

ცენტრალიზებულად დაწესებული ფასები და ტარიფები;

სახელშეკრულებო ფასები და ტარიფები;

საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დამოუკიდებლად დაწესებული ფასები და ტარიფები.

პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების ცენტრალიზებულად დაწესებულ ფასებსა და ტარიფებს მათი სახალხო-სამეურნეო და სოციალური მნიშვნელობის შესაბამისად ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტი, სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები. უმნიშვნელოვანეს პროდუქციაზე ასეთი ფასები განისაზღვრება საერთო-სახელმწიფო გეგმის შემუშავებასთან ერთად.

ხახელშეკრულებო ფასებსა და ტარიფებს აწესებენ დამამზადებელი სამინისტროები, უწყებები და საწარმოები მომხმარებლებთან შეთანხმებით საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე, რომელიც მზადდება ერთჯერადი და ინდივიდუალური შეკვეთების მიხედვით, ახალ ან პირველად ასათვისებელ პროდუქციაზე, სახალხო მოხმარების ახალ არასასურსათო საქონელზე, აგრეთვე ცალკეულ სახეობათა სასურსათო საქონელზე, რომელსაც ასაღებენ გაერთიანებანი და საწარმოები სავაჭრო ორგანიზაციებთან შეთანხმებით, 2 წლამდე ვადით სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსაზღვრული ნუსხის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა საბოლოო პროდუქციაზე, მოსახლეობისაგან შესასყიდ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ შესასყიდ და სარეალიზაციო პროდუქციაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სახეობათა პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე).

დამოუკიდებლად დაწესებულ ფასებსა და ტარიფებს ამტკიცებენ საწარმოები, ორგანიზაციები და კოოპერატივები საწარმოო-ტექნიკური დანიშნულებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, სახალხო მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებზეც არ გამოიყენება ცენტრალიზებულად დამტკიცებული ფასები, აგრეთვე საკუთარი მოხმარების ან საკუთარ სავაჭრო ქსელში სარეალიზაციო პროდუქციასა და მომსახურებაზე.

დაწესდეს, რომ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობისა და პირდაპირი სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარების კვალობაზე სახელშეკრულებო, აგრეთვე დამოუკიდებლად დამტკიცებული ფასების გამოყენების სფერო გაფართოვდება.

11. გაძლიერდეს ფასწარმოქმნის როლი საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის ეფექტიანობის ამაღლებაში, საერთაშორისო კოოპერაციის, უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი სპეციალიზაციისა და კოოპერაციის გაფართოებაში, საერთაშორისო საწარმოო, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ახალი ფორმების განვითარებით დაინტერესების შექმნაში.

საკონტრაქტო ფასების სისტემის სრულყოფისას გათვალისწინე-

ᲗᲣᲚ იქნეს მსოფლიო ფასების დონესთან და პროპორციებთან მათი მიახლოების აუცილებლობა და ამასთან ურთიერთსარგებლიანობის პრინციპის დაცვა. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში საკონტრაქტო ფასების ბაზად გამოყენებულ იქნეს, როგორც წესი, შესაბამისი პროდუქციის მსოფლიო ფასები. მსოფლიო ბაზრების ფასების საფუძველზე შანქანა-მოწყობილობის საკონტრაქტო ფასების დაწესებისას უზრუნველყოფილ იქნეს მათი რეალური კორექტირება პროდუქციის ხარისხისა და ტექნიკური დონის შესაბამისად. როგორც წესი, გათვალისწინებულ იქნეს მყარი საკონტრაქტო ფასების დაწესება კონტრაქტის მოქმედების მთელი ვადისათვის.

პირდაპირი კავშირურთიერთობის საფუძველზე კოოპერაციის ან ერთობლივ საწარმოთა, აგრეთვე საერთაშორისო გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საქმიანობის ფარგლებში კვანძებისა და დეტალების ურთიერთმიწოდებისას გამოყენებულ იქნეს სახელშეკრულებო ფასები საბოლოო პროდუქციის ფასების გათვალისწინებით.

12. ახალ სამეურნეო მექანიზმში ფასწარმოქმნის მნიშვნელობის გაძლიერებასთან დაკავშირებით საჭიროდ ჩაითვალოს ამაღლდეს სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის, როგორც ფასების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის პასუხისმგებელი ორგანოს როლი.

ძირეულად შეიცვალოს კომიტეტის საქმიანობის მიმართულებანი და ფორმები, ამაღლდეს სახალხო მეურნეობაში ფასწარმოქმნისათვის მუშაობის მეცნიერულ-ეკონომიკური და ორგანიზაციული დონე.

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის უმნიშვნელოვანეს ამოცანებად ჩაითვალოს ფასების მთელი სისტემის კომპლექსური სრულყოფა, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ღონისძიებებთან მისი კავშირურთიერთობის გაძლიერება, მეთოდოლოგიური და ანალიზური მუშაობის არსებითი გაუმჯობესება, ფასწარმოქმნის საკითხთა გადაწყვეტაში ოპერატიულობის ამაღლება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნების სრული შესაბამისობით.

გაძლიერდეს სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და ფასწარმოქმნის სხვა ორგანოების პასუხისმგებლობა დაწესებული ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის, ფასებისა და ტა-

რიფების სისტემის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

ფასწარმოქმნის ორგანოებმა შექმნან პირობები მეურნეობის გაძღოლის ახალი პროგრესული მეთოდების განვითარებისათვის, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური გერგილიანობისა და საქმიანობის მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად მათი ეკონომიკური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

13. სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა:

თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანონ მუშაობა სახალხო მეურნეობაში ფასების დასაბუთებულად დაწესებისა და სწორად გამოყენებისადმი კონტროლის განსახორციელებლად, შექმნან ფასების კონტროლის ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემა და დააფუძნონ იგი რეგულარულ გეგმიან საფუძველზე, გაუმჯობესონ ფასწარმოქმნის ორგანოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაცია ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლის საკითხებში;

არსებითად შეცვალონ საკონტროლო მუშაობის მეთოდები ფასების ფორმირების პროცესთა, მათი დინამიკისა და სტრუქტურის ცვლილების ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის გზით;

გააძლიერონ კონტროლი მოსახლეობის მომსახურების საცალო ფასებისა და ტარიფების დაცვისადმი;

გააუქმონ სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ დამტკიცებული ეკონომიკურად დაუსაბუთებელი ფასები, გამოიყენონ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით დაწესებული ეკონომიკური სანქციები ფასების სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში.

ფასების სახელმწიფო დისციპლინის დარღვევები გაუთანაბრდეს სახელმწიფო ანგარიშების მიწერებს.

14. ახალი ამოცანებისა და ფუნქციების შესაბამისად გადაისინჯოს სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა. ამასთან არსებითად ამაღლდეს სახალხო-სამეურნეო კომპლექსების კრებსით ეკონომიკურ ქვედანაყოფთა როლი, გაუქმდეს ვიწროსპეციალიზებული განყოფილებები.

დაევალოს სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტს ძირეულად გარდაქმნას ფასწარმოქმნის ორგანოთა მუშაობის სტილი და მეთოდები მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობების შესაბამისად. გადაჭრით აღმოფხვრას ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი ფასების

განხილვისა და დამტკიცების პრაქტიკაში, მეტად დაემყაროს ეკონომიკურ და საინჟინრო ღონისძიებებს, მტკიცედ უკუაგდოს ფასწარმოქმნის საკითხისა გადაწყვეტაში უწყებრივი და კუთხური მიდგომის ყოველგვარი ცდები.

მიიღოს ზომები ფასწარმოქმნის ორგანოთა საკადრო შემადგენლობის განსამტკიცებლად და იმ ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის აამაღლების მთელი სისტემის გასაუმჯობესებლად.

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს თავის საქმიანობაში მჭიდრო კავშირურთიერთობა სხვა ცენტრალურ ეკონომიკურ უწყებებთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებთან. საჭიროდ ჩაითვალოს შეყვანილ იქნენ კომიტეტის შემადგენლობაში მის წევრებად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლები.

სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და ეკონომიკურ უმაღლეს სასწავლებლებთან ფასწარმოქმნის ორგანოთა კავშირურთიერთობის განმტკიცების მიზნით დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის ფასწარმოქმნის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არის ფასებისა და ტარიფების დარგში მეცნიერული კვლევის განმახორციელებელი მეთაური სამეცნიერო დაწესებულება და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად კოორდინაციას უწევს ფასწარმოქმნის პრობლემებზე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ქვეყანაში. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გამოიცეს პერიოდული ჟურნალი „ცენოობრაზოვანიე ვ სსსრ“.

15. პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებით და უზრუნველყონ ფასების სისტემის გარდაქმნისათვის, სამეურნეო მექანიზმში მათი როლის ამაღლებისათვის, პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების აქტიურ იარაღად ფასების გადაქცევისათვის მთელი მუშაობის ზუსტი ორგანიზაცია. ფართოდ განმარტონ ფასწარმოქმნის სრულყოფის დარგში განსახორციელებელ ღონისძიებათა შინაარსი და მნიშვნელობა.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

დადგენილება № 821

1987 წლის 17 იელისი

ქვეყანაში ბანკების სისტემის სრულყოფისა და ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სამეურნეო მექანიზმის ძირეული გარდაქმნა, რომელიც პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხორციელდება პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციისათვის, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოითხოვს საფინანსო-საკრედიტო სისტემის რადიკალურ რეფორმას.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებაზე, რესურსდაზოგვის რეჟიმის დაცვაზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზემოქმედება ეკონომიკის განვითარების უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად შესუსტდა. საბანკო სისტემა უაღრესად მოუქნელი გახდა, ჯეროვნად არ ითვალისწინებს ეკონომიკის სფეროებისა და დარგების სპეციფიკას და თავისებურებებს.

საკრედიტო ბერკეტები და სტიმულები ფაქტობრივად ვეღარ ასრულებენ გაფართოებული კვლავწარმოების მართვისა და საწარმოო პოტენციალის და რესურსების რაციონალური გამოყენებისადმი კონტროლის ინსტრუმენტის ფუნქციებს. ფართო მასშტაბი შეიძინა მანკიერმა პრაქტიკამ, როდესაც კრედიტებს გასცემენ ჯეროვანი ეკონომიკური დასაბუთების გარეშე, იმ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ზარალისა და ხანგრძლივი ფინანსური ჩავარდნების დასაფარავად, რომლებიც ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებს და ურიგდებიან უყაირათობას. გაუარესდა საგადამხდელო დისციპლინა და ფულის მიმოქცევის მდგომარეობა. ფულის მიმოქცევის არხები გაივსო ჭარბი საგადამხდელო საშუალებებით, რაც ართულებდა ეკონომიკის ნატურალურ-ნივთობრივი და ფინანსური შეწონასწორების მიღწევას.

საკრედიტო-ფულადი ურთიერთობის ზემოქმედების მცირე ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ დიდი ნაკლოვანებები და ხარვეზებია სსრ კავშირის სახბანკის და სსრ კავშირის მშენ-

ბანკის, მთელი საფინანსო სისტემის მუშაობაში. დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ შეესაბამება ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის მოთხოვნებს, სრული საშეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებს, არ ითვალისწინებს ეკონომიკის დარგებში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პროგრესულ მიმართულებებს, საინვესტიციო პოლიტიკასა და სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მართვაში მომხდარ ცვლილებებს. ისეთ პირობებში, როდესაც გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა და ინვესტიციები ორგანულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, სხვადასხვა ბანკის მიერ მათი დაფინანსება და დაკრედიტება ზღუდავს ახალი სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანობას.

ბანკების დაწესებულებანი არ იჩენენ ჯეროვან აქტიურობას იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელიც საწარმოო აპარატის განახლებასთან არის დაკავშირებული, საკმაოდ ქმედითად და ოპერატიულად არ წყვეტენ საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურების საკითხებს, მათი საქმიანობა არ არის წარმართული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საბოლოო სამეურნეო შედეგების მაქსიმუმის მისაღწევად.

სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მუშაობა მოსახლეობის მომსახურების საქმეში არ შეესაბამება მის მზარდ მოთხოვნილებებს. არადამაკმაყოფილებლად და არასრულად გამოიყენება მოქალაქეთა საკრედიტო და საკასო მომსახურების ახალი პროგრესული ფორმები და მეთოდები.

საჭიროა სერიოზულად გარდაიქმნას მთელი საკრედიტო სისტემა, რათა ამაღლდეს კრედიტის როლი, სრულად აღდგეს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე მისი აქტიური ზემოქმედების ძალა.

იმ მიზნით, რომ შესრულდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის განსახორციელებლად, რეალიზებულ იქნეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანები და ამისათვის გააქტიურდეს სასაქონლო-ფულადი ურთიერთო-

ბა, მნიშვნელოვნად გაძლიერდეს კრედიტისა და ფულის მიმოქცევის როლი, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ენ:

1. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ ამაღლდეს კრედიტისა და ფულის მიმოქცევის როლი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებაში, სახალხო მეურნეობის დინამიკურ და პროპორციულ განვითარებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების საქმეში და გაიზარდოს მისი ეფექტიანობა სოციალური პრობლემების გადაჭრასთან მჭიდრო ურთიერთკავშირით; უფრო სრულად იქნეს შეწონასწორებული საზოგადოებრივი კვლავწარმოების მატერიალურ-ნივთობრივი და ღირებულებრივი პროპორციები, მოსახლეობის ფულადი შემოსავალი და გასავალი, გაძლიერდეს სახელმწიფო საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინა. გადაიქცეს კრედიტი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად, რომელიც უზრუნველყოფს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ორგანულ ჩართვას ეკონომიკის გეგმიანი მართვის მექანიზმში.

მოხმარდეს ბანკების საკრედიტო რესურსები უწინარეს ყოვლისა მეცნიერებატევადი დარგებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი სამეურნეო კომპლექსების განვითარებას, საწარმოო ფონდების განახლების სტიმულირებას და დიდი სახალხო-სამეურნეო პროგრამების განხორციელებას.

2. ძირეულად შეიცვალოს ბანკების საქმიანობის მიმართულებანი და ფორმები, ამაღლდეს მათი პასუხისმგებლობა, გადაიქცნენ ისინი ეკონომიკის მართვის გარდაქმნის აქტიურ და დაინტერესებულ მონაწილეებად. ბანკების დაწესებულებები ცენტრში და ადგილებზე აქტიურად უნდა ატარებდნენ გეზს, რათა დააჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ჩამოაყალიბონ მეურნეობის გაძღოლის ახალი პროგრესული ფორმები და მეთოდები, გადავიდნენ დარგები, გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, გაფართოვდეს მათი სოციალისტური თაოსნობა და ამაღლდეს ეკონომიკური პასუხისმგებლობა საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

3. იმისათვის, რომ გაძლიერდეს ბანკების ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე და განმტკიცდეს საკრედიტო მექანიზმის კავშირი გაფართოებული კვლავწარმოების საბოლოო შედეგებთან, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული მოქმედი ბანკების რეორგანიზაცია და ახალი სპეციალიზებული ბანკების შექმნა სახალ-

ხო-სამეურნეო კომპლექსების საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით, რათა გადაწყდეს ფართო მასშტაბის სოციალური ამოცანები და უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურებაზე, ამასთან შეიქმნას ბანკების სისტემა შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი (სსრ კავშირის სახბანკი);

სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკი (სსრ კავშირის საგარეოეკონომბანკი);

სსრ კავშირის სამრეწველო-სამშენებლო ბანკი (სსრ კავშირის მრეწვმშენბანკი);

სსრ კავშირის აგროსამრეწველო ბანკი (სსრ კავშირის აგრომრეწვბანკი);

სსრ კავშირის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალური განვითარების ბანკი (სსრ კავშირის კომსოცბანკი);

სსრ კავშირის მოსახლეობის შრომითი დანაზოგისა და დაკრედიტების ბანკი (სსრ კავშირის შემნახველი ბანკი).

4. სსრ კავშირის ბანკებმა თავიანთ საქმიანობაში იხელმძღვანელონ საერთო-ეკონომიკური დაინტერესებისა და კრედიტების ეფექტიანი გამოყენების, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საუკეთესო სამეურნეო შედეგების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის პრინციპით.

დაწესდეს სპეციალიზაციის გათვალისწინებით ქვეყნის სახალხო მეურნეობაში სსრ კავშირის ბანკების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი და სფეროები:

სსრ კავშირის სახბანკი ახორციელებს ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის ცენტრალიზებულ გეგმიან მართვას და სახელმწიფოს ერთიანი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, სსრ კავშირის ბანკების საქმიანობის კოორდინაციას და მათ შორის ანგარიშსწორების ორგანიზაციას, უზრუნველყოფს ფულის მიმოქცევის ორგანიზაციასა და განმტკიცებას, სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულებას და მონაწილეობს ქვეყნის კრებსითი სავალუტო გეგმის ჩამოყალიბებაში. სსრ კავშირის სახბანკი ახორციელებს აგრეთვე არასაწარმოო სფეროს დარგების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დაკრედიტებას, დაფინანსებასა და საანგარიშსწორებო მომსახურებას;

სსრ კავშირის საგარეო-ეკონომბანკი უზრუნველყოფს ექსპორტ-იმპორტისა და არასავაჭრო ოპერაციების მიხედვით ანგარიშსწორების ორგანიზაციას და მოწყობას, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განმახორციელებელ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანი-

ზაციათა დაკრედიტებას, კონტროლს უწევს კრებსითი სავალუტო გეგმის შესრულებას, ქვეყნის სავალუტო რესურსების რაციონალურ და მომჭირნე გამოყენებას, ახორციელებს ოპერაციებს საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ბაზრებზე, აგრეთვე ნაღდ ვალუტასა და სავალუტო ფასეულობებთან დაკავშირებულ ოპერაციებს.

დაეკისროთ პროგრესული საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება, ძირითადი საქმიანობის დაკრედიტების მთელი სისტემის ეფექტიანობის ამაღლება, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება და დაკრედიტება, აგრეთვე საჭირო ანგარიშსწორებათა განხორციელება:

სსრ კავშირის მრეწვმშენბანკს — მრეწველობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში, სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემაში;

სსრ კავშირის აგრომრეწვბანკს — ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში;

სსრ კავშირის კომსოცბანკს — საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისადმი საქვეუწყებო მეურნეობაში, აგრეთვე კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სფეროში;

სსრ კავშირის შემნახველი ბანკი უზრუნველყოფს ქვეყანაში შენახვის საქმის, მოსახლეობის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საკასო მომსახურებას და უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციას, სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გავრცელებასა და დაფარვას, მოქალაქეთა სამომხმარებლო საჭიროებების დაკრედიტებას.

5. სსრ კავშირის ბანკების უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქნეს მიჩნეული:

რადიკალურად სრულყონ საკრედიტო მექანიზმი, შეუსაბამონ იგი სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის მოთხოვნებს;

კრედიტისა და სხვა საბანკო ბერკეტების მეშვეობით განახორციელონ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის საქმიანობაში საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევის ეკონომიკური სტიმულირება;

ფართოდ გამოიყენონ საკრედიტო რესურსები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გასადიდებლად და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გასაწევად;

ყოველნაირად განამტკიცონ ფულის მიმოქცევა, აამაღლონ საბ-

ჭოთა მანეთის სტაბილურობა და მყიდველობითი უნარი, გააძლიერონ კონტროლი შრომის ანაზღაურების ფონდის ხარჯვისადმი, საშუალო ხელფასის და შრომის ნაყოფიერების მატების ტემპებს შორის ნორმატიული თანაფარდობის დაცვისადმი, გააუმჯობესონ სახალხო მეურნეობისა და მომსახურების საკასო მომსახურება;

ორგანიზაცია გაუწიონ და ფართოდ გამოიყენონ დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების ყველაზე ეკონომიური და პროგრესული ფორმები, რომლებიც ხელს უწყობენ გადასახდელთა და საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარებას სახალხო მეურნეობაში, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის დაუსაბუთებელი ზრდის თავიდან აცილებას;

უზრუნველყონ სახელმწიფო სესხთა ფონდის უფრო რაციონალური ეამოყენება, გააძლიერონ პასუხისმგებლობა საკრედიტო რესურსების მაქსიმალური მობილიზაციისათვის;

განამტკიცონ საანგარიშსწორებო, საფინანსო და საკრედიტო დისციპლინა სახალხო მეურნეობაში და კონტროლი მისი დაცვისადმი;

აამაღლონ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისა და დაკრედიტების ეფექტიანობა, ხელი შეუწყონ სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დაჩქარებას;

სრულყონ სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობანი საზღვარგარეთის ქვეყნებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სავალუტო რესურსების ზრდაში, საექსპორტო წარმოებათა განვითარებაში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ გაფართოებაში;

გამოიყენონ და განავითარონ ადგილებზე ახალ სახეობათა ანაბრები და კრედიტები, მოქალაქეთა საანგარიშსწორებო-საკრედიტო და საკასო მომსახურების პროგრესული ფორმები, გააფართოონ უნაღდო ანგარიშსწორება საქონლისა და მომსახურებისათვის სავაჭრო, კომუნალურ, საყოფაცხოვრებო და სხვა ორგანიზაციებთან;

გააუმჯობესონ ბანკის აპარატის მუშაობის სტილი და მეთოდები, განავითარონ ინიციატივა და შემოქმედებითი აქტიურობა, საქმიანობა და პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის;

აამაღლონ ბანკის საქმიანობის ხელმძღვანელობის დონე საბანკო ოპერაციების მართვის თანამედროვე ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებებისა და ავტომატიზებული სისტემების გამოყენების გაფართოების საფუძველზე;

განახორციელონ მანეთით კონტროლი გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი.

შეუწყნარებლად ჩაითვალოს ადგილობრივი ორგანოების ჩარევა ბანკებინ დაწესებულებათა საქმიანობაში ისეთი მითითებებისა და მოთხოვნების გზით, რომლებიც არ შეესაბამება მათს წესდებებსა და ნორმატიულ აქტებს დაკრედიტების, დაფინანსებისა და ანგარიშსწორების დარგში.

6. ამაღლდეს სსრ კავშირის სახბანკის როგორც ფულად-საკრედიტო სისტემის ცენტრალიზებული გეგმიანი მართვის, სავალუტო ოპერაციების დარგში ერთიანი პოლიტიკის, ბანკების საქმიანობის კოორდინაციის, ერთიანი საემისიო-საკასო და საანგარიშსწორებო ცენტრის ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფაში ქვეყნის მთავარი ბანკის, სახალხო მეურნეობაში საკრედიტო ურთიერთობის ორგანიზატორისა და კოორდინატორის როლი.

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის სახბანკი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებისა და სსრ კავშირის სპეციალიზებული ბანკების გეგმების პროექტების მაჩვენებლების საფუძველზე შეიმუშავებს სსრ კავშირის ბანკების მიხედვით რესურსების და საკრედიტო დაბანდებების განაწილების გეგმებსა და კრებსით საკრედიტო გეგმებს, და წარუდგენს მას დასამტკიცებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის სხვა ბანკების აქტიური მონაწილეობა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შემუშავებაში, საქონლის ექსპორტ-იმპორტის გეგმის, ქვეყნის კრებსითი სავალუტო გეგმის ფორმირებაში.

უფლება მიეცეს სსრ კავშირის სახბანკს სსრ კავშირის ბანკებთან ერთად განსაზღვროს ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე სსრ კავშირის ყველა ბანკისათვის სავალდებულო დაკრედიტების ობიექტების შემადგენლობა, კრედიტების გაცემისა და დაფარვის პირობები, დაკრედიტების შეღავათები, სესხის მიმღებზე საკრედიტო ზემოქმედების ზომები და მათი გამოყენების პირობები, დაადგინოს სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორებისა და საკასო ოპერაციების წარმოების წესები, ბანკებში აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების წესი, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით — კრედიტებით სარგებლობის პროცენტული განაკვეთები. სსრ კავშირის სახ-

ბანკმა განახორციელოს იმ მუშაობის კოორდინაცია, რომელსაც სსრ კავშირის ბანკები ეწევიან გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლობის ამაღლებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებების გაფართოების პირობებში საკრედიტო დაგეგმვის მეთოდოლოგიის, ორგანიზაციისა და პრაქტიკის სრულყოფისათვის.

შეუნარჩუნდეს სსრ კავშირის სახბანკს უფლებები, რომლებიც მინიჭებული აქვს საბჭოთა მანეთის მიმართ უცხოური ვალუტების ოფიციალური კურსების დადგენის, სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან ურთიერთობის განხორციელებისა და მისი კომპეტენციის ფარგლებში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სხვა საკითხთა გადაწყვეტის დარგში.

7. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების, ბანკების საქმიანობის სრულყოფის ამოცანების ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე გადაწყვეტის მიზნით შეიქმნას სსრ კავშირის ბანკების საბჭო. აღნიშნული საბჭო არის საკოორდინაციო ორგანო, რომელიც განიხილავს კრებსითი საკრედიტო გეგმების პროექტებს და შესრულების მიმდინარეობას, აგრეთვე ფულის მიმოქცევის განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობაში საკრედიტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

სსრ კავშირის ბანკების საბჭოს სათავეში უდგას სსრ კავშირის სახბანკის გამგეობის თავმჯდომარე. საბჭოს შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირის ბანკების გამგეობათა თავმჯდომარენი, აგრეთვე შეიძლება შედიოდნენ სხვა ცენტრალური ეკონომიკური უწყებების წარმომადგენლები.

8. სსრ კავშირის ბანკები მოკავშირე რესპუბლიკებში ქმნიან შესაბამის რესპუბლიკურ ბანკებს, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან სსრ კავშირის ბანკებს, ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში ბანკების სამმართველოებს, ხოლო საჭიროებისამებრ — ქალაქებსა და რაიონებში ბანკების განყოფილებებს. იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილებზე ბანკები არ იქმნება, საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურებას ახორციელებენ სსრ კავშირის სახბანკის ან სსრ კავშირის სხვა ბანკების დაწესებულებანი საკორესპონდენტო ურთიერთობის საფუძველზე ან რწმუნებულთა მეშვეობით.

რესპუბლიკური ბანკები სარგებლობენ მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა უფლებებით.

9. სსრ კავშირის ბანკებმა წარმართონ ბანკების საკრედიტო ურთიერთობა გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან სა-

ერთო-სახელმწიფო ინტერესების, დაკრედიტების იმ პრინციპების მტკიცედ დაცვის საფუძველზე, როგორიც არის კრედიტების გეგმიან-მიზნობრივი ხასიათი, მატერიალური უზრუნველყოფა, ვადიანობა, კრედიტების დაბრუნების აუცილებლობა და პროცენტიანობა, ფართოდ გამოიყენონ საკრედიტო ურთიერთობის პრინციპულად ახალი ფორმები.

დადგინდეს, რომ ყველა საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია კრედიტების დაგეგმვასთან, გაცემასთან და დაფარვასთან, პროცენტული განაკვეთების ოდენობის შემცირება-გადიდებასთან, გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები ბანკის ადგილობრივ დაწესებულებებში წყვეტენ საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ მხარეთა ორმხრივ ვალდებულებებს და ეკონომიკურ პასუხისმგებლობას.

ბანკების დაწესებულებებმა ღრმად შეისწავლონ დასაკრედიტებელ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობა, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათი ინიციატივისა და სამეურნეო თაოსნობის განვითარებას, არ დაუშვან წვრილმანი ჩარევა მათს საწარმოო საქმიანობაში, უარი თქვან სესხის მიცემის სახეობებისა და პირობების სიმრავლეზე, გაამარტივონ დაკრედიტების სისტემა და აამაღლონ მისი ოპერატიულობა.

შეუწყნარებლად ჩაითვალოს კრედიტის გამოყენება გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხანგრძლივი ფინანსური ჩავარდნების, უყაირათობისა და ზარალის დასაფარავად. შეწყდეს ახალი კრედიტების გაცემა სესხის დაფარვის ვადების სისტემატური დარღვევის შემთხვევაში.

სსრ კავშირის ბანკები გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს უხდიან პროცენტებს იმისათვის, რომ დროებით იყენებენ საკრედიტო რესურსებად წარმოების განვითარების, მეცნიერებისა და ტექნიკის ფონდის, სოციალური განვითარების ფონდისა და ანალოგიური დანიშნულების სხვა ფონდების სახსრებს.

კრედიტების რაციონალური გამოყენებისათვის სსრ კავშირის ბანკების პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით დაწესდეს გადასახდელი მათ მიერ სხვა ბანკებიდან საკრედიტო რესურსების მოხმარებისათვის.

10. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს პროცენტული პოლიტიკის ზეშოქმედება გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეოანგარიშებრივ დაინტერესებაზე, ამაღლდეს მათი პასუხისმგებლობა საკრედიტო რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის, სსრ კავშირის სახბანკმა გააფართოოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო

კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, კრედიტებისათვის განკუთვნილი პროცენტული განაკვეთების დიფერენციაცია მათი გამოყენების მიზნების (საგეგმო, ზეგეგმითი და გაუთვალისწინებელი საჭიროებებისათვის), აგრეთვე კრედიტის დაბრუნების დროულობის კვალობაზე.

ადგილობრივი ბანკების დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მიეცეთ უფლება დადგენილი პროცენტული განაკვეთების ოდენობის ფარგლებში შეამცირონ ან გაზარდონ ეს განაკვეთები გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის საგეგმო ოდენობის დაცვის, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარებისა და დაცვა-შენახვის, ბანკების წინაშე კრედიტის დაბრუნების ვალდებულებათა შესრულების კვალობაზე.

11. იმისათვის, რომ ამაღლდეს ბანკების საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობა და ძირეულად გაუმჯობესდეს მათი მუშაობის მეთოდები, გადაყვანილ იქნეს სსრ კავშირის ბანკების სისტემა სრული საშეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე.

დადგინდეს, რომ ბანკების დაწესებულებათა საქმიანობის შედეგების მთავარი მაჩვენებელია მოგება, საიდანაც გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით ყალიბდება საწარმოო და სოციალური განვითარების და მატერიალური წახალისების ფონდები, აგრეთვე ხორციელდება ანარიცხები რესპუბლიკური ბანკებისა და სსრ კავშირის ბანკების ცენტრალიზებულ ფონდებში. ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრები ხმარდება საწარმოთა დაფინანსებას მატერიალური ბაზის განვითარება-განმტკიცებისათვის, თანამედროვე გამომთვლელი და საორგანიზაციო ტექნიკის შეძენას ბანკების დაწესებულებებისათვის, მათდამი საქვეუწყებო საწარმოო და სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, აგრეთვე მუშაკთა მატერიალურ წახალისებას.

განისაზღვროს სსრ კავშირის ბანკების სისტემაში ძირითად საშეურნეოანგარიშიან რგოლად ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ბანკების სამმართველოები.

მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიებმა 3 თვის ვადაში დაამტკიცონ სსრ კავშირის ბანკების სისტემისათვის 1988—1990 წლების ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნის ნორმატივები, საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით მათი გამოყენების წესი და რესპუბლიკური ბანკებისა

და სსრ კავშირის ბანკების ცენტრალიზებულ ფონდებში ანარიცხების ზღვრული ოდენობა.

12. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანების გადაწყვეტაში გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შესაძლებლობების გაფართოების მიზნით უფლება მიეცეს სსრ კავშირის ბანკებს გასცენ ცალკეული ღონისძიებებისათვის კრედიტთან ერთად გრძელვადიანი კრედიტი სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრების სრული ციკლის მიხედვით ახალი პროდუქციის გამოშვების ორგანიზაციისა და საცდელი ნიმუშების შექმნიდან მის სერიულ წარმოებამდე მიყვანის უზრუნველყოფისათვის. ამ კრედიტის დაფარვა განხორციელდეს წარმოების განვითარების, მეცნიერებისა და ტექნიკის ფონდის ხარჯზე.

ნება დაერთოთ სსრ კავშირის ბანკებს მოსთხოვონ სამინისტროებსა და უწყებებს მოაწყონ ყველაზე დიდი საპროექტო გადაწყვეტების სახელმწიფო ექსპერტიზა იმ შემთხვევებში, როდესაც მცირეა მოქმედ წარმოებათა ტექნიკური განახლების, რეკონსტრუქციისა და გაფართოების პროექტების ეკონომიკური ეფექტიანობა. თუ ექსპერტიზის დროს გამოვლინდა, რომ პროექტები არ შეესაბამება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, ბანკებს შეუძლიათ შეწყვიტონ ასეთი ობიექტების დაფინანსება და დაკრედიტება პროექტებში პროგრესული გადაწყვეტების შეტანამდე.

13. იმის გამო, რომ მეურნეობრიობის ახალი მეთოდების პირობებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საგადამხდელო დისციპლინას, ანგარიშსწორების დროულობასა და სისრულეს, დაწესდეს, რომ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშებიდან მთელი გადასახდელები, მათ შორის, ანარიცხები ბიუჯეტში და სელფასის გაცემისათვის, განხორციელდება ბანკში საანგარიშსწორებო დოკუმენტების შემოსვლის (გადახდის ვადის დადგომის) კალენდარული რიგითობის წესით.

თუ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს არ გააჩნიათ პროდუქციისათვის (მომსახურების, სამუშაოსათვის) ანგარიშსწორების საკუთარი სახსრები და ბანკის კრედიტის მიღების უფლება, ზემდგომი ორგანო გამოუყოფს მათ სახსრებს შესაბამისი ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ხარჯზე დაბრუნების პირობით. აღნიშნული სახსრების უკმარისობის დროს სამეურნეო მმართველობის ამ ორგანოებს შეიძლება მიეცეთ ბანკის კრედიტები.

ადგილობრივმა ბანკების დაწესებულებებმა გადახდისუუნარო გამოაცხადონ გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომ-

ლებიც სისტემატურად ურიგდებიან ზარალს, აგვიანებენ ბიუჯეტთან, ბანკებთან და მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებას (აცნობონ ამის შესახებ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ძირითად მიმწოდებლებს, აგრეთვე პრესას), და გადაიყვანონ ასეთი გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების განსაკუთრებულ რეჟიმზე. სსრ კავშირის ბანკებმა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად საჭიროებისამებრ სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ განსახილველად შეიტანონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ ლიკვიდირებულ ან რეორგანიზებულ იქნეს დადგენილი წესით გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ვერ აღმოფხვრიან აღნიშნულ დარღვევებს.

14. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ ყურადღება ფულის მიმოქცევის განმტკიცებისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის უცილობელი შეწონასწორების უზრუნველყოფის საკითხებისადმი. ამ მიზნით საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ:

დამტკიცდეს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემადგენლობაში მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსები;

დამტკიცდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქებისა და რაიონების საკასო გეგმები;

უზრუნველყოფილ იქნეს წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების, სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების ღონისძიებანი;

ბანკების დაწესებულებებმა აქტიურად შეუწყონ ხელი სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოო კოოპერატივების, მოსახლეობისათვის სხვადასხვაგვარი მომსახურების გაწევისა და სხვა კოოპერატივების შექმნას, აგრეთვე ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას, საწარმოთა სამეურნეო ინიციატივის განვითარებას სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდის და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაწევის მაღალეფექტიან ღონისძიებათა განსახორციელებლად კრედიტების გამოყენებაში.

15. გაძლიერდეს სსრ კავშირის ბანკების როლი იმისათვის, რომ შეიქმნას პირობები სახალხო მეურნეობაში სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების ფართო დანერგვისათვის.

სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკმა წარმართოს საქმიანობა, რათა უზრუნველყოს საგარეო-ეკონომიკური ბრუნვის მოთხოვნილებანი საკრედიტო რესურსებზე, მომჭირნედ და რაციონალურად გამოიყენოს სავალუტო სახსრები, აამაღლოს საბანკო ოპერაციების რენტაბელობა და გააუმჯობესოს ბანკების მიერ მომსახურების ხარისხი.

საკრედიტო-საანგარიშსწორებო და სავალუტო ოპერაციების განხორციელებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაფართოების, საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების, სავალუტო შემოსავლის გადიდებისა და უცხოეთის სახელმწიფოებთან საგადამხდელო და საანგარიშსწორებო ურთიერთობის შეწონასწორების უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტას, ხელი შეუწყოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფორმების განვითარებას.

გაძლიერდეს საკრედიტო-საფინანსო საქმიანობის ორიენტაცია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ეკონომიკური ინტეგრაციის ყოველმხრივი გაღრმავება, უწინარეს ყოვლისა, განვითარდეს მეცნიერულ-ტექნიკური, უშუალო კოოპერაციული კავშირი, შეიქმნას ერთობლივი საწარმოები, საერთაშორისო გაერთიანებები და ორგანიზაციები სამეურნეო ანგარიშისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე.

16. სსრ კავშირის ბანკებმა და მათმა ადგილობრივმა დაწესებულებებმა დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას კადრებთან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, დაიხვეწოს მუშაობის სტილი და მეთოდები, ამაღლდეს მოთხოვნები კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, მუშაკთა კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადებისადმი, გაუმჯობესდეს მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.

17. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ყოველნაირად შეუწყონ ხელი ბანკების როლის შემდგომ ზრდას ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების რეალიზაციაში, მათს გადაქცევას პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის აქტიურ გამტარებლებად.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. გორბაჩოვი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

დადგენილება № 822

1987 წლის 17 ივლისი

ქვეყანაში სტატისტიკის საქმის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის თაობაზე პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და 1987 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად საჭიროა ძირეულად გარდაიქმნას ქვეყანაში სტატისტიკის საქმე, არსებითად ამაღლდეს მისი ორგანოების როლი სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სისტემაში, რათა სტატისტიკა გახდეს ეფექტიანი გეგმიანი მართვის ქმედითი ინსტრუმენტი მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში.

სტატისტიკის არსებული სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს მართვის საერთო-სახელმწიფოებრივ, დარგობრივ და რეგიონალურ დონეზე ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის მოთხოვნილებებს საიმედო, დროული, ღრმად ანალიზური სტატისტიკური ინფორმაციით.

სტატისტიკური ორგანოების ანალიზური მუშაობის მდგომარეობა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ბევრი მონაცემი არ ასახავს ეკონომიკურ მოვლენათა არსს. გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების უმნიშვნელოვანესი პროცესების, საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებათა კვლევას ზერელე ხასიათი აქვს. მათი ანალიზი მიზნად არ ისახავს ეკონომიკური ზრდის რეზერვების გამონახვას, სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზების გამოვლენას. უზრუნველყოფილი არ არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, საწარმოო აპარატის განახლებისა და ტექნიკური გადაიარაღების, რესურსდაზოგვის, სახალხო მეურნეობაში სტრუქტურული ძვრების ღრმა შესწავლა.

სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს განმაზოგადებელ სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა. არსებული ანგარიშგება ჯერ კიდევ გაბერილია, მნიშვნელოვანწილად ორიენტირებულია მუშაობის შედეგების შეფასებისადმი მთლიან მიდგომაზე, ძირითადად ასახავს რაოდენობრივ მახასიათებლებს და არა ხარისხობრივ გარდაქმნებს. განსაკუთრებით ჩამორჩება სტატისტიკა სოციალურ და რეგიონალურ საკითხებში, არასრულყოფილია მის მიერ გამოყენებული სოციოლო-

გიური კვლევის მეთოდები, არ ხდება მოსახლეობის საკმარისი სტატისტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა. ჯეროვნად ვერ განვითარდა საერთაშორისო სტატისტიკური შეპირისპირებანი.

ძალზე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბრძოლა გაბერილი ანგარიშგების, თვალისახვევისა და მიწერების წინააღმდეგ, რაც უდიდეს ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. ბევრ შრომითს კოლექტივში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ანგარიშგების დამახინჯებისადმი — პარტიისა და სახელმწიფოს ფაქტობრივი მოტყუებისადმი საყოველთაო შეუწყნარებლობის ვითარება. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ ამ მოვლენებს.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მართვის ადგილობრივ ორგანოებს არ მიუღიათ საჭირო ზომები აღრიცხვის უთავბოლობის დასაძლევად, მასში მკაცრი სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად, კვლავ მოითხოვენ საქვეუწყებო გაერთიანებებისა და საწარმოებისაგან მრავალრიცხოვან ცნობებს, რაც გამოწვეული არაა მართვის ნამდვილი საჭიროებებით.

სტატისტიკური მასალების გამოქვეყნებისას დაუსაბუთებელი შეზღუდვების დაწესების გამო შესამჩნევად გაუარესდა საზოგადოებრიობის ინფორმირება, შესუსტდა სტატისტიკური ორგანოების პროპაგანდისტული საქმიანობა, შევიწროვდა საზოგადოებათმეცნიერული კვლევის შესაძლებლობანი.

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები სუსტად ურთიერთმოქმედებენ სხვა ეკონომიკურ უწყებებთან, დაკნინებულია მართვის სისტემაში ამ ორგანოების როლი.

თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციული სტრუქტურა, სტატისტიკის ორგანოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათი კადრების შემადგენლობა და კვალიფიკაცია.

ქვეყანაში სტატისტიკის საქმის ძირეული გაუმჯობესების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე:

1. განხორციელდეს სახელმწიფო სტატისტიკის გარდაქმნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე მისი ზემოქმედების გასაძლიერებლად და სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სისტემაში სტატისტიკის ორგანოების როლის ასამაღლებლად.

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში სახელმწიფო სტატის-

ტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანებად ჩაითვალოს საზოგადოებაში მიმდინარე ღრმა გარდაქმნების, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ყოველმხრივი კვლევა მაჩვენებელთა მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის საფუძველზე, სახალხო მეურნეობის განვითარების ტენდენციების განზოგადება და პროგნოზირება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის არსებული რეზერვების გამოვლენა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, ეკონომიკური ორგანოებისა და ფართო საზოგადოებრიობის დროული უზრუნველყოფა საიმედო ინფორმაციით.

ეკონომიკური ანალიზისა და სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფა

2. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა უზრუნველყონ მკვეთრი შემობრუნება ხარისხობრივი მაჩვენებლებისაკენ, ანალიზური საქმიანობის გარდაქმნა და ეკონომიკური ანალიზის ხარისხის არსებითი ამაღლება, მიმართონ იგი ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების შესაძლებლობათა დროულად და სრულად გამოვლენისათვის. თავიანთი საქმიანობა მოახმარონ იმას, რომ სისტემატურად შეისწავლონ და ღრმად გააანალიზონ;

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის გარდაქმნის, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, მართვის სისტემისა და მეურნეობის გაძღოლის მეთოდების სრულყოფის საფუძველზე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროცესები;

ეკონომიკის პროპორციულობა და დაბალანსება, მისი შემდგომი აღმავლობისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგიანობა;

ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო პრობლემათა გადაჭრის საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონალური პროგრამების შესრულება;

პარტიის სოციალური პოლიტიკის და სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფის პროცესის განხორციელება;

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამების შესრულების შედეგები და ხაგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის ეფექტიანობა.

3. ეკონომიკურ ანალიზში უპირველესი ყურადღება დაეთმოს ეკონომიკური ზრდის ახალი თვისების, საზოგადოებრივი წარმოების

ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, პროდუქციის ხარისხისა და მსოფლიო დონისადმი მისი შესაბამისობის, რესურსდაზოგვის, მოქმედი საწარმოო პოტენციალის, ბუნებრივი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების რენტაბელობის ამაღლების უზრუნველყოფას.

4. არსებითად გადაისინჯოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დამახასიათებელ საანგარიშგებო მაჩვენებელთა შინაარსი და შემადგენლობა, გაღრმავდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარ მიმართულებებზე არსებული მდგომარეობის, სახელმწიფო მიზნობრივი დავალებებისა და კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების, წარმოების ტექნიკური გადაიარაღებისა და რეკონსტრუქციის გეგმათა შესრულების, აგრეთვე დარგთაშორისი მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსების, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის, უმაღლესი სასწავლებლებისა და დარგობრივი მეცნიერების განვითარების ეფექტიანობის შესწავლა.

5. გაძლიერდეს სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის გარდაქმნის, ეკონომიკის განვითარების პროპორციულობისა და მატერიალურ-ნივთობრივი და ღირებულებითი პროპორციების, მატერიალური წარმოებისა და სოციალური სფეროს შეწონასწორების უზრუნველყოფაზე ამ პოლიტიკის გავლენის დონის ანალიზი.

6. სტატისტიკის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს სამეურნეო მართვის მიმდინარე რადიკალური რეფორმის, მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგების განუწყვეტელი შესწავლა.

განხორციელდეს სტატისტიკაში პრინციპულად ახლებური მიდგომა გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის შეფასებისადმი, ამასთან უნდა დავეყრდნოთ მართვის თანამედროვე პირობებს სრული სამეურნეო ანგარიშის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შედგენის ახალი წესის, ხარისხობრივი მაჩვენებლების როლის გაძლიერების საფუძველზე.

მოეწყოს მართვის სისტემის კომპლექსური სრულყოფის, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა და ორგანიზაციათა გადაყვანის, მართვის თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირების ღონისძიებათა რეალიზაციის მიმდინარეობის სტატისტიკური შესწავლა და ფართოდ გაშუქება, ამ ღონისძიებათა ეფექტიანობის საკალდებულო შეფასებით.

7. მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ინფორმაცია, ამაღლდეს ხარის-

ხი სტატისტიკური მასალებისა, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა საზოგადოების სოციალურ განვითარებას: შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპის დაცვა მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება, საბინაო პრობლემის გადაჭრა, სოციალურ-კულტურული მომსახურების თანამედროვე მაღალგანვითარებული სფეროს შექმნა, ადამიანის ფაქტორის გააქტიურება და სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფა.

შემუშავდეს და სტატისტიკურ განზოგადებათა პრაქტიკაში დაინერგოს მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ სოციალისტურ საწარმოო, სოციალურ-კლასობრივ და ეროვნულ ურთიერთობათა სრულყოფის, დემოკრატიისა და თვითმმართველობის განვითარების, სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელების პროცესებს. გარდაიქმნას სოციალური სტატისტიკა, უზრუნველყოფილ იქნეს ხალხის სოციალური განვითარებისა და ცხოვრების დონის ამაღლების ამსახველი ინფორმაციის კომპლექსური მეცნიერულად დასაბუთებული ინტეგრირებული სისტემის შემუშავება მოსახლეობის საკავშირო აღწერების, მიმდინარე სტატისტიკისა და სპეციალური სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევების ბაზაზე.

საჭიროდ ჩაითვალოს სტატისტიკის ორგანოების მიერ მუდმივად გამოკვლეული ოჯახების ქსელის არსებითად გადიდება, ამასთან უზრუნველყოფილ იქნეს მისი უფრო სრული წარმომადგენლობა მოკავშირე რესპუბლიკების, ეკონომიკური რაიონების, სახალხო მეურნეობის დარგების, მოსახლეობის სოციალური ჯგუფების მიხედვით. უფრო ფართოდ ჩატარდეს სხვადასხვაგვარი შერჩევითი, სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევები და რეგულარული ხასიათი მიეცეთ მათ. სტატისტიკის ორგანოებმა გააძლიერონ ქვეყანაში ყველა სოციალურ-დემოგრაფიული პროცესის სტატისტიკური გამოკვლევების სამუშაოთა კოორდინაცია.

სტატისტიკის ორგანოებმა საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად უზრუნველყონ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის სისტემატური შესწავლა. მიენიჭოთ მათ უფლება გამოკითხვის ჩისატარებლად მიიზიდონ შესაბამისი ორგანიზაციები, სასწავლო ინსტიტუტები, სამეცნიერო დაწესებულებანი, საწარმოთა სოციოლოგიური სამსახურები. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა საჭირო დახმარება გაუწიონ მათ ამ მუშაობის ორგანიზაციაში.

8. დაიხვეწოს ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლების საერთაშორისო შეპირისპირებათა თეორია და პრაქტიკა, გაღრმავდეს სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის, სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების ეკონომიკური შეჯიბრების საკვანძო პრობლემათა ანალიზი.

განხორციელდეს საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის სტატისტიკის ცენტრალიზაცია სტატისტიკის ორგანოთა სისტემაში. მოეწყოს მსოფლიო ეკონომიკის, საზღვარგარეთის ქვეყნებში ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის პრიორიტეტულ მიმართულებათა სისტემატური შესწავლა.

9. ამაღლდეს საბალანსო სამუშაოთა მეცნიერულ-მეთოდოლოგიური დონე სტატისტიკაში, უწინარეს ყოვლისა, უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროპორციების ამსახველი სახალხო-სამეურნეო ბალანსების — საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ბალანსების, სახელმწიფოს საფინანსო და საგადასახდელო ბალანსების, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის, ძირითადი ფონდების, შრომითი რესურსების ბალანსების ფორმირებაში. გაიზარდოს ამ ბალანსების როლი დარგობრივი და ტერიტორიული სტატისტიკის ინტეგრაციაში. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა მიიღონ ზომები ბალანსების შემუშავებისა და გამოყენების მეთოდოლოგიის ძირეული გაუმჯობესებისათვის, საბალანსო სამუშაოთა შესრულების ვადების შემცირებისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

10. რესპუბლიკებისა და რეგიონების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდასთან დაკავშირებით განხორციელდეს რეგიონალური სტატისტიკის ორგანიზაციის არსებითი გაუმჯობესების ღონისძიებანი, ამასთან საიმედო და დროული ინფორმაციით იქნეს უზრუნველყოფილი რაიონულ (საქალაქო), საოლქო (სამხარეო) და რესპუბლიკურ დონეებზე სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მოთხოვნილებები. გათვალისწინებულ იქნეს შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) საქმიანობის ამსახველი ცნობების სისრულე, მაჩვენებელთა აგების მეთოდოლოგიის ერთიანობა და მათი შეპირისპირების შესაძლებლობა ანალოგიურ მონაცემებთან სსრ კავშირის მასშტაბით.

11. გაძლიერდეს სტატისტიკის ორგანოების ურთიერთმოქმედება

სხვა ეკონომიკურ ორგანოებთან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა კომპლექსური დამუშავების, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის საჭირო ინფორმაციითა და პროგნოზებით უზრუნველყოფის საკითხებში. შემოღებულ იქნეს ანალიზური მუშაობის პრაქტიკაში, რომ სტატისტიკის ორგანოებმა საგეგმო ორგანოებთან ერთად ქვეყნის, მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურად წარადგინონ მოხსენებები, რომლებიც ახასიათებენ მეურნეობის საერთო მდგომარეობას, მასში მიმდინარე ცვლილებებს და შეიცავენ მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებებს. შემუშავდეს მიმოხილვები ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მხარეების შესახებ.

12. ეკონომიკური და სოციოლოგიური ანალიზისა და სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ასამაღლებლად გაიზარდოს სტატისტიკის დარგში მეცნიერული კვლევის თეორიული დონე, კომპლექსურობა და პრაქტიკული მნიშვნელობა, გაუმჯობესდეს მისი ორგანიზაცია, ამასთან იგი წარიმართოს ეკონომიკის განვითარებისა და აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელების ფუნდამენტურ პრობლემათა შესწავლისაკენ. თანამედროვე მოთხოვნებს შეუსაბამდეს სტატისტიკურ მაჩვენებელთა აგების მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავება, უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები. დაიხვეწოს სტატისტიკური და, უწინარეს ყოვლისა, განმაზოგადებელი მაჩვენებლების სისტემა, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს, რომ მათში ობიექტურად აისახოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებანი და განმტკიცდეს მეურნეობის გაძღოლის ხარჯვასაწინააღმდეგო მექანიზმი.

ანგარიშგების მოწესრიგება და მისი უტყუარობის უზრუნველყოფა

13. მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის შესაბამისად დაიხვეწოს სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო ანგარიშგების მთელი სისტემა, აღმოიფხვრას ზედმეტობანი, განხორციელდეს მუდმივი მუშაობა მისი რაციონალიზაციისათვის.

კატეგორიულად აეკრძალოს მართვის ყველა სახელმწიფო ორგანოს, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოითხოვონ, ხოლო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — წარადგინონ სახელმწიფო ანგარიშგებით გაუთვალისწინებელი რაიმე ცნობები და ანგარიშები.

სტატისტიკურ ანგარიშგებას, მათ შორის მართვის დარგობრივ და რეგიონალურ ავტომატიზებულ სისტემებში შეკრებილ და დაგროვილ ანგარიშგებას, შემოიღებენ და ამტკიცებენ მხოლოდ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები, ან ეს კეთდება მათ მიერ დადგენილი წესით.

სტატისტიკის ორგანოებმა გამოავლინონ და გააუქმონ დადგენილი წესით დაუმტკიცებელი ანგარიშგება, ამასთან ზედმეტი ცნობების შეგროვება მიიჩნიონ ცოცხალი ორგანიზატორული საქმის შეცვლად ქაღალდმთხზველობით, ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული მეთოდებით, რაც ხელს უშლის საწარმოთა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის განვითარებას.

14. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა 1987—1988 წლებში გადაამუშაონ ყველა მოქმედი ნორმატიული აქტი და ინსტრუქცია ანგარიშგების შედგენის შესახებ, შეუსაბამონ ისინი ახალი სამეურნეო მექანიზმის და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნებს.

15. სტატისტიკური ანგარიშგების ხარისხის ამაღლების, უტყუარობის უზრუნველყოფის, დამუშავებისა და სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის საჭიროებათათვის მათი წარდგენის ვადების შემცირების მიზნით სტატისტიკის ორგანოებმა უზრუნველყონ, რომ სტატისტიკური ინფორმაციის შეკრების, დაგროვების, დამუშავებისა და გადაცემის ორგანიზაცია გადავიდეს ახალი ტექნოლოგიის ბაზაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს კავშირგაბმულობის, გამოთვლითი და ორგანიზაციული ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა ფართოდ გამოყენება. მოწესრიგდეს ინფორმაციის ნაკადები სახალხო მეურნეობაში, უზრუნველყოფილ იქნეს მართვის დარგობრივი, ფუნქციონალური და რეგიონალური ავტომატიზებული სისტემების ურთიერთმოქმედება სახელმწიფო სტატისტიკის ავტომატიზებულ სისტემასთან.

16. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა აამაღლონ მუშაობის დონე საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის შედეგების ამსახველი საანგარიშგებო მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებისა და უტყუარობისათვის. ვადაჭრით გააძლიერონ კონტროლი სახალხო მეურნეობის დარგებში აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობისადმი, სტატისტიკური მონაცემების უტყუარობისადმი.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მიიღონ ზომები იმ მიზნით, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში პირველადი აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენება, განუხ-

რელად შესრულდეს კანონმდებლობა ამ საკითხებზე, ამაღლდეს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მიწერებისა და სახელმწიფო ანგარიშგების სხვა დამახინჯებათა დაუშვებლობისათვის.

17. სახელმწიფო სტატისტიკის, საფინანსო, საბანკო და მაკონტროლებელმა ორგანოებმა გააძლიერონ ურთიერთმოქმედება მიწერებისა და თვალისახვევის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოახდინონ შემოწმებათა ჩატარების წესისა და პერიოდულობის რეგლამენტაცია, უზრუნველყონ მათი კომპლექსურობა, დაბეჯითებით და პრინციპულად მიაღწიონ თითოეული შემოწმების შედეგიანობას. დაეკისროთ სტატისტიკის ორგანოებს ამ მუშაობის კოორდინაცია სამეურნეო მართვის ყველა დონეზე; ანგარიშგების დამახინჯების ფაქტების დადგენის თითოეულ შემთხვევაში მისცენ შესაბამის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი საჭირო შესწორებათა შეტანის შესახებ.

ანგარიშგების უტყუარობის უზრუნველყოფისათვის მუშაობაში მეტწილად დაემყარონ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს და გააძლიერონ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის საბოლოო შედეგებისადმი კონტროლის ეკონომიკური მეთოდები.

18. საჭიროდ ჩაითვალოს გაფართოვდეს ეკონომიკური და სამართლებრივი ბერკეტების გამოყენება მიწერათა და თვალისახვევის წინააღმდეგ ბრძოლაში, მიღწეულ იქნეს სათბობის, ენერგიის, ნედლეულისა და მასალების ღირებულების დაუსაბუთებელი ჩამოწერის, ხელფასისა და პრემიების უკანონოდ გაცემული თანხების, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის მთლიანად ანაზღაურება.

19. ამაღლდეს შრომითი კოლექტივების როლი და გაფართოვდეს მათი უფლებანი სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების ამსახველი მონაცემების უტყუარობისადმი კონტროლის საქმეში, განხილულ იქნეს სახელმწიფო ანგარიშგების დამახინჯების ყველა ფაქტი და მათ გამო მიღებული ზომები.

საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და სხვა დამნაშავე პირებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა მიწერების, თვალისახვევის ფაქტებისა და სახელმწიფო ანგარიშგების სხვა დამახინჯებისათვის და მიეცემიან დისციპლინურ, მატერიალურ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მიწერებისა და თვალისახვევის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო სრულად იქნეს გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია, საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობის საკითხები მუდამ იყოს მათი თვალთახედვის არეში.

20. სამართალდამცველმა ორგანოებმა დროულად განიხილონ მასალები მიწერებისა და სახელმწიფო ანგარიშგების სხვა დამახინჯებათა შესახებ. გააძლიერონ ზედამხედველობა მიწერათა წინააღმდეგ ბრძოლის, ამ დანაშაულთა თავიდან აცილების, გამოვლენისა და დროულად აღკვეთის ღონისძიებათა ეფექტიანობისადმი, უზრუნველყონ დამნაშავე პირთა დასჯის გარდაუვალობა.

სტატისტიკის საჯაროობის გაფართოება

21. არსებითად გაფართოვდეს სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობა, როგორც საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის, სახელმწიფოს საქმეთა მართვაში მშრომელთა ჩაბმის, საწარმოებსა და ორგანიზაციებში თვითმმართველობის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი მიმართულება. ამ მიზნით უნდა ვიხელმძღვანელოთ ლენინის მითითებით, რომ საჭიროა შევიტანოთ სტატისტიკა მასებში და გავააქტიუროთ სტატისტიკის ორგანოების საინფორმაციო-პროპაგანდისტული საქმიანობა.

გამოყენებულ იქნეს სტატისტიკა, როგორც სხვა ქვეყნებთან ეფექტიანი თანამშრომლობის, საერთაშორისო ურთიერთობაში სსრ კავშირის უფრო აქტიური და ფართო მონაწილეობის, ნდობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი საშუალება.

22. დაიხვეწოს სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ცვლილებათა შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მეთოდები. გაფართოვდეს სტატისტიკური მასალების გამოქვეყნება, პრეს-გამოშვებებისა და სტატისტიკური გამოცემების ორგანიზაციის პრაქტიკა მოსახლეობის ინფორმირებისათვის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ასეთი პრეს-გამოშვებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების მიმდინარეობის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გარდაქმნის განხორციელების ოპერატიულად გაშუქებისათვის.

დაევალოთ სტატისტიკის ორგანოებს გააუმჯობესონ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლების უზრუნველყოფა სტატისტიკური მასალებით, მიიჩნიონ ეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკის დარგში კვლევის ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვან პირობად.

23. განხორციელდეს სტატისტიკური კრებულების რეგულარული გამოშვება სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების, მოკავშირე

რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით, აგრეთვე თემატიკური კრებულებისა — უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე. გაუმჯობესდეს სტატისტიკურ გამოცემათა შინაარსი და სტრუქტურა, შეტანილ იქნეს მათში საჭირო მეთოდიკური განმარტებანი, უფრო სრულად აისახოს პუბლიკაციებში შერჩევით გამოკვლევათა და სხვა ანალიზურ სამუშაოთა მასალები.

შეიქმნას სტატისტიკის ორგანოების სისტემაში საინფორმაციო-საგამომცემლო ცენტრი სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე, ამასთან დაეკისროს მას სტატისტიკური კრებულების, ბიულეტენების, პრეს-გამოშვებების, სხვა სტატისტიკური პუბლიკაციების გამოცემა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა უზრუნველყოფა სტატისტიკური მასალებით.

24. აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულყოფის, სტატისტიკურ გამოკვლევათა და შემოწმებათა ჩატარების საქმეში საზოგადოებრიობის როლის ასამაღლებლად მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას სტატისტიკის ორგანოებთან სახელმწიფო სტატისტიკის საზოგადოებრივ ინსპექტორთა საბჭოები სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სააღრიცხვო-სტატისტიკური სამსახურების წარმომადგენელთაგან, მათი პერსონალური შემადგენლობა დაამტკიცონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა.

25. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გაუმჯობესდეს ჟურნალ „ვესტნიკ სტატისტიკის" მუშაობა. გაფართოვდეს პუბლიკაციები ქვეყნის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების, ქალაქებისა და რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ სტატისტიკის თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებზე. უფრო სრულად გაშუქდეს სტატისტიკის ორგანოების საქმიანობის მოწინავე გამოცდილება, მიწვეულ იქნენ ჟურნალში გამოსვლების მოსამზადებლად თვალსაჩინო მეცნიერები, სამეურნეო ხელმძღვანელები და სპეციალისტები.

სტატისტიკის ორგანოების რეორგანიზაცია და როლის ამაღლება

26. მიზანშეწონილად ჩაითვალოს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გარდაქმნა სსრ კავშირის სტატისტიკის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად (სსრ კავშირის სტატსახკომი) — ქვეყნის მთავარ სააღრიცხვო-სტატისტიკურ ცენტრად.

27. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სტატსახკომი, ხელმძღვანელობს

რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ახორციელებს სტატისტიკის, აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმის სახელმწიფო მართვას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მთლიანად პასუხისმგებელია ერთიანი მეცნიერული მეთოდოლოგიის საფუძველზე საერთო-სახელმწიფოებრივ, დარგობრივ და რეგიონალურ დონეებზე სტატისტიკური საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას მოკავშირე რესპუბლიკებში ამავე სახელწოდების კომიტეტები.

ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში შეიქმნას სტატისტიკის სამმართველოები შესაბამის სტატისტიკურ სამმართველოთა (და საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურების სამეურნეო-ანგარიშიან გაერთიანებათა ბაზაზე. საჭიროდ ჩაითვალოს აღნიშნულ სამმართველოთა საქმიანობის ორგანიზაცია სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მიხედვით.

სსრ კავშირის სტატსახკომი, მოკავშირე რესპუბლიკების სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტები, სტატისტიკის საოლქო (სამხარეო, ავტონომიური რესპუბლიკების) სამმართველოები, სტატისტიკის საქალაქო და რაიონული განყოფილებები შეადგენენ სსრ კავშირის სტატსახკომის ერთიან სისტემას.

28. გაფართოვდეს სსრ კავშირის სტატსახკომის უფლებამოსილებანი სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციის დარგში, ამასთან უფლება მიეცეს მას:

გააკონტროლოს სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ნორმატიული აქტების შესრულება სტატისტიკის, აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე;

შეამოწმოს სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, თუ როგორ მიდის მუშაობა აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციისათვის, მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფისათვის, მოისმინოს მათი ანგარიშები ამ საკითხებზე და მისცეს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

მიიღოს სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან შიდასაუწყებო ანგარიშგების მონაცემები.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების მიერ გამოსაცემი ნორმატიული აქტები სტატისტიკისა და აღრიცხვის საკითხებზე, რომლებიც სავალდებულოა სხვა სამინისტროებისა და უწყებებისათვის, წინასწარ უნ-

და შეუთანხმდეს შესაბამისად სსრ კავშირის სტატისტიკომს ან მოკავშირე რესპუბლიკის სტატისტიკომს.

29. სსრ კავშირის სტატისტიკომმა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი კადრებთან მუშაობაში, გააუმჯობესოს მათი შერჩევა, განაწილება და აღზრდა, გააძლიეროს მოთხოვნები სტატისტიკის ორგანოების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისადმი, შეუქმნას მათ საჭირო შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები. უზრუნველყოს კადრების კვალიფიკაციის განუწყვეტელი ამაღლება, სრულყოს მათი პროფესიული მომზადება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გააფართოონ საალრიცხვო-სტატისტიკურ სპეციალობათა უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადება მათზე სახელმწიფოს სტატისტიკის ორგანოებისა და სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილების მიზნით. უზრუნველყონ პოლიტიკურ-ეკონომიკური განათლების მაღალი დონის შენახვა კონკრეტული ეკონომიკის, თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკისა და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიის დარგში ღრმა ცოდნასთან.

30. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების როლის შემდგომ ამაღლებას ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების რეალიზაციაში, მათს გადაქცევას პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის აქტიურ გამტარებლებად.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. ბორბაჩოვი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. რიჟკოვი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

დადგენილება № 828

1987 წლის 17 ივლისი

მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალური წარმოების სფეროს სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის გარდაქმნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ დარგობრივი პრინციპით მატერიალური წარმოების სფეროს მართვამ სახალხო მეურნეობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე უზრუნველყო ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის თანამიმდევრული განმტკიცება, ხალხის კეთილდღეობის ზრდა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ამაღლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად არსებითად იცვლება სამინისტროთა და უწყებათა როლი და ფუნქციები სახალხო მეურნეობის დარგოთა მართვაში. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელება, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა შეერთება გეგმიან ეკონომიკასთან სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა მოახდინონ უპირატესად ეკონომიკური მეთოდებით, ახალი სამეურნეო მექანიზმის, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა ეფექტიანი გამოყენების გზით.

დარგობრივი მართვის სისტემა ყალიბდებოდა თანდათანობით, თავის ნიშან-თვისებებს იძენდა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. მაგრამ სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის ორგანიზაციასა და მეთოდებში დაგროვილი ნეგატიური მოვლენები და ნაკლოვანებანი აფერხებენ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში დარგთა წვლილის გადიდებას, ვერ უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებას და მოსახლეობის მოთხოვნას.

მართვის სისტემის ამ რგოლში ყველაზე მეტად იჩენდა თავს ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული და ვიწროუწყებრივი მეთოდები და სტილი, მკაცრად იზღუდებოდა საწარმოთა და გაერთიანებათა უფლებები და დამოუკიდებლობა, რის შედეგადაც ძირითად

რგოლში სამეურნეო ანგარიშის პრინციპები მოკლებულ იყო რეალურ შინაარსს. სამინისტროებს, რომელთაც იკისრეს საწარმოთა ფუნქციები, უნარი აღარ აღმოაჩნდათ გადაეჭრათ თავიანთი მთავარი ამოცანები.

სამინისტროები და უწყებები ვერ უზრუნველყოფენ დარგთა მოწინავე პოზიციებს მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებაში. დამაკმაყოფილებლად არ არის გამოყენებული მათში არსებული დიდი მეცნიერული პოტენციალი, აგრეთვე წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის თანამედროვე ფორმები; დარგობრივი მეცნიერების ეფექტიანობა და პრაქტიკული უკუგება კვლავ დაბალია, ამის შედეგი იყო პროდუქციის ტექნიკური დონის, ტექნოლოგიისა და ხარისხის სულ უფრო შესამჩნევი ჩამორჩენა თანამედროვე მოთხოვნებისაგან. საინვესტიციო პოლიტიკა მიზნად არ ისახავდა კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენებას. საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღებისა და რეკონსტრუქციის გეგმაზომიერი განხორციელების ნაცვლად გაუმართლებლად ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა ახალი მშენებლობა.

სამინისტროები და უწყებები ძალზე არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ წარმოების ეფექტიანობის გასადიდებლად, რენტაბელობის ასამაღლებლად, ზარალიანობის შესამცირებლად. ძირითადი საწარმოო ფონდების განახლება დაუშვებლად ნელა მიმდინარეობდა. ფონდების გამოყენების დონე და მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი სისტემატურად მცირდებოდა. დარგთა მუშაობის უმნიშვნელოვანესი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები — შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის მასალატევადობა და ენერგოტევადობა, რესურსდაზოგვა საგრძნობლად ჩამორჩება საზღვარგარეთულ დონეს.

სამინისტროები და უწყებები ვერ აკმაყოფილებენ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს დარგთა პროდუქციაზე, ხშირად საგეგმო დავალებათა მხოლოდ პასიურ შემსრულებლებად გამოდიან. მათ ვერ მოახერხეს პრიორიტეტული განვითარება ახალ სახეობათა მოწყობილობის, ნაკეთობებისა და მასალებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების მაღალ ეფექტიანობას. პროდუქციის გამოშვების გადიდება უპირატესად ხორციელდებოდა წარმოების განვითარების ექსტენსიური მეთოდების საფუძველზე.

სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობაში დიდი ნაკლია ის, რომ სუსტ ყურადღებას უთმობენ დარგებში სოციალური სფეროს მატე-

რიალური ბაზის განმტკიცებას, უწინარეს ყოვლისა, საბინაო მშენებლობის დაჩქარებას. ამის შედეგად ბევრი საწარმოს განვითარება ხორციელდებოდა არაკომპლექსურად, მშენებლობასა და წარმოების განვითარებას თან არ ახლდა სოციალური დანიშნულების ობიექტების შექმნა. ამ საკითხების გადაწყვეტაში უზრუნველყოფილი არაა სამინისტროთა და უწყებათა ეფექტიანი ურთიერთმოქმედება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, მართვის ადგილობრივ ორგანოებთან. ამის შედეგად წარმოიშვა დისპროპორციები საწარმოო და სოციალური სფეროების ფორმირებაში.

სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობაში ჭარბობს ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული მეთოდები, საწარმოთა მუშაობის დეტალური დაგეგმვა, მათს ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევა, რაც აკნინებს საწარმოთა როლს, აფერხებს დემოკრატიული საწყისების განვითარებას შრომითი კოლექტივების საქმიანობაში, იწვევს სამინისტროთა აპარატის გაუმართლებელ გაბერვას, მის დაქუცმაცებას წარმოებათა ცალკეული სახეობებისა და ფუნქციების მიხედვით, აფერხებს შრომითი კოლექტივების ინიციატივისა და გერგილიანობის განვითარებას. დარგობრივი მართვის სტრუქტურა რთული, გაბერილი და მრავალსაფეხურიანი გახდა, დაკარგა თავისი მოქნილობა. მართვის ეკონომიკური მეთოდები გაუმართლებლად ნელა ხორციელდება. სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალური აპარატის მუშაობა ჯერ კიდევ არ ისახავს მიზნად სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის პრინციპების თანამიმდევრულ განხორციელებას.

დარგებისადმი ხელმძღვანელობაში საკმარისად არ არის გამოყენებული დემოკრატიული ფორმები, მნიშვნელოვნად შემცირდა სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების როლი. ისინი შესამჩნევ ზემოქმედებას ვერ ახდენენ დარგებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების პრინციპული საკითხების გადაწყვეტაზე, კადრების შერჩევაზე, განაწილებასა და გამოყენებაზე, აპარატის მუშაობის გარდაქმნის დაჩქარებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა განსაზღვრა დარგობრივი მართვის გარდაქმნის ძირითადი პრინციპები, სამინისტროთა საქმიანობის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი, მათი ადგილი და როლი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ერთიან სისტემაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მატერიალური წარმოების სფეროს სამინისტროთა და უწყებათა მთავარ ამოცანად ჩაითვალოს პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განუხრელი განხორციელება დარგთა სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დაჩქარების, მაღალხარისხოვან პროდუქციაზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, წარმოებისა ეფექტიანობის ამაღლებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდაში წვლილის გადიდების, სოციალური ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის საფუძველზე. სამინისტროები და უწყებები ვალდებული არიან მთელ თავიანთ საქმიანობაში უპირატესად გამოიყენონ მართვის ეკონომიკური მეთოდები ნაცვლად უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებისა, შექმნან შრომითი კოლექტივების ინიციატივისა და გერგილიანობის გამოვლენის, საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის განვითარების, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების ყოველმხრივი გამოყენების პირობები.

ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროდ ჩაითვალოს ძირეულად გარდაიქმნას სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობა, შეიცვალოს მათი როლი და ფუნქციები დარგთა მართვაში, აღმოიფხვრას მათ მხრივ საწარმოთა წვრილმანი მეურვეობა და სამინისტროთა და უწყებათა მუშაობა უწინარეს ყოვლისა წარიმართოს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

პროგრესული მეცნიერულ-ტექნიკური და საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება, რაც უზრუნველყოფს დარგის დიდ პრიორიტეტულ ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრას, წარმოების მარევოლუციურებელი, პრინციპულად ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების დამუშავებისა და გამოყენების ორგანიზაციას, მათ მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს, ხარისხსა და კონკურენტუნარიანობას, დარგობრივი მეცნიერების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას, წარმოებასთან მისი კავშირის განმტკიცებას;

დარგის შეწონასწორებული და პროპორციული განვითარების, წარმოების რაციონალური განლაგების, მისი კომბინირების განხორციელება, დარგის საწარმოთა პროგრესული პროფილის განსაზღვრა, წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების დონის შემდგომი ამაღლება, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის აქტივიზაცია.

დარგთშორისი ამოცანების ეფექტიანი გადაწყვეტა დაინტერე-

სებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე ტერიტორიულ მართვის რესპუბლიკურ და სხვა ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთ-მოქმედების საფუძველზე.

სამინისტროთა და უწყებათა როლი და ფუნქციები მეურნეობის ბაზრის ახალ პირობებში

2. სამინისტროები და უწყებები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, როგორც პარტიისა და მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის საფუძველზე. ისინი მოვალენი არიან მართვის ეკონომიკური მეთოდების უპირატესი გამოყენების საფუძველზე თანამიმდევრულად განახორციელონ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით განსაზღვრული პრინციპები, ხელი შეუწყონ შრომითი კოლექტივების თვითმმართველობის განვითარებას.

დაწესდეს, რომ სამინისტროები და უწყებები ახორციელებენ საქვეუწყებო საწარმოთა საქმიანობის მართვას, იყენებენ რა, როგორც ხუთწლიანი გეგმის ფორმირების საფუძველს, დაგეგმვის საწყის მონაცემებს: საკონტროლო ციფრებს, სახელმწიფო შეკვეთებს, ხანგრძლივ ეკონომიკურ ნორმატივებსა და ლიმიტებს. ამასთან სამინისტროები და უწყებები უზრუნველყოფენ საწარმოსათვის დასაწესებელი დაგეგმვის საწყისი მონაცემების ზუსტ ურთიერთდაკავშირებას.

3. სამინისტროებმა და უწყებებმა განუხრელად იხელმძღვანელონ იმით, რომ:

საწარმოები მათი ხუთწლიანი გეგმებიდან და დადებული სამეურნეო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დამოუკიდებლად შეიმუშავებენ და ამტკიცებენ წლიურ გეგმებს. ამასთან საწარმოები სამინისტროსთან, უწყებასთან ერთად აკონკრეტებენ ხუთწლიანი გეგმის დავალებებს, აგრეთვე შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად წყვეტენ მატერიალური რესურსებითა და საიჯარო სამუშაოებით მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს;

დარგთა განვითარების ხუთწლიანი გეგმების პროექტები შემუშავდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებიდან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დაგზავნილი დაგეგმვის საწყისი მონაცემებიდან გამომდინარე და საწარმოთა (გაერთიანებათა) გეგმების საფუძველზე.

სამინისტროები და უწყებები ეწინააღმდეგებიან მონოპოლიურ

ტენდენციებს ცალკეულ საწარმოთა საქმიანობაში, ახორციელებენ რა ამ მიზნით ღონისძიებებს თვითღირებულებისა და ფასების წამატების, წარმოების ტექნიკურ განვითარებაში უძრაობის, მომხმარებელთა მოთხოვნილების მქონე პროდუქციის გამოშვებისა და გასაღების ხელოვნურად შეზღუდვის დასაძლევად.

4. დარგობრივი მართვის გარდაქმნის ძირითადი პრინციპების შესაბამისად საჭიროდ ჩაითვალოს, რომ სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობა წარმართულ იქნეს შემდეგი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად:

დაგეგმვისა და ეკონომიკის დარგში

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად მონაწილეობის მიღება დარგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების თხუთმეტწლიან ძირითად მიმართულებათა პროექტების, საკონტროლო ციფრების, სახელმწიფო შეკვეთების, ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივებისა და მომავალი ხუთწლეულის ლიმიტების შემუშავებაში;

საწარმოებისათვის საკონტროლო ციფრების, სახელმწიფო შეკვეთების, გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების შემუშავება, რომლებიც სტიმულს აძლევენ საწარმოთა მიერ ყოველგვარი რესურსების ეფექტიან გამოყენებას და მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების მიზნით;

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობის დამტკიცება;

დარგის პროდუქციაზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე სახალხო-სამეურნეო და საგარეო-ეკონომიკურ მოთხოვნილებათა შესწავლა და განსაზღვრა;

გრძელვადიანი პროგნოზების შემუშავება, დარგის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა;

საწარმოთა განვითარებისა და განლაგების სქემების შემუშავება;

დაგეგმვის დროს დარგების, რეგიონებისა და საწარმოების ინტერესებთან სახელმწიფოს ინტერესების რაციონალური შეხამების უზრუნველყოფა;

პროგრესული საწარმოო სტრუქტურის განვითარება, კონცენტრა-

ციისა და სპეციალიზაციის, შინადარგობრივი და დარგთშორისი კოოპერირების გაღრმავება, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი სახსრების გამოყენების გაუმჯობესება;

დარგის მუშაკთა შრომის, ცხოვრებისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებასთან, მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსური გადაწყვეტის უზრუნველყოფა;

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების დარგში

დარგის მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების უზრუნველყოფა, ტექნიკური დონისა და ხარისხისადმი მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად პრინციპულად ახალ სახეობათა პროდუქციის დამუშავება, მათ შორის საკონკურსო საფუძველზე;

წარმოებაში ყველაზე მნიშვნელოვან მაღალეფექტიან ტექნიკურ სიახლეთა, აღმოჩენათა და გამოგონებათა ფართოდ გამოყენება, რაც უზრუნველყოფს დარგის დაჩქარებულ გასვლას მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიჯნებზე, პროდუქციის მაღალ კონკურენტუნარიანობას.

პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის, ხარისხისა და ტექნიკური დონის განუწყვეტლივ ამაღლება, მისი განახლების დაგეგმვა.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და აღდგენის, უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე მეცნიერულ-ტექნიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავების ორგანიზაცია, აგრეთვე პროგრესული ნორმებისა და ნორმატივების შემუშავების ორგანიზაცია;

მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, ახალი ტექნიკისა და პროგრესული საბაზო ტექნოლოგიების შექმნისა და ათვისების ვადების შემცირება;

მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მართვის განუწყვეტლივ სრულყოფა, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, მათი ლაბორატორიულ-გამოსაცდელი და საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის განმტკიცება; დარგთშორისი მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსების მუშაობის უზრუნველყოფა;

დარგის პროდუქციის სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის, საინფორმაციო მომსახურების სამუშაოთა, აგრეთვე საგამომგონებლო,

რაციონალიზატორული და საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის ორგანიზაცია, მოწინავე გამოცდილების შესწავლა და გავრცელება;

საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ფართოდ განვითარება, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან;

კაპიტალური მშენებლობის დარგში

ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება დარგის განვითარების ამოცანების შესაბამისად, სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის საწარმოთა ფონდების ხარჯზე კაპიტალურ დაბანდებათა ოპტიმალური შეხამება;

ახალი საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობის, მოქმედი საწარმოებისა და ობიექტების ტექნიკური გადაიარაღების, რეკონსტრუქციისა და გაფართოების პროექტების შემუშავების ორგანიზაცია მსოფლიო დონეზე;

მშენებლობის დაგეგმვა და ორგანიზაცია ნორმატიულ ვადებში; საწარმოებისა და ობიექტების დროულად ამოქმედება და ახალ სიმძლავრეთა ათვისება;

დარგობრივი სამშენებლო ბაზის განვითარება, განმტკიცება და მოდერნიზაცია საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის, საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა სამეურნეო წესით განსახორციელებლად;

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და გასაღების დარგში

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმომარაგებასთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან მჭიდრო ურთიერთობით დარგის საწარმოთა მატერიალური რესურსებით მყარი უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნა;

წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობის, დამამზადებლებთან მომხმარებელთა პირდაპირი კავშირურთიერთობის, აგრეთვე საფირმო ვაჭრობისა და სერვისული მომსახურების განვითარება;

მუშაობის ორგანიზაცია მატერიალური რესურსების ყოველმხრივი ეკონომიით, რესურსების ყაირათიანი და რაც შეიძლება რაციონალური ხარჯვით, მათი დანაკარგების შემცირებით, სამეურნეო ბრუნვაში მეორეული რესურსების ფართოდ ჩართვით შრომითი კოლექტივების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების უზრუნველსაყოფად;

ფინანსების, კრედიტისა და ფასების დარგში

საფინანსო-ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლება დარგში, საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის განმტკიცება სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების თანამიმდევრული განხორციელების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე;

საწარმოთა ზარალიანობის მთლიანად აღმოფხვრისა და სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით მათი მუშაობისათვის საჭირო რენტაბელობის დონის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება, სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივი) ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირებაში საწარმოთა მონაწილეობის გადიდებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

სამინისტროს, უწყების ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების ეფექტიანი გამოყენება და მათი კონცენტრაცია დარგის განვითარების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებებზე;

საწარმოთა მიერ ბანკის კრედიტების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;

ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ცენტრალიზებულად დაწესებული, სახელშეკრულებო და სამინისტროს, უწყების მიერ დასამტკიცებელი ფასებისა და ტარიფების ეკონომიკური დასაბუთებულობის ამაღლება, კონტროლის გაძლიერება ფასების სახელმწიფო დისციპლინის დაცვისადმი.

საწარმოთა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შედეგების ანალიზი, კონტროლი მათ მიერ სახელმწიფო საფინანსო და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვისადმი;

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დარგში

საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა შემუშავება პერსპექტიული პერიოდისათვის;

საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება დარგის განვითარების დაჩქარების მიზნით;

საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ახალი პროგრესული ფორმების განვითარება, აქტიური ხელშეწყობა სხვა ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან დარგის

საწარმოთა და ორგანიზაციათა პირდაპირი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის დამყარებისათვის, ერთობლივ საწარმოთა, საერთაშორისო გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შექმნისა და საქმიანობის უზრუნველყოფისათვის;

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება, უპირატესად სავაჭრო ურთიერთობიდან ღრმა სპეციალიზაციასა და ფართო საწარმოო კოოპერაციაზე გადასვლის უზრუნველყოფა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის დავალებათა შესრულების ორგანიზაცია;

ექსპორტის ეფექტიანობის ამაღლებისა და არარაციონალური იმპორტის შემცირებისათვის გამიზნულ ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია;

კადრების, შრომისა და სოციალური განვითარების დარგში

საწარმოებში ხელმძღვანელთა არჩევითობის პირობებში აქტიური საკადრო პოლიტიკის განხორციელება, დასაწინაურებელი კადრების რეზერვის ფორმირება, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მომზადებისა და გადამზადების ეფექტიანი სისტემის ორგანიზაცია და ამ სისტემის მატერიალური ბაზის განმტკიცება;

დარგში წარმოების, შრომისა და მართვის ორგანიზაციის ფორმირებისა და მეთოდების, ხელფასის, მატერიალური და მორალური სტიმულების სისტემის სრულყოფა;

ყოველმხრივი ხელშეწყობა სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის, მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობების შესაბამისად მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებისა და გამოყენებისათვის;

ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვასთან და მეურნეობის გაძღოლის ახალი პირობების გამოყენებასთან დაკავშირებით განთავისუფლებულ მუშაკთა შიდადარგობრივი და დარგთშორისი გადანაწილებისათვის.

სამინისტროები და უწყებები შრომისა და სოციალური განვითარების საკითხებს განიხილავენ და წყვეტენ დადგენილი წესით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

5. მთელ თავიანთ საქმიანობას სამინისტროები და უწყებები ახ-

ორიენტირებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, იღებენ ზომებს მისი განმტკიცებისათვის, გადაჭრით ებრძვიან უწყებრიობისა და კუთხურობის ყოველგვარ გამოვლინებებს, უზრუნველყოფენ სოციალისტური საკუთრების დაცვასა და გამრავლებას.

აპარატის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების, მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნა

6. სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ 1987—1988 წლებში საწარმოთა, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა შემადგენლობისა და სტრუქტურის ღრმა ანალიზი, დააზუსტონ მათი პროფილი და სპეციალიზაცია, გამოავლინონ ნაკლებეფექტიანები, განამტკიცონ, ხოლო სადაც საჭიროა, გარდაქმნან ან გააუქმონ ისინი. გააძლიერონ მუშაობა წარმოების კონცენტრაციისათვის, მსხვილ გაერთიანებათა ფორმირებისათვის, რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ გაფართოებული კვლავწარმოებისა და შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების ამოცანები, განახორციელონ მთელი ციკლი „მეცნიერული კვლევა და დამუშავება — ინვესტიცია — წარმოება — გასაღება — მომსახურება“, აქტიურად იმუშაონ წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციისათვის.

საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის სპეციფიკის, დარგთა წინაშე დასახული ამოცანების, სპეციალიზაციისა და კოოპერირების მიღწეული დონის გათვალისწინებით დარგობრივ და რეგიონალურ საფუძველზე შექმნან გაერთიანებათა ახალი ფორმები: სამრეწველო-სავაჭრო, საპროექტო-სამრეწველო-სამშენებლო, აგროსამრეწველო და სხვები, აგრეთვე საინჟინრო და სერვისის ცენტრები, დანერგვის ორგანიზაციები და სხვა მობილური და მოქნილი ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის და პროდუქციის, სამუშაოთა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

სამინისტროები და უწყებები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ კოოპერატივების შექმნასა და განვითარებას, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გაფართოებას საქვეუწყებო საწარმოებთან.

7. წარმოების კონცენტრაციის დონის შემდგომი ამაღლებისა და მართვის სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს საწარ-

მოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებთან ერთად სახალხო მეურნეობის დარგებსა და რეგიონებში შეიქმნას მსხვილი ორგანიზაციული სტრუქტურების ახალი ფორმები — სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებანი.

აღნიშნულ გაერთიანებებს სამინისტროები და უწყებები ქმნიან როგორც ერთიან საწარმოო-სამეურნეო კომპლექსებს. მათ შემადგენლობაში თავიანთი სამეურნეოანგარიშიანი დამოუკიდებლობის შენარჩუნებით შეიძლება შეყვანილ იქნენ დარგის საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, სამშენებლო, სატრანსპორტო, გასაღების, ვაჭრობისა და საგარეო ვაჭრობის, სასწავლო და სხვა საწარმოები, გაერთიანებანი და ორგანიზაციები. სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებათა შემადგენლობაში შემავალი საწარმოები და გაერთიანებანი თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კანონით სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. აგროსამრეწველო კომპლექსში სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებათა შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციები.

სახელმწიფო საწარმოო გაერთიანების მართვას დემოკრატიულ საფუძველზე ახორციელებს დირექტორთა საბჭო, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ამ გაერთიანების გენერალურ დირექტორს. სახელმწიფო საწარმოო გაერთიანების დირექტორთა საბჭო გაერთიანების მართვის კოლექტიური ორგანოა. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებათა მომზადება და განხორციელება შეიძლება დაეკისროს წამყვანი საწარმოს ადმინისტრაციას ან მართვის განცალკევებულ აპარატს (პერსონალის შეზღუდული რიცხოვნობით), რომლის შენახვა ხდება ასეთ გაერთიანებაში შემავალ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ანარიცხების ხარჯზე.

დაწესდეს, რომ სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებაში იქმნება ცენტრალიზებული ფონდები და რეზერვები გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების (შემოსავლის) ანარიცხების ხარჯზე (დირექტორთა საბჭოს მიერ განსაზღვრული ოდენობით).

8. სამინისტროებმა და უწყებებმა სხვადასხვა ტიპის მოქმედ გაერთიანებათა გამსხვილებისა და ახალ გაერთიანებათა შექმნის, წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის საფუძველზე უნდა შეამცირონ რგოლიანობა დარგთა მართვაში. პირველი ნაბიჯის სახით მიზანშეწონილად ჩაითვალოს გაუქმდეს დარგობრივი მართვის შუალედური

რგოლები — საკავშირო სამრეწველო გაერთიანებანი. წარმოების კონ-ცენტრაციის, მსხვილ გაერთიანებათა შექმნისა და სრულ სამეურ-ნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა გადასვლის კვალობაზე თანდათანობით გაუქმდეს ქვედარგებისადმი ხელმძღვა-ნელობის მთავარი სამმართველოები, როგორც სამინისტროთა ცენ-ტრალური აპარატის შემადგენელი ნაწილი. დარგთა მართვას საფუძ-ვლად დაედოს ფუნქციური პრინციპი და განხორციელდეს სამი-ნისტროთა და უწყებათა გადაყვანა, როგორც წესი, საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის ორრგოლიან სისტემაზე.

9. არსებული საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის რაც შეიძლება სრული გამოყენების, პროგრესულ სახეობათა გაერ-თიანებების შექმნის, უწყებრიობის ლიკვიდაციის, კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონის ამაღლების, დარგთშორისი წარმოებების განვითარების მიზნით განხორციელდეს ერთგვაროვანი და ტექნო-ლოგიურად დაკავშირებული წარმოებების მქონე მთელ რიგ სამინის-ტროთა და უწყებათა ეტაპობრივი გამსხვილება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივმა ორგანოებმა წარ-მოუდგინონ შესაბამისი წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

10. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება-ში საბაზო დარგების უპირველესი მნიშვნელობის გათვალისწინე-ბით მიზანშეწონილად ჩაითვალონ გაძლიერდეს ცენტრალიზებული საწყისები ამ დარგების მართვაში.

ამასთან დაკავშირებით გარდაიქმნას ენერგეტიკისა და ელექტ-რიფიკაციის, ქვანახშირის მრეწველობის, შავი და ფერადი მეტა-ლურგიის, გეოლოგიის, ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიუ-რი მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები საერ-თო-საკავშირო სამინისტროებად. ამასთან უზრუნველყოფილ იქნეს მართვის შუალედური რგოლების შემცირება და დარგებისადმი ხელ-მძღვანელობაში დუბლირების აღმოფხვრა.

11. სამინისტროებმა და უწყებებმა მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მათი საქმიანობის გარდაქმნასთან დაკავშირებით:

გაამსხვილონ მოქმედი და შექმნან ახალი გაერთიანებანი, აგრეთვე, სადაც საჭიროა ჩამოაყალიბონ სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება-ნი;

შეიმუშაონ დარგთა მართვის ახალი გენერალური სქემების პროექ-ტები მათი სპეციფიკის გათვალისწინებით;

ძირეულად გარდაქმნან და გაამარტივონ ცენტრალური აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა, გააუქმონ შიდასამინისტრო უწყებრიობა და პარალელურად მოქმედი ქვედანაყოფები, გარდაქმნან და შეაერთონ დუბლირებული და წვრილი რგოლები, არსებითად შეამცირონ სამინისტროთა, უწყებათა და მათ მომსახურე ორგანიზაციათა აპარატის რიცხოვნობა;

განამტკიცონ ცენტრალური აპარატის ფუნქციური ქვედანაყოფები, მათი მუშაობა ძირითადად მოახმარონ სამინისტროთა და უწყებათა ახალ ფუნქციებს, მართვის უპირატესად ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას, დარგის განვითარების მდგომარეობის ანალიზსა და შეფასებას, აგრეთვე საწარმოთა ეფექტიანი საქმიანობისათვის საჭირო პირობების შექმნას.

უფლება მიეცეთ მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს დაამტკიცონ ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგი ნორმებისა და სპეციალისტთა რიცხოვნობის თანაფარდობის გაუთვალისწინებლად და თანამდებობრივი სარგოები მუშაკებს დაუწესონ თანამდებობრივი სარგოების სქემით განსაზღვრული საშუალო სარგოების გაუთვალისწინებლად ამ აპარატის მუშაკთა დამტკიცებული რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

დაწესდეს, რომ აპარატის შემცირების შედეგად წარმოქმნილი ხელფასის ფონდის ეკონომიის 70 პროცენტამდე რჩება სამინისტროთა და უწყებათა განკარგულებაში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს აპარატის მაღალკვალიფიციურ მუშაკთათვის დანამატების დასანიშნად.

12. დემოკრატიზაციის გაღრმავებისა და დარგთა მართვის საქმეში შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მიზიდვის, მართვაში ერთმმართველობისა და კოლეგიურობის პრინციპების უფრო ეფექტიანი შეხამების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს სამინისტროებსა და უწყებებში შეიქმნას დარგთა საბჭოები როგორც სათათბირო ორგანოები. დარგის საბჭოს შემადგენლობაში, რომელსაც სათავეში უდგას მინისტრი, უწყების ხელმძღვანელი, შეიძლება შეყვანილ იქნენ წამყვან საწარმოთა დირექტორები, მოწინავე მუშები, დარგობრივ პროფკავშირთა წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები. დარგის საბჭო თავის სხდომებს ატარებს წელიწადში ორჯერ მაინც და განიხილავს დარგის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების საკვანძო საკითხებს, შეფასებას აძლევს მისი მუშაობის შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდა-

ციებს დარგში წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და მოწინავე გამოცდილების გავრცელების შესახებ.

13. საჭიროდ ჩაითვალოს ამაღლდეს სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების როლი დარგების საქმიანობის თაობაზე უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღების საქმეში, ამასთან მათი ყურადღება დაეთმოს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა ფართომასშტაბური გამოყენების, დარგის საწარმოო ბაზისა და სტრუქტურის თვისებრივი გარდაქმნის საკითხებს, საუწყებათშორისო ურთიერთობის განვითარებას. დაწესდეს, რომ კოლეგიას ეკისრება პასუხისმგებლობა დარგის მუშაობის ეფექტიანობისა და მისი საბოლოო შედეგებისათვის, გადაწყვეტილებათა მიღებისას ხელმძღვანელობს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებით. პრაქტიკაში იქნეს შემოღებული სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების გამსვლელი სხდომების და მომიჯნავე სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების გაერთიანებული სხდომების ჩატარება.

14. სამინისტროებმა და უწყებებმა იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით და სრულყონ აპარატის მუშაობის სტილი და მეთოდები, უზრუნველყონ მისი ჩამოყალიბება ინიციატიანი მაღალკვალიფიციური მუშაკებისაგან იმის გათვალისწინებით, რომ გაიზარდა მოთხოვნები თანამედროვე ეკონომიკის მართვისადმი. გადაეჭრით აღკვეთონ საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი, გარდაჭმულობაში წინააღმდეგობის გაწევის ფაქტები, ყოველივე ზრდა შეუწყონ ბელი წარმოების მართვაში შრომითი კოლექტივების როლის ამაღლებას.

მინისტრებმა და უწყებათა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მიაღწიონ იმას, რომ ყველა უბანზე — როგორც ცენტრალურ აპარატში, ისევე საწარმოებში ხელმძღვანელთა არჩევითობის პირობებში — უფრო გაბედულად დააწინაურონ ახალგაზრდა, პერსპექტიული მუშაკები, განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს მუშაობა კადრების საიმედო რეზერვის მოსამზადებლად. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კომპეტენტურ, ინიციატივიან და შემოქმედ ხელმძღვანელთა შერჩევასა და აღზრდას, რომელთაც შეუძლიათ იმუშაონ კოლექტივებთან და უნარი შესწევთ მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში უზრუნველყონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიჯნების მიღწევა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ძირეული კეთილმჯობესება, წარმოების მაღალი ეფექტიანობა. მიზანდასახულად შეავსონ ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა ახალი ძალებით, რა-

თა განახლების პროცესი არ შეწყდეს, მემკვიდრეობითობა არ დაირღვეს. უზრუნველყონ, რომ აპარატის მუშაკები დაეუფლონ ხელმძღვანელობის ეკონომიკურ მეთოდებს, მიაღწიონ სტილის დემოკრატიზაციას, აამაღლონ საჯაროობა მუშაობაში.

15. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს:

ორგანიზებულად, გეგმაზომიერად და შემჭიდროებულ ვადებში განახორციელონ დარგთა მართვის გარდაქმნისათვის მუშაობა;

ზუსტად განსაზღვრონ თითოეულ დარგში დასახულ ღონისძიებათა განხორციელების ეტაპები, ამასთან გაითვალისწინონ სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის პირობებში სამუშაოდ საწარმოთა და გაერთიანებათა რეალური მომზადება, დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ფასწარმოქმნის, ფინანსებისა და კრედიტის, სტატისტიკისა და აღრიცხვის საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის გარდაქმნის ღონისძიებათა განხორციელება.

მართვის გარდაქმნა უნდა იყოს სამინისტროთა, უწყებათა კოლეგიების, დარგთა საბჭოების, შრომითი კოლექტივების დეტალური მსჯელობის საგანი ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, რათა გამოირიცხოს დაუსაბუთებელი აჩქარება რეორგანიზაციაში, ამასთან დაშვებული არ იქნეს შეფერხება დარგთა მყარ მუშაობაში. ეს ღონისძიებანი გასაგები უნდა გახდეს სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალური აპარატის თითოეული თანამშრომლისათვის, დარგის ყველა მუშაკისათვის.

დაწესდეს, რომ მატერიალური წარმოების დარგთა მართვის გარდაქმნის ყველა ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიება დამთავრდეს 1987—1988 წლებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივმა ორგანოებმა დახმარება გაუწიონ სამინისტროებსა და უწყებებს დარგთა მართვის გარდაქმნის სამუშაოთა კომპლექსურად განხორციელებაში, განიხილონ შესაბამის ღონისძიებათა განხორციელების გეგმები, დააწესონ სისტემატური კონტროლი მათი რეალიზაციისადმი.

16. იმ მიზნით, რომ მოხდეს ეკონომიკის გარდაქმნის მიმდინარეობის დროული და სრული ანალიზი, უზრუნველყოფილ იქნენ ახალგაზრდა მეურნეობის მართვის სრულყოფის საკითხებზე საჭირო ნორმატიულ-მეთოდიკური მასალებით, საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკები, დაევალოთ სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელ-

მწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას გაადიდონ მართვის პრობლემებზე ლიტერატურის მომზადება და გამოშვება, გააუმჯობესონ მისი ხარისხი.

17. მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომისიამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებთან ერთად და სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით:

შეიმუშაოს და წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტები დებულებებისა სსრ კავშირის სამინისტროს შესახებ, დარგის საბჭოს შესახებ და სახელმწიფო საწარმოო გაერთიანების შესახებ;

დაამტკიცოს რეკომენდაციები მატერიალური წარმოების სფეროს დარგთა მართვის გენერალური სქემების შემუშავების შესახებ;

უზრუნველყოს სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის გარდაქმნისათვის მუშაობის მეთოდიკური ხელმძღვანელობა.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სამინისტროები და უწყებები, მათი პარტიული კომიტეტები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით და შეგნებული აქვთ რა თავიანთი პასუხისმგებლობა მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის, გამოიჩენენ მაქსიმალურ სიმტკიცესა და ინიციატივას ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში, გახდებიან პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის აქტიური გამტარებლები, გაადიდებენ თავიანთ წვლილს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ბორგაჩოვი	**ნ. რიჟკოვი**

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

დადგენილება № 824

1987 წლის 17 ივლისი

მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა ხელმძღვანელობის სრულყოფის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იმ კურსის რეალიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მეურნეობის გაძღოლის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა რაც შეიძლება სრულად გამოყენებას, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის დემოკრატიზაციასა და განახლებას, მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა მუშაობის დონის არსებითად ამაღლებას მოითხოვს. მართვის გარდაქმნა, სამეურნეო მექანიზმის რადიკალური რეფორმა მიზნად უნდა ისახავდეს, როგორც ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე, შრომითი კოლექტივებისა და ტერიტორიების ინტერესებთან საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების ორგანული შესამჩნევის უზრუნველყოფას.

სკკპ XXVII ყრილობის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილებანი ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კომპლექსური განვითარების უზრუნველსაყოფად. ხორციელდება რესპუბლიკების მეურნეობის მართვაში დემოკრატიული საწყისების გაღრმავების ღონისძიებანი. ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს ასრულებს მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა და ძირითადი რგოლის — საწარმოთა და გაერთიანებათა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაძლიერება, მათი გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

ამავე დროს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა უფლებებს ისინი სრულად არ იყენებენ. რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა მუშაობაში, რომლებიც ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილი არიან, ხშირად ჭარბობს კუთხური ინტერესები. ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, ქვეყნის ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებთან მართვის ტერიტორიულ

ორგანოთა ურთიერთმოქმედების მექანიზმი, ამავე დროს ზოგიერთი ცენტრალური დაწესებულება თავისი ამოცანების გადაწყვეტისას სუსტად ემყარება მართვის ტერიტორიულ რგოლებს.

კვლავ რჩება მიდრეკილება ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული მეთოდებისადმი, რომლებიც ეკონომიკის ექსტენსიური განვითარების პირობებში დამკვიდრდა. მოკავშირე რესპუბლიკებში მართვის ორგანიზაციაში არ ითვალისწინებენ სოციალური ფაქტორების მზარდ როლს, რაც საწარმოო და სოციალური განვითარების პროცესთა შეკავშირების საშუალებას არ იძლევა. დიდი ნაკლია რეგიონების განვითარების კომპლექსურობის დარღვევა, რაც რიგ შემთხვევებში იწვევს სერიოზულ გადახრებს საწარმოო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, ჩამორჩენას სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარებაში.

ნელა ხდება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფა. რესპუბლიკებში უზომოდ გაიზარდა მმართველობის აპარატი, გაუმართლებლად დიდია რესპუბლიკურ ორგანოთა რაოდენობა, გართულებულია მათი სტრუქტურა. მარტო მოკავშირე რესპუბლიკებში რვაასზე მეტი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და უწყება ფუნქციონირებს. ყველა მათგანს აქვს თავისი ორგანოები ადგილებზე, რომელთაგან ბევრი არაეფექტიანად მუშაობს და საჭირო ზემოქმედებას ვერ ახდენს საქმეთა ვითარების გაუმჯობესებაზე. მართვა რესპუბლიკებში ორგანიზებულია ერთი ტიპის მიხედვით, არ ითვალისწინებს რესპუბლიკის, მხარის, ოლქის მასშტაბებსა და სპეციფიკას, იმეორებს, როგორც წესი, ცენტრში დამკვიდრებულ მართვის სტრუქტურას. ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში გაუმართლებლად დაქუცმაცებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა.

მართვის სისტემის მრავალსაფეხურიანობა, დუბლირება მუშაობაში ხშირად იწვევს საწარმოთა წვრილმან მეურვეობას. ამით იბოჭება შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი ინიციატივა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობის სრულყოფის, მათი მუშაობის დონისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ:

1. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა იხელმძღვანელონ პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის

ენინის პლენუმის გადაწყვეტილებებით ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის შესახებ და განახორციელონ მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა მუშაობის ძირეული გარდაქმნა, დაჩქარონ გადასვლა ხელმძღვანელობის სისტემაზე, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონების მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური პოტენციალის უფრო დინამიკურ ზრდას, თითოეული რესპუბლიკის წვლილის გადიდებას ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში, პარტიის მძლავრი სოციალური პოლიტიკის განხორციელებას.

პირველი რიგის სოციალურ-პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანად მიიჩნიონ მართვის გარდაქმნა — ხელმძღვანელობის უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებსა და მართვის თანამედროვე ორგანიზაციულ სტრუქტურებზე გადასვლა. დაამთავრონ გარდაქმნა ძირითადად 1988 წელს, იმ ვარაუდით, რომ ახალ ხუთწლედს გამართული სამეურნეო მექანიზმით შეუდგნენ.

აღნიშნულ მუშაობაში დაემყარონ იმას, რომ რესპუბლიკებში და ადგილებზე მართვის თითოეული ორგანო მოწოდებულია მაღალნაყოფიერი საქმიანობის რაც შეიძლება ხელშემწყობი პირობები შეუქმნან ყველა შრომითს კოლექტივს, უზრუნველყოს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის განუხრელი განხორციელება.

სახალხო მეურნეობის მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფის ძირითადი პრინციპები

2. მართვის საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა უფრო ზუსტი და ეფექტიანი ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფის, ხელმძღვანელობის დონის ამაღლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის დარგობრივი და ტერიტორიული მართვის უკეთ შეხამების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს გადაისინჯოს და მოწესრიგდეს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა შემადგენლობა და ფუნქციები, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები სრულად შეესაბამოს მოკავშირე რესპუბლიკების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გაზრდილ როლსა და მეურნეობის გაძღოლის ახალ ეკონომიკურ მეთოდებს.

ამ სამუშაოს შესრულებისას დაემყარონ შემდეგ ძირითად პრინციპებს:

3. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, უზრუნველყოფენ საწარმოო ძალების ყოველმხრივ განვითარებას, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას რესპუბლიკების ტერიტორიაზე. პასუხს აგებენ მათი სახალხო მეურნეობის მდგომარეობისა და განვითარებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ ზემოაღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად უკეთესი პირობების შექმნის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს:

დაიწყოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და დიდი ქალაქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება, რომლებიც უნდა მოიცავდნენ შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის განვითარებას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

1988 წლიდან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გადაეცეთ რესპუბლიკური მეურნეობის განსავითარებლად ცენტრალიზებულად გამოყოფილი მატერიალური რესურსები, კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტები მთლიანად რესპუბლიკის მიხედვით დარგებისა და მიმართულებებისათვის გაუნაწილებლად, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს სახსრებისა და რესურსების მიზნობრივი გამოყოფა მოკავშირე რესპუბლიკების აგროსამრეწველო კომპლექსის, რესპუბლიკური სამშენებლო სამინისტროების ან სახმშენების განსავითარებლად.

დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები აერთიანებენ და წარმართავენ მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა შუშაობას, აგრეთვე სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ მათს საქმიანობას იმ საკითხებში, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში შედის.

სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები მოვალენი არიან კოორდინაცია გაუწიონ რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავიანთ საქმიანობას მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, მიიღონ ყველა საჭირო ზომა მის ტერიტორიაზე მეურნეობის კომპლექსური განვითარებისათვის.

4. მართვის საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ ორგანოთა შორის ფუნქციების ზუსტი განაწილების, სამეურნეო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში მათი ეფექტიანი ურთიერთმოქმედების უზრუნველსაყოფად დაწესდეს, რომ:

ა) საერთო-საკავშირო სამინისტროები და უწყებები ახორციელებენ უშუალო ხელმძღვანელობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული თავიანთი საქვეუწყებო საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისადმი. გეგმების შემუშავების პროცესში, აგრეთვე მათი შესრულების მსვლელობაში ისინი ითვალისწინებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებებს, რომელთა მიზანია რესპუბლიკებისა და რეგიონების კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფა, ადგილებზე არსებული რეზერვების ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის ზუსტი ურთიერთმოქმედება;

ბ) სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები ხელმძღვანელობენ შესაბამის დარგებსა და საქმიანობის სფეროებს მოკავშირე რესპუბლიკებში მოკავშირე რესპუბლიკების იმ ორგანოების მეშვეობით, რომლებიც ექვემდებარებიან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს ან უწყებას. ისინი ახორციელებენ აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საკავშირო დაქვემდებარების ცალკეული საწარმოების, გაერთიანებისა და ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობას;

გ) მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ შესაბამის ტერიტორიებზე განლაგებული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიმართ:

საკავშირო დაქვემდებარებისა — აღნიშნულ საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციას მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანობის ამაღლების, წარმოების მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით და ამის საფუძველზე განამტკიცებენ რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საკავშირო დაქვემდებარების სა-

წარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საქმიანობის კოორ-დინაციას სოციალური სფეროს განვითარების, მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების, შრომითი რესურსების, ადგილობრივ სახეობათა ნედლეულისა და მასალების, მეორეული რესურსების გამოყენების, ბუნების დაცვის, მიწათსარგებლობის დარგში;

რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარებისა — უშუალო ხელმძღვანელობას საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მუშაობისადმი, რაც დაკავშირებულია წარმოების განვითარებასთან და თანამედროვე ტექნიკურ ბაზაზე მის განახლებასთან იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს პროდუქციაზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი და გაუმჯობესდეს მისი ხარისხი; სოციალური სფეროს ფორმირებასთან და სრულყოფასთან, მართვის სისტემის გარდაქმნასთან საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მათი გადაყვანის გათვალისწინებით.

5. ამაღლდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მართვის ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა და დაინტერესება შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის ეფექტიანი მუშაობისათვის. ამ მიზნით განხორციელდეს ტერიტორიული საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის გარდაქმნა, უზრუნველყოფილ იქნეს გადასვლა რეგიონების ფინანსებით მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე, საფუძვლად დაედოს მათ ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები, რომლებიც აწესებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტების დამოუკიდებლობას შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ყველა — საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროსა და უწყების საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები:

მონაწილეობდნენ ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლის ფორმირებაში;

ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით შეჰქონდეთ ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყენებული შრომითი და

ბუნებრივი რესურსების გადასახდელის ნაწილი, აგრეთვე გარემოს გაჭუჭყიანებისათვის ჯარიმების მთელი თანხა.

დაწესდეს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალი პირდაპირ დამოკიდებულია შესაბამის ტერიტორიაზე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისაგან მიღებულ ბრუნვის გადასახადსა და სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე.

დაეკისროთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს თავიანთი ბიუჯეტების ხარჯზე დააფინანსონ ადგილობრივი დაქვემდებარების ახალ საწარმოთა მშენებლობის, რეგიონალური საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების და რეგიონალური მნიშვნელობის სხვა ღონისძიებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მიიღონ მონაწილეობა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ორგანოების სახსრების ხარჯზე გადასაწყვეტი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების რეგიონალური ამოცანების ნუსხისა და ამ მიზნებისათვის განკუთვნილი რესურსების ფორმირების წესის შემუშავებაში.

6. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან თანამიმდევრულად განახორციელონ მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა, აგრეთვე მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კარდინალური გაუმჯობესების ხაზი, გაუწიონ მათ ყოველმხრივი დახმარება საექსპორტო ბაზის განვითარებასა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, საექსპორტო საქონლისა და ნაკეთობათა წარმოების გაფართოებასა და არარაციონალური იმპორტის შეცვლაში. მათ უნდა მიიღონ ზომები საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმების სრულყოფისათვის, დააჩქარონ გადასვლა უპირატესად სავაჭრო ურთიერთობიდან წარმოების ღრმა სპეციალიზაციაზე, საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკურ კოოპერაციაზე საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, პირველ რიგში სოციალისტური ქვეყნების საწარმოებთან, გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა პირდაპირი კავშირის და სამეურნეო ურთიერთქმედების სხვა ახალი პროგრესული ფორმების ფართოდ გამოყენების საფუძველზე.

საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა აქტიურად უნდა დანერგონ მართვის ეკონომიკური მეთოდები, მიაღწიონ საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში სამეურნეო ანგარიშის, სახელშეკრულებო ურთიერთობის, სავალუტო თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპების ყოველმხრივ განვითარებასა და განმტკიცებას, უზრუნველყონ სავალუტო სახსრების რაციონალური გამოყენება.

მრეწველობის დარგში

7. მძიმე მრეწველობის საწარმოების (გაერთიანებების) და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისადმი ხელმძღვანელობა ძირითადად თავმოყრილ იქნეს მართვის საერთო-საკავშირო ორგანოებში. ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული მძიმე მრეწველობის ისეთი დარგების მართვის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოები, როგორიცაა ენერგეტიკა და ელექტრიფიკაცია, ქვანახშირის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობა, აგრეთვე გეოლოგია, და ამ დარგების საწარმოები, გაერთიანებანი და ორგანიზაციები რესპუბლიკურიდან საკავშირო დაქვემდებარებაში გადაეცეს.

8. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ყურადღება უმთავრესად დაეთმოს ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც უკავშირდება უშუალოდ მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას პირველ რიგში სახალხო მოხმარების საქონელზე, მისი ხარისხის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით შესაბამისი დარგების საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა თავმოყრილ იქნეს, როგორც წესი, მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებში.

განხორციელდეს ძირითადად რესპუბლიკის შიგნით მოსახმარებელი საქონლის გამომშვები საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და გაერთიანებათა გადაცემა რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და გაერთიანებათა ნაწილისა — ადგილობრივ დაქვემდებარებაში.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986—2000 წლების კომპლექსური პროგრამის

დავალებათა განუხრელი შესრულების, სხვადასხვა მაღალხარისხოვანი საქონლით ბაზრის უზრუნველყოფის დაჩქარებისა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მათთვის მინიჭებულ უფლებათა გამოყენებით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევაში აქტიური მონაწილეობისათვის მიიზიდავენ ყველა საწარმოს, გაერთიანებასა და ორგანიზაციას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარების, კოოპერაციულ საწარმოებს, ხელმძღვანელობენ რა რეგიონში მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის სრული შეწონასწორების მიღწევის ამოცანით. ამავე დროს მათ ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ზემოაღნიშნული საქონლის სხვა რეგიონებთან რაციონალური გაცვლის გაფართოებას, აგრეთვე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან საქონლის ეკონომიკურად დასაბუთებულ გაცვლას, სანაპირო და საზღვისპირა ვაჭრობის განვითარებას.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა ისეთ გადაწყვეტილებათა მიღების შემთხვევაში, რომლებიც მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს ავალებენ შეასრულონ მათი გეგმებით გაუთვალისწინებელი სამუშაოები (მომსახურება), უნდა უზრუნველყონ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადება და ხარჯების ანაზღაურება იმ საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომლებისთვისაც სრულდება ეს სამუშაოები (მომსახურება).

9. იმის გათვალისწინებით, რომ ერთ ტერიტორიაზე განლაგებულ სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების საწარმოებში, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს აქვთ საერთო ინტერესები საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის, დარგთაშორისი დანიშნულების პროდუქციით შეუფერხებელი მომარაგების სფეროში, საჭიროდ ჩაითვალოს გაიზარდოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების როლი ზემოაღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის კოორდინაციაში.

ამ მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები იღებენ ზომებს, რათა განავითარონ კოოპერაცია შე-

საბამის ტერიტორიაზე განლაგებულ სხვადასხვა დარგის საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა შორის, მათი გაერთიანებული ღონისძიებანი მოახმარონ:

წარმოების რეკონსტრუქციასთან და ტექნიკურ გადაიარაღებასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, პროდუქციის ხარისხის ამაღლებასთან, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებასთან და მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ერთობლივად შესრულებას;

სამეურნეობათაშორისო საფუძველზე დარგთაშორისი წარმოებების კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრების, სარემონტო, სამშენებლო და სხვა საწარმო-ორგანიზაციების შექმნას, საწარმოთა კოოპერირებას უნიკალური მოწყობილობისა და მეორეული რესურსების უკეთ გამოყენების მიზნით;

საწარმოო ინფრასტრუქტურისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების აშენებასა და ექსპლუატაციას.

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგში

10. დაწესდეს, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინისტრთა საბჭოები, რესპუბლიკური სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტები და მხარეებისა და ოლქების აგროსამრეწველო კომიტეტები მთლიანად პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივ შესაძლებლობათა რაც შეიძლება სრული გამოყენების საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და სასურსათო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში სურსათის მიწოდების სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფისათვის, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების პრობლემის გადაჭრისათვის.

უზრუნველყოფილ იქნეს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივი და ტერიტორიულ-საწარმოო სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა, დამთავრდეს მუშაობა მისი ორგანიზაციული სტრუქტურის მოწესრიგებისათვის.

11. გაგრძელდეს მუშაობა აგროსამრეწველო კომპლექსის შიგნით საწარმოო და ეკონომიკური კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისათვის, ამასთან ფართოდ იქნეს გამოყენებული სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის, მეურნეობის გაძღოლის საბოლოო შედეგებისათვის კოლექტივების პასუხისმგებლობისა და ურითერთდაინტერესების პრინციპები.

მართვის ადგილობრივი ორგანოები, აგროსამრეწველო კომიტეტები მოვალენი არიან ახალი სამეურნეო მექანიზმის ყველა ბერკეტი და საშუალება, პროდუქციის წარმოების გადიდებით მეურნეობათა გაზრდილი დაინტერესება გამოიყენონ თავიანთი რეგიონების სასურსათო ბაზის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის.

უზრუნველყონ აგროსამრეწველო კომპლექსის სასოფლო-სამეურნეო, გადამმუშავებელ და სხვა საწარმოთა ყველა საწარმოო ქვედანაყოფის თანამიმდევრული გადაყვანა კოლექტიური და ოჯახური იჯარის, სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებზე, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი წარმოადგენენ პროდუქციის წარმოების ზრდისა და ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს, აძლიერებენ თითოეული მუშაკის დაინტერესებას საბოლოო შედეგებისათვის. უფრო სრულად გამოიყენონ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა დამხმარე სასოფლო მეურნეობების, მებაღეობა-მებოსტნეობის კოოპერატივებისა და მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების შესაძლებლობანი.

ახალი ტიპის ფორმირების — აგროსამრეწველო კომბინატების, აგროფირმების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, საწარმოო სისტემებისა და სხვათა მუშაობის გამოცდილების გამოყენების საფუძველზე მართვის რაიონული რგოლის საქმიანობა წარმართონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, გადამმუშავებელი საწარმოების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მომსახურე საწარმოებისა და ორგანიზაციების ეფექტიანი მუშაობისათვის საჭირო ორგანიზაციული და ეკონომიკური პირობების შესაქმნელად იმ მიზნით, რომ უკეთ იქნეს გამოყენებული მიწა, ძირითადი ფონდები, შრომითი რესურსები და ნედლეული, და უცილობლად შესრულდეს სახელმწიფო შეკვეთები.

მშენებლობის დარგში

12. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სამშენებლო კომპლექსის მართვის ახალი სტრუქტურის პირობებში ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მშენებლობის მდგომარეობისა და საწარმოო სიმძლავრეთა, ძირითადი ფონდებისა და სოციალური სფეროს ობიექტების ამოქმედების სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, აგრეთვე საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციათა საქმიანობის ეფექტიანობისათვის.

13. დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო პროგრამას ადგენენ:

ა) საკავშირო დაქვემდებარების ობიექტებისათვის (აგროსამრეწველო კომპლექსის საიჯარო ორგანიზაციათა მიერ მშენებარე ობიექტების გარდა) — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმშენი სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით;

ბ) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტებისათვის, აგრეთვე სოციალური სფეროს ობიექტებისათვის, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები შესაბამისად მართვის რესპუბლიკური ორგანოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით. კონკრეტული წინადადებანი მშენებლობის გეგმების პროექტების ფორმირების შესახებ შეაქვთ ტერიტორიულ სამშენებლო ორგანიზაციებს, ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები, უწყებები, მათი საქვეუწყებო საწარმოები და გაერთიანებანი უზრუნველყოფენ, რომ დროულად შეიმუშაონ და გადასცენ მოკავშირე რესპუბლიკების საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს ასაშენებლად დასახული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გამოყონ ამ ობიექტებისათვის კაპიტალური დაბანდებანი მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმატიული ვადების ზუსტი შესაბამისობით, აგრეთვე შემკვეთის მიერ მისაწოდებელი მოწყობილობა და მასალები.

იმ შემთხვევებში, როცა არ იცავენ აღნიშნულ მოთხოვნებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საკავშირო დაქვემდებარების ობიექტების მიხედვით შეაქვთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახმშენში წინადადებანი დაშვებულ დარღვევათა აღმოფხვრის ან შესაბამისი ობიექტების მშენებლობის შეჩერებისა და სხვა ობიექტების ამოქმედების დასაჩქარებლად სამშენებლო ორგანიზაციათა გამოთავისუფლებული სიმძლავრეებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების შესახებ, ხოლო სხვა ობიექტების თაობაზე ასეთ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებენ.

14. მოკავშირე რესპუბლიკებში მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის ქმედითობის ამაღლების, საიჯარო სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის გაფართოების, მართვაში ეკონომიკური მეთოდების ფართოდ გამოყენების, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის პირობებში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის

განსახორციელებლად მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებში მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტებისა და რესპუბლიკური სამშენებლო სამინისტროების, ხოლო საჭირო შემთხვევებში — სხვა რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ბაზაზე დადგენილი წესით შეიძლება შეიქმნას საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტები (მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენები).

დაწესდეს, რომ შემდგომში, საამისო პირობების შექმნის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტები იკისრებენ ხელმძღვანელობას რესპუბლიკებში მთელი მშენებლობისადმი, მათ შორის შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისადმი, სსრ კავშირის სპეციალიზებული სამინისტროების მიერ შესასრულებელი სპეციალური სამუშაოებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის საიჯარო ორგანიზაციების მიერ შესასრულებელი სამუშაოების, აგრეთვე სამეურნეო წესით განსახორციელებელი სამუშაოების გარდა.

დაეკისროთ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმების დანერგვა. მათს უშუალო კომპეტენციას უნდა განეკუთვნებოდეს ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც უკავშირდება რესპუბლიკის ტერიტორიაზე მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წინმსწრებ განვითარებას, სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა საწარმოების საქმიანობის კოორდინაციას, მართვის შუალედური რგოლების ლიკვიდაციას, სამშენებლო ორგანიზაციების განმტკიცებას, სამშენებლო წარმოების სპეციალიზაციისა და კომბინირების რაციონალურ შეხამებას, საიჯარო ორგანიზაციათა სოციალური სფეროს განვითარებას.

15. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების პირველი რიგის ამოცანაა 1987—1988 წლებში სსრ კავშირის სახმშენთან ერთად სამეურნეო მექანიზმის დამუშავება სამშენებლო წარმოებაში იმ ვარაუდით, რომ იგი უზრუნველყოფდეს საინვესტიციო პროცესის ყველა სტადიის მჭიდრო ურთიერთდაკავშირებას, სტიმულს აძლევდეს საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების და შემკვეთის სამსახურთა ნაყოფიერ და ხარისხიან მუშაობას, მათს საერთო დაინტერესებას მიაღწიონ მაღალ საბოლოო შედეგებს — დროულად ააშ-

ოქმედონ საწარმოო სიმძლავრეები და ობიექტები, საცხოვრებელი სახლები და სოციალურ-კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტები. ამ მიზნით საჭიროა შეიმუშაონ და ფართოდ დანერგონ მშენებლობაში სტაბილური ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივების სისტემა, სახელშეკრულებო ფასები, რაც საშუალებას იძლევა დაჩქარდეს საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების გადაყვანა სრულ საშეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

სამშენებლო წარმოების მართვის ძირითადი რგოლის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების, სამშენებლო ორგანიზაციათა ეკონომიკურ დამოუკიდებლობასთან ცენტრალიზებული მართვის ოპტიმალური შეხამების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 1987—1988 წლებში განახორციელონ მუშაობა წვრილი, არარენტაბელური და პარალელურად მოქმედი ორგანიზაციების ლიკვიდაციის გზით მათი გამსხვილებისათვის, იათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

16. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები უზრუნველყოფენ რესპუბლიკური დაქვემდებარების ტრანსპორტის დარგების (საავტომობილო და სამდინარო) მუშაობის დაკავშირებას საკავშირო დაქვემდებარების ტრანსპორტის დარგებთან (რკინიგზის, საავიაციო და საზღვაო), იღვწიან რესპუბლიკის სატრანსპორტო სისტემის ბეთანხმებული და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის ქვეყნის ერთიან სატრანსპორტო სისტემასთან ორგანული შეხამებით, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ზუსტი ურთიერთმოქმედებისათვის, სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისათვის ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობას შორის ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის რაციონალური განაწილების, მეტისმეტად შორი და ეკონომიკურად დაუსაბუთებელი ტვირთზიდვის აღმოფხვრის გზით.

ტრანსპორტის მართვის საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანოთა შორის ფუნქციების განაწილების გათვალისწინებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები შესაბამისი დარგობრივი და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მგზავრთა გადასაყვანად მოსახლეობის მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას.

17. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომლებიც ზამოლიან იქიდან, რომ აუცილებელია შეიქმნას საავტომობილო გზების ფართო ქსელი, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის განვი-

თარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით უზრუნველყოფენ იმას, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადიდდეს მშენებლობის მასშტაბები: საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებისა — სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა — ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების და კანონმდებლობით დაწესებული სხვა წყაროების ხარჯზე. თანამედროვე კეთილმოწყობილ გზებზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სწრაფად დაკმაყოფილების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები შრომითი კოლექტივების თანხმობით გზების ასაშენებლად აქტიურად იყენებენ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციათა დამატებითს ფინანსურ რესურსებს.

18. დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სრულ კომპეტენციას განეკუთვნება იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე საერთო სარგებლობის კავშირგაბმულობის ყველა სახეობის განვითარებასთან, შეთანხმებულია საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კავშირგაბმულობის მომსახურებით სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, და მოსახლეობის უზრუნველყოფასთან.

სოციალური განვითარების დარგში

19. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური ამოცანაა სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და პროფკავშირული ორგანოების მონაწილეობით უზრუნველყონ სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული აქტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაცია.

ამ მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები უზრუნველყოფენ რეგიონების საწარმოო და სოციალური განვითარების ორგანულ შეხამებას, ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოციალურ-კულტურულ მშენებლობას, სოციალური კომპლექსის ყველა დარგს, წარმართავენ და კოორდინაციას უწევენ

რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მუშაობას.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარების უზრუნველყოფა მოხდეს მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივების ფართოდ გამოყენების საფუძველზე. რომლებიც რეგიონებში საწარმოო მშენებლობის მასშტაბებს მჭიდროდ უკავშირებენ აღნიშნული სფეროს განვითარების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების დარგში მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

20. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას წარმართავენ იქით, რომ დაჩქარებით გადაიკრას საბინაო პრობლემა, თანამიმდევრულად განმტკიცდეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლების, კულტურის სისტემის მატერიალური ბაზა, წინმსწრები ტემპით გაუმჯობესდეს მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, განვითარდეს მთელი სოციალური ინფრასტრუქტურა.

უპირველესი ყურადღება დაეთმის პარტიის მიერ დასახული განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობის ამოცანის პრაქტიკულ გადაწყვეტას — 2000 წლისათვის თითოეული ოჯახის ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით უზრუნველყოფას. უკვე უახლოეს წლებში საბინაო მშენებლობაში ძირეული ძვრების მიღწევის მიზნით მიღებულ იქნეს ზომები შესაბამისი რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის ყველა საწარმოს საწარმოო სიმძლავრეთა შემდგომი განვითარებისა და სრული დატვირთვისათვის.

საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური სფეროს სხვა ობიექტების მშენებლობის მოცულობის გადიდების, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

ინდუსტრიული სახლთმშენებლობის საწარმოთა ბაზაზე ქალაქებში, ოლქებსა და მხარეებში საჭიროების მიხედვით დადგენილი წესით შექმნან საბინაო-სამოქალაქო და სოციალურ-საყოფაცხოვ-

რებო მშენებლობისათვის სპეციალიზებული საპროექტო-სამრეწველო-სამშენებლო ორგანიზაციები;

ფართოდ გაავრცელონ საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული სფეროს სხვა ობიექტების ასაშენებლად ერთიანი შემკვეთის სამსახურების შექმნის გამოცდილება, რომელმაც გაამართლა პრაქტიკულად და საშუალებას იძლევა, რომ სახსრების კონცენტრაციის, მშენებლობის ინდუსტრიულ შეთოდებზე გადასვლის გზით არსებითად შემცირდეს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ვადები და ამაღლდეს ხარისხი, მიღწეულ იქნეს ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კომპლექსური განაშენიანება.

21. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მართვის რესპუბლიკური ორგანოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობაში მთავარი მიმართულება უნდა გახდეს მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარებასთან, სახალხო მეურნეობის თანამედროვე მაღალგანვითარებული დარგის — მომსახურების სფეროს შექმნასთან დაკავშირებულ საკითხთა ეფექტიანი გადაწყვეტა, მათ შორის მოსახლეობისათვის მომსახურების გასაწევად ყველა საწარმოსა და გაერთიანების, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, მიზიდვის ხარჯზე. თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო, მნიშვნელოვნად გააფართოონ გასაწევი მომსახურების ნუსხა, მკვეთრად გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურების ხარისხი.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს: ადგილობრივი მრეწველობის განვითარება; მის საწარმოებში მასობრივი მოთხოვნილების სხვადასხვა მაღალხარისხოვანი, უმთავრესად ადგილობრივი ნედლეულისა და მეორეული რესურსების გამოყენებით დამზადებული საქონლის გამოშვების გადიდება; უახლოეს 2—3 წელიწადში საბაღე ნაკვეთებსა და ბოსტნებზე მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

მთელ ამ მუშაობაში დაემყარონ იმას, რომ მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა ცენტრალური ამოცანაა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებთან, გაერთიანებებთან და ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის სრული შეწონასწორება, როგორც

მშრომელთა მაღალეფექტიანი მუშაობის სტიმულირების, შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის თანამიმდევრული რეალიზაციის ერთ-ერთი პირობა.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სანალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა შესაბამის ტერიტორიაზე ფულის მიმოქცევის მდგომარეობისათვის. ამისათვის საჭიროდ ჩათვალოს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემადგენლობაში დამტკიცდეს მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსები და მომავალში შემუშავდეს და დამტკიცდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ქალაქების საკასო გეგმები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სახალხო მოხმარების საქონლისა და ფასიანი მომსახურების სახელმწიფო შეკვეთების შემადგენლობის დაწესებისას განსაზღვრავენ შესაბამისი რეგიონისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტს, რომელიც ითვალისწინებს მათზე მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფისა და განსხვავებული შემოსავლის მქონე ოჯახების მოთხოვნილებას. ამასთან მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის საქმეში საჭიროა მიიზიდონ ყველა საწარმო, გაერთიანება და ორგანიზაცია, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად.

22. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ მშრომელთა დასაქმების სოციალური გარანტიები, გააქტიურონ ხელმძღვანელობა შრომითი რესურსების გამოყენების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობისადმი. საწარმოო ძალების განვითარების საკითხთა გადაწყვეტისას ისინი მოვალენი არიან უზრუნველყონ შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება, ამასთან შექმნან გამოთავისუფლებულ მშრომელთა შრომითი მოწყობის, მუშაკთა კვალიფიკაციის დროულად ამაღლებისა და მათ მიერ ახალი პროფესიების დაუფლების საჭირო პირობები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად.

რეგიონში სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების შეწონასწორების მიღწევის მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სამუშაო ადგილებისა და შრომი-

თი რესურსების ბალანსების გათვალისწინებით, შეიმუშავებენ პერსპექტივისათვის მუშაკთა რიცხოვნობის გაანგარიშებითს მონაცემებს თითოეული ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით.

შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ორგანიზაციას უწევენ მუშაობას, რომელიც მიზნად ისახავს შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, და რომელიც დაკავშირებულია ორ და სამცვლიან მუშაობაზე საწარმოთა და გაერთიანებათა გადაყვანასთან, საჭირო შემთხვევებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან, ხელის, ნაკლებკვალიფიციური, მძიმე ფიზიკური შრომის გამოყენების შემცირებასთან.

მოკავშირე რესპუბლიკებში მართვის ორგანიზაციისადმი კომპლექსური მიდგომის გაძლიერება

23. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა განახორციელონ გეგმაზომიერი მუშაობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის, შეიმუშაონ ამ დადგენილებაში აღნიშნული მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემები და წარმოუდგინონ 1988 წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

აღნიშნული სქემების შემუშავებისას მხედველობაში იქონიონ, რომ აუცილებელია მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა მუშაობის კარდინალური გარდაქმნა, ეკონომიკურ ორგანოთა, სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის სფეროებისა და მიმართულებების ზუსტი გამიჯვნა შრომის საერთო-საკავშირო განაწილებაში თითოეული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის როლის გათვალისწინებით.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მართვის გენერალურ სქემებში გათვალისწინებულ იქნეს:

ურთგვაროვანი დარგების, განსაკუთრებით არასაწარმოო სფეროს, ხელმძღვანელობის განმახორციელებელ სამინისტროთა, უწყებათა და სხვა რესპუბლიკურ ორგანოთა გაერთიანება, მათი საერთო რაოდენობის არსებითი შემცირება იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ რესპუბლიკაში იგი მინიმალური უნდა იყოს და განისაზღვრებოდეს სახალხო მეურნეობის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის ამოცანებით;

მართვის სხვადასხვა ორგანოს შორის ფუნქციების უფრო სწორი განაწილების ხარჯზე საუკეთესო შესაძლებლობათა შექმნა იმ მიზნით, რომ მართვის ზედა რგოლების ძირითადი საქმიანობა მოხმარდეს რესპუბლიკისათვის საკვანძო ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტას და ამავე დროს მიმდინარე მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დონეზე, რომლებიც სოციალისტური თვითმმართველობის ყველაზე მასობრივი რგოლია, აგრეთვე საწარმოთა და გაერთიანებათა დონეზე;

ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, რაიონებსა და ქალაქებში მართვის ინტეგრაცია სამინისტროთა, უწყებათა და მართვის სხვა ორგანოთა გაუმართლებელი დაქუცმაცებულობის. მათს მუშაობაში დუბლირებისა და პარალელიზმის აღმოფხვრის გზით. ამასთან გაითვალისწინონ, რომ აუცილებელი არაა მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა შემადგენლობა, განსაკუთრებით არასაწარმოო სფეროში, იმეორებდეს საკავშირო დონის ორგანოთა შემადგენლობას.

მართვის ორგანოთა გაერთიანებისა და გამსხვილების საკითხის გადაწყვეტისას უზრუნველყონ დიფერენცირებული მიდგომა რესპუბლიკებში და ადგილებზე ორგანოთა სტრუქტურის ჩამოყალიბებისადმი სახალხო მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

24. რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ოლქებად დაყოფილ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მართვის სრულყოფის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით საჭიროდ ჩაითვალოს არსებითად აშაღლდეს სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების როლი, ამოქმედდეს ხელისუფლების ამ ორგანოთა უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალი, რომ ისინი, როგორც გათვალისწინებულია პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებში, ნამდვილად გადაიქცნენ შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მართვის სრულუფლებიან და პასუხისმგებელ ბატონ-პატრონებად.

მხარეებსა და ოლქებში სახალხო მეურნეობისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის განსახორციელებლად შეიქმნას სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების მთავარი საწარმოო-ეკონომიკური სამმართველოები შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა პირველი მოადგილეების შეთაურობით.

შეყვანილ იქნენ ამ მთავარ სამმართველოთა შემადგენლობაში

სამხარეო და საოლქო საგეგმო კომისიები, ამასთან დაწესდეს, რომ მთავარ სამმართველოთა საგეგმო სამსახურების ხელმძღვანელები არიან სამხარეო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეები — მთავარი საწარმოო-ეკონომიკური სამმართველოების უფროსთა პირველი მოადგილეები.

დაეკისროთ ზემოაღნიშნულ მთავარ საწარმოო-ეკონომიკურ სამმართველოებს:

შესაბამისი მხარის, ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება და მათი შესრულების უზრუნველყოფა, პასუხისმგებლობა წარმოებისა და სოციალური სფეროს პროპორციული განვითარებისათვის;

მხარის, ოლქის ტერიტორიაზე მთელი ეკონომიკური მუშაობის ხელმძღვანელობა ადგილობრივი საფინანსო, საბანკო, სტატისტიკური და სხვა ორგანოების აქტიური მიზიდვით;

სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მრეწველობის, კაპიტალური მშენებლობის, ადგილობრივი საშენი მასალების, საავტომობილო ტრანსპორტისა და სხვა სამმართველოების (განყოფილებების) საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა და კოორდინაცია;

მხარისა და ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაცია, მათთვის პრაქტიკული დახმარების გაწევა გეგმების შესრულებაში, აგრეთვე მუდმივი კონტროლი მათი მუშაობისადმი ისეთ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ განეკუთვნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გამგებლობას.

დაწესდეს, რომ მთავარ საწარმოო-ეკონომიკურ სამმართველოთა მიერ მომზადებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური ხუთწლიანი გეგმები მტკიცდება სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების სესიებზე, ხოლო ამ გეგმების ძირითადი მაჩვენებლები შედის მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემადგენლობაში.

მთავარი საწარმოო-ეკონომიკური სამმართველოები თავიანთ მუშაობაში მჭიდროდ ურთიერთმოქმედებენ მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებთან და სხვა ეკონომიკურ ორგანოებთან, ხოლო საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა განვითარების

საკითხებზე — სსრ კავშირის საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ, ოლქებად დაყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით განიხილონ და ექვსი თვის ვადაში გადაწყვიტონ ზემოაღნიშნულ მთავარ სამმართველოთა შექმნასთან, აგრეთვე ამასთან კავშირში დაგეგმვის წესის, ორგანიზაციისა და მეთოდოლოგიის შეცვლასთან დაკავშირებული საკითხები. ამავე დროს განიხილონ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების ფუნქციათა და უფლებათა გაფართოების საკითხი. საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, იმავე ვადაში წარმოუდგინონ წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადისათვის, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქებისათვის შენარჩუნებულ იქნეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების მოქმედი წესი, აგრეთვე შესაბამისი საქალაქო და საოლქო საგეგმო კომისიების სტატუსი.

მხარეებსა და ოლქებში მთავარ საწარმოო-ეკონომიკურ სამმართველოთა შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდეს ამჟამად რუსეთის სფს რესპუბლიკაში არსებული სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რწმუნებულთა აპარატი.

25. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ჩაითვალოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების საქმიანობის გარდაქმნა და როლის ამაღლება, როგორც ცენტრალური ეკონომიკური ორგანოებისა, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარება, რესპუბლიკური მეურნეობის ეფექტიანი მართვა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ყველა ეკონომიკური ორგანოს, უწყებისა და სამინისტროს საქმიანობის კოორდინაცია მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების შემუშავების საშუალებით.

აქედან გამომდინარე, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გადასინჯონ იმ საკითხთა წრე, რომელთა გადაწყვეტა ეკისრებათ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო

საგეგმო კომიტეტებს, ამასთან გაითვალისწინონ, რომ მათი ფუნქციების ნაწილი გადასცენ მართვის დარგობრივ და ადგილობრივ ორგანოებს. განახორციელონ ღონისძიებანი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების საქმიანობის გაუმჯობესების, მათს მუშაობაში კომპლექსური მიდგომის გაძლიერების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციის გათვალისწინებით ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრებით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების განმტკიცებისათვის.

მეცნიერების ორგანიზაციის სრულყოფა მოკავშირე რესპუბლიკებში

26. ამაღლდეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების როლი სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარების ინტერესებისათვის რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფაში. ამასთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიენიჭოთ უფრო ფართო უფლებანი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობის კოორდინაციისათვის.

დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აქტიური მონაწილეობით შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის გატარების, მეცნიერებისა და მეცნიერული მომსახურების ორგანიზაციათა ქსელის სრულყოფისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის. უზრუნველყოფენ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარებას მთლიანად ქვეყნის მეცნიერული პოტენციალის განვითარებასთან ორგანული ერთიანობით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებთან ერთად და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით მიიღონ ზომები, რათა რესპუბლიკური სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობა ძირითადად წარიმართოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებით თითოეული რესპუბლიკის მეურნეობის სპეციფიკისა და სპეციალიზაციის, არსებული სამეცნიერო კადრებისა და

მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ გამოკვლევათა და ნამუშევართა განვითარებას იმ მიმართულებებით, რომელთა მიხედვით რესპუბლიკებში შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებენ დიდი სამეცნიერო სკოლები, წარმოების მარეგულირებელი პრინციპულად ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების შემუშავების ორგანიზაციას.

მართვის რესპუბლიკური ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე კომპლექსური პროგრამითა და სსრ კავშირის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 20-წლიანი კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებულ მეცნიერულ გამოკვლევათა და სამუშაოთა განუხრელი შესრულება მაღალ დონეზე.

27. სამეცნიერო ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის ძირეული ამაღლების, წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის გაძლიერების, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ გამოყენების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აკადემიური, დარგობრივი და უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერების ურთიერთმოქმედების განვითარება იმ გზით, რომ მოხდეს გამოკვლევათა და მეცნიერულ-ტექნიკურ ნამუშევართა შესრულების საუწყებათაშორისო პროგრამების ფორმირება, გამოყენებითი მეცნიერების მიერ ფუნდამენტური კვლევის მიღწევათა, ხოლო წარმოების მიერ — გამოყენებითი კვლევისა და სამუშაოთა შედეგების გამოყენების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა. დიდმნიშვნელოვან მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადასაჭრელად უფრო სრულად გამოიყენონ აკადემიური და დარგობრივი ორგანიზაციების თანამშრომელთა და უმაღლესი სკოლის დაწესებულებების მეცნიერთაგან დროებითი მეცნიერული კოლექტივების შექმნის შესაძლებლობანი;

სრულყონ მოქმედ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა სტრუქტურა, წარმართონ იგი, უწინარეს ყოვლისა, დარგთაშორისი ხასიათის მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების, აგრეთვე იმ დარგთა წინაშე დასახული პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც განსაზღვრავენ რესპუბლიკის მეურნეობის ძირითად სპეციალიზაციას.

უზრუნველყონ მეცნიერების საქარხნო სექტორის განმტკიცება საწარმოთა და გაერთიანებათა შემადგენლობაში ამჟამად დამოუკი-

დებელი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების დიდი ნაწილის შეყვანის გზით. ამასთან სამინისტროთა უშუალო დაქვემდებარებაში უნდა დარჩეს მხოლოდ დარგის მეთაური ორგანიზაციები.

28. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უახლოეს პერიოდში თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიიჩნიონ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება, რომლებიც საშუალებას იძლევიან მკვეთრად განმტკიცდეს მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთკავშირი, სამეცნიერო დაწესებულებებს მიზნად დაუსახონ რესპუბლიკის სანალხო მეურნეობის განვითარების მსვლელობაში წარმოშობილი პრაქტიკული ამოცანების ეფექტიანი გადაწყვეტა.

ამ მიზნით უზრუნველყონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემის გარდაქმნა, თანდათანობით გადასვლა ეკონომიკურ მეთოდებზე, რომლებიც ასტიმულირებენ საწარმოთა, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებათა, სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა დაინტერესების გაძლიერებას წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებით, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და ათვისების ვადების შემცირებით იმის საფუძველზე, რომ:

ყოველმხრივ განავითარონ სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა, გაერთიანებათა და საწარმოთა შორის სახელშეკრულებო ფასების გამოყენებით მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოებისა და მომსახურებისათვის და გააძლიერონ მათი ეკონომიკური ურთიერთპასუხისმგებლობა გამოკვლევათა და ნამუშევართა შედეგების მეცნიერულ-ტექნიკური დონისათვის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დროულად შექმნისა და წარმოებაში ათვისებისათვის;

თანამიმდევრულად გადაიყვანონ სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მიერ მიღებული მოგების განაწილების ნორმატიული მეთოდების გამოყენებით ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად;

გადაიყვანონ სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანე-

ბანი უმთავრესად შემკვეთებთან დადებულ პირდაპირ ხელშეკრულებათა მიხედვით მუშაობაზე.

29. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სხვადასხვა მიმართულების შესაყარზე არსებულ მეცნიერულ-ტექნიკურ და საწარმოო პრობლემათა ეფექტიანი გადაჭრის უზრუნველსაყოფად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და მართვის რესპუბლიკურმა ორგანოებმა უფრო ფართოდ გამოიყენონ სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ერთობლივი მუშაობის ახალი პროგრესული ფორმები.

უფრო აქტიურად დანერგონ პრაქტიკაში საინჟინრო ცენტრების შექმნა, რომლებიც მოწოდებული არიან რეალურად დაეხმარონ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებაში, აგრეთვე — სხვადასხვა პროფილის დანერგვითი და საკონსულტაციო ორგანიზაციების შექმნა.

დაწესდეს, რომ საინჟინრო ცენტრების, დანერგვითი და საკონსულტაციო ორგანიზაციების მუშაობა ემყარებოდეს სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს შემკვეთებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა აპარატის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების გამარტივება

30. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა 1987—1988 წლებში უზრუნველყონ გადასვლა მართვის ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე, რომლებიც ემყარებიან სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პრინციპებს და დებულებებს და პასუხობენ ახალი სამეურნეო მექანიზმის მოთხოვნებს.

ამ მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის დარგთა მართვის გენერალური სქემების საფუძველზე ორგანიზაცია გაუწიონ რესპუბლიკის თითოეული სამინისტროსა და უწყების მიხედვით მართვის გენერალური სქემების შემუშავებას. აღნიშნულ გენერალურ სქემებში გაითვალისწინონ:

რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების შესაბამისობა ახალ მოთხოვნებთან. ამასთან

მართვის დარგობრივ ორგანოთა ცენტრალური აპარატის მუშაობის ორგანიზაცია უნდა ემყარებოდეს უპირატესად ფუნქციურ საფუძველს;

მართვის სტრუქტურის გამარტივება, როგორც წესი, მართვის ორრგოლიან სისტემაზე გადასვლის დამთავრება. საწარმოთა და გაერთიანებათა უფლებების გაფართოების გათვალისწინებით მართვის რგოლების რაოდენობის შემცირება, მათ შორის რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანება გაუქმების გზით;

საჭიროების შემთხვევაში საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებთან ერთად მსხვილი ორგანიზაციული სტრუქტურების ახალი ფორმების — სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებათა შექმნა;

წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება, მისი შემდგომი კონცენტრაციის უზრუნველყოფა, საწარმოო გაერთიანებათა გამსხვილება, საჭიროების კვალობაზე მათ შემადგენლობაში ამჟამად დამოუკიდებელ საწარმოთა შეყვანა. ამასთან გაერთიანებათა შემადგენლობაში წვრილ და საშუალო საწარმოთა შეყვანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა გახდეს მოწინავე საწარმოთა და გაერთიანებათა მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის გამოყენება ტექნიკურად ჩამორჩენილი საწარმოების თანამედროვე დონეზე აყვანის მიზნით.

31. უზრუნველყოფილ იქნეს მსხვილ, საშუალო და წვრილ საწარმოთა რაციონალური შეხამება იმის გათვალისწინებით, რომ წვრილ მაღალსპეციალიზებულ და ტექნიკურად კარგად აღჭურვილ, ფართო ეკონომიკური დამოუკიდებლობის მქონე საწარმოებს უნარი შესწევთ, შექმნილი კონიუნქტურის გათვალისწინებით, უფრო ოპერატიულად გარდაქმნან წარმოება და განაახლონ პროდუქცია.

წვრილი საწარმოების ზემოაღნიშნულ უპირატესობათა გათვალისწინებით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გააქტიურონ მუშაობა, რათა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში შეიქმნას ასეთი საწარმოები, მათ შორის კოოპერაციული, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი, მეორეული ნედლეულის დამამზადებელი და გადამმუშავებელი, ფართო გამოყენების სხვადასხვა სამრეწველო პროდუქციის დამამზადებელი საწარმოები, პროდუქციისა, რომელზე მოთხოვნილებაც მოცემულ ტერიტორიაზე შეიძლება დაკმაყოფილდეს ადგილობრივი წარმოების ხარჯზე, აგრეთვე მსხვილი საწარმოებისა და გაერთიანებათა მომსახურებისათვის განკუთვნილი საწარმოები.

32. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სხვადასხვაგვარი ფორმების განვითარებას. მიიღონ ზომები შენობების დროულად მიცემისათვის, აღმოუჩინონ დახმარება საჭირო მოწყობილობებისა და მასალების შეძენაში. გადაჭრით აღკვეთონ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის ნებისმიერი გამოვლინებანი.

კოოპერატივების მუშაობა და მოქალაქეთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა წარმართონ, უწინარეს ყოვლისა, სახალხო ძოხმარების იმ საქონლის საწარმოებლად და მოსახლეობისათვის ძომსახურების გასაწევად, რომელშიც იგრძნობა ყველაზე დიდი დეფიციტი.

33. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მართვის სისტემის გარდაქმნისათვის ამ დადგენილებით დასახული ღონისძიებანი რესპუბლიკებში და ადგილებზე განხორციელდეს ეტაპობრივად ახალ პირობებში მუშაობისათვის საჭირო წანამძღვრების შექმნისა და გამოცდილების დაგროვების კვალობაზე თითოეული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან უზრუნველყონ, რომ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნის, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების განმტკიცების, სახელმწიფო საწარმოო გაერთიანებების შექმნის ღონისძიებანი მჭიდროდ უკავშირდებოდეს მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლას, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა და გაერთიანებათა გადაყვანას.

ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურებზე გადასვლის შედეგად მიიღწიონ მმართველობის აპარატის არსებითად შემცირებას და ამავე დროს მისი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

მმართველობის აპარატის გამარტივებით და ამის საფუძველზე მისი რიცხოვნობის შემცირებით რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა დაინტერესების გაძლიერების მიზნით ნება დართონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და ზემოაღნიშნულ ორგანოებს გამოიყენონ რიცხოვნობის შემცირებით მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომიის 70 პროცენტამდე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების აპარატის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური აპარატისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანოების აპარატის მუშაკთა თანამდე-

ბობრივი სარგოების გასადიდებლად, აგრეთვე მაღალკვალიფიციურ მუშაკთათვის თანამდებობრივი სარგოების დანამატების დასაწესებლად.

34. უფლება მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა, აგრეთვე მართვის ადგილობრივ ორგანოთა ხელმძღვანელებს დაამტკიცონ აპარატის საშტატო განრიგი სპეციალისტთა ნორმებისა და რიცხოვნობის თანაფარდობის გაუთვალისწინებლად და დაუნიშნონ მუშაკებს თანამდებობრივი სარგოები თანამდებობრივი სარგოების სქემის მიხედვით საშუალო სარგოების გაუთვალისწინებლად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დამტკიცებული მუშაკთა რიცხოვნობისა და ამ აპარატის ხელფასის ფონდის ფარგლებში.

35. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ეტაპზე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს სამეურნეო და სოციალური პრობლემებისადმი თანამედროვე მიდგომისა და პრინციპების დამკვიდრებას, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებასა და კადრების ახლებური ეკონომიკური აზროვნების გამომუშავებას, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მართვის რესპუბლიკურმა ორგანოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ მართვის ყველა რგოლის აპარატის განმტკიცება მაღალკვალიფიციური მუშაკებით, რომელთაც შესწევთ უნარი კომპეტენტურად გადაწყვიტონ ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში წამოყენებული ამოცანები. ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით მუშაკთა თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესების შესაძლებლობანი სპეციალისტთა ატესტაციის ჩატარებისა და სხვადასხვა დონის ნელმძღვანელთა არჩევითობის შემოღების, კოლექტივების თვითმმართველობის განვითარების საფუძველზე.

უპირველესი მნიშვნელობის საქმედ ჩაითვალოს რესპუბლიკებში და ადგილებზე კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის კარდინალური გაუმჯობესება მათ მიერ ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდების დაუფლების, მშრომელთა ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტიურობის ყოველმხრივი განვითარების მიზნით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მოაწყონ კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის სასწავლებელთა, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა ბაზაზე

მართვის თეორიისა და პრაქტიკის დარგში იმ მუშაკთა სპეციალური მომზადება, რომელთაც დადებითად გამოიჩინეს თავი, როგორც წარმოების ორგანიზატორებმა. ამავე დროს, ანალი მოთხოვნების გათვალისწინებით, უშუალოდ გაერთიანებებსა და საწარმოებში უზრუნველყონ ეკონომიკური სწავლების მასშტაბის გაფართოება და გაღრმავება. მისი მჭიდროდ დაკავშირება შრომითი კოლექტივების კონკრეტულ ამოცანებთან და მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებთან.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა აღნიშნა ტერიტორიული მართვის გარდაქმნის განსაკუთრებით დიდი როლი და მნიშვნელობა. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ რესპუბლიკაში მართვის დემოკრატიზაციამ, მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოთა მუშაობის ხარისხის კარდინალურად გაუმჯობესებამ უნდა აამოქმედონ ხალხის უშრეტი შემოქმედებითი ძალები, წარმართონ ისინი ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური ცვლილებების განსახორციელებლად, გახდნენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის დაჩქარების მძლავრი ფაქტორი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. გორბაჩოვი**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. რიჟკოვი**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს

დადგენილება № 825

1987 წლის 17 ივლისი

აქტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის სუშაობის გაძლიერებისა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ

პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის განხორციელება, ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის სკკპ

ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია მოითხოვს ადამიანის ფაქტორის როლის ამაღლებას, სოციალური პოლიტიკის შემდგომ გააქტიურებას, მოტივებისა და სტიმულების ისეთი ეფექტიანი სისტემის შექმნას, რომელიც წააქეზებს ყველა მუშაკს ნაყოფიერად იშრომოს საერთო კეთილდღეობისათვის. ამაზე გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული ეკონომიკის აღმავლობა, ხალხის კეთილდღეობის თვისებრივად ახალი დონის მიღწევა, თითოეული საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივი განვითარება.

ქვეყანაში ღრმა სოციალური გარდაქმნები მოხდა. დამკვიდრდა სოციალისტური ცხოვრების წესი, უზრუნველყოფილია მოქალაქეთა ფართო სოციალური გარანტიები, უმჯობესდება შრომის პირობები, უფრო სრულად კმაყოფილდება მოთხოვნილებანი საცხოვრებელ ბინებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებასა და კულტურაზე.

ამასთან ერთად უკანასკნელი ხუთწლედების წლებში სოციალური სფეროს განვითარებაში გამწვავდა მთელი რიგი პრობლემები, გამოვლინდა ნეგატიური მოვლენები და სოციალური სამართლიანობის დარღვევები, შენელდა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ზრდა მატერიალური დოვლათისა და მომსახურების განაწილებაში გაძლიერდა გათანაბრებითი ტენდენციები, რაც წარმოშობდა სხვათა მოიმედეობას, უარყოფითად მოქმედებდა შრომის რაოდენობასა და ხარისხზე, ამცირებდა მისი ნაყოფიერების ამაღლების სტიმულებს. ფულადი შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საცალო საქონელბრუნვა და ფასიანი მომსახურება, რამაც გამოიწვია მოსახლეობის დაუკმაყოფილებელი გადახდისუნარიანი მოთხოვნის გადიდება.

წარმოიშვა დისპროპორციები წარმოებისა და სოციალური სფეროს განვითარებაში. კვლავ მწვავედ დგას საბინაო პრობლემა. საათანადო შეფასება არ ეძლეოდა სოციალურ-კულტურული დარგების მატერიალური ბაზის განმტკიცების მომწიფებულ საკითხებს, განსაკუთრებით სოფლად. გაჩნდა გადაწრები დარგებისა და რეგიონების, პირველ რიგში ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სოციალური სფეროს განვითარებაში.

სახელმწიფოებრივ დონეზე კოორდინირებული არ არის დემოგრაფიულ პრობლემათა გადაჭრა. ქვეყნის ცალკეულ ჭარბმუშახელიან რაიონებში არადამაკმაყოფილებლადაა ორგანიზებული მუშაობა შრომისუნარიანი ასაკის დაუსაქმებელი მოსახლეობის საზოგადოებრივ წარმოებაში ჩასაბმელად.

კვლავ დიდი ნაკლოვანებებია შრომისა და მისი ანაზღაურების დარგში. შრომის ორგანიზაცია არ უპასუხებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებს, მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებს. ნელი ტემპით მცირდება ხელის, ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომის გამოყენება. მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი შრომობს ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებში, ნელა მცირდება საწარმოო ტრავმატიზმი. დაეცა მუშათა, ინჟინერთა და სხვა სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური შრომის პრესტიჟი. დაირღვა დასაბუთებული თანაფარდობა სხვადასხვა კვალიფიკაციისა და დარგის მუშაკთა ხელფასში.

უწინდებურად არასრულყოფილია სოციალური განვითარებისა და შრომის მართვის და დაგეგმვის მექანიზმი, იგი ცუდად ეგუება წარმოების ცვალებად პირობებს, მეურნეობის ეფექტიანი გაძღოლის მოთხოვნებს, მშრომელთა სწრაფ მზარდ მოთხოვნილებებს.

სოციალურ საკითხთა გადაწყვეტაში ჭარბობს არაკომპლექსური, ვიწროუწყებრივი მიდგომა. ცენტრალურ ეკონომიკურ უწყებებს, სსრ კავშირის სამინისტროებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ ორგანოებს აქტიური პოზიცია არ დაუკავებიათ სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, კოორდინირებული არ არის მათი საქმიანობა ამ დარგში. სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებისათვის გამოყოფილი ფინანსური და მატერიალური რესურსები იქსაქსება, ეფექტიანად არაა გამოყენებული. დაუსაბუთებლად კნინდებოდა შრომითი კოლექტივების როლი მრავალფეროვანი სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, ხელოვნურად იზღუდებოდა მათი უფლებანი.

სსრ კავშირის შრომსახკომი, როგორც შრომის, ხელფასისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში მართვის ცენტრალური ორგანო, არადამაკმაყოფილებლად იყენებს თავის შესაძლებლობებს. ხშირად უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრის საზიანოდ იგი კერძო, ოპერატიული საკითხებით არის დაკავებული, ცვლის სამინისტროებსა და უწყებებს.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები არ იჩენენ ჯეროვან პრინციპულობასა და სიმტკიცეს საარსებო სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

აქტიური სოციალური პოლიტიკის თანამიმდევრული გატარება დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში ქმედითი ზომების განხორციელებასთან, რომელთა მიზანია სოციალური სფეროს განვითარების დაჩქარება, მისთვის თანამედროვე სახის მიცემა,

აქ არსებული ჩამორჩენის დაძლევა. ამისათვის საჭიროა მართვის ყველა ორგანოსა და შრომითი კოლექტივის ძირეული შემობრუნება სოციალური საკითხების გადაწყვეტისაკენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარებისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის საქმეში თვისებრივი ძვრების მიღწევის შესახებ პარტიის XXVII ყრილობის მითითებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდეს შრომისა და სოციალური განვითარების მართვის სისტემის გარდაქმნა მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან, დემოკრატიის გაფართოებასთან განუყოფელი კავშირით.

საჭიროდ ჩაითვალოს ამაღლდეს სახალხო მეურნეობაში სოციალური განვითარების პროცესებისადმი ხელმძღვანელობის ეფექტიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების შეხამება შრომითი კოლექტივებისა და მუშაკთა ინტერესებთან, შეიქმნას სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა სრული რეალიზაციისათვის საჭირო პირობები.

I. შრომისა და სოციალური განვითარების მართვის სისტემის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი

2. პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმაღლესი მიზნიდან გამომდინარე, საჭიროა ამაღლდეს სოციალური პროგრამების შემუშავების მეცნიერული დასაბუთება და მათი როლი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე სახელმწიფო გეგმების ფორმირებაში. უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური სფეროსადმი კომპლექსური-მიდგომა და მისი ყველა რგოლის პროპორციული განვითარება, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის სოციალური ფაქტორების რაც შეიძლება სრულად გამოყენება, შეიქმნას მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების სისტემა, კარდინალურად გაუმჯობესდეს შრომითი რესურსების გამოყენება.

ამაღლდეს მთელი მუშაობის დონე სოციალური განვითარების პროგნოზირების, დაგეგმვისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ამასთან ყოველმხრივ იქნეს გათვალისწინებული ცვლი-

ლებანი ადამიანთა მოთხოვნილებებში, მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა და სოციალური ჯგუფის სპეციფიკური ინტერესები და მოთხოვნები.

სოციალური ამოცანების გადაწყვეტის სტრატეგიის უფრო ღრმა დასაბუთებისათვის საჭიროდ იქნეს მიჩნეული სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების 15-წლიანი კომპლექსური პროგრამის შემუშავება, როგორც პერსპექტივისათვის პროგნოზირებისა და დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტისა.

კომპლექსურმა პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს აქტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციასთან დაკავშირებული ამოცანების განხორციელების ძირითადი მიმართულებანი, გზები და მეთოდები, შრომის, მოსახლეობის რეალური შემოსავლის, ხელფასისა და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების, ფასებისა და გადასახადების, მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების, სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განვითარების პრობლემების ჩათვლით.

დაწესდეს, რომ სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების კომპლექსურ პროგრამას შეიმუშავებენ სსრ კავშირის შრომსახკომი და საკავშირო პროფსაბჭო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით არა უგვიანეს 3 წლით ადრე ახალი ხუთწლედის დაწყებამდე. ამ პროგრამის საფუძველზე სსრ კავშირის შრომსახკომი ზემოაღნიშნულ საკითხებზე შეიმუშავებს წინადადებებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი კონცეფციისა და ძირითადი მიმართულებების და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის პროექტის გამო, უშუალოდ მონაწილეობს ამ დოკუმენტების მომზადებაში.

3. ქვეყნის მოსახლეობის პრობლემათა უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით გააქტიურდეს მუშაობა ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის განსახორციელებლად და აყვანილ იქნეს იგი საერთოსახელმწიფოებრივ დონეზე. უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის მოსახლეობის განვითარების, ქალების, ახალგაზრდობის, ხანდაზმულთა მდგომარეობის გაუმჯობესების, ოჯახების ფორმირების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა ფართოდ შემუშავება და თანამიმდევრულად განხორციელება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ქვეყნის მოსახლეობის დარგში ღონისძიებათა განხორციელებას იმ რაიონებში, სადაც არის რთული დემოგრაფიული ვითარება, აგრეთვე მაღალია ქალთა დასაქმების დონე და არსებობს შრომითი რესურსების დეფიციტი. სახალხო მეურნეობის განვითარების, მისი სტრუქტურის სრულყოფის, საწარმოო ძალთა განლაგების საგეგმო დავალებანი ორგანულად დაუკავშირდეს ქვეყნის მოსახლეობის პრობლემათა გადაჭრას.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების კომპლექსური პროგრამის შემადგენლობაში შემუშავდეს ქვეყნის მოსახლეობის ზრდისა და სტრუქტურის შეცვლის, შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, მოსახლეობის სრული დასაქმების მიღწევის პროგნოზები, აგრეთვე ორგანიზებულ იქნეს ქვეყნის მოსახლეობის რეგიონალური პროგრამების მომზადება რაიონების დემოგრაფიულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. უზრუნველყოფილ იქნეს მეცნიერულად დასაბუთებული სოციალური ნორმატივების ფართოდ გამოყენება მართვაში და დაედოს ისინი საფუძვლად სოციალური სფეროს განვითარების დაგეგმვას. ეს ნორმატივები უნდა გახდეს სოციალური სფეროს განვითარების მიღწეული დონის შეფასების კრიტერიუმი და მის დარგებსა და რეგიონებს შორის რესურსების განაწილების დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, სოციალური პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

სავალდებულოდ ჩაითვალოს სოციალური ნორმატივების დაცვა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის, დაპროექტების, ახალ საწარმოთა და წარმოებათა მშენებლობისა და მოქმედთა რეკონსტრუქციის, შრომის ორგანიზაციისა და მისი პირობების გაუმჯობესების დროს, აგრეთვე გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისას.

სსრ კავშირის შრომსახკომმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სხვა დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა ორგანიზაცია გაუწიონ ზემოაღნიშნული სოციალური ნორმატივების შემუშავებას და გამოიყენონ ისინი სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების კომპლექსური პროგრამის შედგენისას, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 15-წლიანი კონცეფციისა და ძირითადი მიმართულებების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითა-

რების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის პროექტზე წინადადებათა მომზადებისას.

5. დაწესდეს, რომ შემუშავებული აქტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა სოციალურ-კულტურული დარგების მეტერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რომელიც უმაღლეს მსოფლიო დონეს შეესაბამება. მართვის ყველა დონეზე გეგმების ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნეს რესურსებისა და სახსრების პრიორიტეტული და მიზანმიმართული გამოყოფა იმ დარგების განსავითარებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ საბინაო პრობლემის უფრო სწრაფად გადაჭრას, ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებას, მისი განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებას, სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. გადაჭრით აღმოიფხვრას სოციალური სფეროს განვითარებისათვის რესურსების გამოყოფისადმი „ნარჩენობითი“ პრინციპით მიდგომა.

უფრო სრულად იქნეს გამოყენებული სოციალური სფეროს დარგთა სპეციფიკის გათვალისწინებით მათი განვითარების დაფინანსების სხვადასხვა წყარო. ყველა დონეზე გეგმების ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნეს სახსრების გამოყოფა სოციალური განვითარების ამოცანების გადასაწყვეტად, საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში თანამიმდევრულად განხორციელდეს ხაზი, რომ შრომითმა კოლექტივებმა უნდა გამოიმუშაონ სახსრები სოციალური განვითარებისათვის. მაღალმწარმოებლური მოწყობილობის ეფექტიანი დატვირთვის, მრავალცვლიანი მუშაობის რეჟიმზე გადასვლის საფუძველზე გამოთავისუფლებული კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც გათვალისწინებულია საწარმოო ობიექტების მშენებლობისათვის, გამოყენებულ იქნეს სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის.

უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული მოსახლეობის სახსრები კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გასაფართოებლად, განსაკუთრებით სოფლად. გამოყენებულ იქნეს სესხების საფუძველზე მშრომელთა პირადი დანაზოგები სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობის დასაფინანსებლად.

6. საჭიროდ ჩაითვალოს სოციალური განვითარების მართვის სამეცნიერო და საინფორმაციო ბაზის მნიშვნელოვანი განმტკიცება. თვისებრივად ახალ დონეზე ავიდეს სოციალურ პრობლემათა, ცხოვრების წესის, შრომის კვლევა და გაუმჯობესდეს პრაქტიკულ საქ-

მიანობაში მეცნიერულ ნამუშევართა გამოყენება. განხორციელდეს ზომები სოციალურ პროცესთა თეორიული ანალიზის გაღრმავებისა და მეცნიერულ ნამუშევართა კომპლექსურობის ამაღლების, სოციოლოგიური კვლევისა და სოციალური სტატისტიკის გაფართოების, სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და გამოყენების მიზნით სისტემატურად მოეწყოს მოსახლეობის გამოკითხვა უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ თემებზე. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის შრომსახკომთან სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საკავშირო ცენტრის შექმნა. მუშაობა საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად განხორციელდეს სსრ კავშირის შრომსახკომთან და მის ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით.

ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა სოციალური ორიენტირების გასაძლიერებლად გათვალისწინებულ იქნეს კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში სოციოლოგიური განათლების მნიშვნელოვანი გაფართოების ღონისძიებანი.

II. შრომის ეფექტიანობის ამაღლება და მისი ანაზღაურების მასტიმულირებელი როლის გაძლიერება

7. უმნიშვნელოვანეს სანალხო-სამეურნეო ამოცანად ჩაითვალოს შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ამაღლება, როგორც ქვეყნის ძლიერების განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძვლისა.

განხორციელდეს შრომის შინაარსისა და ხასიათის ღრმა თვისებრივი გარდაქმნები, ამისათვის სრულად იქნეს გამოყენებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, ორგანიზაციული და ეკონომიკური ბერკეტები.

განუხრელად ამაღლდეს შრომის, როგორც სოციალისტური საზოგადოების ყველაზე მთავარი ღირებულების, ავტორიტეტი. ყოველმხრივ განდიდდეს მშრომელი ადამიანი, მიღწეულ იქნეს, რომ მის საზოგადოებრივ აღიარებას და მატერიალურ კეთილდღეობას განსაზღვრავდეს მხოლოდ შრომა.

8. უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა ადამიანების მიერ შრომის უფლების თანამიმდევრული რეალიზაცია, მიღწეულ იქნეს შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული და ეფექტიანი დასაქმება.

გაუმჯობესდეს შრომითს რესურსებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებისა და უზრუნველყოფის წყაროების პროგნოზირება, მუშათა ორგანიზებული მოკრების განხორციელება. შეიქმნას საზოგადოებრივ შრომაში ვეტერანთა, დიასახლისთა, სტუდენტთა და მოსწავლეთა ჩაბმის ხელშემწყობი პირობები. ყოველმხრივ წახალისდეს კოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარება.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის შრომსახკომი შეიმუშავებს სახალხო მეურნეობის დარგებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მუშაკთა განაწილებისა და გადანაწილების გეგმების პროექტებს და მონაწილეობს ქვეყნის საწარმოო ძალთა განლაგების გეგმების შემუშავებაში.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ შრომითი რესურსების, სამუშაო ადგილებისა და კადრების ბალანსები, აგრეთვე შრომისა და კადრების გეგმები შეიმუშაოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის შრომსახკომთან ერთად.

სსრ კავშირის შრომსახკომსა და მის ადგილობრივ ორგანოებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა სრული დასაქმების უზრუნველყოფისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მეურნეობრიობის ახალი პირობების შემოღების შედეგად მოქმედი საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან გამოთავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობის სისტემის ორგანიზაციისათვის, მათი მომზადებისა და პროფორიენტაციისათვის.

სსრ კავშირის შრომსახკომმა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით შეიმუშაოს და განახორციელოს შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების პროგრამები, მათ შორის ჭარბმუშახელიან რაიონებში, პირველ რიგში შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩასაბმელად.

9. წარმოების მზარდი დონის, ეკონომიკის გარდაქმნის შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიული მომზადების მჭიდრო ერთიანობა ეკონომიკურ სწავლებასთან. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მუშათა და სპეციალისტთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება მაღალი პროფესიონალიზმის, პოლიტიკური სიმწიფისა და ეკონომიკური წიგნიერების მისაღწევად. ამაღლდეს მუშაობის დონე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციისათვის.

სსრ კავშირის შრომსახკომმა და სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უზრუნველყონ კადრების კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლების სისტემის დანერგვა, მათი მუშაობის კოორდინაცია, მუშათა მომზადების მეთოდების სრულყოფა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, ახალგაზრდა მუშათა დამკვიდრება წარმოებაში და მათი გამოყენება მიღებული სპეციალობების შესაბამისად.

10. განისაზღვროს, რომ მართვის ორგანოთა და საწარმოთა მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა შრომის ორგანიზაციისადმი თვისებრივად ახლებური მიდგომის განხორციელება იმ ვარაუდით, რომ იგი შეესაბამებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებსა და უმაღლეს მსოფლიო მიღწევებს. შეიქმნას კოლექტიური და ოჯახური იჯარის მასობრივი გამოყენების, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა პროგრესული ფორმების განვითარების პირობები. უზრუნველყოფილ იქნეს ყველა კატეგორიის მუშაკთა შრომის ნორმირების შემდგომი სრულყოფა, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების მაქსიმალური გამოყენება, მოქმედი ნორმების დროულად შემოწმება და გადასინჯვა.

გაძლიერდეს სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის ეფექტიანობა, აქტიურად განვითარდეს მრავალდაზგური მომსახურება და პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება. განხორციელდეს შრომის დისციპლინის განმტკიცების, სამუშაო დროის დანაკარგების მკვეთრი შემცირების ღონისძიებანი.

პროფკავშირულმა, სამეურნეო ორგანოებმა და შრომის ორგანოებმა უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლება, წარმართონ იგი შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სახელშეკრულებო მოწოდებათა ზუსტი შესრულებისა და ყოველგვარი რესურსების ეკონომიისათვის საწარმოთა მეტოქეობის გასაძლიერებლად.

სსრ კავშირის შრომსახკომმა გააუმჯობესოს შრომის ორგანიზაციისათვის მუშაობისადმი ხელმძღვანელობა, აამაღლოს შრომის დარგში შესამუშავებელი დარგთშორისი და დარგობრივი ნორმატივების მეცნიერული დასაბუთება, უზრუნველყოს მუშების, ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისადმი ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დროულად დამტკიცება, საჭირო ნორმატიულ მასალებზე საწარმოთა და ორგანიზაციათა მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილება.

11. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სსრ კავშირის შრომსახკომთან ერთად:

გადასინჯონ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგობრივი და ტერიტორიული ცენტრების ქსელი, გაამსხვილონ და გარდაქმნან ისინი სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და დანერგვით ორგანიზაციებად. დააკისრონ ამ ორგანიზაციებს შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და სტიმულირების პროგრესული ფორმების კვლევა, დაპროექტება და დანერგვა, კოლექტივების სოციალური განვითარების, საწარმოებში მართვის მოწინავე გამოცდილების დანერგვა და გადაიყვანონ ისინი სამეურნეო ანგარიშზე;

გააძლიერონ შრომითი დანახარჯების ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებაზე დასაქმებულ ნორმატიულ-კვლევით ორგანიზაციათა მუშაობის კოორდინაცია, განამტკიცონ ისინი კვალიფიციური კადრებით.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ტერიტორიული სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო ბიუროების (ფირმების) შექმნა შრომის, მისი ანაზღაურების, სოციალური განვითარების, მართვის საკითხებზე საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მეცნიერულ-მეთოდიკური და პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

12. საჭიროდ ჩაითვალოს განხორციელდეს შრომის ანაზღაურების შემდგომი სრულყოფა მისი ეფექტიანობისა და ხარისხის მკვეთრი ამაღლების ამოცანების გათვალისწინებით. დაშვებული არ იქნეს გათანაბრება, უზრუნველყოფილ იქნეს შრომის ანაზღაურების დასაბუთებული დიფერენციაცია, არ შეიზღუდოს იგი მაქსიმალური ზღვარით, დაწესდეს შრომის ანაზღაურების დამოკიდებულება შრომის საბოლოო შედეგებში თითოეული მუშაკის კონკრეტულ წვლილზე.

ამაღლდეს საწარმოთა შრომითი კოლექტივების როლი მაღალნაყოფიერი და ხარისხიანი შრომის სტიმულირებაში, კოლექტიური გამომუშავების დამოუკიდებლად განაწილებაში.

გაძლიერდეს სსრ კავშირის შრომსახკომის პასუხისმგებლობა დარგებსა, ქვეყნის რეგიონებსა და მუშაკთა კატეგორიებს შორის შრომის ანაზღაურებაში ეკონომიკურად და სოციალურად დასაბუთებული ნორმატიული თანაფარდობის დაცვისათვის.

13. ხელფასის სახელმწიფო რეგულირების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს:

ა) განხორციელდეს სახალხო მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო დარგების მუშა-მოსამსახურეთა სატარიფო განაკვეთებისა და

თანამდებობრივი სარგოების გადასინჯვა 5 წელიწადში ერთხელ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალი ამოცანების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების, მუშაკთა პროფესიულ-საკვალიფიკაციო სტრუქტურის ცვლილებათა ვათვალისწინებით.

სსრ კავშირის შრომსახკომმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სატარიფო სისტემის სრულყოფის პრინციპული მიმართულებების — დარგებისა და მუშაკთა კატეგორიების მიხედვით შრომის ანაზღაურების ცვლილების, ჩათვლით, — განაკვეთებისა და სარგოების გადიდების ოდენობის, პრემირების და მასტიმულირებელი დანამატებისა და სართების დაწესების შესახებ.

სატარიფო სისტემის სრულყოფის დამტკიცებულ მიმართულებათა შესაბამისად სსრ კავშირის შრომსახკომმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად დააწესოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა განაკვეთებისა და სარგოების ოდენობა, აგრეთვე შეიმუშაოს მათი შრომის ანაზღაურების პირობები;

ბ) განხორციელდეს ხელფასის რაიონული კოეფიციენტებისა და დანამატების სისტემის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში კადრების მიზიდვისა და დამკვიდრების მიზნით. ეტაპობრივად გადაწყდეს მოცემული ადგილისათვის ერთიანი რაიონული კოეფიციენტის გამოყენების ამოცანა, ამასთან აღმოიფხვრას არსებული სხვადასხვაობა ამ საქმეში. სსრ კავშირის შრომსახკომმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შესაბამისი წინადადებანი წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

14. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის შრომსახკომი:

საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშავებენ შრომის ანაზღაურებისათვის სახსრების შექმნის ნორმატივებს და ნორმატიულ თანაფარდობას სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით საშუალო ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად ახორციელებენ მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში შრომის ანაზღაურების ფონდების შექმნის მეთოდების სრულყოფის ღონისძიებებს.

III. ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების სოციალურ ღონისძიებათა ეფექტიანობის ამაღლება

15. მშრომელთა შემოქმედების გააქტიურება და ინიციატივა უშუალოდ არის დამოკიდებული საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების, მათი უფლებების გარანტიების განმტკიცების პრაქტიკულ ღონისძიებათა ეფექტიანობის ამაღლებაზე.

შრომის პირობების გაუმჯობესებისა და მისი შინაარსიანობის ამაღლების მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს წარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა ზუსტი სოციალური მიმართულობა, დაჩქარებით შემცირდეს ხელის, ნაკლებკვალიფიციური და მძიმე ფიზიკური სამუშაოები.

ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში შრომისა და დასვენების რეჟიმების მზარდი როლის გათვალისწინებით ყოველმხრივ გაფართოვდეს მათი პროგრესული ფორმების გამოყენება, მათ შორის მუშაობის მოქნილი და მცოცავი გრაფიკები, არასრული სამუშაო დღე (კვირა), შინ მუშაობა წარმოების ინტერესების გათვალისწინებით. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შემუშავდეს პროექტი სსრ კავშირის კანონისა შვებულებათა შესახებ, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული შვებულებათა ერთიანი სისტემის შექმნა და მუშაკთა შრომითს წვლილთან მათი კავშირის გაძლიერება. სსრ კავშირის შრომსახკომმა და საკავშირო პროფსაბჭომ წარმოუდგინონ წინადადებანი ამ საკითხზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

საჭიროდ ჩაითვალოს შემუშავდეს შრომის არახელსაყრელი პირობებისათვის საკომპენსაციო თანხებისა და შეღავათების ერთიანი სისტემა და დაიხვეწოს ამ მიზნებისათვის სახსრების განაწილების მექანიზმი, ამასთან გაძლიერდეს სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური დაინტერესება შრომის პირობების გაუმჯობესებით და ამის საფუძველზე საკომპენსაციო თანხებისა და შეღავათებისათვის ხარჯების შემცირებით.

16. სოციალურ ღონისძიებათა მეცნიერული დასაბუთების ამაღლების მიზნით ყოველმხრივ იქნეს გათვალისწინებული მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რეალური ხელფასისა და რეალური შემოსავლის ტენდენციები, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული სახელმწიფო, კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ფასებისა და საკოლმეურნეო ბაზრის ფასების დინამიკა, მომსახურების ტარიფები, გადასახადები, აგრეთვე საქონლითა და ფასიანი მომსახურებით უზრუნველყოფა.

დაინერგოს პრაქტიკაში რეალური ხელფასისა და რეალური შემოსავლის მაჩვენებელთა გამოანგარიშება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისა და ქვეყნის რაიონების მიხედვით.

გაძლიერდეს ყურადღება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, შრომითი წვლილის გათვალისწინებით მათი განაწილების სრულყოფის საკითხებისადმი.

სსრ კავშირის შრომსახკომმა და სსრ კავშირის სტატსახკომმა გააღრმაონ ოჯახების ბიუჯეტების შესწავლა და უფრო სრულად გაითვალისწინონ ისინი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმების ფორმირებისას. 1988 წლიდან დაწყებული გაითვალისწინონ მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის (საარსებო მინიმუმის) და ოპტიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის შემუშავება მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფისა და ქვეყნის რეგიონების მიხედვით. გამოიყენონ ეს ბიუჯეტები მოსახლეობის ცხოვრების მიღწეული დონის შესაფასებლად და მისი ამაღლების ყველაზე ეფექტიანი გზების შესარჩევად, მათ შორის ოჯახების შემოსავლის, შრომის ანაზღაურების, პენსიების, სტიპენდიების და სხვა სოციალური თანხებისა და შეღავათების მინიმალური დონის დასასაბუთებლად.

სსრ კავშირის შრომსახკომმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სტატსახკომთან ერთად რეგულარულად მოახსენოს სსრ კავშირის მთავრობას, თუ როგორია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რეალური ხელფასის, რეალური შემოსავლისა და სამომხმარებლო ბიუჯეტების ტენდენციები და დინამიკა.

17. გეგმაზომიერად გაუმჯობესდეს ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები, გაფართოვდეს მათი შრომითი საქმიანობისა და დედობის შეხამების შესაძლებლობანი, თანამიმდევრულად გაიზარდოს ქალთა შვებულების ხანგრძლივობა და ანაზღაურების ოდენობა და ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებული სხვა შეღავათები. დაწესდეს განსაკუთრებული ზრუნვა ობოლი ბავშვებისათვის.

უფრო აქტიურად განვითარდეს ბავშვთა, მოზარდთა, ახალგაზრდათა საზოგადოებრივი მომსახურების ფორმები, გადიდდეს ბავშვებზე გათვალისწინებული ფულადი დახმარება, სტუდენტთა და მოსწავლეთა სტიპენდიები. ბავშვებისათვის გათვალისწინებული ამჟამად მოქმედი სხვადასხვაგვარი დახმარების უნიფიკაციისა და მათი გაცემის წესის სრულყოფის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს შემუშავდეს ასეთ დახმარებათა ერთიანი სისტემა.

18. ძირეულად გაუმჯობესდეს სოციალური უზრუნველყოფა მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ სსრ კავშირის ახალი კანონის შემუშავებისა და შემოღების საფუძველზე, შესაძლებლობა მიეცეთ პენსიონერებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აქტიური მონაწილეობისათვის, გაუმჯობესდეს პენსიონერთა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე. განხორციელდეს პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიული ცენტრების შემდგომი განვითარება, ხანდაზმულ მოქალაქეთათვის სახლ-ინტერნატებისა და სპეციალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გაფართოება, ხანდაზმულთა და ინვალიდთა მომსახურებისა და სოციალური დახმარების სხვადასხვაგვარი ფორმების დანერგვა.

19. გაძლიერდეს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, გაერთიანებებისა და საწარმოების პასუხისმგებლობა სოციალური სფეროს დარგების მომსახურებაზე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობისა და ამ დარგების ობიექტთა დროულად ამოქმედებისათვის. უზრუნველყოფილ იქნეს სისტემატური კონტროლი სოციალური სფეროს შექმნილი მატერიალური ბაზის ეფექტიანი გამოყენებისადმი, დაშვებული არ იქნეს უწყებრიობა და კუთხურობა ამ საქმეში.

სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის ობიექტური შეფასებისა და მისი განვითარებისათვის დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავების მიზნით სსრ კავშირის სტატისტიკომმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის შრომისკომმა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად გადასინჯონ ამ სფეროს განვითარების დამახასიათებელ მაჩვენებელთა სისტემა.

20. დაჩქარდეს სოციალური განვითარების სამსახურების ჩამოყალიბება საწარმოებში (გაერთიანებებში), სამინისტროებში, უწყებებსა და ქვეყნის რეგიონებში. გაუმჯობესდეს ამ სამსახურებისადმი ორგანიზაციულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობა, უფრო სრულად იქნეს გამოყენებული მათი საქმიანობის შედეგები საზოგადოებრივი აზრის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების შესასწავლად, მოსახლეობის შრომითი საქმიანობისა და მიგრაციის დასაბუთებისათვის, შრომისადმი შეგნებული, შემოქმედებითი დამოკიდებულების, თითოეული მუშაკისათვის ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობის

ჩასანერგად, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დასამკვიდრებლად, წარმოების ეფექტიანობის ზრდის სოციალური რეზერვების გამოსავლენად და ასამოქმედებლად.

IV. სსრ კავშირის შრომსახკომის როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ

21. სსრ კავშირის შრომსახკომის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს სოციალური განვითარების საკითხთა გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა. ამაღლდეს სსრ კავშირის შრომსახკომის როლი და პასუხისმგებლობა შრომის, მისი ანაზღაურების, საპენსიო უზრუნველყოფის დარგში ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს შრომის ორგანოების სისტემის სრულყოფა, სამინისტროებთან და უწყებებთან, გაერთიანებებთან და საწარმოებთან მათი ურთიერთმოქმედების გაუჯობესება. გარდაიქმნან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შრომის სახელმწიფო კომიტეტები და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების შრომის განყოფილებები შესაბამისად, შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტებად და განყოფილებებად. გაფართოვდეს ამ ორგანოების უფლებანი და გაძლიერდეს მათი პასუხისმგებლობა შრომის, ხელფასისა და სოციალური განვითარების ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტისათვის.

მეთორმეტე ხუთწლედში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაამთავრონ ქალაქებსა და რაიონებში შრომისა და სოციალურ საკითხთა ადგილობრივი ორგანოების და მოსახლეობის შრომითი მოწყობის სამეურნეოანგარიშიანი ბიუროების შექმნა, განამტკიცონ ისინი კვალიფიციური კადრებით. გარდაქმნან ეს ბიუროები დიდ და საშუალო ქალაქებში მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახლა სწავლებისა და პროფორიენტაციის ცენტრებად (სამეურნეო ანგარიშზე). დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა მოსახლეობის სრული და რაციონალური დასაქმების უზრუნველსაყოფად, საჭირო კადრებზე საწარმოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შრომითი რესურსების, მათ შორის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა, აღრიცხვის, განაწილებისა და გადანაწილებისათვის, განთავისუფლებულ მუშაკთა გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციისათვის.

22. გაერთიანებათა და საწარმოთა უფლებების მნიშვნელოვან გაფართოებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილ იქნეს ერთიანობა

შრომის, მისი ანაზღაურებისა და სოციალური განვითარების დარგში სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განსახორციელებლად, გაძლიერდეს კონტროლი შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობის დაცვისადმი.

სსრ კავშირის შრომსახკომის საქმიანობა ძირითადად მოხმარდეს დარგთაშორისი და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პრობლემათა გადაჭრას. ამაღლდეს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა, გაფართოვდეს მათი უფლებანი შრომისა და ხელფასის დარგში და მათ, შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად, დამატებით გადასაწყვეტად გადაეცეთ დარგობრივი და რეგიონალური ხასიათის სათანადო საკითხები.

23. სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გარდაქმნისა და მიზნობრივ მომზადებაზე მათი გადასვლის პირობებში, როგორც წესი, ხელშეკრულებათა საფუძველზე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის შრომსახკომმა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გააუმჯობესონ ამ სპეციალისტებზე რეალური მოთხოვნილების განსაზღვრა საწარმოო ძალთა განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტიულ მიმართულებათა გათვალისწინებით, უზრუნველყონ კონტროლი სახალხო მეურნეობაში მათი ეფექტიანი გამოყენებისადმი.

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის შრომსახკომმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შექმნან პროფესიული სწავლების ეფექტიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მუშის კვალიფიკაციის განუწყვეტელ ამაღლებას.

24. სსრ კავშირის შრომსახკომმა და სსრ კავშირის სახმრეწმა, საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაონ და დაამტკიცონ მშენებლობაში ერთიანი დროის ნორმები და ფასდებანი, ახალი ობიექტების დაპროექტებისა და მოქმედის რეკონსტრუქციის დროს შრომის მოწინავე ორგანიზაციისა და სოციალური ფაქტორების გათვალისწინების მოთხოვნები.

განისაზღვროს, რომ წინადადებანი სატარიფო პირობების შექმნილის, მუშა-მოსამსახურეთათვის დამატებითი შერავათებისა და ტარიფტესობების დაწესების შესახებ სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მხოლოდ მას შემდეგ შეუძლიათ შეიტანონ სსრ კავშირის მთავრობა-

ში, როცა მათ აუცილებლად განიხილავენ სსრ კავშირის შრომსახკომსა და საკავშირო პროფსაბჭოში.

დაეკისროს სსრ კავშირის შრომსახკომს მეთოდიკური მუშაობა სახალხო მეურნეობის დარგებში კადრების ატესტაციისათვის, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა არჩევითობის სისტემისა და კონკურსების ორგანიზაციის სრულყოფის თაობაზე რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

25. სოციალური სიკეთეებით მოსახლეობის დაკმაყოფილების დონის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე სსრ კავშირის შრომსახკომმა მეცნიერულად დასაბუთებული სოციალური ნორმატივების გათვალისწინებით შეიმუშაოს რეკომენდაციები ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებისათვის მათი ეტაპობრივი მიღწევის მიზნით როგორც მთლიანად ქვეყნის, ისევე ცალკეული დარგებისა და რაიონების მიხედვით.

26. სსრ კავშირის შრომსახკომმა უზრუნველყოს მეცნიერული კვლევის კოორდინაცია სოციალური განვითარების, შრომისა და მისი ანაზღაურების პრობლემებზე. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად აამაღლოს განსახორციელებელ გამოკვლევათა დონე, ყოველმხრივ გამოიყენოს მათი შედეგები პრაქტიკულ მუშაობაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის შრომსახკომს დაეკისრა სოციალური განვითარების დარგში ახალი ამოცანები, რომლებიც ღრმა მეცნიერულ დამუშავებას მოითხოვენ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა ინსტიტუტი ამავე დროს სსრ კავშირის შრომსახკომსაც დაექვემდებაროს. შეიქმნას ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა ინსტიტუტი, რომელიც დაექვემდებარება იმავე უწყებებს. შეიქმნას სსრ კავშირის შრომსახკომისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შრომისა და სოციალური განვითარების პრობლემათა გაერთიანებული სამეცნიერო საბჭო.

მეთორმეტე ხუთწლედში სსრ კავშირის შრომსახკომის საქვეუწყებო სამეცნიერო ორგანიზაციები გადაყვანილ იქნენ სრულ სამეურნეო ანგარიშზე სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

27. სსრ კავშირის შრომსახკომმა აამაღლოს საერთაშორისო კავშირურთიერთობის ეფექტიანობა, უზრუნველყოს უფრო მჭიდრო თანამშრომლობა სოციალისტური ქვეყნების შრომის ორგანოებთან. ფართოდ გამოიყენოს მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილება შრომისა და ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის, შრომითი რესურ-

სების რაციონალური გამოყენების, სოციალური განვითარებისა და სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე წინადადებათა მომზადებისას. გააუმჯობესოს გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლა, განახორციელოს ურთიერთკონსულტაციები და მეცნიერული გამოკვლევები ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან.

28. სსრ კავშირის შრომსახკომმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნან მუშაობა შრომისა და სოციალურ საკითხთა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების კადრებთან. განამტკიცონ ეს ორგანოები კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური, ინიციატივიანი და პოლიტიკურად მომზადებული სპეციალისტებით.

29. სსრ კავშირის შრომსახკომის ახალ ამოცანებთან და ფუნქციებთან დაკავშირებით გადაისინჯოს მისი ორგანიზაციული სტრუქტურა. კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს თავისი კრებსითი და ფუნქციონალური სამსახურების მნიშვნელოვან განმტკიცებასა და როლის ამაღლებას, აგრეთვე სოციალური განვითარების საკითხებზე სპეციალურ ქვედანაყოფთა შექმნას.

30. საკავშირო პროფსაბჭომ, პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა და საბჭოებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ სსრ კავშირის შრომსახკომთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედება და თანამშრომლობა ისეთი სოციალური პროგრამებისა და გეგმების შესამუშავებლად და სარეალიზაციოდ, რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოთა ადამიანების შრომისა და ცხოვრების პირობებში ღრმა თვისებრივ გარდაქმნებს, არ დაუშვან შეფერხებანი საწარმოო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, მიაღწიონ მიღებულ სამეურნეო გადაწყვეტილებათა სოციალური მიმართულობის გაძლიერებას.

31. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის შრომსახკომი საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად წყვეტს სოციალური უზრუნველყოფის, შრომის ორგანიზაციის, ნორმირების, პირობებისა და ანაზღაურების, შეღავათებისა და უპირატესობათა მინიჭების საკითხებს.

32. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით და გააძლიერონ ყურადღება სოციალური ამოცანების გადაჭრისადმი, უზ-

რუნველყონ აქტიური სოციალური პოლიტიკის თანამიმდევრული რეალიზაცია, სისტემატური კონტროლი ამ დარგში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობისადმი.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანოები, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, ყოველ ღონეს იხმარენ შრომის, სოციალური განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დარგში დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. გორბაჩოვი**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. რიჟკოვი**	საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ს. შალაევი**

რეკომენდაციები

სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანებების) შრომითი კოლექტივების საბჭოების არჩევის, ხელმძღვანელთა არჩევნებისა და სპეციალისტთა თანამდებობების დაკავების კონკურსების მოწყობის წესის შესახებ

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საწარმოთა უფლებებისა და დამოუკიდებლობის გაფართოება, მათი გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, მმართველობის დემოკრატიული საწყისების განვითარება სახავს ახალ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს საწარმოთა სოციალურ-ეკონომიკური და საწარმოო-ტექნიკური განვითარების დაჩქარებაში, მათი საკადრო პოტენციალის განმტკიცებაში, საშუალებას აძლევს შრომითს კოლექტივსა და თითოეულ მუშაკს საქმით გამოიჩინოს თავი წარმოებაში როგორც ნამდვილმა მეურნემ.

შრომითი კოლექტივების საბჭოების შექმნა, საწარმოებისა და მათი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა არჩევითობის დაწესება, საკონკურსო საფუძველზე სპეციალისტთა თანამდებობის დაკავების პრაქტიკის გაფართოება განამტკიცებს და ორგანულად აკავშირებს თვითმმართველობისა და ერთმმართველობის პრინციპებს, ზრდის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ავტორიტეტს და აძლიერებს საწარმოებში, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში ყველა მუშაკის კოლექტიურ დაინტერესებასა და პასუხისმგებლობას მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

შრომითი კოლექტივის საბჭოს საქმიანობისა და ხელმძღვანელთა არჩევითობის საფუძველია სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტები.

საწარმოებსა და გაერთიანებებში შრომითი კოლექტივების საბჭოებისა და ხელმძღვანელების არჩევნების, სპეციალისტთა თანამდებობების დაკავების კონკურსების მომზადება და მოწყობა ხორციელდება პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. ამასთან პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს საბჭოთა კავშირ

კომუნისტური პარტიის საკადრო პოლიტიკას, უზრუნველყოფს სახელმწიფოს, შრომითი კოლექტივისა და თითოეული მშრომელის ინტერესების ორგანულ შეხამებას, ეწევა ამ მუშაობას ფართო დემოკრატიისა და საჯაროობის საფუძველზე.

საწარმოთა კოლექტივების, მათი ადმინისტრაციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანოებისათვის შემუშავებული რეკომენდაციების მიზანია გაუწიონ მათ მეთოდიკური დახმარება საწარმოების (გაერთიანებების) შრომითი კოლექტივების საბჭოების, ხელმძღვანელთა არჩევნებისა და სპეციალისტთა ვაკანტური თანამდებობების დაკავების კონკურსების მოწყობის ორგანიზაციაში.

შრომითი კოლექტივების საბჭოების არჩევა

1. კრებებს (კონფერენციებს) შორის პერიოდში შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებას ახორციელებს საწარმოს (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) შრომითი კოლექტივის საბჭო.

2. შრომითი კოლექტივის საბჭოს ირჩევს საწარმოს (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია) ფარული ან ღია კენჭისყრით 2—3 წლის ვადით.

საბჭოს საარჩევნო კრების გამართვის ვადების შეტყობინება რეკომენდებულია მოეწყოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 დღისა.

3. შრომითი კოლექტივის საბჭოს წევრების არჩევა ხდება იმ კანდიდატთაგან, რომლებსაც დაასახელებენ უშუალოდ შრომითი კოლექტივის კრებაზე (კონფერენციაზე) პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოს სტრუქტურული ქვეგანაყოფების კოლექტივები, ადმინისტრაცია, აგრეთვე შრომითი კოლექტივის წევრები. პარტიულ, პროფკავშირულ, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ადმინისტრაციას შეუძლიათ კრებას შესთავაზონ კანდიდატთა ერთიანი სია.

4. შრომითი კოლექტივის საბჭოს არჩევისათვის შრომითი კოლექტივის კრებას (კონფერენციას) იწვევს პროფკავშირული კომიტეტი საწარმოს (გაერთიანების) ადმინისტრაციასთან ერთად. ისინი განსაზღვრავენ აგრეთვე კონფერენციაზე დელეგატთა წარმომადგენლობის ნორმას. კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს კოლექტივის წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი, ხოლო კონფერენცია — სულ ცოტა დელეგატთა ორი მესამედი.

არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომლებსაც ხმა მისცა კრების დამსწრე შრომითი კოლექტივის წევრთა უმრავლესობამ (კონფე-

რენციის დელეგატთა უმრავლესობამ). საბჭოს რიცხოვნობას განსაზღვრავს შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია). იგი ისეთი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს იმ ამოცანების დროული და ხარისხოვანი გადაწყვეტა, რომლებიც ეკისრება შრომითი კოლექტივის საბჭოს, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 30 კაცს.

საბჭოში აირჩევიან მუშები, ბრიგადირები, ოსტატები, სპეციალისტები, ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ადმინისტრაციის წარმომადგენლები არ უნდა შეადგენდნენ შრომითი კოლექტივის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის მეოთხედზე მეტს. რეკომენდებულია კრებაზე ცალ-ცალკე განიხილონ თითოეული კანდიდატურა.

თუ არჩევნების შედეგად არჩეულთა რიცხვი (პირნი, რომლებიც ხმების უმრავლესობას მიიღებენ) იმაზე მეტი აღმოჩნდება, ვიდრე კრების მიერ არის განსაზღვრული, კრებას უფლება აქვს ან გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობის შესახებ, ან საბჭოში დატოვოს ის კანდიდატები, რომლებმაც კრების (კონფერენციის) მონაწილეთა მეტი ხმა მიიღეს.

მორიგი არჩევნების დროს საბჭოს შემადგენლობა, როგორც წესი, განახლდება სულ ცოტა მესამედით.

5. საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და მდივანი უნდა აირჩიონ საბჭოს შემადგენლობიდან მის ორგანიზაციულ სხდომაზე უბრალო ხმის უმრაველესობით.

რეკომენდებულია შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეღ აირჩიონ მოწინავე მუშები, ბრიგადირები, სპეციალისტები, უბნების, საამქროების, განყოფილებების, სხვა ანალოგიური ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები. არ არის რეკომენდებული შრომითი კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეებად აირჩიონ საწარმოების (გაერთიანებების, ორგანიზაციების) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საბჭოს ყველა წევრი, მათ შორის საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, მდივანი არ არიან გათავისუფლებული მუშაკები და თავიანთ მოვალეობას ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე.

6. თუ საბჭოს წევრი ვერ ამართლებს გაწეულ ნდობას, იგი შეიძლება გაყვანილ იქნეს საბჭოს შემადგენლობიდან შრომითი კოლექტივის კრებაზე (კონფერენციაზე).

7. არჩევითობის პრინციპი გამოიყენება საწარმოების (გაერთიანებების), გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულების, საწარმოების, საამქროების, განყოფილებების, უბნების, ფერმების, რგოლებისა და სხვა ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა, აგრეთვე ოსტატთა და ბრიგადირთა მიმართ. ხელმძღვანელის მოადგილეებს, საწარმოს იურიდიული და საბუღალტრო სამსახურებისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საწარმოს ხელმძღვანელი, რასაც შემდეგ ამტკიცებს ზემდგომი ორგანო.

საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით განსაზღვრავს კონკრეტულ თარიღებს, თუ როდის მოეწყოს არჩევნები ამა თუ იმ თანამდებობაზე, რომლის დაკავებაც ხდება არჩევითობის საფუძველზე.

8. ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც საწარმოში (გაერთიანებაში) ივსებენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ, არჩევნების საფუძველზე დასაკავებელ თანამდებობაზე ნიშნავს საწარმოს ხელმძღვანელი შესაბამისი კოლექტივის საბჭოსთან შეთანხმებით არჩევნების მოუწყობლად.

9. მშენებარე ან ჩამოსაყალიბებელ საწარმოთა (გაერთიანებათა) ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს ზემდგომი ორგანო. ამ ხელმძღვანელთა არჩევნების მოწყობის ვადები დგინდება შრომითი კოლექტივის საბჭოს ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებული გადაწყვეტილებით.

10. არჩევნების საფუძველზე დასაკავებელ თანამდებობებზე კანდიდატთა დასახელება თვით კანდიდატთა თანხმობით შეუძლიათ საწარმოს პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითი კოლექტივის საბჭოს, საწარმოს ადმინისტრაციას, ქვეგანაყოფების კოლექტივებსა და ზემდგომ ორგანიზაციებს. თავისი კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს აგრეთვე ყოველ მშრომელს.

11. ხელმძღვანელთა თანამდებობაზე ყველაზე ღირსეულ კანდიდატთა გამოვლენის მიზნით მათი არჩევნები ხორციელდება, როგორც წესი, საკონკურსო საფუძველზე პრეტენდენტთაგან.

შესაბამისი კოლექტივების გადაწყვეტილებით ოსტატებისა და ბრიგადირების, უბნების, ფერმების, რგოლების ხელმძღვანელთა, აგრეთვე სხვა ანალოგიური ქვეგანაყოფების ხელმძღვანელთა არჩევნები შეიძლება მოეწყოს არასაკონკურსო საფუძველზეც.

12. საწარმოებისა და მათი ქვეგანაყოფების, გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა, აგრეთვე ოსტატებისა და ბრიგადირების არჩევნების შესახებ განცხადებანი, განცხადებების შეტანის ვადების, კანდიდატთა პროფესიულ-კვალიფიციური და სხვა თვისებებისადმი მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია რეკომენდებულია გამოქვეყნდეს დარგობრივ, რესპუბლიკურ, ადგილობრივ, საქარხნო პრესაში, კედლის გაზეთსა და ინფორმაციის სხვა საშუალებებში არჩევნების დადგენილ ვადამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

კანდიდატთა დასახელება და განცხადებათა მიღება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ წყდება, როგორც წესი, მის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.

13. შრომითი კოლექტივის საბჭოსა და ადმინისტრაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით არჩევნების მოსაწყობად შეიძლება შეიქმნას საკონკურსო კომისია. მის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან შრომითი კოლექტივის საბჭოს, ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე თავისი ან სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და მართვის ზემდგომი ორგანოების მოწინავე მუშები, მეცნიერი მუშაკები, წამყვანი სპეციალისტები. საკონკურსო კომისია ეცნობა ხელმძღვანელთა თანამდებობების დაკავების კანდიდატებს, სწავლობს მათს საქმიან, პოლიტიკურ, პროფესიულ, მორალურ და სხვა თვისებებს.

არჩევნებისათვის მოსამზადებელ ორგანიზაციულ-ტექნიკურ მუშაობას შრომითი კოლექტივის საბჭოს დავალებით ახორციელებს საწარმოს საკადრო სამსახური.

14. ხელმძღვანელთა თანამდებობების დაკავების კანდიდატებს ეძლევათ შესაძლებლობა დადგენილი წესით გაეცნონ საწარმოს, მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, ეწვიონ საწარმოს შესაბამის ქვეგანაყოფებს.

საკონკურსო კომისიას შეუძლია შესთავაზოს პრეტენდენტებს, თუ ეს მიზანშეწონილია, შეიმუშაონ წინადადებანი საწარმოსა თუ მისი ქვეგანაყოფის წინაშე მდგომი ყველაზე აქტუალური საწარმოო-ეკონომიკური, სოციალური და სამმართველო ამოცანების გადასაწყვეტად.

საკონკურსო კომისიას მასალების შესწავლისა და კანდიდატებთან საუბრის საფუძველზე შეუძლია თითოეულ მათგანს მისცეს რეკომენდაცია, რომ მოხსნან თავიანთი კანდიდატურა კენჭისყრიდან.

15. პრეტენდენტებთან გასაუბრებისა და შეხვედრების, მათი წინადადების შესწავლის, აგრეთვე წარმოდგენილი დოკუმენტების ანა-

ლიზის საფუძველზე პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების, შრომითი კოლექტივის საბჭოს აზრის გათვალისწინებით საკონკურსო კომისია ამზადებს დასკვნებს თანამდებობების დაკავების კანდიდატთა შესახებ და აცნობს მათ შრომითი კოლექტივის კრებას (კონფერენციას). ამასთან კომისია თავს იკავებს იმისაგან, რომ მისცეს რეკომენდაციები კოლექტივს აირჩიოს ესა თუ ის კანდიდატი.

16. არჩევნებში მონაწილეობისათვის კანდიდატთა სიებს და მათ შესახებ ძირითად ცნობებს კოლექტივებს აცნობენ, როგორც წესი, არჩევნებამდე არა უგვიანეს ერთი კვირისა. შესაბამისი ქვეგანაყოფის კოლექტივის ინიციატივით კანდიდატებთან შეიძლება მოეწყოს შეხვედრები.

არჩევით თანამდებობაზე თითოეულ კანდიდატს უფლება აქვს უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე მისი მოწყობის ნებისმიერ ეტაპზე.

17. ხელმძღვანელთა არჩევნების კრება (კონფერენცია) იხილავს საკონკურსო კომისიის მასალებს და წყვეტს საკითხს კენჭისყრის სიაში შესაბამის კანდიდატთა შეყვანის შესახებ.

კენჭისყრის სიაში შეყვანილ კანდიდატებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გამოვიდნენ კოლექტივების წინაშე, ჩამოაყალიბონ თავიანთი საქმიანობის პროგრამა. განხილვაში მონაწილეობა შეუძლია შრომითი კოლექტივის ნებისმიერ წევრს.

18. ხელმძღვანელთა არჩევნების დროს კრების (კონფერენციის) უფლებამოსილება ისეთივეა, როგორიც შრომითი კოლექტივის საბჭოს არჩევისას. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა უმრავლესობას იმ პირობით, თუ მას ხმა მისცა კრების (კონფერენციის) მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეაგროვა ხმათა ნახევარზე მეტი, განმეორებით ეწყობა კენჭისყრა. კენჭს უყრიან, როგორც წესი, ორ კანდიდატს, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. თუ განმეორებითი კენჭისყრისას ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა ნახევარზე მეტს, დაინიშნება ახალი არჩევნები.

19. საწარმოების, გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ირჩევს შრომითი კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია) ფარული ან ღია კენჭისყრით (კრების ან კონფერენციის შეხედულებისამებრ) ხუთი წლის ვადით და მას ამტკიცებს ზემდგომი ორგანო.

მეთაური სტრუქტურული ერთეულის (მეთაური საწარმოს) ხელმძღვანელს, რომელსაც შრომითი კოლექტივი აირჩევს, ზემდგომი ორგანო ამტკიცებს გაერთიანების ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

იმ შემთხვევებში, როცა გაერთიანებას მართავს ცალკე მოქმედი აპარატი, გაერთიანების ხელმძღვანელს კონფერენციაზე ირჩევენ მისი სტრუქტურული ერთეულების და საწარმოების შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები.

საწარმოთა ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს, აგრეთვე ოსტატებსა და ბრიგადირებს შესაბამისი კოლექტივები ირჩევენ ფარული ან ღია კენჭისყრით (კოლექტივის შეხედულებისამებრ) ხუთი წლის ვადით და ამტკიცებს საწარმოს ხელმძღვანელი.

20. საწარმოს (გაერთიანების), გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის არჩევის შესახებ შრომითი კოლექტივის კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილების საფუძველზე მართვის ზემდგომი ორგანო კანდიდატს ამტკიცებს თანამდებობაზე.

თუ ზემდგომი ორგანო თანამდებობაზე არ ამტკიცებს შრომითი კოლექტივის მიერ არჩეულ კანდიდატს, მან უნდა განუმარტოს შრომითს კოლექტივს, თუ რა მიზეზით არ მტკიცდება არჩევნების შედეგები. ასეთ შემთხვევაში ეწყობა ახალი არჩევნები.

21. საწარმოს ქვეგანაყოფის (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის არჩევის შესახებ კოლექტივის კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ამ საწარმოს (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) ადმინისტრაციამ უნდა გასცეს ბრძანება შესაბამის თანამდებობაზე ამ კანდიდატის დამტკიცების შესახებ.

თუ საწარმოს ადმინისტრაცია თანამდებობაზე არ ამტკიცებს შესაბამისი კოლექტივის მიერ არჩეულ კანდიდატს, იგი ვალდებულია განუმარტოს კოლექტივს მიზეზი, თუ რატომ არ დაამტკიცეს არჩევნების შედეგები, და კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილებით იმართება ახალი არჩევნები.

22. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს (გაერთიანების), გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები თავს ვერ ართმევენ თავიანთ მოვალეობებს ან არის რაიმე სხვა მიზეზი, თანამდებობიდან მათ ვადამდე ათავისუფლებს დადგენილი წესით ზემდგომი ორგანო შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტი-

ლების საფუძველზე. ამასთან თანამდებობიდან ხელმძღვანელის ვადამდე განთავისუფლების ინიციატორი შეიძლება იყოს შრომითი კოლექტივი, შრომითი კოლექტივის საბჭო, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, ზემდგომი სამეურნეო ორგანოები. ამ შემთხვევაში აღნიშნული ორგანოები ასაბუთებენ თავიანთ წინადადებას შრომითი კოლექტივის საერთო კრების (კონფერენციის) ან მისი საბჭოს წინაშე.

მართვის ცალკე მოქმედი აპარატის მქონე გაერთიანების ხელმძღვანელის თანამდებობიდან ვადამდე განთავისუფლება ხდება მისი სტრუქტურული ერთეულების (საწარმოების) შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა კონფერენციის გადაწყვეტილებით.

თუ ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები, აგრეთვე ოსტატები და ბრიგადირები ვერ ართმევენ თავს თავიანთ მოვალეობებს, საწარმოს ხელმძღვანელს შეუძლია დადგენილი წესით ვადამდე გაათავისუფლოს ისინი თანამდებობიდან შესაბამისი ქვეგანაყოფის კოლექტივის გადაწყვეტილების საფუძველზე.

23. საწარმოების, გაერთიანებათა სტრუქტურული ერთეულების, ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები, აგრეთვე ოსტატები და ბრიგადირები, რომლებიც გათავისუფლდებიან თანამდებობიდან უფლებამოსილებათა ვადის გასვლის შემდეგ, შეიძლება კვლავ აირჩიონ და გაამწესონ სხვა სამუშაოზე, არჩევითი თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

24. საწარმოს (გაერთიანების) ხელმძღვანელისა და გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევნების მოწყობის წესის დარღვევის შესახებ განცხადება შეიძლება გადაეცეს საერთო განხილვისათვის ზემდგომ სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებს, ხოლო საწარმოს ქვეგანაყოფის (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) ხელმძღვანელების, ოსტატებისა და ბრიგადირების არჩევნების მოწყობის წესის დარღვევების შესახებ განცხადებას განიხილავს შრომითი კოლექტივის საბჭო საწარმოს (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) ადმინისტრაციასა და პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად.

25. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის საფუძველზე, აგრეთვე არსებული რეკომენდაციებისა და საწარმოს წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით მუშავდება დებულება შრომითი კოლექტივის საბჭოების არჩევის წესისა და ხელმძღვანელთა არჩევნების მოწყობის წესის შესახებ, რომელიც მტკიცდება შრომითი კოლექტივის კრებაზე (კონფერენციაზე).

სპეციალისტთა და ხელმძღვანელთა თანამდებობების დაკავება კონკურსის საფუძველზე

26. თანამდებობებზე, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუშაკთა პროფესიულ თვისებებს, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შერჩევის ობიექტურობის გადიდების მიზნით რეკომენდებულია ვაკანტური თანამდებობების შერჩევისა და დაკავების საკონკურსო სისტემა.

კონკურსების მოწყობის საფუძველზე შეიძლება დაკავებულ იქნეს მთავარი სპეციალისტების, სპეციალისტების, აგრეთვე ხელმძღვანელთა თანამდებობანი, რომელთა არჩევა არ არის გათვალისწინებული. საწარმოს ხელმძღვანელი შრომითი კოლექტივის საბჭოსთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი ვაკანტური თანამდებობების დაკავება შეიძლება კონკურსის მიხედვით.

კონკურსების მოწყობის ეს წესი არ ეხება იმ თანამდებობათა დაკავების კონკურსების მოწყობის წესსა და პირობებს, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის მთავრობის ცალკეული გადაწყვეტილებებით.

27. საწარმოს (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით კონკურსის მოსაწყობად იქმნება საკონკურსო კომისიები. ცალკეულ შემთხვევებში საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით საკონკურსო კომისიამ შეიძლება მოაწყოს კონკურსი რამდენიმე ვაკანტური თანამდებობის დაკავებისათვის. კომისიების შემადგენლობაში შედიან კოლექტივების საბჭოების, ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, შესაბამისი პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

საკონკურსო კომისიის ძირითადი ამოცანაა, რეკომენდაცია მისცეს საწარმოს ხელმძღვანელს იმის თაობაზე, რომ თანამდებობა დაიკავოს კონკრეტულმა პირმა კონკურსში მონაწილე პრეტენდენტთაგან.

28. კონკურსების მოწყობის, განცხადებათა შეტანის ვადების, კანდიდატთა პროფესიულ-კვალიფიციური და სხვა თვისებებისადმი მოთხოვნების შესახებ განცხადებები რეკომენდებულია გამოაქვეყნოს დარგობრივმა და ადგილობრივმა პრესამ. კონკურსის მიმდინარეობა და მისი შედეგები ფართოდ გააშუქონ საწარმოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა.

29. იმ თანამდებობებზე კანდიდატურების დასახელება, რომლებზაც იკავებენ საკონკურსო საფუძველზე, შეუძლიათ შრომითი კოლექტივებისა და ქვეგანაყოფთა კოლექტივების საბჭოს, აგრეთვე საწარმოს ადმინისტრაციას თვით კანდიდატების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანხმობით. კონკურსში მონაწილეო-

ბისათვის თავისი კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ნებისმიერ მშრომელს, რომლის პროფესიულ-კვალიფიციური და სხვა თვისებები აკმაყოფილებს ამა თუ იმ თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

30. გასაუბრების, აგრეთვე წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე კომისია აფასებს თანამდებობის დაკავების კანდიდატებს იმ თვალსაზრისით, აქვთ თუ არა მათ მუშაობის საჭირო გამოცდილება, როგორია მათი განათლების დონე, შეესაბამება თუ არა მათი სპეციალობა და კვალიფიკაცია ამ თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ითვალისწინებენ კანდიდატების შესახებ შრომითი კოლექტივის აზრს. კომისიას უფლება აქვს კანდიდატებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს, შესთავაზოს დაამუშაოს რეფერატები მათ მომავალ მუშაობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, რათა გამოვლინდეს მათი, როგორც სპეციალისტების კომპეტენტურობა.

31. კანდიდატებთან გასაუბრების, მათ მიერ მომზადებული რეფერატების შეფასების საფუძველზე, პრეტენდენტთა საქმიანი თვისებების შესწავლის სხვა მეთოდების გამოყენებით საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას რეკომენდაცია მისცეს ამა თუ იმ პირს იმ ვაკანტური თანამდებობის დაკავების შესახებ, რომლის გამოც გამოცხადდა კონკურსი.

საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმის უმრავლესობით ღია ან ფარული კენჭისყრის გზით. იმ შემთხვევაში, თუ ხმები თანაბარია, იღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც ხმა მისცა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ.

32. კონკურსების შედეგების მიხედვით თანამდებობაზე არჩეულ პირს ნიშნავს საწარმოს (გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის) ხელმძღვანელი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

* * *

შრომითი კოლექტივების საბჭოებისა და ხელმძღვანელთა არჩევნების მოწყობამ, კონკურსის საფუძველზე სპეციალისტთა მიერ თანამდებობის დაკავებამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ წარმოების მართვაში ჩაებან მუშაკები, რომლებიც სარგებლობენ მშრომელთა ნდობით, ახასიათებთ პროფესიული კომპეტენტურობა, მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებები, ღრმად არიან დაინტერესებული თადარიგიანად გამოიყენონ სოციალისტური საკუთრება, შესწევთ უნარი ერთმანეთს შეუხამონ საზოგადოების, კოლექტივისა და თითოეული მუშაკის ინტერესები.

შინაარსი

კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა, 1987 წლის 30 ივნისი, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ . . . 3

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება, 1987 წლის 30 ივნისი, „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ" სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე . . . 52

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 816, 1987 წლის 17 ივლისი. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში დაგეგმვის გარდაქმნისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ . . . 54

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 817, 1987 წლის 17 ივლისი. ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის მართვაში სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ . . . 92

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 819, 1987 წლის 17 ივლისი. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და სსრ კავშირის სახმომარაგების საქმიანობის გარდაქმნის შესახებ . . . 111

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 819, 1987 წლის 17 ივლისი. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში საფინანსო მექანიზმის გარდაქმნისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს როლის ამაღლების შესახებ . . . 135

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 820, 1987 წლის 17 ივლისი. ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში ფასწარმოქმნის სისტემის გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა შესახებ . . . 153

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 821, 1987 წლის 17 ივლისი. ქვეყანაში ბანკების სისტემის სრულყოფისა და ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ . . . 169

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 822, 1987 წლის 17 ივლისი. ქვეყანაში სტატისტიკის საქმის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . 182

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 823, 1987 წლის 17 ივლისი. მეურნეობის გაძღოლის ახალ პირობებში მატერიალური წარმოების სფეროს სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის გარდაქმნის შესახებ . . . 195

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 824, 1987 წლის 17 ივლისი. მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა საქმიანობის სრულყოფის შესახებ . . . 212

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება № 825, 1987 წლის 17 ივლისი. აქტიური სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის მუშაობის გაძლიერებისა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის როლის ამაღლების შესახებ . . . 241

რეკომენდაციები სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანებების) შრომითი კოლექტივების საბჭოების არჩევის, ხელმძღვანელთა არჩევნებისა და სპეციალისტთა თანამდებობების დაკავების კონკურსების მოწყობის წესის შესახებ . . . 261

О коренной перестройке управления экономикой

Сборник документов

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1988

რედაქტორები: ა. ფანჯიკიძე, მ. თეთრაძე, ლ. თავართქილაძე, მ. ჯაველიძე
მხატვარი ნ. ხავჩენკო
მხატვრული რედაქტორი რ. მაკვარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლ. მელიძე
კორექტორები: ე. ფკანია, ე. ყარყარაშვილი
გამომშვები ნ. თათარაშვილი

გადაეცა წარმოებას 13.07.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.10.88. საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×84 1/16. გარნიტური ენა, ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,81. პირ. საღ.-გატ. 16,04, საღრ.-საგამომც. თაბახი 15,32. ტირაჟი 10 000 შეკვ. № 6637

ფასი 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Грузинской ССР,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.